ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

2

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

391
გამოცემის ოცდამეთორმეტე წელი

2

თებერვალი
1990
თბილისი
სსრ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია — პროზა

3. დათო მაღლაკე — ლექსები
6. ზაზა ენუქიძე — მარტოდმარტო მარტოობის გარეშე. მოთხრობა
36. შარლოტა კვანტალიანი — ლექსები
38. აკაკი დაუშვილი — საპასუხო გრძნობების გარეშე. მოთხრობა
43. ბაღათერ არაბული — ლექსები
46. დავით კვიტაიშვილი — ლექსები
48. შარსევან ბიბიასვილი — კიბე. მოთხრობა
64. ტაგუ მეგურიშვილი — ლექსები
67. ბურამ ფალავანდიშვილი — ჩანახატები
71. ჯანგულ ჯიკიძე — შემეცნების პრაქტიკუმი. რომანი

პოეტის არქივიდან

93. ბაბარიელ ჯაგუშანური — ინვიქტივა — მონუმენტი. პოემა

ეროვნული თვალსაზრისი

97. ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან
102. მამუკა წიკლაური — ეიერშვები უკანასკნელ იმპერიაზე

პუბლიცისტიკა

112. თემურ მირიანაშვილი — „მესამე დასი“ ვაჟა-ფშაველას მიხედვით

წერილები

122. ბეორგი გამრეკელი — ისტორიული სიმართლის ძიებაში
125. ბია კანკავა — ილიას „სარჩობელაზედ“ და ისტორიის ზოგიერთი ფოკუსი

მოგონებები

133. ალექსანდრე შანიძე — მარადისობის ლაუმარდები

დაბრუნებული სახელები

140. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

ისტორიის თეთრი ფურცლები

148. აბდულაჰმან ავტორხანოვი — სტალინის სიკვდილის საიდუმლო

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბეჟი ალსაზიშვილი
თედო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბეჟი გეჟეჯორი
დათო მაღლაკე
რევაზ მიშველაძე
ბეჟი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანგულ ღვინჯილია
ნუგზარ შატბაძე
მანანა ჩიტიშვილი
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერხეული
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

პასუხისმგებელი მდივანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი

დათო მაღრაძე

საღვთო ფირვისას

ოდეს ამბავი განითქვა ესე,
არა მთავრობდა მას ქართლსა ნერსე.
არცა
ვიდოდნენ
ყინჩად
მეფენი,
მარად უფლისა მოიმედენი.

ჟამ იდგა მწუხრის
მას დღესა შინა,
ჩამოჰყვა ქუხილს
ცვარი და წვიმა.

მუნ იდგა ჟამი მწუხრისა,
წვიმა ჩამოჰყვა ქუხილსა.
სწორად ეპკურა ულირსთაც
და რჩეულებსაც უფლისას.

სატიალომან ღრუბელმან
გუჯარი დასდო მაცილთან,
ჩქერალმა ზღუდეს უყელა,
გაწვიმდა,
უფრო გაწვიმდა.

წყალმა ბალახი მოთელა,
სასოწაგვრილი სიავით,
ალვასა ცისაწვდომელას
რტოებში ეპყრა ნიავი.

მას
ხესთან
მარჯვე ქოშინში
სიო შრიალით მივიდა,
თრთოდა მეჯისა მოშიში
ფინდღლის ასხმული მძივითა,
ვით საპატარძლო ქორწილში
ხელში მოკეთის ჩვილითა.

მზეს ვუგზავნიდი პატრუცაგს
გულისთქმით,
ქედის დახრითა,
პაპაი თვლემდა ტაგრუცსა
შინამდებარე ნატვრითა.

სულთა
სავანის
სადგურსა
მზეს
ვუგზავნიდი
პატრუცაგს.

ელვა ფრთონავდა თავსხმაში,
როგორც ლოცვაში მესია,
ენთო
სულისა
ზარქაში
ჭიუხთან მთის ეკლესია.

ოდეს მონაზვნის მუხლები
უთლელ რიყის ქვას მიაცვდა,
ხმაი ჯერ ხელშეუხები
ცისკარზე ვინმე დიაცმა
როს მზე და მთვარე წაწლობენ,
ხმა შეუერთა მგალობელთ.
ხმა შეუერთა მგალობელთ,
განისმა ხმისა წკრიალი...
ვით აღმოსავლით ციალი
რწმენა იმოსა ბექთარად
მერმე და მერმე ნეტარად
იქმნა
გაბრწყინდა
კვეტარას...

. . .

საჩინო, — მზეი ვითარცა,
შორის ვარსკვლავთა,

საქ. სსრ ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობთა,
ნათლისფერ, — ელვა ვითარცა,
მოსული სიბრძნით განბეჭობად
აღმოსავალი ვითარცა, —
ღვარძლისგან იფქლის საბოჭად,
მას
ყაცსა
სულზე
ცოდვაი
არ დარჩენია ნაოჭად.

მზე ჩაცხრა შუბის ტარიდან,
თვალნი მილულა დავითმა.

დაღამდა, — სხივთა იბურეს
საბერმონაზონ სამოსი,
ხმაი შეერწყა
მას
გუნდსა
მგალობელთასა
საღვთოსი.
. . .
გაისმა თუშეთს დალაი,
ბანმა უწვდინა ბარიდან,
გურამიშვილს ქალაი
ოლია როდესაც დაქვრივდა.

მიწას ეპკურა მანანა,
დიაცმა შაოსანამა
ხმა ააყოლა მგალობელთ,
წირვისას
სულთა
მწყალობელთ.
. . .

„თავფარავნელი ჯაბუკი
ახპინას ქალსა ყვარობდა...“

ჭრაქი როს ჩაქვრა ასპინას,
მთვარე იღებდა სამძიმარს...

ზვირთებმა დაქოჩრილებმა
გახელებულთა ქარბუქით,
მნათობიც მოიჩრდილეს და
ქვეშ დაიტანეს ჯაბუკი.

და ოდეს შავი ყორანი
უკუნთან ნაამბორალი
გახსნილ იარებს მიაძღა,
მუნ შაოსანმა დიაცმა
ხმა შეუერთა მგალობელთ
სულთა
ცოდვილთა
მწყალობელთ.

P. S.
გრძნობ,
ძარღვებში როს
ფოთარობს
სისხლი,
იგი ხმა ისმის...
ისმის და
ისმის.

ეპიზოდი XIX საუკუნიდან

ბარათაანთ სუფრა ისე
უხვი გახლდათ პურმარილით,
მთვარე ეჯდათ პურმარილზე
სასურველი სტუმარივით.

— ალათასა ბალათასა,
ხელი ჩაჰყავ კალთასა, —
მოეფინა ჭრიამული
ჩაღონებულ მარაბდასა:

ჩიხტიკოპში ლალი ელავს,
დივლი დალალეო.
ეს სათიბი ზღვისებრ ღელავს,
დივლი დალალეო.

განი, განი! ერთი, ორი,
დივლი დალალეო.
მაგრა უსვამს მაიორი,
დივლი დალალეო.

ღაწვზე ცრემლი ისე გორავს
ვით ატლასზე მარგალიტი,
ბარათაანთ სახურავზე
იგალობდა თაფლაჩიტი:

— მიდი, ვეჟო, შენ დაუკა!
მწვადი იწვის წალამზეო,
ზალი თავს დაბლა ურტყამს
მაიორის სალამზეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენამ უყივლა კნეინას,
გვეწყინებაო რაიმე,
გაისმა შეცხადებანი:
— უი, ქა!
— ღმერთო!

— ვაიმე!
ღილის ჭიკჭიკი საუფლოს
სტუმართას მისწვდა სასმენელს,
მთვარე სუფრიდან გაუგდო
და...
ირიყრაყა არსენამ.

●

ფიცვერცხლი ვჭამე საჩეჩნეთს,
მე,
ვინმე
მესხმა
საროდან.
სად სიყვარული გავჭედე
სუყველგან ბედი მწყალობდა.
ჩემს თავზე ბოლობეჭედა
გალობდა,
ისე გალობდა...
გული ლაქვარდში აიჭრა,
ფრთა
გაშალა და
გაორბდა.

მას აქეთ მოვდევ, ვეძახი,
დავყვები სოფელ-სოფელა,
ხან მხვდება მსმელი ხელადით,
ხანაცა მალეთრობელა.

ღმერთო, მიწყალე, მომხედე,
გულს დადევნებულ მდევარსა,
მიცხოვნე ყველა მოკეთე,
შეუნდე დამაწყევარსა.

წუთ ერთით

მოშვილდულ სიტყვას დავაკრავ
ქურანს,
განსპეტაკდების ოდეს უკუნი,
ცრემლში ჩამხრჩვალი თვიმფრაზის
სისხლი ეღვრება ამ საუკუნეს.

მოელავს გული
ვითარცა უწინ,
ნაკემსი ქრისტეს კვართის ქსოვილით,
დადნება მჯერა, დადნება ვუწყი
ბეღურას ფრთაზე ჩამოთოვილი.

როს არაგველი ება სამასი
უღელში,
შევტრფი
ქამსა
მოელვარს,
და წარუვალსა შვებასა მასსა,
წუთ ერთით ჭირით პოვებ რომელსაც.

ზაზა ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოდმარტო მარტოობის მარეშე

მოთხრობა

მზემ ზენიტს მიაღწია. ვდოვინი ზედ მზის გულზე გაშხლართულიყო, პირი ღიად დარჩენოდა და მოყვითალო, მეჩხერი კბილები საზიზღარ იერს აძლევდა. ტუჩების კუთხეებიდან სისხლი მოჟონავდა, მერე შრებოდა და, სახის კანზე შემხმარი, მუქი ყავისფერი ხდებოდა. თავთან, მოშორებით, ვარსკვლავიანი ბოლოთი ქვიშაში ჩაფლული სამხედრო პილოტურა და ვეება ცელოლოდისჩარჩოიანი, ლინზებჩამსხვრეული სათვალე ეგდო.

მზემ ზენიტს მიაღწია. ჩემი ჩრდილი, უცნაურად რომ იკლაკნებოდა ყვითელ, ცეცხლმოკიდებულ ქვიშაზე, საგრძნობლად დაპატარავდა. გვამს საზიზღარი ზუზუნით ეხვეოდნენ მწვანეზურგიანი ბუზები. დავიხარე და თვალებში ჩავხედე: უჩვეულოდ თეთრი, დაუმორჩილებელი გუგები, რომლებიც მუდამ არასამეტრიულად გაურბოდა, ახლა გაჰყინვოდა და პირდაპირ მზეს შესჩერებოდა. სახე ვდოვინს საოცრად მეტყველი, მაგრამ ყინულივით ცივი ჰქონდა.

ბუზები თანდათან მატულობდნენ. ახლა ნიკაპი და ტუჩების კუთხეები მთლიანად მათ მომწვანო, მოლაპლაპე ზურგებს დაეფარა. ამგვარი სურათი ერთხელ უკვე სადღაც მენახა... ჰო, ადრეულ ბავშვობაში...

ქუჩაში, ჩემი სახლის მახლობლად, მანქანამ მეზობლის ბრმა ძაღლი გაიტანა. მახსოვს, მაშინაც აუტანლად ცხელოდა. მე სადარბაზოს შესასვლელთან ვიდექი და ნაყინს შევექცეოდი... ქვაფენილზე დაცემულმა, წამში უკვე გვამად ქცეულმა სხეულმა, რაღაც ყრუ, მუხის ცარიელ კასრზე მუშტის დარტყმის ხმა გამოსცა: — „დუმ!“ და მორჩა... ძაღლს, უკანასკნელი გაბრძოლების შემდეგ, უკანა ფეხები ჰაერში დარჩა გაშეშებული. არ ვიცი, რამ მიბიძგა, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მივუახლოვდი ლეშს; ძაღლს უსინათლო თვალები გასთეთრებოდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ იგი ახლა ყველაფერს ხედავდა, ან, პირიქით, სიკვდილის წინ დაინახა, თუმცა ერთხელ და უკანასკნელად. მე მანამდე სიკვდილი უსისხლოდ ვერაფრით წარმომედგინა და ძალზე გავოცდი სისხლის კვალი რომ არსად ჩანდა. მერე ასეთივე ბუზები გაჩდნენ — მოლაპლაპე მწვანე ზურგებით და საზიზღარი ზუზუნით. ერთიანად ოფლში ვცურავდი, სუნთქვა მიჭირდა. თითქოს ვიღაცის ხელი ყელში მიჭერდა და მახრჩობდა... ლეშს ვიღაც უცნობმა მომაშორა. ყურებში კვლავ ის საზიზღარი ზუზუნი მედგა და თვალწინაც ჯიუტად დაფრინავდნენ იგივე აუტანელი ბუზები, რომლებიც მუდამ იქ არიან, სადაც სიკვდილი და გვამია... მოგვიანებით რაღაც მწკლარტე, ყოვლისმომცველი სუნიც ამეკვიატა და მისი შეგრძნება უსაშველოდ დიდხანს გამომყვა. როცა კი ჩავუვლიდი იმ ადგილს ყველაფერი თითქოს თავიდან იწყებოდა. სიკვდილი ჩემგან განუყრელი გახდა და მას ვერაფრით ვუქცევ გვერდი; ყოველ დღით, სკოლაში მიმავალი, ვხედავდი იგივე სურათს და ყოველივე დეტალურად, მთელი სიზუსტით მეორდებოდა: ვიღაც ჩემი ნების გარეშე, ბრმა სიჯიუტით ატრიალებდა საშინელ ფირს ჩემს ცნო-

ბიერებაში... სიკვდილი მუდამ თან მდევდა.

ლოყაზე საზიზღარი ჩხვლეტა ვიგრძენი. მთელი ძალით ვიტაცე ხელი; სისხლში აზელილი მწვანე უფორმო მასა ფარფატით დაეცა ქვიშაზე. ზიზღისაგან გამაყრჟოლა. გაჭირვებით წამოვდექი და კარვისკენ წავლასლასდი. მოშორებით მესანგრის ნიჩაბი ეგდო. დავწვდი, ავიღე და ხელში შევატრიალე. ნიჩბის ალესილ, გასისხლიანებულ პირს ბლუჯად შეეხობოდა ვდოვინის ქერა თმა. თვალწინ მისი დაღრეჯილი სახე წარმომიდგა. ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში რაღაც. ნიჩაბი მთელი ძალით მოვისროლე და მუხლებით ქვიშაზე დავვეხე. მაღებინებდა. ჩავყურებდი საკუთარ ნარწყევს და ვგრძნობდი, შიგნით, მუცლის სიღრმეში, რაღაც უსაშველოდ მეყინებოდა... მერე ნელა, ძალიან ნელა ჩამობნელდა; მე შევხედე მზეს, მაგრამ მისი სხივები თვალებს აღარ მჭრიდა. მათ ჩემთვის თვალისმომჭრელი სინათლე და მხურვალება დაკარგვოდა. ცოტა ხნის მერე, თითქოს კვლავ განათდა რაღაც, ოღონდ ამჯერად ცნობიერებაში, და მე სასიამოვნო ბურუსში ჩავიძირე...

ვდოვინი თითქოს განგებამ მომისაჯა. მან დივიზიონში მოსვლისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება; რომელღაც სასწავლო ქვედანაყოფიდან გამოგზავნეს ვადაზე ადრე. ჩანდა, იქაურ სიმკაცრეს და ფიზიკურ დატვირთვას ვერ შეეგუა. მე ყოველთვის მიკვირდა, როგორ გაიწვიეს ვდოვინი არმიაში; ჯერ იყო და, ძალიან სუსტი მხედველობა ჰქონდა, უცნაურად სქელლინზიან სათვალეს ატარებდა და უიმისოდ თითქმის ვერაფერს ხედავდა. ამასთანავე, მგონი ქათმის სიბეცე სჭირდა და დაბინდებისთანავე კარგავდა თვალის ჩინს. თეთრი წარბებისა და წამწამების მიღმა დუნედ, არასიმეტრიულად დახტოდა ორი მწვანე ბურთი. გარდა ამისა, თავის სიმაღლესთან შედარებით, საკმაოდ ჩასუქებულიც იყო, — სამხედრო მედიცინის ენით, მეორე თუ მესამე ხარისხის სიმსუქნე უნდა ჰქონოდა. სიარულზე, სქელ ტანს უცნაურად მიარწევდა. შესაძლოა, ორივე ფეხით კოჭლობდა კიდეც.

არ ვიცი, რატომ მიიპყრო მან ჩემი ყურადღება, ერთი კია, თავიდანვე ზიზღს იწვევდა ჩემში. მის დამამცირებელ ყველა ფრაზაზე სასაცილოდ აფახულებდა ბეც თვალებს და დამპალი კბილებით უშნოდ მეღრიჯებოდა. შესაძლოა, სურდა გაეღიმა. ასეთი უშნო და არაპროპორციული პირი არასოდეს მენახა. ზოგჯერ იმდენად აუტანელი იყო, მზად ვიყავი, ერთი საყვედურიც რომ დასცდენოდა, ყელში ვცემოდი და მომეგუდა, ან მთელი ძალით მელეწა ველოსიპედიან სიფათში და ლინზები ორანგუტანგისებურ შუბლზე მომემსხვრია.

თვალწინ მიდგას ის საღამო, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს. ის „პრიკაზის“ დღეს მოიყვანეს და უმცროს სერჟანტ მახნიცკის „ნათლობის“ მსხვერპლი გახდა. მახნიცკი მანამ თვითონ იყო ახალბედა და „მოხუცების“ მთელი ბოღმა, ვნება და ახირებანი მისი თაობის რამდენიმე წარმომადგენელზე გადადიოდა. მახნიცკიმ ისე იმსახურა ერთი წელიწადი, რომ მუშტიც არ მოხვედრია. ყველას სურვილს და ბრძანებას უსიტყვოდ, გარეგნული სიმშვიდით ასრულებდა; უაღრესად თვინიერი იყო, ფარულად სჭვრეტდა მომავალს და მოთმინებით ელოდა თავის „აღზევების“ დღეს. არმიაში დრო ძალიან ნელა, მაგრამ შესამჩნევად გადის და ყველაფერი უცვლელი რჩება, გარდა ადამიანებისა. ისინი მუდამ იცვლებიან. მოძრაობენ დროში წინ და ბოლოს მათთვისაც დგება ხანა, როცა საკუთარ თავს პოულობენ. მაშინ ყველაზე მორჩილნი ხშირად მეამბოხენი ხდებიან, უუფლებონნი ძალაუფლებას იგდებენ ხელში, ხოლო ისინი, მთელი სამსახურის მანძილზე იმედით რომ არსებობდნენ, საბოლოოდ ცინიკოსის ნიღაბს იფარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს, ჯერ კიდევ სასადილოში ვახშმობის დროს, პატრაშენკომ მიპოვა და გვერდით მომიჯდა. სახე გაუბრწყინდა, სიხარულს ძლივს იოკებდა. რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში მოთმინება ჰქონდა დაკარგული. აჩქარებით გადაყლაპა ქერის ბურღულის ფაფა. მერე ალუმინის ფინჯანს მისწვდა, ჩაის ნაყენი მოსვა და შინაგანი ქმაყოფილებით სავსემ გადმომილაპარაკა:

— ვოტ ტაკ... ვეჩერომ მი ი უსტროემ ბოლშოი პრაზნიკ, — თან როგორც სჩვეოდა ხლმე ხმამაღლა გადაიხარხარა. პეტრაშენკო ჩემი თაობისა იყო. სანამ ახალბედები ვიყავით, ვმეგობრობდით კიდეც, მაგრამ შემდგომ, თანდათან ფარული მოწინააღმდეგეებიც კი გავხდით. ორივენი ჩვენ-ჩვენი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის ვიბძოდით და ხშირად წინააღმდეგობებსაც ვაწყდებოდით, რადგან არც ერთი ვთმობდით და არც მეორე. პეტრაშენკო ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო ფიზიკურად და ჩემზე მოხეხებული, მაგრამ მე უფრო დაუნდობელი ვიყავი და არანაკლებ მიფრთხოდნენ. მთელი ნაცნობობის განმავლობაში, ჩვენს შორის სერიოზული შუღლის მსგავსი არაფერი ყოფილა. სხვებთან მიმართებაში, ჩვენ მაინც მეგობრებად ვრჩებოდით და ერთმანეთის მხარდაჭერის იმედიც გვქონდა...

მე მყისვე მივუხვდი სანიას, რაზეც მიმანიშნა, — საქმე ახალბედების ნათლობას ეხებოდა. არმიაში მას სხვა გვარად „გადაყვანასაც“ ეძახიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალბედებმა, რომლებმაც იმსახურეს ერთი წელიწადი, უკვე დროა დაისვენონ „მოხუცებისაგან“ და ცოტათი მაინც ამაღლდნენ. ამის შემდეგ ვალდებულნი არიან ისე „აღზარდონ“ ახალწვეულთა მომავალი თაობა, რომ „მოხუცები“ მათთან ურთიერთობით გაწვალდნენ.

— გამოქვეყნდა ბრძანება? — ვკითხე სანიას.

მან კვლავ ჩაი მოსვა. მერე თვალი ჩამიკრა, ბულისპირიდან ოთხად დაკეცილი „კრასნაია ზვეზდას“ ნომერი ამოიღო, გაშალა და თავდაცვის მინისტრის შაგი, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ბრძანებულება მიჩვენა სამხედრო კადრების მობილიზაციისა და დემობილიზაციის შესახებ.

— ხედავ, სანია, დრო როგორ გარბის? — ისე, სხვათა შორის ვუთხარი. პეტრაშენკომ მოჩვენებითი სევდიანი გამომეტყველება მიიღო და თავი სინანულით გააქნია:

— გახსოვს, რომ მოგვიყვანეს?!. ჩვენი თაობა მაინც სულ სხვა იყო; თავიდანვე „მოხუცებივით“ დავიწყეთ; როგორ ვდიდგულობდით? — ვერაფერით მოგვარჯულეს. — სანიამ სიამაყენარევი სიბრაზით ჩაიღუღღუნა: — „სვოლოჩი“.

მართალიც იყო. მე და სანია პეტრაშენკოს მაშინდელმა „მოხუცებმა“ ვერაფერი მოგვიხერხეს. თითქმის ყოველდღე ვჩხუბობდით. ჩვენი გვემა კარგა ხანი გრძელდებოდა. ისინი ბევრი იყვნენ, ჩვენ კი მხოლოდ ორნი; დანარჩენები იმთავითვე აიყვანეს. მეც და სანიაც ფარულად ვუთანაგრძნობდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის დახმარებას მაინც ვუკადრისობდით. დივიზიონის პოლიტხელი ლამის ჭკუიდან შევშალეთ; მანაც ყოველდღიური დაკითხვებით სული ამოგვართვა. ჩვენ კი ჩვენს იარაღზე, ჩალურჯებულ თვალის უპეებზე, გახეთქილ ტუჩებსა და გადახვეულ ხელის მტევნებზე ჯიუტად ვდუმდით, კრინტსაც არ ვძრაგდით. ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ „მოხუცთა“ რომელიმე, განსაკუთრებულად აგრესიულ წარმომადგენელს მყისვე „დისბატში“ ამოეყო თავი. არმიაში მაბეზრობა ყველაზე მეტად სათაკილოა. მახსოვს, როგორ დასაჯეს „მოხუცებმა“ ერთი მაბეზღარა, როდესაც მისი „საქმიანობის“ შესახებ შეიტყვეს; მძინარეს თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ცემით ლამის სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. ჰოსპიტალიდან იგი ჩვენთან აღარ მოუყვანიათ, სხვა ნაწილში გადაგზავნეს. ამ საქმეს მინც გადააყოლეს

ერთი „მოხუცთაგანი“: ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. საერთოდ, დასჯა არმიაში არაფერსაც არ ცვლის. კანონი, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოა, მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რათა წესრიგი დაამყაროს. პოლიტიკელი მოთმინებიდან გამოჰყავდა ჩვენს დუმილს, მაგრამ სამაგიეროდ „მოხუცები“ განეწყვნენ ჩვენდამი სიმპათიით. ბოლოს თითქოს ყველაფერი შეტრიალდა კიდეც. ოფიცერი მხოლოდ ჩვენს ლანძღვასღა სჯერდებოდა და არცთუ ისე იშვიათად ჩვენვე გვსჯიდა; გვიცხადებდა რიგგარეშე განწესებს, გვლანძღავდა კომკავშირის კრებებზე და ჰაუპტვახტით გვემუქრებოდა. ჩვენ კი ჩვენსას მაინც მივაღწიეთ: „მოხუცებს“ ჩვენი გვემა მოსწყინდათ და თანდათან ჩამოგვშორდნენ კიდეც.

...სასადილოდან პლაკზე გაგვიყვანეს, დაგვაწყვეს და პოლკის სამწყობრო ნაწილის უფროსმა საზეიმოდ წაგვიკითხა ბრძანება. „დემბილებმა“ სიხარულის ყიჟინა ასტეხეს, ჩვენ კი, უკვე „მოხუცებს“, სევდანარევი სიამაყე შემოგვაწვა; წინ კიდევ დიდი დრო იყო.

საღამოს შემოწმების შემდეგ, ყველანი ყაზარმებში ავედით. მორიგე მეთაურმა გასაყარის ბრძანება გასცა თვითონ კი პოლკის შტაბში წავიდა. პეტრაშენკო ზეზეწანი წამოდგა საწოლიდან და მახნიცკის ტაბურეტები მოატანინა, მერე ჯიბიდან გაზეთის ის ნომერი ამოიღო, სასადილოში რომ მაჩვენა. მახნიცკიმ ტაბურეტებისაგან კიბისმაგვარი ტრიბუნა გააკეთა და ერთერთ ახალბედას ტრიბუნისკენ უბიძგა, თან ხელში გაზეთი მიაჩეჩა და ბრძანებულების წაკითხვა უბრძანა. ახალბედა მუხლების ძაგძაგით ავიდა ტაბურეტზე და ტექსტი ჩაბაულბულა.

ამის მერე სანიამ ტრიბუნა დაშალა და ტაბურეტები ერთმანეთის მიყოლებით დაწყო. „სალაბონები“ ერთმწკრივად ჩამოლაგდნენ. მახნიცკიმ ადგილი ბოლოში დაიკავა.

არმიას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მკაცრი წესიდაა და კანონით განმტკიცებული წესები აქვს, რაც საყოველთაოა ყველა ჯარისკაცისთვის, ჯერ კიდევ თავისი დაუწერელი კანონებიც, რომლებიც არანაკლებ საყოველთაოა და არანაკლებ მკაცრი, ხშირ შემთხვევაში უკიდურესად სასტიკიც. არიან ჯარისკაცები, ზედმიწევნით ზუსტად და შინაგანი პატივისცემით რომ იცავენ ყოველგვარ წესს და ასრულებენ ყველა რიტუალს. მახნიცკიც ტიპიური ჯარისკაცი იყო, მხოლოდ არა ისეთი, წიგნებში და კინოებში რომ გამოჰყავთ. სრულიადაც არა. ის, რასაც წერენ და იღებენ, მხოლოდ წიგნია ან ფილმი და თანაც მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ასეთ ჯარისკაცებიც მხოლოდ იქ არიან. — წიგნებში ან ფილმში. აქ კი სულ სხვაა. მახნიცკი ერთი იმათგანი იყო, მოუთმენლად რომ ემზადებიან „ნათლობისათვის“. „პრიკაზის“ დღეს მან საიდანღაც ახალთახალი ტანისამოსი იშოვა, უმცროსი სერჟანტის პრიალა სამხრეები დააკერა, ჩექმები გარმონივით ჩაკეცა და ქამრის ბალთა ნახევარწრისებურად მორკალა; ერთი სიტყვით, სადღესასწაულოდ გამოეწყო. „ნათლობა“ არმიაში ერთ-ერთი მხიშვნელოვანი რიტუალია. მე ყოველთვის დიდ ინტერესს ვიჩენდი ამგვარი რიტუალების მიმართ, მაგრამ მათში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია: ეს ჩემს ხასიათს ეწინააღმდეგებოდა.

პეტრაშენკომ ყველაზე გამეტებით მახნიცკის დასცხო, მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მე ვაკვირდებოდი მახნიცკის გარეგნულად მშვიდ სახეს და ვგრძნობდი, უსაშველოდ სტკიოდა. თითქოს ტკივილი სიამოვნებდა კიდეც, რადგან მის თვრო უკანალზე არეული ვარსკვლავები, ქამრის ბალთა რომ სტოვებდა დარტყმის შედეგად, იყო ის აუცილებელი ატრიბუტი, მისთვის ცოტაოდენი ღირსება და ძალაუფლება რომ უნდა მოეტანა.

სანია რომ მორჩა, მახნიცკი მძიმედ და ზანტად წამოიმართა. შარვალი აიწია, შეიკრა, წელზე შემოიჭირა და დასაძინებლად გაემართა. თვალი შევაფე

მის მოქანავე ჩია მხრებს. სახეც გაბადროდა; თითქოს სულ სხვა ადამიანად ქცეულიყო. არმიაში მრავალჯერ გავმხდარვარ მოწმე ადამიანთა სოციური გარდასახვისა. მან საწოლებს შორის ჩამოიარა, თამამად იქცეოდა და თავიც ღირსეულად ეპირა; გრძნობდა, რა მოკრძალებით და ფაფული შიშით გადმოყურებდნენ ზემო იარუსებზე გარინდული „სალაბონები“.

ჩემს საწოლს რომ გაუსწორდა სურვილი აღმეძრა, წამომდგარიყავი და გამეკანონურებინა. უსაშველოდ მინდოდა, ეგრძნო, რომ ჩემს თვალში ის მაინც არარაობად დარჩა და იმადვე დარჩებოდა, გინდ ასი წელიც ემსახურა; რომ ვერასოდეს ვერაფრით გავიტოლებდი, რადგან ოდესღაც მე მემორჩილებოდა. გაპანღურება მოულოდნელად გადავიფიქრე. დარწმუნებული ვიყავი, მთელი სამსახურის მანძილზე მისთვის ეს იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი და ლამაზი დღე, რომელსაც მთელი სიცოცხლე მოიგონებდა, ვინაიდან ერთი წლის განმავლობაში პირველად იგრძნო თავი სრულფასოვან ადამიანად. თითქოს ამ ბედნიერების წართმევა დამენანა და ამან მერე უაღრესად გამაკვირვა.

მახნიკიმ მეორედ ჩამოიარა. საზიზღრად იგინებოდა. გულზე მომხვდა: ასე ღვარძლიანად, ალბათ, ვერასოდეს შევიგინებოდი. ხშირად მშურდა კიდეც მისი, რადგან დივიზიონში მისდაგვარი ბინძური ლექსიკა არავის ჰქონდა; შესანიშნავად ფლობდა რუსული ენის სალანძღავი ლექსიკონის ამოუწურავ, უსასრულოდ მრავალფეროვან მარაგს. შეეძლო, ნებისმიერი წინადადება არმიული ყარგონით გადმოეცა. ესეც ეროვავარ ღირსებად ითვლებოდა ჩვენთან.

მახნიკის ლანძღვა-გინების საბაბს მერეღა მივხედი; იგი თავისთვის ახალ საძინებელ ადგილს ეძებდა. აქამდე მეორე იარუსზე იწვა, რაც „მოხუცთათვის“ შეუფერებლად ითვლებოდა. იგი ჩემს გვერდით შედგა. ეს პეტროვის საწოლი იყო. პეტროვი ჯერ კიდევ დილით, წაიყვანეს ჰოსპიტალში. მის ადგილზე ახლა სხვა იწვა. მახნიკიმ მორიდებით გადახადა ზეწარი და გაკვირვებულმა დადმომხედა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს მძორი ვისია? — მკითხა.

— ეშმაკმა იცის-მეთქი, — აგდებულად მივუგე. უცნობი ჩემკენ სიფათით იწვა და წყნარად ფშვინავდა. პირველად ვხედავდი.

მახნიკიმ უკან დაიხია, საწოლის ძელს ჩაეჭიდა და მთელი ძალით შეანჯღრია. უცნობმა რაღაც ამოიზზუვლა დაფეთებული წამოხტა. ერთხანს ვერ გამოერკვა, უაზრო გამომეტყველებით გვათვალიერებდა.

— ვინა ხარ, საიდან მოფრინდი? — ჰკითხა მახნიკიმ.

— რიგითი ვდოვინი. — მან ხელი ბალიშის ქვეშ შეჰყო და სათვალეების ბუდე გამოაძვრინა.

— აქ საიდან მოხვდი? — თითქმის ერთდროულად ვკითხეთ მეც და მახნიკიმაც.

— სასწავლო ქვედანაყოფიდან გადმომიყვანეს, — ვდოვინი მშვიდად და აუღელვებლად პასუხობდა.

როცა მან სასწავლო ქვედანაყოფი ახსენა, მახნიკიმ თვალი ჩამიკრა და მრავლისმეტყველი მზერა მომაპყრო. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

მახნიკი ისევ ვდოვინს მიუბრუნდა:

— კი მაგრამ, შენ არ გითხრეს, რომ ეს ჩემი საწოლია?.. თუ გითხრეს და არაფრად ჩააგდე?!. ეეჰ, ვდოვინ, ძმობილო, შენ ნამდვილად ცუდად იწყებ, ძალიან ცუდად. ასე არაფერი გამოვა... აბა, ახლავე აბარგდი და შენი ბინძური სიფათიანად აქედან მოუსვი!.. შენ რა, ვერ გაიგე? სამამდე დავითვლი!.. ცოცხლად!.. აბა!.. ერთი! — მახნიკიმ დათვლა დაიწყო.

— კი მაგრამ, მე პრაპორშჩიკმა...

— რომელმა პრაპორშჩიკმა?!. შენც და შენი პრაპორშჩიკიც! — მახნიკიმ ორივე სადღაც, იქ, მეტად არა სახარბიელო ადგილზე გაგზავნა.

ვდოვინმა სათვალე გაიკეთა. გაკვირვებული აცეცებდა ბეცი თვალებს.

— ორი! — მახნიცკის ხმაში მუქარა შეერია.

— პრაპორშჩიკმა კი მითხრა, რომ...

— შენ რა, ვერ გიგიე, ძაღლიშვილო, ჯანდაბამდის გზა გქონიათ ორივეს... ეხლავე აბარგდი! — მახნიცკი ბრაზისაგან თრთოდა.

— პრაპორშჩიკმა მე აქ მომიყვანა და მიბრძანა, ამ საწოლზე დამეძინა — ვდოვინი ვერ გრძნობდა საფრთხეს, მისივე სიბრიყვით რომ უნდა დასტეხოდა თავს.

მოთმინების ფიალა კარგა ხანი იყო, ამევსო. ვდოვინის სიჯიუტემ თავიისი დამმართა. ყველაფერი ყელში მეჯდა უკვე. დავიხარე, საწოლის ქვემოდან ჩექმა გამოვათრიე და ვესროლე. ხელით აიცილა.

— დასცხე, მახნო, მაგ ძაღლის გაგდებულს!.. დიდი თავხედი ვინმე ჩანს, — მახნიცკის ჩემი წაქეზება აღარ სჭირდებოდა, ვდოვინის მკერდსა უკვე გამოსცა ყრუ, მოგუდული ბრაგვანი მახნიცკის ძმიმე ჩექმის მძლავრი ჩარტყმის შედეგად.

გავიგონე, როგორ აჭრიალდა საწოლები და როგორ აფუსფუსდნენ ზემო იარუსებზე ახალბედები საშიშროების მოლოდინში.

— თქვენ, ეი, მანდ, ზემოთ, მშვიდად, თორემ ცეკვა არ აგცდებათ! — მივუგდე მრისხანედ. ფუსფუსი უეცრად ჩაცხრა.

სანიაც შემოვიდა, პეტრაშენკო; შემომხედა და თვალებით კკითხა: „რა ხდებაო?“ — არაფერი ისეთი-მეთქი, — მეც თვალებით მივუგე, მაგრამ სანია სრულებითაც არ აპირებდა დამშვიდებას.

— შუქი აანთე, მახნო! — იკივლა სანიამ. მახნიცკი ვდოვინს მოშორდა. ვდოვინი ისევ იჯდა. მარცხენაში სათვალე ჩაებღუჯა; მარჯვენა — კი სახეზე აეფარებინა. თითებს შორის სისხლი მოეონავდა, ხელის მტევნებს ვიწრო ზოლად მოუყვებოდა და თეთრ საცვალზე მუქ. ფართო ლაქას სტოვებდა.

ოთახში ნათურა აინთო და უეცარმა შუქმა თვალი მომჭრა.

— არ გინდა, სანია! — მკაცრად გავძახე.

— არა, მინდა!.. ახლა ისეთი დაიწყება, რომ!.. „პოდიომ!“ — იღრიალა სანიამ.

ზემო იარუსებზე ერთხმად იხუვლეს, აჭრიალდა მორყეული, ორსართულიანი რკინის საწოლები, აბრაგუნდა შიშველი ფეხისაულები და ტაბურეტები, მაგრამ არც ერთი სიტყვა, არც ერთი უკმაყოფილების გამომხატველი ბგერა არ დასცდენია არავის. ახალბედები საწოლებს შორის დაეწყვნენ.

— ნუ, სვოლოჩი, კტო ნე დაიოტ სპატ დედუ სოვეტსკოი არმიი? — პეტრაშენკოს ხმა დაუწვრილდა, სისინებდა და გესლს ანთხევდა.

ახალბედები დუმდნენ. რაღაც არასასიამოვნოს მოლოდინში გარინდულიყვნენ და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

— „ოტბოი!“ — იღრიალა კვლავ სანიამ. სამ წამში ყველა ისევ საწოლებზე იწვა.

სანიამ რამდენჯერმე გაიმეორა „პოდიომ-ოტბოის“ პროცედურა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვდოვინი არ გაძრეულა. მახნიცკიც იდგა და სანამ პეტრაშენკო არ დაცხრებოდა, სიტყვის თქმა ვერ გაებედა.

— გადი, სიფათი ჩამოიბანე, — შემრიგებლურად ვუთხარი ვდოვინს.

— არაფერია, ჩვეულებრივი ამბავია, — მშვიდად მიპასუხა.

— გადი, მეძავო, გინდა ვინმემ შემოგვისწროს? — თვალები დავუბრიალე.

დამმორჩილდა. სათვალე გაიკეთა, პირსახოცი ჩამოხსნა და ტუალეტისაკენ წალასლასდა.

მახნიცკიმ დრო იხელთა და ვდოვინის ლოგინი აკეცა, ტაბურეტზე დადო, მერე თავისი მოიტანა და გაშალა. კმაყოფილი იერი დაჰკრავდა. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო. ეს იყო მისთვის მთელი ერთი წლის განმავლობაში პირ-

ველი დღე, როდესაც თავი ადამიანად იგრძნო და თავისი ღირსებაც შეიცნო. დარწმუნებული ვიყავი, ამის შემდეგ მახნიცაკი კბილებით დაიცავდა მოპოვებულ ღირსებას და ვინც უნდა ყოფილიყო არაფრისდიდებით თავს არ დაიჩაგვრინებდა. ახლა გამოკვეთილად შეიგრძნო, რომ მის ხელში გარკვეულმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი და მას უნდა გაფრთხილებოდა. არმიამ თავისი შინაგანი კანონით, მორჩილი შემსრულებლიდან იგი წვრილფეხა მბრძანებლად აქცია. ამის შემდეგ, მახნიცაკი გაცლებით მკაცრად მოეპყრობოდა სხვებს, ვიდრე მას ეპყრობოდნენ, რადგან შურს იძიებდა იმ ტანჯვისა და დამცირებისთვის, მოელი ამ ხნის განმავლობაში რომ მიაყენეს, მაგრამ მისი შურისძიების გრძნობა მიმართული იქნებოდა არა მათკენ, ვინც ეს ტანჯვა მიაყენა, არამედ მათ მიმართ, ვინც სრულებით უდანაშაულო იყო. ცხადია, მხეცად ქცეული არსება ამაზეც თანახმაა; მისთვის მთავარია არა საგანი, რომლისკენაც მიმართულია მისი შურისმაძიებლური რისხვა, არამედ ის თვითკმაყოფილების განცდა, შურისძიების შემდეგ რომ ეუფლება.

როცა ვდოვინი დაბრუნდა, სანიამ თავისთან იხმო. ვდოვინი მორჩილად აესვეტა წინ.

— შენ რა, ბეცო, ჩვენთან არ მოგწონს?!. კეთილი. ვეცდებით, როგორმე შენი სიმპათია დავიმსახუროთ. შენ აქ ბედნიერ ადამიანად იქცევი, ძაღლშვილო!.. შენისთანები, თბილი ხატებიდან მოფრენილი ბელურები იცი, რამდენი გვინახავს, რქებით შუბლზე? მოფრინდებით, პირში ჯერ კიდევ შინიდან გამოყოლილი ღვეზელის გემო გაქვთ, ამასთანავე, ისეთი ურცხვები ხართ, ადამიანს ჭკუიდან შეშლით... ჰმ!.. ჩაძაღლდებით, მეძავებო!.. მე საკუთარი თვალით ვნახავ თქვენს ჩაძაღლებას, — სანია გველივით სისინებდა. ვდოვინი უძრავად იდგა და კრინტსაც არ სძრავდა.

— შენისთანები ყოველთვის ცუდად ამთავრებენ, ვდოვინ. თუ ჭკუით იქნები, არავინ გერჩის; თუ არა და, ცოცხალ ლეშად იქცევი, დაიხსომე... კი წადი, დაიძინე.

ვდოვინი შეტრიალდა, თავის აკეცილ საწოლს ორივე ხელი დაავლო და თავისუფალი ადგილისაკენ გაემართა.

მეორე დილით დივიზიონის პოლიტხელმა, მაიორმა ვასილენკომ, პოლიტიკური მეცადინეობისათვის შეგვკრიბა დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა. სია ბატარეების მიხედვით ამოიკითხა. ბრიყვი ვდოვინი სიით ჯერ კიდევ არ ირიცხებოდა ჩვენთან და ამიტომაც შეეძლო საერთოდ არ გამოჩენილიყო. მაგრამ მან მაშინ შემოაღო „ლენინის ოთახის“ კარი და შემოსვლის ნებართვა ითხოვა, როცა მაიორი ის-ის იყო მორჩა სიის ამოკითხვას.

— ეს ნაყოფი რომელ ხეს მოწყდა?! — იკითხა პოლიტხელმა.

დარბაზს ჩუმმა ქირქილმა გადაურბინა.

პეტრაშენკო მარდად წამოხტა და ვდოვინის შესახებ მოახსენა.

— შემოდი, — ნება დართო მაიორმა. — ეგ პორნოგრაფიული სიფათი აქ მოგიხატეს, თუ იქიდან ჩამოგყვა? — ვასილენკომ ვდოვინს არაბუნებრივად შესივებულ ცხვირზე და ტუჩებზე მიანიშნა.

დარბაზი გაისუსა.

— იქიდან მოვიტანე, ამხანაგო მაიორო!

პოლიტხელმა ვდოვინიდან მზერა მთელ დარბაზზე გადაიტანა, გამომცდელად მიმოატარა და პეტრაშენკოზე შეაჩერა.

— იქიდან მოიტანა, — დაემოწმა სანია ვდოვინს და მაიორს თვალი გაუსწორა.

— აი, აქ, ჩემს წინ დაჯექი, — მიუთითა მაიორმა ვდოვინს ცარიელ სკამზე: — მეცადინეობის შემდეგ დარჩები და მოვილაპარაკებთ.

მაიორი ვასილენკო კათედრასთან დადგა და თავისი განუყრელი, უკვე საკმაოდ გაცვეთილი პორტფელი გადა-

შალა. მისი ლექციები მუდამ მომქანცველი და ერთფეროვანი იყო: ან ავღანეთის სისხლიან ამბებს უყვებოდა კომენტარს, ან იმედისმომცემი ენთუზიაზმით გვესაუბრებოდა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებზე. კათედრა წელამდე ძლივს სწვდებოდა და რადგან ზეპირად თბრობა არ შეეძლო, ორად მოკეცილი ჩაემბობოდა ხოლმე გადაშლილ პორტფელში. ლექციების შინაარსი არ იცვლებოდა. მაიორი ვასილენკო ბედნიერი თაობის წარმომადგენლებად ნათლავდა იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ავღანეთში იბრძოდნენ და თან აღნიშნავდა, რომ მათ საშუალება ჰქონდათ დაემტკიცებინათ სამშობლოსათვის ერთგულება, ხოლო მთელი მსოფლიოსათვის კეთილშობილური ინტერნაციონალიზმის ყოვლისშემძლეობა. დიაბ, კეთილშობილური! — ასე ამბობდა ვასილენკო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, რადგან ბოლოდროინდელი შეხედულებების და ფაქტების ანალიზი უფლებას გვაძლევდა გვემსჯელა, რომ ავღანეთის ომი თავისი ბუნებით აგრესიული იყო, რომ ათასობით თუთიის კუბო, ტაშკენტის გავლით, ქვეყნის ყველა კუთხისკენ რომ მიემართებოდა, შედეგი იყო ვიღაცათა ბრიყვული ნების დანაშაულებრივი ხასიათის გამოვლინებისა. ამიტომაც მე მუდამ მიკვირდა გაგება, მანამდეც კი, სანამ ჯარისკაცი გავხდებოდი, ვის, ან რის წინაშე ჰქონდა ჩემს თაობას ვალი, გინდაც ინტერნაციონალური; ან სულაც, სჭირდებოდა კი ვინმეს ჩვენგან გაღებული უმანკო სისხლი? ან, ის ათი მილიონი მანეთი, თითოეული ავღანური დღე თავისი სისხლიანი სტომაქით რომ ნთქავდა, აქ, ქვეყნის შიგნით არაფრად იყო საჭირო?

ვასილენკო ვალდებული იყო ეთქვა ის, რასაც ამბობდა. ხოლო, რასაც ის ამბობდა, უკვე მთელს არსებაში ჰქონდა გამჯდარი და სხვაგვარად არც შეეძლო! მე დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი ხოლმე მას და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ არმიაში სრულიად შემთხვევით იყო მოხვედრილი. მაგან შეიძლებოდა გამომდნარიყო ... ლაფერი, გარდა ოფიცრისა. ის უალრესად ლმობიერი იყო და ჯარისკაცური ტავვალიც უცხო არ იყო მისთვის. ყოველგვარი სისულელისა სჯეროდა, ჯარისკაცები რომ წამოროშვდნენ თავის მართლებისას. ერთგვარი სულიერი შიში ჰქონდა ყოველგვარ დანაშაულის მიმართ და მზად იყო ნებისმიერი ალიბი დაეჯერებინა, ოღონდაც დანაშაულის ფესვებს არ ჩასწვდომოდა. შეეძლო, ამავე დროს, დილიდან საღამომდე ელაყბა და ჩვენთვის თავი წესდების მუხლების გაუთავებელი ჩიჩინით გამოეკვდა. ეს იყო მუდამ მომართული გრამოფონი, რომელიც უსაშველო სიჯიუტით იმეორებდა და გვიქადაგებდა იმას, რაც ერთხელ და სამუდამოდ ჩაუნერგეს. მისი თავის ტვინი დაბაზული იყო იდეოლოგიური ჩარჩოებით და, ალბათ, მათთვის არც არასდროს უღალატნია, საკუთარ შეგნებაშიც კი. მე ვასილენკო არ მძულდა სიბრიყვის გამო, უფრო თავისი მორჩილი ბუნების გამო მეზიზღებოდა. მისი ლაქიური ბუნება უძლური იყო, გამოეხატა რაიმე უკმაყოფილება, ან ამბოხის სულ მცირე დოზაც კი ჩინით მასზე მაღლა მდგომი ოფიცრების წინაშე. მოკლებული იყო უნარს, რითამე გაემართლებინა თავი მათ წინაშე, ვის გულისწყრომასაც ხშირად იმსახურებდა თავისი ლმობიერი ბუნების გამო. არაერთხელ აღმძვრია სურვილი, ჩამეხედა ამ ჩვენი იდეოლოგიური ქურუმის თავის ქალაში. იმედი მქონდა, არ მოვტყუვდებოდი, თუ ტვინის დიდი ნახევარსფეროების ნაცვლად, მისი თავის ქალა ჩვეულებრივი, მშრალი ქვაშით იქნებოდა გამოტენილი.

მაიორი ვასილენკო დიდხანს გველაპარაკებოდა გარდაქმნაზე. ქალური დუდღუნა ხმით ასაბუთებდა ათასჯერ დასაბუთებულ და უკვე დოგმად ქცეულ დებულებებს, იშველიებდა გაზეთის ამონაჭრებს, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების ციტატებს. დარბაზში კი, რამდენიმე ახალბედას გარდა, თითქმის

ყველა თვლემდა. ჩემის აზრით, პოლიტმეცადინეობა არმიაში იმისათვის არსებობს, რომ უძილობით გატანჯულმა ჯარისკაცმა ძილის დანაკლისი აინაზღაუროს. მაიორი ვერ აჩჩნევდა, როგორ ამოუშვა ხმამაღალი ფშვინვა ვიღაცამ ოთახის კუთხეში, ბოლო მერხზე. პოლიტხელი მხოლოდ შიგადაშიგ, ზერელედ მოაგლედა ხოლმე თვალს დარბაზს და ჯიუტად აგრძელებდა კითხვას.

ლექცია არავის აინტერესებდა. არავის აღელვებდა, რა ხდებოდა ყაზარმის გარეთ. მათი ფსიქოლოგია — ნიეარაში მომწყდეული ლოკოკინას ფსიქოლოგია, — უძლური იყო დაენახა ის, რაც ამ ნიეარის გარეთ ხდებოდა, ან ეფიქრა მასზე, რადგან მისი ყველაზე თამამი ფიქრიც კი, განუწყვეტლივ ბრუნავდა მკბენარებით სავსე საწოლსა და ამორებულ სასადილოს შორის.

ვასილენკო ცდილობდა დავერწმუნებინეთ ჩვენ, რომ გარდაქმნა არმიაშიც შიმდინარეობს, მაგრამ რა მიმართულებით, ამაზე უძლური იყო, პასუხი გაეცა. ეტყობოდა, თვითონაც არ ესმოდა. არც უკითხავს ვინმეს. ბუნებრივიც იყო, რადგან ჭკვიანი ჯარისკაცი არასოდეს მისცემს უფლებას თავს, იოცნებოს ან იმედი იქონიოს რაიმე უკეთესზე. იგი დარწმუნებულია, რომ სულ ერთია, მისთვის მაინც არაფერი შეიცვლება. მან კარგად უწყის, რომ საბჭოთა არმიას გარდაქმნა არამც და არამც არ სჭირდება, რადგან სრულებით შეესატყვისება იმ სახელმწიფოს, რომლის ინტერესებსაც იცავს და რომელსაც, თუ საჭირო იქნა, დაიცავს კიდეც, რადაც უნდა ღირდეს. ხოლო, რაც შეეხება თვითონ მას, როგორც ვეება სისტემის ერთ უბრალო მიკრონაწილაკს, ის ხომ კარგა ხანია გარდაქმნილია. მისთვის არავის არაფერი უკითხავს და თუ მაინცდამაინც, ოდესმე შეიქმნება მისი ხელმეორედ გარდაქმნის აუცილებლობაც, მყისვე გარდაიქმნება ის ხომ ცხვარია, უბრალო ცხვარი და ვალდებულია წავიდეს იქით, საითაც მთელი ფარა მიემართება. საერთოდ კი ძნელი ასატანია, უთხრა საკუთარ თავს, — რომ ამდენი ადამიანი, რომელთაგან ყოველ-მათგანი ცალ-ცალკე კაცობრიობის ყველა შესაძლებლობას აერთიანებს საკუთარ თავში, — ერთი ნების მორჩილია.

რამდენადაც ფარაა საჭირო და არა ცხვარი და რამდენადაც ილუზორული აზრი ყოველთვის ადვილი საპოვნელია, ვასილენკოსთანა წვრილფეხა ქურუმები ეძებენ აზრს და ცდილობენ იგი რაიმე ღირსებითაც აავსონ. ვიღაც, ისეთების მეშვეობით, როგორიც ვასილენკოა, მუდამ კბილებით დაიცავს თავის მრწამსს, თავის ფსიქოლოგიას, თავისი იდეალის სიმართლეს, თუკი იგი სადმე მაინც არსებობს და თუკი არსებობს, შეიძლება თუ არა ვუწოდოთ მას ასე. სწორედ ამისათვის ზრდიან ასითასობით ვასილენკოს, ასიათასობით ადამიანში კლავენ თავისუფალი აზროვნების უნარს, აშინებენ, ყიდულობენ, აცდუნებენ, ატყუებენ; ზრდიან მათში თავიანთ მემკვიდრეებს და მერე ეს უკანასკნელნი, დემაგოგის მყვირალა ენით ჩაგვჩიჩინებენ თავიანთ მრწამსს...

— ადექით! — გასცა ბრძანება პოლიტხელმა.

— სწორდი!

— სმენა!

— პოლიტიკური მეცადინეობა დამთავრებულია!

— თავისუფლად!

მეცადინეობის შემდეგ, დივიზიონის მეთაურმა ჩვენი ბატარეა საომარი ტექნიკის სადგომ პარკში გაანაწილა. პატრაშენკომ მწყობრი სიმღერით დასძრა. პარკში შესვლისთანავე ბატარეა თავისი კუთვნილი ბოქსისაკენ გაემართა. შემდეგ ვეება რკინის კართან შედგა და, ბრძანებისამებრ, ერთმწყრივად მოეწყო. სანიამ კარი გასაღებით გააღო და ბატარეა ოთხ ნაწილად დაჰყო. მერე თითოეული ჯგუფი სხვადასხვა სამუშაო ადგილზე გაანაწილა.

მე სპეციალობით თვითმავალი საარტილერიო მოწყობილობის მძღოლ-მე-

ქანიკოსი ვიყავი. სანია კი — ჩემი მანქანის მეთაური. მან ვდოვინს უხმო და ჩვენი მანქანის მტვრისგან გასუფთავება უბრძანა.

ჩვენ ძარაზე ავბობღდით. ლიუკი ავხადეთ და მანქანის სიღრმეში ჩავძვერით. სანიამ საიდანღაც გიტარა გამოაძრო და ჩამოჰკრა:

„სკორო დემბილ,
მატ უვიეუ, დომ როდნოი...“

სანია შესანიშნავად მღეროდა. პოლიგონებზე მისთვ გვედგა ხოლმე სული. მე გარინდული ვუსმენდი. როცა ის მღეროდა, მუდამ გული მეკუმშებოდა. ზოგჯერ მშურდა კიდეც სანიასი, რადგან შეეძლო, დარდი გიტარისათვის გაეტანებინა.

სანიამ მერე ავღანეთზე იმღერა. თვალწინ ცხელი ქვიშის დიუნებით, შიმშილით, მკბენარით, წყურვილისაგან სასამიხდილი, გამურული სიფთები წარმომიდგა, დენთისა და საპოხის სუნი ნესტოებში მეცა. მერე შავარშიანი კუბოების გრძელმა რიგმა გაიელვა; სულ ბოლოს სახეშეფუთნილი „დუშმანების“ სხეულის კონტურებიც გამოიკვეთა, წამით რომ გაიელვებდნენ ხოლმე ტელეეკრანებზე ავღანური რეპორტაჟებისას. ავღანეთი მუდამ მზარავდა და მერე გულში ფარული, გაუთვითცნობიერებელ, სიხარულნარევ თვითკმაყოფილებას ვგრძნობდი, რომ იქ წასვლა ამცდა. ხან კიდევ გული მეკუმშებოდა, რომ ყველაფერს უჩემოდ უნდა ჩაევლო. ბოლომდე კი მაინც ვერ გავრკვეულიყავი, რა მსურდა. უაზრობაა ვთქვა, რომ გული შურის საძიებლად მომიწევდა, ან კიდევ ვინმეს ჩემი დახმარება სჭირდებოდა. სრულიადაც არა. მე მაინტერესებდა ნამდვილი ომი. მე მაინტერესებდა სიკვდილი. მე მსურდა ათასობით სიკვდილი მენახა, — სხვისი სიკვდილი და, თუ მაინცდამაინც, მეც მომეკლა. ოღონდ მე კი აუცილებლად გადავრჩენილიყავი. მინდოდა მეგრძნო, როგორ ჩადგებოდა ჩემში შიში სიკვდილის წინაშე, იმ ერთადერთი ფაქტის წინაშე, რომელიც იმდენად საშინელია, რომ ყველაფერს მოიცავს საკუთარ თავში. მე მინდოდა მეგრძნო, ყველაზე დიდი, ყველაზე საშინელი, ყველაზე ბუნებრივი ქმაყოფილება: ტკბობა საკუთარი დადარჩენით; ტკბობა იმით, რომ მე გადავრჩი, რომ ის, ვიღაც, ან ისინი, სხვები, ცოცხლებში აღარ არიან, მე კი ვარ!.. არ ვიცი, საიდან და როდიდან გამიჩნდა ეს სწრაფვა.

სანიამ უეცრად შეწყვიტა დაკვრა. გაირინდა. ლუკიდან ცის პატარა ნაჭერი მოჩანდა და მზერა მას გაუშტერა. ერთხანს ასე იყო. მერე თავისთვის ჩაიდუდღუნა:

— დავიღალე.

— დაუკარი, სანია, ყველაფერი გაიკლის.

— დავიღალე, ხსნა კი არსადაა.

— დაუკარი და გაიკლის.

სანიამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— დაუკარი, სანია... შენ გგონია, მე არ განვიცდი? დაუკარი, იქნებ რაიმე შეიცვალოს; შენ რომ უკრავ, მე არარსებული რამ მინდება... მინდა ყველაფერს ავუჯანყდე. ველარავის ვიტან... მინდა გავიქცე. აი, აქ მიზის ყველაფერი... სანია გესმის, ძმობილო, მინდა გავიქცე... მინდა ტრამალზე გავრბოდე, უკაცრიელ სიმწვანეში, საითაც მინდა, როგორც მინდა: მინდა დავჯდე, მინდა ყირაზე დავდგე, მინდა ვიფორთხო... ველიაში მომწყვდეულ მხეცს დავემსგავსე, — სანია ინტერესით შემომყურებდა. შიგადაშიგ გიტარის სიმებს ჩამოჰკრავდა ხოლმე. — გგონია, რაიმე მენატრება?! გგონია, რაიმესაკენ მიმიწევს გული? არა, აღარავინ მინდა. მე მხოლოდ საკუთარი თავი მინდა. ზოგჯერ მეჩვენება ის, იქ, სადღაც ჩამომშორდა, სადღაც დავკარგე... აქ კი მარტოოდენ აყოლებული და არაფრის მაქნისი მძორი მიზის ყელში... მინდა მისკენ გავიქცე, ძინდა თავიდან აღმოვაჩინო.

სანია დუმდა. ახლა უკვე აღარ მიყურებდა. გიტარის სიმებს ჭიმავდა.

ათასჯერ აწყობილს, ათასმეერთედ აწყობდა. თვალს მარიდებდა.

— ცოტა უნდა მოვითმინოთ. ყველა ხომ ითმენს. ჩვენ ხომ სხვებივით არ ვიტანჯებით? გაცილებით უკეთ ვცხოვრობთ. მაგრამ ყველა ხომ ითმენს, არა?

— ყველა რაღაცის გამო ითმენს. ყველა იმის გამო ითმენს, რომ ვიღაცას ასე სურს... მე კი რის გამო უნდა მოვითმინონ? ვთქვათ და, გავიდა ეს ცოტაც, მე რომ უნდა გადავიტანო, მერე?! რა იქნება მერე? გგონია, დასასრულით რაიმე შეიცვლება?.. გგონია, დასასრულისაკენ მივისწრაფვი?! სხვები იიტანენ, რადგან მათი მიზანი ბოლოა. ამ ბოლოსათვის ისინი ყველაფერს იიტანენ... ისინი არც არაფერს კარგავენ და ვერც ვერაფერს შეიძენენ. მე კი არსაით მაქვს გზა.

— უმრავლესობა ხომ უძლებს! მე მხოლოდ ეს ვიცი. მეტს ვერაფერს გიჩრეკ. მეც შენს დღეში ვარ, ხანდახან თავი პირუტყვი მგონია, რადგან აღარაფერი მინდა ჭამისა და ძილის გარდა. ყველაფრის მოთხოვნილება დავკარგე თითქმის. იცი, ზოგჯერ როგორ მინდა მტკიოდეს რამე... რაიმეზე გული შემტკიოდეს. ჰმ, ტკივილის შეგრძნებას გადავეჩვე. მითხარი, ადამიანი ვარ ყოველივე ამის შემდეგ?!

— ჩვენ დროებით გარდავიცვალეთ, სანია, დროებით და რაღაცატომ... და კარგა ხანია, ამას რომ მივხვდით. ყველანი ვერ ხვდებიან; შესაძლოა, ვერც ვერასოდეს მიხვდნენ... ზოგჯერ მე მათი მშურს და მერე მინდა, ამ შურის გამო საკუთარი თავი მეზიზღებოდეს. მთელი უბედურებაც ამაშია, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებ...

სანიამ თვალი გამიყარა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა და გამომიწოდა. მოვუკიდე და ბოლი ლიუკის გავლით, ცისკენ გავუშვი.

— ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ მგონია, უკვე აღარავის ვჭირდები... რა მომცა მე არმიამ? ყველაფერი ჩემს ირგვლივ ბოლმის ჭაობად აქცია. საკუთარი თავი შემაზიზღა... მხეცად მაქცია, აი, მისი კვალი; აი, მისი ჯაჭვები: — სანიამ სახელოები აიკაპიწა და დაჩხვლეტილი ვენები მომიშვირა, — ეს კიდევ არაფერი, შენ, აბა, შეეცადე და სულში ჩამხედე; იქ უარესია, ნაფლეთებადაა ქცეული. არარაობა ვარ... შენ გგონია, მე ეს მსურდა?! — სანიას ხმა აუთრთოლდა.

შემებრალა. გული დამეწვა, მინდოდა გადავხვეოდი, გული ამისკენ მიმიწევდა, მაგრამ თავი შევიკავე. ეს ხანა რომ არა, შეიძლება სანია ბედნიერი ყოფილიყო; შესაძლოა, რომ იმ ძუკნასაც არ ეღალატნა მისთვის საკუთარ თავზე მეტად რომ უყვარდა. მართლაც რომ ძუკნას! ახლა, ის რომ ჩვენს სიახლოვეს ყოფილიყო, მე დავლევდი სანიასთან ეთთად მის სისხლს... მაინც, რანი არიან ისინი, ქალები; წელიწადნახევარი სწერდა წერილებს და მერე უეცრად შეუწყვიტა... ერთ შშვენიერ დღეს კი დივიზიონის ფოსტალიონმა სანიას დეპეშა გადასცა. ბლანკზე მხოლოდ ორი წინადადება იყო დაბეჭდილი: „ჩემზე ნუღა იფიქრებ. მაპატიე, რომ ვერ დაგელოდე“.

სანიამ თვალი გაადავლო და გაფითრებული გაემართა ტუალეტისაკენ. გაყვევი. იგი ჩემგან ზურგშექცევით ფანჯრის რაფას მიყრდნობოდა. მხარზე ხელი მოვუთათუნე, მაგრამ არაფერი მითქვამს. ისეთაც ყველაფერი ნათელი იყო...

— ყველამ გამყიდა. ამის მე სიკვდილივით მეშინოდა, — ისევ შეტრიალდა.

სანია იმ საღამოთი სადღაც დაიკარგა. მერე მიამბეს, რომ წასვლამდე სუფთა ფურცელი მოითხოვა თურმე. მერე ეს ფურცელი იატაკზე დააგდო და ზედ ჩექმიანი ფეხით შედგა. ფურცელი, მტვრიანი ჩექმის ანაბეჭდით, კონვერტში ჩადო, მისამართი წაადწერა და ფოსტალიონს გადასცა... მხოლოდ გვიანი ღამით შეშოტანეს სანია არყისაგან გონმიხდილი და საწოლზე დაასვენეს. იმ საღამოთი შემოწმება არ შემდგარა და სანია თითქოს განგებამ იხსნა.

ნამწვი თითებით მოვაკრე და ლიუკიდან ზემოთ ავბობღდი. სანიაც მომყვა. სადილის დრო იყო...

ბოლო ხანებში ვდოვინის ექსპლოატაციამ ზენიტს მიაღწია. მახნიცკისთან პირველი კონფლიქტის შემდეგ, იგი მორჩილ, თვინიერ „სლონად“ იქცა. არათუ „მოხუცებს,“ ახალბედებსაც შვებად მოევლინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში უსიტყვოდ ასრულებდა ყველა მოთხოვნას; ეტყობოდა, კარგად შეიგნო, რომ არავინ გამოესარჩლებოდა და მხოლოდ საკუთარი თავის ამარა უნდა დარჩენილიყო გვიან ღამემდე ცოდვილობდა ტუალეტში; ჰგვიდა და წმენდდა იატაკს, ხეხავდა უნიტაზებს, რეცხავდა კედლებს. ერთი სიტყვით, ვდოვინი შეუცვლელ სამუშაო ძალად იქცა.

ოფიცრებშიც არავის სიმპათიას არ იმსახურებდა და მუდამ მათი რისხვის საგანი იყო. ასეა, ვინც ერთხელვე წაიფორხილებს, ის მუდამ წაქცეულია და მუდამ რაღაცის ფასად უჯდება მერე საკუთარ უფლებებში აღდგენა. სუსტი ყველგან სიძულვილის ღირსია. ოფიცრებმაც, თითქოსდა გუმანით იგრძნეს ვდოვინის სისუსტე და მას ყოველთვის ყველაზე ბინძურ სამუშაოზე აგზავნიდნენ.

ბოლოს ისე წაუვიდა საქმე, რომ ახალბედებმაც აითვალწუნეს და, თუ საშუალება მიეცემოდათ, ცდილობდნენ, კბილი გაეკრთ. ასე იქცევინ წვრილფეხა მტაცებლები, როდესაც მგლისაგან ყელგამოღრეულ და მიტოვებულ ლეშს მოიგდებენ ხელთ. ისინი ჩემში მუდამ ზიზღს იწვევდნენ, რადგან საკუთარი თვის დაცვის უნარი არ გააჩნიათ; არც ის შეუძლიათ, თვითონ მოიპოვონ საკბილო და მუდამ სხვათა ხარჯზე აპირებენ თავის გატანას. ვდოვინი კი ყველას უფრთხოდა. ყველას ნება მისთვის კანონად იქცა. სიკვდილივით გაურბოდა მუშტს და მზად იყო ყველაფერზე წასულიყო, ოღონდ მისთვის თავი აერიდებინა. ბოლო ხანებში ისე აიგდეს, ვერაფრით წარმომედგინა ხელში ბინძური ჩვრისა და ტალახდაზის გარეშე.

ერთხელ ვდოვინი ტუალეტში, უნიტაზზე ჩამოძინებული წავიყარა. ხელში ჯაგრისი ეჭირა, პილოტურა გვერდზე მოქცეოდა და კეფით ცივ ფიქალზე მიყრდნობილიყო. გულისპირში ხელი წავავლე და გამოვთრიე:

— შენ რა, ძაღლშვილო, ჯერ კიდევ არ ჩაძაღლებულხარ?! — ხელით მეჭირა და მთელი ძალით ვანჯღრევდი, — აქ რას აკეთებ?! აღარ მოგბეზრდა... მაინცდამაინც გინდა ლეშად იქცე?!.

დუმდა, როგორც ყოველთვის, თავი ჩაექინდრა და ერთიანად ყარდა. სახე გამეუროდა და ლოყაზე ჩამოყინული ოფლის ღვარს თეთრი კვალი დაემჩნია. ცხვირი გვერდზე ვიბრუნე. ო, როგორ მძულდა.

— კრეტინო, უნდა გესმოდეს, რომ მონად არ დაბადებულხარ... საუბედუროდ, როგორც ყველა, შენც დამონიანად დაიბადე და თუ ეს არ იწამე, გაქცევენ კიდეც მონად... ეშმაკისაკენ გაგზავნე ყველა, ყველას ჯანდაბამდის გზა ჰქონია!.. აქ ვინ ჩაგაყენა?

არაფერი მიპასუხა. თავი გვერდზე მიატრიალა.

— ვინ ჩაგაყენა, არ იტყვი? თუ გინდა, შენი დამპალი კბილები ხელისგულზე დაგათვლევინონ?!

ჯიუტად სდუმდა. მუცლის არეში გველის ცივმა სხეულმა გამისრიალა. შემამცივნა. ჩემს სიფათს ვერ ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ალბათ, სიბრაზისაგან ცოფებს ვყრიდი.

— შენ რა, ძაღლის გაგდებულო, იმისი გეშინია?.. სხვისი გეშინია, ჩემი კი არა?! — შიგ სიფათში ვლეწე. არც განძრეულა. ერთი კუნთიც არ შეტოკებია სახეზე.

— სათაროვმა! — როგორც იქნა, ენა ამოიდგა.

— მაშ, სათაროვმა, არა! იმ ჩუქჩამ

ზაზა ენუქიძე

მარტოდმარტო მარტოობის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიძულა, რომ პარაშაში ჩაიხრჩო, არა?! თვითონ სად აგდია?

— სძინავს.

— გაალვიძე და აქ მოათრიე! — ვდოვინმა გაკვირვებით შემომხედა.

ხელით ვუბიძგე: წადი-მეთქი, — მორჩილად შეტრიალდა.

სათაროვიც ახალბედა იყო. ჯიუტ-ჯიუტი. ხშირად არ გვემორჩილებოდა. სანიამ ერთხელ ისე სცემა, კარგა ხანს სალდათურ ფიფასაც ძლივს ჭამდა. ძნელი მოსარჯულებელი იყო. სანია ხშირად ამბობდა, ჩვენს „სალაგობას“ მაგონებსო, — და ამიტომაც უფრო ვერ ვიტანდით. ვერ ვიტანდით, რადგან ჩვენი წარსული ჭირის დღესავით გვეზიზღებოდა.

სათაროვი ვდოვინს წინ შემოუძღვა. ოქროს კბილებით პირფერულად გამიღიმა: კუდი რომ ჰქონოდა, ალბათ, ძალღივით გამიქიცინებდა.

— შენ აიძულე? — ვდოვინზე მივუთითე.

— ჰო, — თვალი მომარიდა.

— რა უფლებით? — მრისხანედ ვკითხე.

ამჯერად არაფერი მიპასუხა.

— შენ რა, არ გეკადრება, მეძავო?!

წიხლი ჩავაზილე. ჩაიკეცა და სუსტი კვნესა აღმოხდა. სული ძლივს მოითქვა. თვალები ბოროტად აენთო; ალბათ, უდიდესი სურვილი ჰქონდა, ხურდა დაებრუნებინა. ვერ გამიბედა, იცოდა, უარესსაც არ მოვერიდებოდი.

— ვადიმ! — წადი დაიძინე... და მეორედ რომ ასეთ ყოფაში გნახო, იცოდე, სისხლს განთხევინებ!

ვდოვინი ყოყმანობდა; ეტყობოდა, სათაროვისადმი პირუტყვული შიში ვერაფრით დაეძლია. ორ ცეცხლზე იწვოდა. ვერ მიმხვდარიყო, რა მინდოდა მისგან. ჩემგან ამგვარი სიკეთე, მოკალი და, ვერასგზით დაეჯერებინა. კვლავ გასრიალდა ნაწლავებში გველის ცივი სხეული და გულ-გვამი გამიყინა.

— წაეთრიე, შენი დედა... — ხელით ვუბიძგე.

წაფლატუნდა, თან მალიმალ უკან იყურებოდა.

რომ მოვტრიალდი, სათაროვი აღარსად ჩანდა. მერე ტუალეტიდან ჩექმების ბრაგუნი მომესმა, საქმეს შესდგომოდა. გამოვედი. რაღაცით მაინც უკმაყოფილო ვიყავი. მეჩვენებოდა, თითქოს უაზრო სიკეთე ჩავიდინე; განა სათაროვი ღირსი არ იყო იმისა, რაც მიიღო? პირიქით, მეტის ღირსიც იყო; თუ არა ახლა, მაშ როდის უნდა ენახა მას ის დამცირება, ფურთხი, ტკივილი, არმიაში რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული? არმია ადამიანებს ეგოისტებად აქცევს. ისინი ვერ ეგუებიან და ვერ იტანენ მათ, ვისაც ბედი სწყალობს, ვინც ლაფიდან სუფთად ამოდის. უკმაყოფილების შეგრძნება დიდხანს გამომყვა და ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს ბუნების წინაალმდეგ წავედი.

ჩემი გამოსარჩლების შემდეგ ვდოვინი ტკიპასავით აეკრა ჩემს სახელს და ვეღარაფრით ამოვიგდე მხედველობის არიდან. მუდამ ცდილობდა იქ ყოფილიყო, სადაც მე ვიყავი, იგი თითქოს განგებისაგან მერგო. ჩემი აზრით, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს აქვს რაღაც ბუნებრივი მოთხოვნილება, იპოვოს, ვინმე, ან რაიმე, ვის ან რის წინაშეც ქედს მოიხრის. სუსტებს ძლიერ უმძიმთ საკუთარი სისუსტის ატანა. ამიტომ ცდილობენ შეიყუჟონ ვისიმე ძლიერი ფრთების ქვეშ და ჰპოვონ დროებითი თავშესაფარი. ადამიანებს მუდამ იზიდავთ ის, რაც მათ არასოდეს გააჩნიათ და რასაც ვერასოდეს შეიძენენ...

ვდოვინი ჩემს გვერდით ყოველთვის თამამად იქცეოდა. თითქოს ერთგვარი გამბედაობაც მოიკრიბა. ჩემი გავლენის ქვეშ შევიფარე და ამის სანაცვლოდ, ჩემი ლაქიის როლი იკისრა, ისე რომ ძალა არაფერზე დამიტანებია. ყოველ დილით, ჩემი ჩექმები გაპრიალებული ეწყო საწოლის ფეხებთან. შარვალი და გიმნასტერა — გაწმენდილი და დაუთოებული. სასადილოში ვახშამზე სიარულსაც შევეშვი. საღამოს შემოწმების შემდეგ, ვდოვინი აქ, ყაზარმაშივე მი-

დუღებდა ჩაის. ყოველთვის თვალებში შემომციცინებდა.

თავდაპირველად ეს ყველაფერი მართობდა კიდეც. როდესაც ჩემი მეოხებით ვდოვინს ხვედრი შეუმსუბუქდა, შესაძლოა, იწამა, რომ ამ მარადიულ წყვდიადში, გაუვალ ჯუნგლში, მისთვისაც გაჩნდა რაღაც ნათელი წერტილი, რომლისკენაც შეეძლო პეპელასავით გაფრენილიყო და მის გარშემო ეფარფატა. პეპელა ბრიყვი მწერია, იგი სინათლისაკენ მიისწრაფვის, თვითონაც არ იცის, რატომ და, ხშირ შემთხვევაში მისი მსხვერპლი ხდება. ჩემს გარშემო ვდოვინის უაზრო, გაუთავებელმა ფარფატმა თანდათან მოთმინებიდან გამომიყვანა. თუმცა, ჯერ კიდევ მსიამოვნებდა, რომ ჩემს ძალას აღიარებდნენ. საერთოდ, ძალაუფლების ფარული, იდუმალი შეგრძნება უფრო მოსხიბვლელია, ვიდრე აშკარა ძალაუფლება... და დეც ამ სიამოვნებას ჯიუტად ვიზოგავდი.

მერე ესეც მომბეზრდა და ნელა ვიწყე მისგან გაქცევა, მაგრამ ვხედავდი, არაფერი გამომდიოდა. ვდოვინი ყველგან იყო, მუდამ ჩემ წინ ტრიალებდა; ბრიყვულად აფახულებდა ბეკე თვალებს და ცარცივით თეთრ, მუწუკებით წითლად დაწინწყლულ სიფთის უაზრო ღიმილი შუაზე უყოფდა. გამუდმებით ვგრძნობდი მის საზიზღარ სუნს, წარმოსახვით რომ ამეკვიატა. მერე უცნაურმა აზრმაც გამიელვა გონებაში: — ჰომოსექსუალისტი ხომ არ არის-მეთქი. ბოლოს და ბოლოს მან ჩემკენ განუწყვეტელი სწრაფვით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მეტის უფლებას ნაღდად ვერ მივცემდი. ერთ დღეს დავიმარტახელე და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მივახალე:

— რას ამეკიდე, მეძავო?!. შენ რა, გგონია ანგელოზად მოგვევლინე?.. ბრიყვო, თუ მოვინდომე, ისევ არარაობად გაქცევ! იმად გაქცევ, რაც იყავი, პირუტყვად!

ვდოვინი გაოგნებული შემომაცქერდა, ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. მისმა ლენჩურმა გამოხედვამ თითქოს მეც დამადანა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩამომშორდი, ძაღლის გაგდებულო, თვალში არ მომხვდე, თორემ!.. იატაკზე ბრაზიანად დავიფურთხე და ნაფურთხი ჩექმით ავზილე. მერე დემონსტრაციულად ვაქცევ ზურგი და გავშორდი. კარგად ვიცოდი, ამით მე მასში ყველაფერი ყირაზე დავაყენე და გულში ჩასახული იმედის ფრანიც ნაკუწებად ვუქცევ, მაგრამ ამით არც სინდისის ქენჯნა მიგრძვნია და არც არავითარი სინანული. თითქოს რაღაც ტვირთისაგანაც გავთავისუფლდი.

ორიოდე დღის შემდეგ რამდენიმე ჯარისკაცი მივლინებით გაგვაგზავნეს ეშელონების საგუშაგოდ. რომ დავბრუნდით, საზიზღარი ამბავი დაგვხვდა. წინა ღამით დივიზიონში მახნიცკი მორიგეობდა. მახნიცკი ჰყვებოდა, რომ გვიან ღამით, როცა შტაბში იჯდა, ღია კარიდან შეამჩნია ტუალეტისაკენ მიმავალი ვდოვინი. არ გამოლაპარაკებია, რადგან იგი ჩქარობდა თურმე. როცა საკმაოზე მეტი დრო გავიდა, რაღაც უსიამოვნების მოლოდინით შეაყრობილი მახნიცკი ტუალეტში შესულა... ვდოვინი კანალიზაციის მილზე ეკიდა წვრილი აბრეშუმის თოკით და ფეხები უშნოდ გაეჩაჩხა.

...ოთხი დღის შემდეგ ვდოვინი ჰოსპიტლიდან დაბრუნდა. ყაზარმაში მის დაბრუნებას ყველა მდუმარედ შეხვდა და აითბოთ წყვილმა თვალმა მისი ზურგი ზიზღჩამდგარი მზერით გააცილა.

„საიქიოდან" მობრუნებული ვდოვინი ყველამ მიივიწყა. მასთან კავშირს ყველა სასტიკად უფრთხოდა. ისიც ყველასგან განმარტოვდა და საცოდავ არსებად იქცა. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი, მდუმარედ აღიქვამდა ერთფეროვან ყაზარმულ ყოფას. თვალს არიდებდა სიძულვილჩამდგარ მზერას, საითაც არ გაიხედავდა, ყველა მხრიდან რომ უხვრეტდა ზებლს. დამარცხებული არავის ენანება, თვით ლარიბსა და ყველაზე მორჩილთაც კი. მე მჯერო-

და, რომ ვდოვინი ამ ფაქტმა უფრო გაანადგურა, ვიდრე დაამშვიდა. მას, ალბათ, გაცილებით ერჩივნა ძველებურად ეცხოვრა, ოღონდ მისთვის ზურგი არ შეეკვეთა. ვდოვინისათვის, რასაკვირველია, უმჯობესი იყო, ყველაფერი თავიდან გადაეტანა; თავიდან გადაეტანა ყველა, მისთვის უკვე განცდილი არაადამიანური დამცირების წუთი, ოღონდ საკუთარ გამოფიტულ არსთან მარტოდ არ დარჩენილიყო.

მათ, არმიულ ჟარგონზე, „მოტილკების“ ეძახიან. ისინი ყველგან არიან, სადაც ჯარისკაცურ ჩექმას გადაუვლია. გამუდმებით დაეხეტებიან სამხედრო ნაწილების მაღალი მესრის მიღმა, როგორც უპატრონო, მშიერი ძაღლები, საკვებს და პატრონის ალერსს მონატრებულნი. ისინი ცხოვრების მეგრიე მორევმა თავის სიღრმეში ჩააყურყუმელავა და მის ბრუნვას მინებებულნი არაფერს სულიერს, თვითმყოფადს ანგარიშს არ უწევენ. „მოტილკებშიც“ არავინ ეძებს ქალს, ან არსებას და თუკი მათკენ მიისწრაფვიან — ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მათში ხედავენ მარტოოდენ დაუფლების საგანს და სხვა არაფერს. ისინი ბუნებამ თავის ხატად შექმნა და, აქედან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენენ. მაშ, რატომ არსებობს ზეელი ბანაში? — განა მხოლოდ იმიტომ, რომ მგლის მსხვერპლი გახდეს? არა, მან, სანამ იგი მსხვერპლად იქცევა, უნდა ალაგზნოს მგელი, ინსტინქტი გაუღვიძოს და ბუნებრივი მოთხოვნილების — შიშილის დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვის მონად აქციოს. ეს მისი ერთგვარი მისიაცია. მხოლოდ ამის შემდეგ არის ის უფლებამოსილი — იყოს მსხვერპლი. ასეა, ბუნება უდიდესი ცინიკოსიცაა...

ოთახში კიდევ ერთი შემოვიდა. სანიამ ჩექმი თავი წარუდგინა. არ წამოვმდგარვარ. ის მშვიდად მომიახლოვდა, სახელი არ უთქვამს, ხელი გამომიწოდა და ურცხვად გამიღიმა. ტახტიდან უხალისოდ წამოვდექი და ხელი შევეკარი. სასიამოვნოა-მეთქი, ვუთხარი. ოთახში მაშინვე გონებაში გამკრა, რომ ნამეტან თავაზიანობას ვიჩენდი. რაც სრულიად ზედმეტი იყო.

სანიას შევხედე, თვალი ჩამიკრა, რითაც მანიშნა: — „ახლა შენ იცოდე და მაგ ძუკნამო“. მთელ სხეულში კარგა ხნით მივიწყებულმა ენერგეტიკამ დამიარა. ის ჩემს ახლოს ჩამოჯდა ტახტზე, ისე ახლოს, რომ თქმითთი მეხებოდა. თავი გამომწვევად ეჭირა. ნამდვილი ძუკნა იყო; ჩვეულებრივზე სადა და უხეში. ჩათქვირული ტანი ჰქონდა და უზომოდ დიდი მკერდი. ერთი სიტყვით, რუსული ყოფის ტიპიური დედაკაცი იყო.

— ნუ კაკ სლუჟბა, სალდატიკ, სუროვო?! — მხარი გამკრა. მერე ჩემკენ გადმოიხარა და სახეზე მისი ამონასუნთქი მომელამუნა; მძაფრი, იაფფასიანი სუნამოს გულისამრევი სული ასდიოდა.

„სალდატიკის“ ხსენებაზე გულში უსიამოვნოდ გამკრა. დავიბოღმე, და თვალები გადავატრიალე.

— მიბრაზდები? — გამეკეკლუცა და მუხლისთავებზე ნაზად შემახო ხელი. რბილი ხელისგულიდან გადმოსულმა სითბომ მთელ სხეულში დამიარა. — არ ღირს.

— რატომ გგონია, სრულიადაც არა, — ვცდილობდი კეთილგანწყობილება შემენარჩუნებინა.

ოთახში სანიას კაბა შემოლაჯუნდა. ლანგრით არყიანი ქილა, შავი პური და ნივრის რამდენიმე თავი შემოტანა, ყველაფერი ეს მაგიდაზე დააწყო და სანიას რაღაც გადაულაპარაკა. ორივემ მე გადმომხედა. სანიამ გადაიხარხარა. გულმა რეჩხი მიყო. პეტრაშენკო სიძულვილით შევათვალიერე. მაშინვე მოკეტა.

— მარუსია, სკამები მოიტანე! — პატრონის კილოთი მიმართა სანიამ. მარუსია განიერი თეძოების რხევით გავიდა. მეც წამოვდექი და პირისსაბანისკენ გავეშურე. სანიაც მომყვა.

— შენ რა, ყურები ჩამოყარე, ბრიყ-

ვო? რა გემართება, თვალში არ მოგიყიდა?

ჩვენ ეზოში გავედით. პირისაბანი იქვე ჯასთან იყო მოწყობილი. ბინდდებოდა.

— ბრიყვი ნუ ხარ. მაგისათვის ბიჭებმა ლამის ერთმანეთი დახოცონ. თამაში თხაა. ჭკუას მოუხმე და ყველაფერი რიგზე იქნება.

ოთახში რომ შევბრუნდით, ქალები ერთმანეთში საუბრობდნენ, მაგრამ უეცრად გაჩუმდნენ. წამით დუმილი ჩამოვარდა. ორივემ უხმოდ შემოგვხედა, მერე ისევ ერთმანეთისაკენ გაექცათ თვალი და სიცილი აუტყდათ. სანიაც აჰყვა. ხანდახან ესეც მაგიყებდა ხოლმე. რა ჯანდაბა აცინებდა. მე, მომკალი და, ასეთ ვითარებაში კრინტს ვერ დავძრავ. საშინელი ეჭვები აღმეძრა; მომეჩვენა, თითქოს ჩემზე იცინოდნენ. ვიგრძენი, როგორ გავწითლდი და საკუთარ თავზე მომივიდა გული. კვლავ ტახტზე ჩამოვჯექი. ჩანდა, საეროდ გადავჩვეოდი უბრალო ყოფით ურთიერთობებსაც კი. ყველაფერს უკვე ეჭვით შევყურებდი. თუ ყაზარაში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ზღვაში ზვიგენი, აქ ერთ, უსუსურ, მხდალ არსებად ვიქეცი.

მარუსიამ მინის ქილას პლასტმასის სახურავი აიძრო და ჭიქებს მისწვდა. სანიამ ჩამოართვა და თვითონ ჩამოასხა. მერე არყით სავსე ჭიქები საათითოდ ჩამოგვირიგა.

— მოდით, ყველამ ერთად ჩვენი შეხვედრისა დავლიოთ, — სანიამ თვალი ჩამიკრა, ჭიქა მომიჭახუნა; მერე მათთანაც იგივე გაიმეორა და გადაჰკრა.

შეესვით. ცეცხლივით იყო. შავი ჰურის ნაჭერს დავწვდი, ცხვირთან მივიტანე და მთელი ძალით შევისუნთქე. ყელში წვამ შესამჩნევად გამიარა. სამაგიეროდ მუცლის არეში ვიგრძენი სასიამოვნო სითბო, სისხლსა სხეულის ყველა უჯრედში რომ მიმოატანა. მე ვდუმდი. ლაპარაკის ხალისი დაკარგული მქონდა. უხერხულობის დასაძლევად, სანიას ასანთი ვთხოვე. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე და მაგიდაზე დაუდევრად დავაგდე. მერე დავწვდი და ყველას შევთავაზე. სანიამ ... მარუსიამ იუარეს. მან ორი თითით ... ხერხებულად ამოაძრო სიგარეტის ღერი და ტუჩის კუთხეში გაიჩარა. მოკიდებული ასანთის ღერი მივაწოდე. ჩემკენ გადმოიხარა, მთელი სხეულით ამეკრა, მოუკიდა, კეკლუცად გაიღიმა და მადლობა გადამიხადა. ცალუბად გავუღიმე და თვალებში შევხედე. ცისფერი უძირო თვალები ჰქონდა — ოდნავ დანისლული, თითქოს კეკლუცობა უხდებოდა კიდეც.

სანიამ მეორედ ჩამოასხა. სახე გაბრწყინებოდა. მარუსია უკვე ახლოს მიესჩჩებოდა და ვნებით შეჰყურებდა. მის თითოეულ ფრაზაზე უცნაურად ეცცლებოდა სახის გამომეტყველება: ხან ნაზად შესაციცინებდა, ხან უცინოდა, ხან კიდევ უკმაყოფილების ნიშნად, მსუქან, უფერულ ბაგეებს სასაცილოდ იბზუებდა.

— მოდი ჩვენ ერთმანეთისა დაველიოთ! — ცისფერთვალება ისევ გადმოიხარა.

— სიამოვნებით, — ჭიქას დავწვდი და ავწიე. მერე ერთმანეთს მივუჭახუნეთ. გადავკარით. არაყი კარბიდისა იყო და მის სუნზე ზიზღით მაკრეოლებდა. კუთვნები ნელ-ნელა მომიდუნდა, წამწამებიც დამიმძიმდა. სიგარეტი ხარბად მოვეკაჩე და უაზროდ გავუღიმე.

სანიამ კიდევ ჩამოასხა.

ოთახს თანდათან იპყრობდა ბინდი. სინათლის ანთება არავის მოსწლია აზრად. ქალს ქერა თმა ნელ-ნელა უშუქდებოდა, დანისლული თვალები კი კვლავინდებურად უბრწყინავდა. უკვე მომწონდა. ალკოჰოლი მეხმარებოდა გადაეელახა თავდაპირველი ზიზღისმაგვარი შეშოკლება, კახპასთან სიახლოვე რომ აღგიძრავს. არ მახსოვს, როგორ მოხვდა ჩემი ხელი მის მხრებზე, მაგრამ მისი სხეულის იმ ნაწილიდან, მე რომ ვეხებოდი, თითქოს ათასობით ნემსი მჩხვლეტდა მსუბუქად. მხრებიდან ჩემმა თითებმა აბულულებულ თვის ზვინივით ოდნავ უხეშ თმაში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინაცვლა. თავი მხარზე ჩამომადო და გაიტრუნა.

უსიტყვოდ შევსვით. არაყი უკვე აღარ მეზიზღებოდა, თითქოს უსუნო და უგემურ სითხედ იქცა. წყალივით მოვსვი. სანია უკვე შეზარხოშებული ჩანდა. მარუსია კი გალენჩებული იცქირებოდა სარკმლისაკენ, თვალები დაელმებოდა, სანია ბორგავდა, რაღაცით უკმაყოფილო იყო, მგონი, სასმელი სურდა ისევ. მაგრამ მინის ქილა უკვე ცარიელი იყო და განმარტოებით იდგა მაგიდაზე.

— ჩვენ რამდენიმე ხანი დაგტოვებთ, თუ არ გაგვიჯავრდებით. — სანია მარუსიას წაეპოტინა და მოქაჩა. მარუსია მორჩილად მინებდა. არყით ნახეკრად სავსე ჭიქას მისწვდა. თვალი კვლავ სარკმლისთვის გაეშტერებინა.

— დავიღალე... როდემდე შეიძლება ასე, ღმერთო ჩემო! — თავისთვის ჩაიბუტბუტა. მერე მოსცა და ჩვენ მოგვიბრუნდა: — ირინა, ჩვენ მალე დავბრუნდებით.

ახლოა გავისაცნაურე, ირინა ერქვა თურმე. მთელი ამ ხნის მანძილზე აზრადაც არ მომსვლია მისი სახელი გამეგო. ან კი ჰკონდა ამას რამე აზრი? — ალბათ, არავითარი.

პეტრაშენკომ მარუსია წინ გაატარა და კარი ღონივრად გააჯახუნა. როცა ისინი გავიდნენ, ირინა კიდევ უფრო მჭიდროდ მომეკარა.

ხელი მძლავრად მოვხვიე, მომყავ. ცეცხლივით ენთო. მსიმოვნებდა მისი თბილი სხეულის შეგრძნება — უხეში ჯარისკაცური გინასტურის გავლით, ჩემამდე რომ აღწევდა ქალის სხეულის სითბო. ვიგრძენი, როგორ აფთურდა ჩემს მუცელზე მისი რბილი, ოდნავ ოფლიანი და გრილი ხელისგულები. ენეგააშლილი ვკოცნიდი ყელზე... კატასავით აკრუტუნდა. უცნაური ბოლმა მომეძალა; ხან ზიზღსა და სიბრალულს ვგრძნობდი ერთმანეთში არეულს, ხან კი მძაფრი ენერგიული ანთებული ვეწაფებოდი მის თეთრ და ქათქათა ყელს. უსაშველოდ მტანჯავდა იმისი განცდა, რომ ირინაც ერთი იმათთაგანი იყო, ეხლა ... ...

ბდა, ხელები თოკით გაეკრა. მეორემ ხელი თმაში ჩამავლო და ცხვირი რბილ მიწაში ჩამარგვევინა. მედესანტეები იყვნენ; ყველაზე დაუნდობელნი და გაწაფულნი ამგვარი საქმეებისათვის. წამომაყენეს. პატრულის უფროსმა, ცისფერსამხრეებიანმა კაპიტანმა სიძულვილით ამათვალიერა.

— აბა, რას იტყვი, უდღეურო არწივო, გაგბაწრეს? — მერე თავის თანაშემწეებს მიუბრუნდა: — შტაბში წაიყვანეთ!

ანგარიშშიუცემლად გავიბრძოლე, მაგრამ მათ საიმედოდ ვყავდი ჩაბღუჯული. ერთმა მათგანმა საპასუხოდ რკინის ნალიანი ჩექმის ქუსლი ფეხის თითებზე ჩამარტყა. სიმწრისაგან სული შემიგუდდა. ხელები უკან მქონდა გაკრული, მივუტრიალდი და შიგ სიფათში შევაფურთხე. ცივად შემიშვა ხელი და თავი გინებით იბრუნა. მაშინვე კაპიტანიც მომვარდა და მოხრილი იდაყვი მოხერხებულად ჩამარტყა კისრის არეში, ლავიწის ძვალთან. მთელი სხეული ჩვარივით მომიდუნდა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. კაპიტანი წინ წაგვიძღვა და სანამ შტაბამდე მიმათრევდნენ, უწმაწურად იგინებოდა. ბრაზისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი და პირში სისხლის მლაშე გემოს ვგრძნობდი.

სამორიგეოში მოკლე დაკითხვა მომიწყვეს. ცდილობდნენ, სანიას ვინაობაც გაეგოთ; ვერაფერს გახდნენ. ჯიუტად ვდუმდი. ბოლოს პოლკის მორიგეს მოთმინება დაეღია და ჰაუტგახტიდან ბადრაგი გამოიძახა.

ბადრაგი მალევე გამოცხადდა; ზურგს უკან შეკრული ხელები შემიხსნეს და ავტომატმომარჯვებულებმა წინ გამიგდეს.

საკაში გათენება არ იგრძნობა. სამი მხრიდან კედელი მთლიანი და ყრუა, ხოლო წინიდან მძიმე რკინის კარი აქვს შებმული. კამერა თითქმის კარის სიგანისაა და სიგრძით, ალბათ, ორ მეტრამდე იქნება. დერეფანიც უსაშველოდ ვიწროა, ბეტონის მაღალი მესერიდან ასე ერთ ნაბიჯზე, პატარა სარკმელი მოჩანს. შემოსული სინათლე დერეფანს სუსტად ანათებს, მაგრამ ჩემამდე მაინც ვერ აღწევს. დღისით ძალიან ბნელა, ხოლო ღამით ელექტრონის შუქის ვიწრო კონა იჭერება საკნის საპვრეტიდან.

მხოლოდ მაშინ, როცა რკინის მძიმე კარი ძარღვების ამშლელი ღრჭიალით იღება და საკანში გუშაგები შემოდიან, ვგრძნობ, რომ ადგომის დროა და მალე მზეც უნდა ამოვიდეს. ისინი ზანტად ნალებიანი ჩექმების უხეში ბრახუნით შემოლაგდებიან, რათა ჩემი გატანჯული სხეული ძილისმაგვარ ბურანს გამოსტაცონ. კედელზე მიმაგრებული ხის ნარს ჰკეცავენ და კედელზევე ამაგრებენ ჯაჭვიანი ბოქლომით. ამის შემდეგ დაწოლის შესაძლებლობა სრულებით წართმეული მაქვს, დაჯდომითაც ვერსად ჩამოვჯდები, რადგან საკაში მხოლოდ ბეტონის სკამია, თანაც ყინულივით ცივი და სველი. ბადრაგს შინელიც მიაქვს, — ერთადერთი კომფორტი, ღამღამობით საბნის მაგივრობას რომ მიწევს. ასეა ყოველ დილით; ყოველ დღე ასე იწყება. მე მარტო ვარ და არავინ და არაფერი გამაჩნია ხელშესახები, გარდა საკუთარი თავისა, რომელსაც ისე ვადევნებ თვალ-ყურს, როგორც ცხედარს. ზოგჯერ მიკვირს კიდეც, რომ ცხედარი ცოცხალია რიცა დაიერიალებენ, იცვამს და მორჩილად ასრულებს ბრძანებას.

ადგომისთანავე კანკალი მიტანს. საკაში აუტანელი ნესტია და ფარული სიცივე ძვალ-რბილში ატანს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ გავლხვები და ბინძურ, აყროლებულ სითხედ დავიღვრები ბეტონის ცივ იატაკზე. კედლებზე შეუმჩნევლად მოჟონავს წყალი და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში თავს იმის ცქერით ვირთობ, თუ როგორ ეცემა ტყაპანით იატაკზე ჭერიდან მოწყვეტილი წყლის წვეთები.

მეჩვენება, რომ აქ ძალიან დიდი ხნის წინათ მომიყვანეს და ვცდილობ, ამაზე ფიქრით თავი არ შევიწუხო. ტუსაღმა არც დასასრულზე უნდა იფიქრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან, რაც უფრო მეტს ხანგრძლივად ფიქრობ, მით უფრო შორეული ხდება იგი. ეს მე დიდი ხანია, რაც ვისწავლე.

თავდაპირველად საერთო საკანში მომათავსეს. კამერაში ოცდაათთოდე სალდათი იყო; ერთმანეთზე მიყრილები და ერთმანეთში არეულნი გორავდნენ იატაკზე. საერთოში ნესტი შედარებით ნაკლები იყო, აქ წყალს არ ასხამდნენ და არცთუ ისე ძალიან ბნელოდა, რადგან საკანი დერეფნის ბოლოს, სარკმლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. საჭვრეტიდან შემოჭრილი სუსტ შუქზე გულგრილად ვათვალიერებდი ტუსაღების გადაპარსულ თავებს და გამურულ სიფათებს. საკანში აუტანლად ჭირდა სუნთქვა; საზიზღარი, გულისამრევი სუნი ტრიალებდა: ოფლის, ნესტის, შმორის, სიგარეტების ნამწვავების და კიდევ რაღაცის, მაგრამ რის, ვერაფრით გავიხსენე. პირველად ვიგრძენი, რომ ადამიანი ფიზიოლოგიურად ყველაზე მყრალი არსებაა. მაგრამ იგივე ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ყველაფერს შეეგუოს, თუკი ეს გარდაუვალია. აქ, საერთოში, თავის გატანა შედარებით იოლია, რადგან ახალბედებითაა სავსე. ისინი ადვილად ვარდებიან. „მოხუცებს“ კი, მხოლოდ აშკარა დარღვევებზე სვამენ, რადგან საკმაო გამოცდილება აქვთ და თავის დაძვრენას უფრო იოლად ახერხებენ. ახალბედები სიბნელეში ძნელი გასარჩევნი იყვნენ, მაგრამ გამოლაპარაკებისას თვითონვე ჰყიდნენ თავიანთ თავს: ხმაში ფარული შიშსა და მოკრძალებას გამოურევდნენ ხოლმე. საერთოდ, ჰაუპტვახტში პატიმრებისათვის კვების რაციონს საგრძნობლად ამცირებდნენ, მაგრამ აქ, საერთოში, მის ანაზღაურებას სხვათა ხარჯზე როგორმე შევძლებდი. მიუხედავად ამისა, მე მაინც ცალკე საკანი მერჩივნა. იქიდან არც საშუშაოზე გაჰყავთ, არც სამწყობრო მარშებზე. მთელი დღის განმავლობაში არავინ არაფერზე გაწუხებს და მხოლოდ საკმელი შემოაქვთ.

მოყვანისთანავე ყველაფერი ჩამომართვეს. ჯიბეები პირწმინდად ამოგვაბრუნეს ფთავეს. ჩამომართვეს უბის წიგნაკი და ფანქარიც. ქამარი შემხსნეს და, რადგან ბალთა კიდეებზე აღესილი იყო, ჰაუპტვახტის უფროსმა სამხედრო ალჭურვილობის დარღვევისათვის, ორი დღეღამის პატიმრობა კიდევ დამიმატა. კრინტი არ დამიძრავს, რადგან ვიცოდი, უაზრობა იყო, — უფრო მეტიც, შეეძლო, კიდევ დაემატებინა. დივიზიაში ის შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა და „მოხუცების“ დაუძინებელი მტერი იყო.

ღამით პირდაპირ იატაკზე ვეგდე. ერთ ახალბედას შინელი წავართვი. ორ შინელში გახვეული, თავი ვიღაცის აყროლებულ მკერდზე მედო და მეძინა. დილით, საუზმის შემდეგ, დერეფანში ერთმწკრივად დაგვაწყვეს. აქ სიას არ კითხულობენ, არც გვარით მოგვმართავენ. ყველა უფროსისათვის „ამხანაგი ჯარისკაცი“ ხარ და შემოწმებისას ცხვრებივით გთვლიან. პრაპორშჩიკმა თვალით დადგეთვალა და ბრძანება გასცა. მუშაობის მსურველებმა მწყობრიდან წინ წარსდგეს ნაბიჯი. როცა შევათვალიერე, შევამჩნიე, ყველანი თითქმის ახალბედები იყვნენ. ისინი თითქოს ინტუიციით გრძნობენ საშიშროებას; იციან „მოხუცი“ ყველაზე ბოროტი საკანში ხდება, რადგან მას აქ არაფერი გააჩნია, გარდა ფარული ძალაუფლებისა და ბოღმისა; დასაკარგავიც არაფერი აქვს. ტუსაღს მეორედ, რასაკვირველია, ვეღარ დაატუსაღებენ ამიტომ ახალბედები მუდამ ცდილობენ განერიდონ „მოხუცებს“ და გარბიან იქ, სადაც ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან.

მწყობრში სამი „მოხუციღა“ დავრჩით. სამუშაო ძალას ძველისძველი გაზნიტული დაბამბულები მისცეს და ბაღრაგის თანხლებით გაიყვანეს. მათ კმაყოფილი სახეებით ჩაგვიყურეს. შრომა, და საერთოდ, ყოველგვარი საქმიანობა, სამსახურის პირველ ეტაპზე ახალწვეულთათვის ერთგვარი შვებაა. დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში ყველაზე სწრაფად გადის და დარდსაც ადვილად ივიწყებს ადამიანი. ჩვენ, სამნი, მოედანზე გაგვიყვანეს სამწყობრო მარშისათვის. არმიისათვის სამწყობრო მარშზე მეტი უაზრობა, ალბათ, ჯერ არ მოუგონიათ. დღემდე არ მესმის, რას ემსახურება იგი. უფროსი ითვლის — შენ ეკ გაჭიმული, ნახევარ მეტრამდე აწეულ ტერფებს უხთქუნებ ასფალტზე და მიაბიჯებ.

ადამიანი, რომელიც დგას, ყველაზე მეტად სტოვებს დამოუკიდებლობის მოჩვენებით თბილისელებას. მას საკუთარი თავი ეკუთვნის და შეუძლია, ნებისმიერი მიმართულებით გაემართოს. თუკი სწრაფვის მიზანიც არსებობს და იგი მისკენ გაემართება, მაშინ ეს ადამიანი თავისუფალია და მის ამგვარ თავისუფლებას, თავისი არსიც გააჩნია. ხოლო, თუკი, ადამიანს აიძულებენ იაროს და თანაც უაზროდ, — ისე, როგორც ეს სამწყობრო მარშისას ხდება — ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ამბჩად აგდება.

სამწყობრო მარში არმიული მორჩილების ბრწყინვალე ჰიმნია. იგი ადამიანს არარაობად თვლის და ამასხარავებს.

ჩვენ უარი განვაცხადეთ სამწყობრო მარშზე. პოპორშჩიკმა მოწყალედ გაგვიღიმა. ეტყობოდა, კმაყოფილიც კი დარჩა იმით, რომ საშუალება მიეცა, ჩვენს გამო პაპანაქებაში მოედანზე ოთხი საათი არ ეყურყუტა. საერთოდ, ჰაუპტვახტს ერთი უპირატესობა აქვს — ბრძანების შეუსრულებლობაზე უაზრო ლაქლაქსა და ტვინის ჭყლეტას არავინ დაგიწყებს. აქ პრაქტიკულ ქმედებას არჩევენ.

— ძალიან კარგი, თქვენთან თვითონ კაპიტანი გაერკვევა! — თქვა და პირფერული ღიმილით გაგვიძღვა წინ.

ჰაუპტვახტის უფროსმა ჩვენი ცალკე საკნებში გადაყვანა ბრძანა „მორჩილების“ მიზნით. მორიგე პრაპორშჩიკმა ბადრაგს უხმო და ჩვენი ხელახლა გაჩხრეკა უბრძანა. კედლისკენ შებრუნდით, ფეხები მხრების სიგანეზე გაეჩაჩხეთ, ხელები კი ზემოთ აეწიეთ და ხელისგულებით კედელს მივეყრდენით. ახალბედები იყვნენ და ვგრძნობდი, რა რიდით და კრძალვით მიფათურებდნენ ხელებს ჯიბეებში, თითქოსდა ნაღმი ეყოფილიყავი. რომ მორჩნენ, კაპიტანმა ბადრაგს ჩვენი გაყვანის ნება დართო.

საკნებში სათითაოდ ჩამოგვარიგეს.

ბოლოს მე შემაგდეს და რკინის კარი ძმიმედ მომიბრახუნეს. შუალილთანავე ნესტოებში ცივი, ნესტიანი, წებოსავით სქელი და ბლანტი ჰაერი მეძგერა. სული შემიგუბდა და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს აქედან ვეღარასოდეს გავიდოდი.

მაინც კმაყოფილი ვიყავი და ვთვლიდი, რომ იოლად გამოვძვერით. ჰაუპტვახტის უფროსს ჩვენი დასჯის მიზნით შეეძლო, კბილის ჯაგრისითა და საპნით იატაკის გახეხვა ებრძანებინა. მას არაერთხელ გაუცია ასეთი ბრძანება. ყველა „მოხუცი“, რომლისთვისაც ასეთი რამის გაკეთება ღირსების შემლახველია, უარს აცხადებს ბრძანების შესრულებაზე. მაშინ კაპიტანი „გათავხედებული ლესონის“, — ასე ეძახდა იგი პატიმრებს, — ჭკუაზე მოსაყვანად მათ ცალკე საკნებში აგზავნიდა და თან ქლორიან წყალს უსხამდა. ამის შემდეგ ტუსაღი იძულებული ხდებოდა გაეხეხა იატაკი, რადგან სუნთქვა ამ ერთ ბეწო საკანში შეუძლებელი ხდებოდა. „მოხუცთა“ აგრესიული ნაწილი კი ამ ანტიჰუმანური აქტის მიმართ პროტესტის ნიშნად, მზად იყო, საკანშივე მომკვდარიყო. ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი მისავათებულნი და თითქმის სრულიად გონდაკარგულნი გადაეგზავნოთ ჰოსპიტალში. ჰოსპიტალი არმიაში ერთგვარი აგარაკია, თუნდაც მომაკვდავისათვის. აქ შედარებით ნორმალურად ეპყრობიან და ჯარისკაცს საშუალება ეძლევა, შეგროვილი ადამიანური პაწაწკინტელა სითბოს ნამსხვრევებისაგან საკუთარი, მასში ჩაძირებული პიროვნული „მე“ გამოაღვიძოს, გაიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენოს, რომ ოდესღაც თვითონაც ადამიანი იყო და არა პირუტყვი.

ამჯერად ახსნა ვერ მოვუძებნე, რატომ თქვა სიმხეცით განთქმულმა ოფიცერმა უარი პატიმართა დასჯის მისეულ მეთოდზე. ეს ხომ ჩვენთვის, სამოვესათვის, დიდი განსაცდელი იქნებოდა. მას სიამოვნებას ჰგვრიდა „მოხუცების“ არარაობად ქცევა. თუ „მოხუცი“ მისგან ნაბრძანებ შავ სამუშაოს შეასრულებდა, ის რეპუტაციას კარგავდა დანარჩენი ჯარისაკაცების თვალში. რეპუტაციის დაკარგვა კი საკუთარი ღირსების გრძნობას ლაგს ადამიანში.

საერთოდ, შავი სამუშაო „მოხუცთათვის“ მიუღებელია. ჩვენს სახელმწიფოში, შრომაზე უარის თქმა კანონით ისჯება. მაგრამ იქ, შრომას, თუკი იგი სავალდებულოა, ამავე დროს, თავისი აზრი და მასტიმულირებული შედეგიც გააჩნია. არმია კი, სამოქალაქო ყოფისაგან განსხვავებით, აზრის დაკარგვამდე მკაცრია. მეტიც, შრომა იქ, ერთგვარი დასჯის, კერძოდ, მორალური დასჯის საშუალებას წარმოადგენს. ოფიცერს შეუძლია გიბრძანოს. შენ ვალდებული ხარ შეასრულო, მიუხედავად იმისა, თუ რა აზრი და შედეგი გააჩნია მას; გინდაც უაზრობას წარმოადგენდეს საერთოდ, გინდაც ჯარისაკაცის პიროვნულ ღირსებას ამცირებდეს, ბრძანება უასათუოდ უნდა შესრულდეს. და თუკი, იგი არასამართლიანია, ჯარისაკაცს პროტესტის უფლება არა აქვს. შეუძლია გაასაჩივროს მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე ბრძანებას შეასრულებს. არმიაში ის მარტოხელა მგელია და არსიდან არავის შებრალების და დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მოქალაქეს, თუ ის დამნაშავეა, საზოგადოებრივი ნება და ზნეობრივი კოდექსი სდებს ბრალს. ჯარისაკაცს კი მხოლოდ ძალა, რომელიც უზენაესია და დამთრგუნველი. საზოგადოებრივი ნება შეიძლება ლმობიერი იყოს. ძალა კი მუდამ ბნელია და შეუბრალებელი. ჯარისაკაცი, როგითი სამხედრო პირი, შეიარაღებული ძალების რანგთა იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას. ამიტომ ის არავის უფროსი არის და, აქედან გამომდინარე, ყველაზე სუსტი ძალაა. ის მხოლოდ ხელქვეითია და არმიაში მას არჩევანის საშუალება ერთმევა. ჯარისკაცს აკრძალული აქვს სურვილების უფლებაც და მას არაფერიც არ უნდა სურდეს. მას არც ის შეუძლია, რომ მოითხოვოს. რომ მოითხოვოს, ხომ უნდა ეკუთვნოდეს რამე? ჯარისკაცს კი არაფერი არ ეკუთვნის, საკუთარი თავიც კი. მისი ბედი სხვის ხელთაა და სრულებით განთავისუფლებულია საკუთარ ინტერესებზე ზრუნვისაგან. მასზე სხვები ზრუნავენ. სხვებმა კი, მათ, ვინც მასზე მაღლა დგას წოდებრივად და უფლებრივად, რასაკვირველია, უკეთ „იციან“ რა უნდა სურდეს ჯარისკაცს. მისი ყოველი საქმიანობა სხვათა მიერ დადგენილი ქცევის ნორმებში და ჩარჩოებში არის მოქცეული, რის გამოც უფლება არა აქვს გადაასხვაფეროს იგი. მას არც იმის უფლება აქვს, რომ რითამე უკმაყოფილო იყოს. ის მუდამ კმაყოფილი უნდა იყოს და ტკბებოდეს კიდეც თავისი ბედით. ვერც მოითხოვს რამეს, რადგან ყოველგვარი პირადი მოთხოვნილების უფლება ჩამორთმეული აქვს, გარდა იმისა, რომ შეუძლია მოითხოვოს, „ნება დართონ“.

ჯარისკაცი მუდამ ვალდებულია, მაგრამ ვალდებულია არა საკუთარი მრწამსისა და მორალის წინაშე, არამედ ყოველთვის ყველას წინაშე, მათ წინაშე, ვისი მორჩილეცაა. ის, შესაძლოა, იყოს ვალდებული თავისი თანასწორის, ვთქვათ, ამხანაგის მიმართაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავისი თავის წინაშე. ამიტომაც არმიაში ადამიანი **უგულებელყოფილია**. არმიული ყოფის არსი კოლექტიური ნებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მისი თითოეული წევრი ერთ გარკვეულ იდეალს დაუმორჩილოს. ეს ნება ამავე დროს მისი უაზრობაცაა, რადგან სრულიად გამორიცხავს ინდივიდს. არმიის მექანიზმი მომართულია იმგვარად, რომ ადამიანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ათქმევინოს საკუთარ თავზე. აქციოს იგი არა პიროვნული, არამედ საერთო და უმრავლეს შემთხვევაში, მისთვის გაურკვეველი (მიუღებელიც კი) იდეალების მონა-მორჩილად. ამიტომაც ნათელია, არმიული ჩანასახი იწყება იქედან, საიდანაც ადამიანი სწყვეტს არსებობას, როგორც პიროვნება.

ჯარისკაცი არღვევს წესდებას, როცა ის არათუ სხვაგვარად მოქმედებს, არამედ სხვაგვარად ფიქრობს კიდეც. ამიტომაც ყოველთვის იოლია მისთვის დამნაშავის იარლიყის მიკერება. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მუდამ დამნაშავეა. დამნაშავის დამორჩილება კი ადვილი შესაძლებელია რადგან მას, ვინც აშავებს, უნდა ჩამოერთვას თავისუფლება. თავისუფალი ჯარისკაცი არ შეიძლება **არსებობდეს,** თავისუფლების მინიჭება შეიძლება ყველაფრისათვის: თვეზის, გასროლილი ქვის, ჰაერში აშვებული ფრანსია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანებისთვისაც კი, მაგრამ ჯარისკაცისათვის — არავითარ შემთხვევაში. თავისუფლება პიროვნებათა ხვედრია. არმიაში კი პიროვნებანი საჭირონი არ არიან. აქ მხოლოდ მოძრავი რობოტი სჭირდებათ, რომელიც ვიღაცის ნებაზეა დაპროგრამებული და მზადაა იმოქმედოს ისე, როგორც მიწოდებული ინფორმაცია უკარნახებს.

ჯარისკაცს იმიტომაც უნდა ჰქონდეს მუდმივი დანაშაულის გრძნობა შთანერგილი, რომ ამით უფროსის ბრძანებას გააზრების და გაანალიზების უფლება ჩამოერთვას. დამნაშავეს ბინძური სული აქვს და ამის გამო მოკლებულია მორალურ უფლებას — განსაჯოს და გაკიცინაოს ვინმე ან რიმე.

დამნაშავე ბრალს არ სდებს. მას მხოლოდ ასამართლებენ. ის, ვინც ასამართლებს, გამარჯვებულიცაა. და რახან გამარჯვებულია, მბრძანებლობს კიდეც. ხოლო, რაც შეეხება სიმართლეს, მას არავითარი **ღირსება** არა აქვს. ის გათელილი და მკვდარია უზენაესი ძალის პრიმატული მორალის კლანჭების ქვეშ. შედეგი კი, ისაა, რომ ჯარისკაცი ქცეულია ბრმა იარაღად და მისი კრედო უსიტყვო მორჩილებაა. დამნაშავე, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გააჩნია თავისი მრწამსი, მზადაა უფრო მძიმე დანაშაულის ჩასადენადაც და ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება იქცეს მკვლელად. მას ხელოვნურად ჩაუნერგეს ბორტმოქმედის სული. თუკი უბრძანებენ, შეუძლია, ათასობით სიცოცხლე გაჰყაროს სხვათა სხეულებს. მაგრამ, ამავე დროს, მას აქვს დაუსჯელობის გარანტია, რადგან სხვათა ნებას ასრულებს. პირიქით, მასზე იზრუნებენ კიდეც; შესაძლოა, გმირადაც აღიარონ, დაფნით შეამკონ. მისი ქცევის გასასამართლებლად უამრავი კატეგორიებია მოგონილი. ეს კატეგორიები მუდამ მდიდრულ და ძვირფას სამოსელში არიან გამოწყობილნი და ძალიან ხშირად „რევოლუციად“, „პატრიოტიზმად“, „ინტერნაციონალიზმად“ იწოდებიან! მაგრამ ვინ არის ეს ჩვეულებრივი მოკვდავი სინამდვილეში? რაა ის საკუთარი „მე-ს“ წინაშე, რომელმაც, შესაძლოა, ოდესმე მასშიც გაიღვიძოს? ვინაა მისი თავდები ღმერთთან?

არმიის საძირკველი თანასწორობის პრინციპია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ჯარისკაცი თანასწორია კანონისა და წოდების წინაშე. ამგვარი თანასწორობა მონათა ჯგუფის რიგისაა. მონად ადამიანი იქცევა მაშინ, როდესაც ის კარგავს თავისუფლებას. განა ჯარისკაცის ყოფიერების მომენტს გააჩნია თავისუფლების რომელიმე ხარისხი, თუ კი იგი უსიტყვოდ მორჩილია? თუკი მას საკუთარი თავი არ ეკუთვნის? თუკი მის ქცევას სხვები განსაზღვრავენ, არაფრის უფლება არა აქვს და ყოველთვის ყველას წინაშე ვალდებულია? რასაკვირველია, ჯარისკაცი არაფრით განსხვავდება მონისაგან. მაგრამ მონამ, ისევე, როგორც თავისუფალმა ადამიანმა, კარგად იცის თავისუფლების ფასი.

თუკი მონას ოდესმე თავისუფლების წყურვილი შემოეძალა და კითხეს: „ვინაა დამნაშავე იმაში, რომ მე ჩემი

თავი არ მეკუთვნის?“ — ვერაფრით აუქცია გვერდი, არმიულ მორალს ამ კითხვაზე მზადი აქვს პასუხი. აი ისიც: — „სრული სიმართლეა, მონავე ჩემო, დამნაშავე არსებობს და ეს დამნაშავე შენა ხარ თვითონ! მხოლოდ შენა ხარ დამნაშავე იმაში... რომ შენ ხარ!!! რომ შენ არსებობ და რაკი არსებობ, მაშასადამე, ვალდებული ხარ!!! ამაზე მეტი ცინიზმი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ამ ცინიზმის წყალობით მიღწეულია ერთი რამ, კერძოდ, მიღწეულია ის, რომ ნაწილობრივ მოხსნილია ამმოხის საშიშროება და შეცვლილია შურისმაძიებლური რისხვის მიმართულება. ამით ყოვლადძლიერი სისტემა ბრბოდან მისკენ მიმართულ შურისძიების მახვილს ბრბოშივე აბრუნებს. ამით ის კიდევ უფრო იმონებს თავის მონამორჩილთ, მოშინაურებულ ცხოველებად აქცევს მათ. მონის რისხვა კი იმავ ფარაში ტრიალებს, რომლის ცხვარიც თვითონ არის.

არმიას შეუმცდარი თვალი აქვს; იგი მყისვე, ერთი შეხედვით გამოარჩევს და ამოტიტვრავს თავის ზედაპირზე ვდოვინებს, როგორი ნიღაბიც არ უნდა აიფარონ მათ. არმიაში საკუთარ თავს ვერ დამალავ და ვერც ერთხელ მორგებულ ნიღაბს შეინარჩუნებ. მაგრამ მათ, მთელი ცხოვრება ილუზიებში და ნიღბებში რომ გაატარეს, აქ, საკუთარ გაშიშვლებული თავი აშინებთ, რადგან, როგორც არასდროს, პირისპირ რჩებიან მის წინაშე. ვდოვინიც თვითმკვლელობის განზრახვამდე იმ განცდამ მიიყვანა, ალბათ, საკუთარ „მე“-სთან შეჯახებისას რომ აღიძრა მასში. მე მგონი, სწორედ ამიტომ იკლავდა თავს, რადგან ვერ ნახა თავის არსებაში ძალა, ეს განცდა როგორმე დაეთრგუნა. ესაა ერთადერთი ახსნა... როდესაც ვდოვინი ამას სჩადიოდა, ყველას ეგონა, რომ გაგიჟდა და სულიერი აფეკტის დროს უბიძგა საკუთარ თავს თვითმკვლელობისკენ; მე კი მისი სიგიჟისა არასდეს მჯეროდა. ისეთები, როგორიც ვდოვინია, მთელი ცხოვრება რაღაცისთვის ემზადებიან, არაფრისკენ არ მიიწევენ ფვიან და მხოლოდ ჯიუტად ელოდებიან.

ვდოვინიც მუდამ ილუზიებით ცხოვრობდა, **ილუზიებით**. თავისი ყოფა მან წარსულში ვერ გადაიტანა, რადგან უკან რომ მოიხედა, მიხვდა, რომ არასოდეს ეცხოვრა სრულყოფილი ცხოვრებით. აქედან გამომდინარე, მას არ ჰქონდა წარსულიც. არაფერი მოსაგონარი არ გაახსდა, რასაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა და ამიტომ თავისი ყოფა ვერც მომავალში გადაიტანა, რადგან დაუსრულებელი ილუზიური წარმოდგენებით მომავალიც დიდი ხანია, განიცადა, წარსულად ექცა. იგი მომავალს უკვე მისწვდა, განიცადა აზრობრივად, ილუზიით და იგონებდა მხოლოდ ამ განცდას, იმის ნაცვლად, რომ დაყრდნობოდა იმედს. ის, რასაც იგი იმედოვნებდა, დარჩა უკან, მომავალში, ხოლო, ის, რასაც მოიგონებდა წინ იყო. მისი ცხოვრება წარიმართა ორაზროვნად, უკუღმა და არა ჩვეულებრივი წესით. ყოფის ამ მომენტების აღრევას ადამიანი ჭკუაზე გადასვლის ზღვრამდე მიჰყავს. ჭეშმარიტ მეოცნებეს, ადამიანს, რომლის ყოფაც ილუზიაა, ხელს არაფერი უშლის, რათა გაგიჟდეს. ვდოვინიც არმიის გარეთ უსათუოდ გაგიჟდებოდა, მაგრამ არმიამ მას დასრულებული სახე მისცა, ხოლო მუშტმა პრაქტიკოსი გახადა. მისი ოცნების კოშკები საშინელმა არმიულმა ყოფამ ნაცარტუტად აქცია, ხოლო ის, ვდოვინი, ამ კოშკების ნანგრევების უბრალო გროვად. არმიის ბინძურ სარკეში მან საკუთარი შიშველი სამყარო ისე ახლოს დაინახა, რომ შეზარა მისმა სრულმა არარაობამ და მოულოდნელად იგრძნო, დანგრეული ცარიელი სულიერი სამყარო და მძორად ქცეული სხეული აღარაფრად ეღირდა... გადაწყვიტა, მისგან გაქცეულიყო და გზად თვითმკვლელობა აირჩია. ეს ერთგვარი ამმოხიც იყო. ყველა ადამიანში თვლემს მეამმოხის სული; ის მეამმოხე, ოდითგან და ფარულად ვდოვინშიც რომ არსებო-

ბდა და რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა. მაშინ მოკვდა საბოლოოდ, როცა იგი კანალიზაციის მილიდან ჩამოხსნეს. მათ სულ სხვა ადამიანი გადაარჩინეს. ნამდვილი ვდოვინი, **ვდოვინი-მემამბოჯ ვდოვინი-არარაობის** გადარჩენით დაიღუპა. ხსნით ის მოკლეს. ამაში იყო მთელი მისი შემდგომი ტრაგედიაც და უბედურებაც, რადგან მან უკვე იხილა საკუთარი სიკვდილი და სხვა, ყველაფერი ამ დიად და საზარელ ფაქტთან არარაობად იქცა, სულ ერთი გახდა, აბსოლუტურად სულ ერთი.

რკინის მძიმე კარი ხმაურით გაიღო. გუშაგი შემოვიდა და ალუმინის ჯამით საქმელი შემოიტანა. სულმოუთქმელად ჩავსვლიპე. მანამ შიმშილს სრულებითაც არ ვგრძნობდი, მაგრამ უგემურმა სალდათურმა სალაფავმა კუჭი შემითბო და უფრო გამიღიზიანა. მუცლის სიღრმეში საშინელი წვა ვიგრძენი.

დღეები ერთმანეთს მისდევდნენ. დღე-ღამეს შორის მხედველობით ზღვარი თანდათან წაიშალა. უსასრულოდ ბნელოდა და იმედიც მეწურებოდა, რომ ოდესმე შეიძლებოდა გათენებულიყო. მთელი ეს დრო ჩემთვის იყო ერთი უსასრულო ღამე, რომელიც ჩემი საკნის კედლებს დაუსრულებლად ეხეთქებოდა. ეს იყო გაუთავებელი სიბნელე და ჭერიდან მოწყვეტილი წყლის წვეთების მონოტონური ტყაპუნი ბეტონის ცივ იატაკზე. სიბნელე მე მეგმარებოდა ნაწილობრივ დავეუფლებოდი სივრცეს და მის საზღვრებს ხელის ცეცებით ვეძებდი. ვაწყდებოდი გალიპულ კედლებს და მინდოდა დამეჯერებინა, რომ მათ მიღმა არაფერი შეცელილა, რომ ცხოვრება კვლავ თავისი გზით მიედინებოდა. დრო კი ჭაობად იქცა, რომელიც ადგილიდან არ იძვრის, სადაც მდოვრედ ვიძირებოდი და დახრჩობის შიში რომ არა, ალბათ, სიამოვნებასაც მომანიჭებდა.

სიგარეტების უქონლობამ მალე მომტეხა; სხეული მომიდუნდა, ფილტვებში გამუდმებით მწიწკინდა რაღაც. ნარის გაზინტლულ ფიცრებს კბილებით ანატეჩებს ვაცლიდი და ვწუწნიდი. ამის გამო, კარგა ხანი გული მერეოდა. გულისრევას არაფრად ვაგდებდი, რადგან ის მოწევის სურვილს მიხსნიდა. თანდათან ღრძილებიც ამტკივდა. დამისივდა. ღილით ჭუჭყიან თითებს შესივებულ ღრძილებზე ვიჭერდი და ჩირქს ვუშვებდი. გამუდმებით ვგრძნობდი გულისამრევ სიმყრალეს პირში და საათობით ვიფურთხებოდი. მერე ნაფურთხებს ჩექმიანი ფეხით ვზელდი ბეტონზე. როცა ღრძილების ტკივილი უადრესად გამიმწვავდა, ხის ნაჭრების წუწვნას თავი გავანებე და ფრჩხილების კვნეტა დავიწყე. მანამ ვიკვნეტდი, სანამ პირში სისხლის მლაშე გემო არ ჩამეღვრებოდა ხოლმე. არ მესმოდა, რატომ არ მაძლევდნენ მოწევის უფლებას. ეს ხომ არავის უშლიდა ხელს. მერეღა მივხვდი, ესეც თვისებური დასჯა იყო. დროთა განმავლობაში, უსიგარეტობა ჩემთვის სასჯელს აღარ წარმოადგენდა, რადგან მოწევის მოთხოვნილება გამიქრა.

მთელი დღეები მარტოდ ვიყავი, მაგრამ მარტოობა სრულიადაც არ განმიცდია. არ განმიცდია, რადგან მისთვის ჩემში ადგილი არ ყოფილა მთელი ჩემი არსება ბოღმას მოეცვა, უაზრო ბოღმას, რომელიც ყველასადმი მიმართული, მაგრამ კონკრეტულად არავისაკენ. ბოღმა იყო ერთადერთი განცდა, რომელიც მაიძულებდა, თავი ადამიანად მეგრძნო. ის იქცა ჩემში ყველაფრის გამოხატულებად, ყველაფრის სიმბოლოდ: ზიზღის, სიძულვილის, ბოროტების, ცინიზმის და ზოგჯერ სინანულის სიმბოლოდაც. ყველა განცდას და ყველაფერს მაინც ბოღმამდე მივყავდი. აქამდე რომ არ მოვკვდი, ესეც, ალბათ, ბოღმის გამო, იმის გამო, რომ ბოღმა არასოდეს მტოვებდა. მერეღა მივხვდი: მე ბოღმით ვიყავი ავად...

სადილის შემდეგ თეთრ საყელოებს გვირიგებდნენ გიმნასტერებზე მოსაკერებლად. სიბნელეში ნემსის ხმარება მიჭირდა და თითები ერთიანად მჭონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩხვლეტილი ნანემსარებით. ეს ნაჩხვლეტები მერე მთელი ღამის განმავლობაში აუტანლად მწიწკნიდა. დილით კი ძარღვებაშლილი ვიწურავდი ნანემსარებიდან აყროლებულ, ყვითელ, ბლანტ სითხეს და მერე ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს მთელ სხეულში ასეთივე ყვითელი ბლანტი სითხე დუღდა და ბუუბუყებდა.

საღამოობით ნებას გვაძლევდნენ საპირფარეშოში გავსულიყავით. საპირფარეშო ეზოს ბოლოში მდებარეობდა და იქამდე ბადრაგი გვაცილებდა. შენობა აგურით ნაშენი სამი კედლისა და სახურავისაგან შედგებოდა. კარი არ ჰქონდა და, ჩამჯდარს, გუშაგი მომართული ავტომატით შემოგვყურებდა. ასეთი წესია, თორემ აქედან ჯერ არც არავინ გაქცეულა და არც არავის უცდია გაქცევა; ან კი სად უნდა გაქცეულიყო: დრო ხომ ყველგან ერთია?!. დრო ყველგან მიდიოდა, ყველგან მოძრაობდა და ზურგზე ლოდივით აკიდებული სავალდებულო დღეებიც თანდათან, ერთმანეთის მიყოლებით, გახუნებული ჭადრის ფოთლებივით ცვიოდა მერე კი მეხსიერების სუსტი ქარი შვებისმომგვრელად აშრიალებდა წარსულში.

საპირფარეშოში ყოველთვის საღამოობით გამოვყავდით და მეჩვენებოდა, რომ მზე ჩაქრა, გარდაიცვალა. შემდეგ კი, საკანში შებრუნებული ვგრძნობდი, თუ როგორ დიდი სანინელებაა არსებობა მზის გარეშე, მარადიულ, გაუთავებელ წყვდიადში...

ჰაუპტვახტიდან ვადაზე ადრე გამათავისუფლეს. ჩვენმა დივიზიონმა საველე მეცადინეობაზე გასვლის ბრძანება მიიღო. რადგან ჩემი „თვითმავალი“ ჩემს გარეშე არ დაიძვროდა, დივიზიონის ხელმძღვანელობამ პოლკის მეთაურთან წარადგინა რაპორტი, ჩემი ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით.

ჩემს წასაყვანად უმცროსი სერჟანტი მახნიცკი გამოგზავნეს. ჰაუპტვახტის უფროსმა კუოვხილი ნივთები დამიბრუნა. თან გამაფრთხილა, თუკი ბუნტარამ კიდევ განმეორდებოდა, უფრო მკაცრად დავისჯებოდი. თავის მართლება არც მიცდია. ესეც ერთგვარი ტაქტია. არმიაში თავს არ იმართლებენ, არამედ მორჩილად უშვერენ ზურგს...

ჭუჩაში გამოსვლისთანავე მუხლები მომეკვეთა; სუფთა, გრილმა ჰაერმა თავბრუ დამახვია. დავბარბაცდი და ყაზარმის კედელს მივეყრდენი. თვალებში მიბნელდებოდა. ამოდენა კაშკაშა სინათლე ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს. სადაც იყო, ჩავიკეცებოდი. მახნიცკი მხარში ამომიდგა. უწმაწურად იგინებოდა და, რაც შეეძლო, ჩემდამი თანაგრძნობის გამოხატვას ცდილობდა. ამან მოლად მომსპო. ბავშვობიდან არ მიყვარდა, როცა ჩემს ტკივილს იზიარებდნენ. გავერიდე...

ჭუჩაში ახალწვეულები ჩამოატარეს; სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი და თავგადაპარსულნი, ყველანი თითქოს ერთმანეთს ჰგავდნენ. დაღვრემილები მოჩანჩალებდნენ. წინ კაპიტანი და ორი სერჟანტი მოუძღოდათ. კაპიტანი ითვლიდა, მაგრამ უშედეგოდ. არ სურდათ, თუ ვერ ახერხებდნენ, — ფეხარეულნი მოალაჯებდნენ. რომ გაგვისწორდნენ, ინტერესით შემოგვაცქერდნენ. მოჩვენებითი სიბრალულით გავხედე. თითქოს რადაც ტკივილისმაგვარი განწყობილება შემოიტანეს ჩემში და დასასრულიც ისე ცხადად დავინახე, რომ მისმა სიახლოვემ შემაკრთო. ამ დასასრულის სიახლოვის შეგრძნება, ახალწვეულთა სულ სხვა ცხოვრებიდან მოტანილ სუნს მოჰყვა...

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — დაადეკნა მახნიცკიმ.

ყაზარმაში შესვლისთანავე საწოლს მივაშურე. ჰაუპტვახტიდან დაბრუნებული პოლიტელი ნებას აძლევდა მომავალ დილამდე დაეძინათ. ჩაწოლისთანავე რომელიღაც ახალბედა ვიხმე და სასადილოში ჩაის მოსატანად წასვლა ვუბრძანე. მორჩილად გაეშურა. მაკანკალებდა. საბანში გავეხვიე, ჩაძირვება

ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, კანკალი მიშლიდა... ახალბედა მალე დაბრუნდა და მათარით ჩაი მომაწოდა.

ოფელი ჩანდა, რადგან ბედმა გაუღიმა და შესაძლებლობა მიეცა ჩემთვის ესიამოვნებინა. მათარა ჩამოვართვი და მოვიყუდე. ჩაი უშაქრო იყო, ნელ-თბილი. მე კი უსაშველოდ მინდოდა, რომ ცხელი ყოფილიყო. ისეთი ცხელი, რომ ყელი ჩაეწვა და შიგნეული როგორმე გაეთბო. სიცივის შეგრძნება საკნიდან გამომყვა. ეს ჩვეულებრივი ამბავია და იქიდან მოსულებს ხშირად ემართებათ ხოლმე. მათარა მთლიანად დავცალე და დივიზიონის ფოსტალიონი გამოვიძახე. ფოსტალიონი თვალისდახამხამებაში მოვარდა და სანამ რამეს ვკითხავდი, ყალბი სინანულით განმიცხადა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს სახელზე არაფერი მოსულა. გინების კორიანტელი დავატეხე, თითქოსდა, ის ყოფილიყო რამეში დამნაშავე. წყენის ნატამალიც არ დასტყობია. შეჩვეული იყო ამგვარ რამეებს. უმიზეზო ლანძღვა ჩვეულებად გადამქცია და ჩემში ეს არ იწვევდა სინდისის ქენჯნას და არც სინანულს. თვითკონტროლი დავკარგე და მთლიანად ინსტინქტებს დავემორჩილე.

ყაზარმა გამალებულ ფაციფუცში იყო. ამზადებდნენ კარვებს, სამწყობრო დათვალიერებისათვის წესრიგში მოჰყავდათ პირადი აღჭურვილობა. დერეფანში ტაბურეტებზე ორ რიგად ჩამომწკრივებულიყვნენ ახალბედები და გიმნასტურებზე თეთრ, ქათქათა საყელოებს ამაგრებდნენ. აკერებდნენ სამხრეებს და სპილენძის პრიალა ღილებს. მახნიკები ტურასავით დაძრწოდა მთელ ყაზარმაში და პეტრაშენკოს დავალებით წვრილ ფულს აგროვებდა. ამ ფულით საერთო სიგარეტებს, მიტკლის თეთრ საყელოებს და სხვადასხვა რამეურემეებს შეიძენდნენ, ალბათ...

„მოხუცებისათვის“ ეს ბოლო პოლიგონი იყო. მახნიკი მოვიხმე და ვთხოვე ვინმესათვის ჩემი ტანსაცმლის წესრიგში მოყვანა დაეკვლინებინა. თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ჯარისკაცებში აირია.

ზაფხულობით პოლიგონს არა უშავს რა. სიცივე არ გაწუხებს, რაც ყველაზე ძნელი ასატანია, დანარჩენს კი ყველაფერს როგორმე მოევლება. წინა პოლიგონი შუა ზამთარში გადავიტანეთ. ახალ წელსაც ბრეზენტის კარავში შევხვდით დათოშილები. აღარაფრის ხალისი არ გვქონდა. ერთმანეთს ჩახუტებულები ვეყარეთ ხის ნარეზზე და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდით, როგორმე არ გავყინულიყავით. ღამით თუ რომელიმე ჩვენგანს გაეღვიძებოდა, ყველას აღვიძებდა, რათა ძილში ვინმე ყინულის ლოდად არ ქცეულიყო. დილით თუჯის ღუმელს ვანთებდით. კარავი სითბოს ვერ იჭერდა და ამიტომაც ღუმლის ირგვლივ ყოველთვის ხელჩარული ბრძოლა იყო გამართული. როგორც კი ოდნავ დათბებოდა, მბენარებიც იღვიძებდნენ; სიმწრისაგან დაღრეჯილი სიფათებით შეეყურებდით ერთმანეთს და ფეთიანივით ვიქექებოდით... მერე ოფიცრები კარვებიდან გვყრიდნენ და სუსხიან ქაროში პოზიციებზე გვაგზავნიდნენ. ავტომატები გვამძიმებდა და შიშველი ხელი გაყინულ რკინაზე ისე მეწებებოდა, ძლივს ავაგლეჯდი ხოლმე... სროლის უფლებას რომ მოგვცემდნენ, სავაზნეს ერთ ჯერზე ვცლიდი, რათა ტვირთი როგორმე შემემსუბუქებინა... გვერდი ვიცვალე. მოგონებებზე მაყრჟოლებდა. თითქოს ჩავთბი კიდეც...

სადილი მოგვიანებით მოიტანეს. როგორც კი გზატკეცილზე მტვრის კორიანტელი ავარდა და პატარა მოშავო წერტილი გამოჩნდა, ვდოვინმა (რა ეშმაკი შეუჯდა), თითქოს გუშანით იგრძნო, რომ ჩვენები იყვნენ. სათვალეები მოიხსნა და მიმქრალ, მომწვანით თვალებში უჩვეულო ცეცხლი აუკიაფდა. დღე-ღამის მშიერები ვიყავით. შავი პურის უკანასკნელი ნაფხვენები ვდოვინმა ჯერ კიდევ გუშინ გადმოფერთხა ზურგჩანთიდან, მუჭში შეაგროვა და

მოწოწებით შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი და მან, ამით უკიდურესად გაოცებულმა და გულის სიღრმეში კმაყოფილმა, მხრების მანჭვით დაიწყო ლოღნა.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. საშინელ დღეში ვიყავით. შიმშილმა ყველაფრის ხალისი დამაკარგვინა. უკანასკნელად გუშინწინან, ღილით ვისაუზმეთ ბანაკში. მერე დივიზიის მეთაურის ბრძანებით, საარტილერიო დივიზიონი სასწავლო საბრძოლო პოლიგონზე გადმოგვისროლეს „სათარი განგაშით". დივიზიონის მთელი შემადგენლობა ორ-ორ კაციან ჯგუფებად დაგვყვეს და ერთმანეთისაგან ხუთი ექვსი კილომეტრის დაშორებით გადმოგვსხეს. დავალება არცთუ ისე რთული იყო. იმ ხაზზე, რომელიც ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, უნდა შეგვენარჩუნებინა წესრიგი, რათა შემთხვევით მგზავრს ან სამოქალაქო მანქანას პოლიგონის საზღვარი არ გადმოეხსა და ნაღმების წვიმაში არ მოხვედრილიყო. სროლას, როგორც გაგვაფრთხილეს ხვალისათვის, გვიან საღამოთი დაიწყებდნენ.

როგორც კი მანქანიდან გადმოგვსხეს, ინსტრუქციის თანახმად თადარიგი დავიჭირეთ. ვდოვინმა იმთავითვე ფუსფუსი დაიწყო. საიდანღაც ხის ხმელი ტოტები მოათრია. ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!.. სად ამოთხარა?!. ირგვლივ არა თუ ხე, უბრალო ბუჩქის ნასახიც კი არსად იყო. მერე ეს ტოტები ქვიშაში ვერტიკალურად ჩაასო და ზედ ბრეზენტის საწვიმარი ლაბადა გადაჭიმა. ჭკუის კოლოფი იყო, როცა საქმიანობდა, მომწონდა კიდეც. მაგრამ ვდოვინის მთელი უბედურება ის იყო, რომ ლაბადა მხოლოდ ერთი გვქონდა და მის მიერ სახელდახელოდ აგებული კარავიც მე მივისაკუთრე. მას ამაზე კრიტიკე არ დაუძრავს.

გზატკეცილის გასწვრივ მტვრის კორიანტელი თანდათანობით იზრდებოდა. მერე თანაზომიერმა გუგუნმაც მოაღწია. ვეება რკინის ხოჯო ენერგიულად მობობღავდა.

ვდოვინმა სათვალე გაიკეთა. მერე ჩემკენ წამოლასლასდა და მაგ[illegible] ძალღივით ჩაიმუხლა კარვის წინ. შევხედე და მოწყალედ გავუღიმე. ვდოვინს მუწუკებიანი, მზით ერთიანად წითლად გადატეტკილი სახე სასპასუხო ღიმილისმაგვარმა მოძძოობამ შეუტრხია. თითქოს მყუდროება დაგვირღვიეს. გულში რაღაც გაწყდა და მთელს სხეულში მოუსვენრობამ დაისადგურა. ვდოვინიც ადგილს ვერ პოულობდა. მშიერი ძაღლივით აცმუკდა. დრო რომ გაეყვანა, თუ ეს ძაღლური ცმუკვა დაეფარა, ჩექმები გაიხადა და გულმოდგინედ დაფერთხა. როდესაც ფეხსახვევებს იხვევდა, შევამჩნიე, რომ ფეხები ერთიანად დაწყლულებული ჰქონდა. იარები არცთუ ისე ახალი იყო, კანგადაღღეტილ ხორცს ამაზრზენი მოშავო-მოყვითალო ფერი დაჰკრავდა. ეტყობოდა, არაბუნებრივად დიდ ჩექმებს ატარებდა ფეხის ზომასთან შედარებით. ტანსაცმელიც ერთიანად დალაქავებული და გაზნიტული ეცვა. ფარული ზიზღი ვიგრძენი.

ზურგჩანთიდან ჯარისკაცური სველი ჟურჭლეულობა ამოვალაგე. გზატკეცილიდან ჩვენს რეზიდენციამდე ასი მეტრიღა თუ იქნებოდა. ვდოვინს თვალით ჟურჭლეზე ვანიშნე. იგი მორჩილად დასწვდა, აიღო და მანქანის დასახვედრად წაძუნძულდა.

საღილი ცივი იყო. შესაძლოა, გუშინდელიც. სალდათური ბორშჩით სავსე მათლაფა ცხელ ქვიშაზე დავდგი. ვდოვინმა თავისი წილი დამითმო — თეთრი პურის პატარა ნაჭერი. მე კიდევ ჭვავის ორცხობელას ნაფხვენები ვუწოლადე. ის ჩემგან არც თუ ისე შორს ჩაცუცქულიყო და თვალებგაბრწყინებული, აჩქარებით თქვლეფდა წვნიანს. ალუმინის კოვზს მალიმალ ატრიალებდა ხელში და ხმაურით ხვრეპდა და საყლაპავი მილის ფარისებრი ხრტილი მალიმალ აუდიოდ-ჩაუდიოდა.

მათლაფიდან დამპალი კომბოსტო რომ ამოთქვლიფა, ჩარჩენილი წვნიანი ერთი სულის მოთქმით გადაყლურწა.

შვებით ამოისუნთქა და პირი ბინძური ხელით მოიწმინდა... მოჯადოებულივით ვუყურებდი: ამ წუთში ის ადამიანის გარდა, ყველაფერს ჰგავდა. ჩემი მათლაფაც გავუწოდე. იუარა, მაგრამ, რომ ვუღირიალე, აიღო. ელამ თვალებში მადლიერების სხივი აენთო. ენით გამოუთქმელი სიბრალული ვიგრძენი. **მეუცხოვა.** ეს იყო, ალბათ, პირველი შემოხვევა ჩვენი შეხვედრის შემდეგ, როცა ის კი არ მეზიზღებოდა, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, მებრალებოდა კიდეც. სიბრალულს, აღარ მახსოვს, როდის გადავეჩვიე. აქ, არმიაში, სიბრალული ზედმეტი ტვირთია და მუდამ ხელს გიშლის იცხოვრო სხვებზე უკეთ. სიბრალული სუსტებისა და ავადმყოფების მოგონილია, მათგან მომდინარეობს, მათ გააფეტიშეს და ლამის სათნოებადაც აქციეს. სიბრალულის განცდა მათი ხვედრია, ვინც ბუნებისაგან ან ცხოვრებისგანაა მსჯავრდადებული. ძლიერს შეუძლია, სულაც მიაფურთხოს სიბრალულს, მათში ამ გრძნობას ზიზღი ცვლის, რადგან იგი ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება და იცავს მას, რაც დასაღუპავადაა განწირული. რისი დაღუპვა და განადგურებაც აუცილებელია, შანსია ძლიერთა გადასარჩენად. გარდა ამისა, სიბრალული ძლიერს საკუთარი თავის ფლობის უნარს აკარგვინებს. ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე დადამიანი არის ხიდი და არა მიზანი. ამიტომაც სიბრალული და დანდობა გაუმართლებელია...

მერე საკუთარი თავიც შემებრალა, რადგან მეც ისეთივე პირუტყვად წარმომიდგა თავი, როგორიც ვდგინი იყო. სევდა მომეძალა, არაფრის შეცვლა რომ არ შემეძლო, იმიტომ, იქნებ არც იყო რაიმეს შეცვლა საჭირო. ან იქნებ იყო კიდეც, მაგრამ მე მაინც ყველაფერი უაზროდ მეჩვენებოდა.

უეცრად ვიგრძენი, რომ უკვე ყელში ამომივიდა სამსახურიც, ეს ტრამალიც, ძაღლური კვება, მძიმე ჩექმები, ვდგინი, აუტანელი სიცხე, საკუთარი სანტიმენტალიზმი და სადიზმი, რომლებიც ბოლო დროს ისე შეერწყნენ ერთმანეთს, რომ ზოგჯერ ჩემივე [illegible] მეშინოდა კიდეც. სიმშვიდე მომენატრა. უზომოდ მომინდა, ყველასი და ყველაფრის არსებობა დამეივიწყებინა. მინდოდა დამეივიწყებინა, რომ ჩემს გვერდით არსებობდა ეს ძაღლისგადგებული ვდგინი. მინდოდა აღარ მეგრძნო მისი პირუტყვული სუნი: ოფლისა და ფეხის სახვევების შმორთან შერეული მისი ბუნებრივი სუნი; მისი აბსტრაქტული სუნი, რომელსაც ვერ აღვიქვამდი, მაგრამ ვიცოდი, რომ არსებობდა. მინდოდა აგრეთვე, არ გამეგონა ის გულისამრევი ხრაშა-ხრუში, ვდგინის მძლავრი, ორაგუტანგისებური ყბები რომ გამოსცემდა ჭავის ორცხობილას ჭამისას; მინდოდა, არ დამენახა, როგორ მიაქანებდა იგი უფორმო, შავი ხაბისაკენ ღორის ქონის მოხარშულ, მოთახთახე ნაჭრებს, ბავშვობიდანვე გულს რომ მირევდა. მინდოდა, როგორმე მესუნთქა გრილი ჰაერით, რადგან ისე მიჭიროდა სუნთქვა, თითქოს გამდნარი ქვიშა მეღვრებოდა ფილტვებში. და ბოლოს, მინდოდა, როგორმე მაინც გავთავისუფლებულიყავი მკბენარებისაგან, რომლებიც უკვე რამდენიმე კვირის მანძილზე მოსვენებას არ მაძლევდნენ და დამეძინა ღრმა, უშფოთველი ძილით, ისე, როგორც, უხსოვარ დროს, ოდესღაც, სადღაც იქ, ბავშვობაში...

იმის მერე, რაც ამ უკაცრიელ ტრამალზე გადმოგვსხეს, ცოცხალი არსება საერთოდ არ მინახავს. მთელი დღის განმავლობაში ვდგინი გუშაობდა. საღილის შემდეგ, იგი კარვისაგან მოშორებით ჩაჯდა. გიმნასტერა გაიხადა და თავზე დაიხვია. თავშეხვეული და წვერმოშვებული ვდგინი ავღანელ „დუშმანს“ ჰგავდა. სათვალე მოეხსნა და, ეტყობოდა, თვლემდა. ნასადილევს მე უნდა შემეცვალა, მაგრამ ყურიც არ შევიბერტყე. სასიამოვნო ბურუსმა ნელ-ნელა ჩამითრია და ჩამეძინა. ვდგი-

ზაზა ენუქიძე
მარტოდმარტო მარტოოდენ ბარეში

ვინმა ჩემი გაღვიძება ვერ გაბედა და მთელი ღამე მკვდარივით მეძინა. გამთენიისას, თვითონვე გავიღვიძე. ძილში ერთიანად გავოფლიანებულიყავი და დილის გრილმა ნიავმა გამომაფხიზლა. ვდოვინი ისევ ისე იჯდა: სახე მუხლებში ჰქონდა ჩარგული და ეძინა.

წყურვილისაგან ყელი მიშრებოდა. მათარა მოვიძიე, ცარიელი აღმოჩნდა. ვდოვინს გავდახე, მაგრამ არ გამომპასუხებია. წამოვდექი და მივუახლოვდი. მომაკვდავივით ხროტინებდა. ფეხი წავკარი. შეინძრა, მაგრამ არ გაუღვიძია. მუცლის არეში გველის სხეული გასრიალდა და შემამცივნა. ბოლო დროს, როცა ნერვებს ვერ ვიოკებდი, ყოველთვის ასე მემართებოდა. მეორედ წავკარი ჩექმის წვერი. აბჯერად ისე ღონივრად, რომ შექანდა და ფეთიანივით წამოხტა. უაზრო გამომეტყველებით შემომაცქერდა. წყალი-მეთქი, ვუღრიალე. თავისი მათარა მოიხსნა და მომაწოდა. ორიოდე ყლუპი ჰქონდა კიდევ შიგ ჩარჩენილი. მთლიანად გამოვცალე და მათარა ქვიშაზე მოვისროლე.

საზიზღარ ხასიათზე გავიღვიძე. მეც არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჯდა. კარავში დავბრუნდი, პილოტური მოვიძიე, დაჭმუჭნილი კიდეებიდან შავი დღისთვის გადანახული სიგარეტი დავაძრე და მოვუკიდე. სამი ღრმა ნაფაზი ისე დავარტყი, ნამწვი პირიდან არ მომიშორებია. სიგარეტი უფილტრო იყო და თამბაქოს ნამცეცები ენას მიწვავდა. ამან კიდევ უფრო გამიფუჭა ხასიათი. ქვიშაზე ზიზღით დავაფურთხე.

ვდოვინმა ჩემსკენ გადმოინაცვლა და ხარბად შემომაქცერდა. მისი ფილტვები ხმაურით ისრუტავდა ჩემგან დამაშვებულ ბოლს. თითქოს ისიც ვიგრძენი, როგორ დაებერა ფილტვებში ალვეოლები და როგორ დაუწყო წიწაწა თითოეულმა უჯრედმა მძაფრი სურვილისაგან. ვერაფრით გაებედა თხოვნა. მე სიამოვნებას მგვრიდა მისი ტანჯვა, რადგან ვიცოდი, მას ამ მწკლარტე, მახრჩობელა ბოლის გამო უაზროდ შურდა ჩემი. შესაძლოა, ვეზიზღებოდი კიდეც. სიგარეტი თითებს მიწვავდა უკვე და გადაგდება რომ დავაპირე, ხელგაშეფეთებულISSN 0234-0933მეც, სიგარეტს ანთებული წიწაწკლები დასცვივდა და თითებს შორის საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ბრაზისგან სული შემიგუბდა. უკან გადავიხარე, ქვიშას ორივე ხელით დავეყრდენი, მთელი სხეულით წამოვიწიე და ჩექმიანი წიხლი მთელი ძალით ვლაწე სიფათში. ვდოვინი მოწყვეტით დაეცა ქვიშაზე გულაღმა. მყისვე სათვალე მოიძია და, როცა დარწმუნდა, მთელი იყო, კმაყოფილმა შემომცინა. მისმა ბრიყვულმა ღიმილმა სულ გამაგიჟა. წამოვხტი და გამეტებით დავუწყე ცემა. ისე ყმუოდა, ქვას აატირებდა, ქვას კი აატირებდა, მაგრამ ჩემი გული ქვაზე ცივი იყო და კერკეტი. ვერ მივმხედარიყავი, რა მემართებოდა. სხვისი ტკივილის შეგრძნება, თითქოს მოთხოვნილებად გადამექცა, განსაკუთრებულად მისი, ვდოვინის. როგორც კი ცნობილი გახდა ჩემთვის, რომ მასთან მომიწევდა ყოფნა, ფარული კმაყოფილება ვიგრძენი. ასეთ კმაყოფილებას გრძნობს, ალბათ, ობობა, როდესაც თავის აბლაბუდაში გაბმულ ბუზს აღმოაჩენს. არ ვიცი, შეუძლია, თუ არა ობობას სძულდეს ბუზი, რომელიც უკვე მას ეკუთვნის და რომელსაც უნდა დაეწაფოს თავისი სასიკვდილო ნესტარით, სანამ ერთიანად არ გამოწოვს და გამოფიტავს. მე მგონია, მსხვერპლი უყვართ. ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა, უყვარდეთ. მსხვერპლზე აღზევება ყოველთვის იდუმალი ძალაუფლების შეგრძნებას ბადებს. სწორედ ამიტომ მექცა მეც ბატონობისაკენ სწრაფვა მოთხოვნილებად. ეს იყო ჩემთვის ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ. ეს გზა აღვიძებდა ჩემში მხეცს.

დაუზოგავად ვცემდი. ვდოვინი წამოდგომას ლამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სეტყვასავით ვაყრიდი წიხლებს. ბოლოს მაინც შეძლო და კოჭში ფეხი გამომკრა. წონასწორობა დაკარგე და უკან გადავვარდი. კეფით რბილ ქვიშაზე დავეცი. ვდოვინი გაჭირვებით წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიზლაზნა. სიფათზე შეეხედე და გული შემიქანდა. მისი სახე არაადამიანურ მძულვარებას და მრისხანებას გამოხატავდა. ოთხკუთხა ყმა გვერდზე მოჭქეოდა და ცოფს ანთხვედა. სათვალე არ ეკეთა. მუდამ უფერული, მიმქრალი თვალები ახლა სისხლისფრად ანთებოდა. ვდოვინი ამ წუთში მხეცი იყო თვითონაც, პირწავარდნილი მხეცი, მზად იყო, დაეგლიჯე. ნაკუწებად ვეკცეე და მერე, ალბათ, ჩემს სისხლსაც დაეწაფებოდა. უკან-უკან გავხოხდი, ისე რომ არ წამომედგარვარ. სხეული ზამბარასავით მეკუმშებოდა. გულისცემა შემიჩერდა. თითქოს სისხლი გამეყინა ძარღვებში. ყოველ წამში თავდასხმას მოველოდი, მაგრამ ვდოვინი სულაც არ ჩქარობდა. ის ახლა ყველაფერზე წავიდოდა. არასოდეს მინახავს ამგვარად გამბოროტებული ადამიანი... ხელით რაღაც საგანს წაეაწყდი. არ დამიხედავს, მაგრამ ვიგრძენი მისი ბასრი პირი. ფრთხილად ჩავბღუჯე, ისე რომ ვდოვინისათვის თვალი არ მომიშორებია... ის ვერაფერს ამჩნევდა და თანდათან მიახლოვდებოდა... გულში იმედი გაკრთა... ხელთ გადარჩენის შანსი მეპყრო და მთავარი იყო, როგორმე დამესწრო...

ტრამალს ნელ-ნელა ეკიდებოდა ბინდი და დღისით ოქროსფერი ქვიშა ოდნავ შესამჩნევად მუქდებოდა. ღამით ტრამალი და სიბნელე ერთმანეთს ერწყმის, მათ შორის თითქოს ყოველგვარი საზღვარი იკარგება და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს უფსკრულში ხარ გამოკიდებული.

პოლიგონიდან სროლის ხმა აღწევდა. თავდაპირველად ორმოცდახუთმილიმეტრიანებიდან ისროდნენ. მერე ასოცდაორმილიმეტრიანებმა გახსნა ცეცხლი. ნაღმები სადღაც შორს, ტრამალის შუაგულში სკდებოდა. ნაღმების სკდომის ხმა გასროლისას არ ჰგავდა, უფრო ხანგრძლივი იყო და უფრო მყიფე. მერე შორეთიდან ტანკების თანაზომიერმა გუგუნმაც მოაღწია.

შეუმჩნეველად აგრილდა, მაგრამ ქვიშა კვლავინდებურად თბილი იყო... ის მხოლოდ გვიანი ღამით ცივდებოდა. ძილისათვის მოვემზადე. შინელი ძირს დავაფინე და შიგ გავეხვიე. ზეცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და თავი ასე მშვიდად არასოდეს მიგრძვნია...

მერე რაღაც გამახსენდა. წამოვდექი და კარვიდან გამოვძვერი. ვდოვინის გვამს მივუახლოვდი და შინელი გადავაძარე, დღისით ბუზებისაგან დასაცავად რომ გადავაფარე. ბუზები კი, მწვანე ზურგიანი, საზიზღარი ბუზები კარგა ხნის წინ გაფრენილიყვნენ. არ ვიცი, საათ?! რაღაცატომ მომინდა გვამს ხელით შეეხებოდი, მაგრამ ვერაფრით დამეძლია ზიზღი. ბოლოს ვძლიე და გაშლილი ხელისგული შუბლზე დავადე: ყინულივით ცივი და არაბუნებრივად მშრალი კანი ჰქონდა. შუბლიდან ლოყაზე ჩამოვუსვი, უხეშმა წვერმა ხელისგულები დამიჩხვლიტა. ცივად მოვაშორე...

ყოველთვის მეგონა, რომ ცხედრის სიახლოვე შიშით დამთრგუნავდა; ჩემი ვარაუდი არ გამართლდა; კმაყოფილი გამოვბრუნდი.

ამჯერად ვდოვინის შინელი ძირს ქვიშაზე გავფინე, ჩემი ზემოდან გადავიფარე. ცას ავხედე: ვარსკვლავებით იყო მოჭედილი... თავი ასე მშვიდად არასოდეს მიგრძვნია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატვრა

ნეტა იმას მოვესწრო
ყველა სტუმარს თავისი
მოენატროს სახლი,
თორემ ზოგი ისეა
სხვის სახლ-კარს შეჩვეული,
ვერ გააგდებ სახრით,
ის კი არა, უფროსობს
მოგონილი რიხით და
მასპინძელის სახით...
ნეტა იმას მოვესწრო
ყველა სტუმარს თავისი
მოენატროს სახლი.

ნეტა დაბრუნდებოდნენ
შორს წასული და ჩვენთვის
დაკარგული ძმები,
რომ საკუთარ მიწაში
დაასვენონ დაღლილი,
დაქანცული ძვლები,
ნეტა ექცეთ სამშობლოს
სიყვარულის ტვირთი
ძნელი გასაძლები,
ნეტა დაბრუნდებოდნენ
შორს წასული და ჩვენთვის
დაკარგული ძმები.

ნეტა ნატვრა მანატრა,
მჭონდეს ჩემი მამული
იით მოსაქარგი,
მყავდეს მრევლი ერთგული
გულზე ამოკვეთილი
საქართველოს თარგით,
მჭონდეს ბევრი ამბავი
„სპარსულლიდან“ ქართულად
ლექსად მოსათარგმნი,
ნეტა ერთხელ მანახა
ქართლის გამთელებული
ძველისძველი თარგი.

ჩემს სალოცავ ტაძართან
წვანან ქვეწარმავლები
დაღლილები როკვით,
დამაქვს გაბრუებული
თავი აკივლებული
საშინელი როკით,
სიყვარულის სანაცვლოდ
ცრემლს მასმევენ ყოველდღე
ფუთიანი კოკით,
ნეტავ კიდევ რამდენჯერ
გამიხდები გულისთქმავ
ჯაჭვით მოსათოკი...

მალე ნატვრა ამიხდეს
მჭონდეს ჩემი მამული
იით მოსაქარგი,
ნეტავ ერთხელ მანახა
ქართველის გამთელებული
ძველისძველი თარგი.

ეჭვი

სიყვარულის ნაკრძალში
ეჭვი-ბრაკონიერი,
ისე ჩასაფრებულა
ვით ბოროტი სული,
ეჭვი არც ახალგაზრდა,
მაგრამ ჯერ არც ხნიერი,
ვით ობობა მსხვერპლიან
ძაფთან გასუსული.

ეჭვი არც მთლად სულელი,
მაგრამ არც გონიერი,
მკვლელი სიყვარულის და
მშობი სიძულვილის,
ეჭვი სევდის მთესველი,
ძუნწი, მუდამ მშიერი,
ეჭვი დიდი მიზეზი
გატეხილი ძილის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ მსხვერპლის მძებნელი.
გულცივი და ცბიერი,
ფერწასული, ვით ლოდქვეშ
ხავსი უსუსური.

სიყვარულის ნაკრძალში
ეჭვი-ბრაკონიერი
ისე ჩასაფრებულა,
ვით ბოროტი სული.

ახალი დრო

რა სასწაული დრო დადგა
ნიღაბს იხსნიან მტრები,
სიმშვიდეე, დაო, კეთილო,
აწ უფრო მენატრები,
ემატებიან ნამდვილ მკვდრებს
მოხეტიალე მკვდრები,
ფრთხილად გულს ფარი უფარე,
ნიღაბს იხსნიან მტრები...

რა სასწაული დრო დადგა,
ნიღაბს იხსნიან ძმები,
ჩალად ქცეული რწმენის და
დიდი სიკეთის ძნები,

კვლავ ბევრ საჩუქარს გვპირდება
ეპოქალური ძვრები,
სირაქლემებო, სილაში
უკვე ტყუილად ძვრებით.

რა სასწაული დრო დადგა,
ისმის სხვაგვარი ჰანგი,
ვარ თუმცა გაბრუებული
დროის უაზრო ბანგით,
იმედის მჭვრეტი მახვილი
რომ არ გამიხდეს ბლაგვი,
— ღმერთო, მომეცი მოთმენა,
ვამბობ გაყინულ ბაგით.

დეიდა და მამიდა

დედ-მამა უდროოდ წავიდა
იქ სადაც სინათლე სიბნელით
ბრუვდება,
იქ სადაც მიდიან ყველანი
და არვინ ბრუნდება...

ვის ვთხოვო უსაზღვრო სიკეთით
უწამლოს მათსავით ჩემს ტკივილს
დღეიდან,
შენ, ჩემი დედიკოს დაიკოვ,
შენ, ჩემო დეიდა.

უნათლეს კელაპტარს ვინ მინთებს,
იმედით მაბრუნებს უკუნი ღამიდან,
შენ ჩემი მამიკოს დაიკოვ,
შენ, ჩემო მამიდა.

დანატრულ სითბოს და სიხარულს
ვით ია მზიდან და ციმციმა ნამიდან
მე შენგან ვღებულობ, დეიდა
და შენგან, მამიდა.

ისევ იმას ვენაცვალე

ვინც მიყვარდა, კვლავ ის მიყვარს,
ისევ იმას ვენაცვალე,
მისთვისა მაქვს ენა ტკბილი,
მისთვისა მაქვს ენა მწარე.

სიყვარულის ჯადო თასი
შარბათისგან ვერ დავცალე,
რადგან ისევ იგი მიყვარს,
ისევ იმას ვენაცვალე.

მისი კერის ცეცხლი ვარ და
იმ კერას მსურს ვენაცარო,
ვინც მიყვარდა ისევ მიყვარს,
მინდა იმას ვენაცვალო,

ჩემი ბედი საოცარი
ვერაფერზე ვერ გავცვალე,
ვინც მიყვარდა ისევ მიყვარს,
ისევ იმას ვენაცვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბასშო გრძნობების გარეშე

მოთხრობა

შემოდგომის ცა ისეთია, თითქოს მინისთვის საპინი აკაფებული ჩვარი გადაუსვიათო. საღამოვდება. გელა ფეხით მიუყვება მტკვრის სანაპიროს. აკაკ ქვის მოკირწყლ იდაყვდაყრდნობილი ადამიანები გარინდულთან და მდინარეს ფიქრიანად ჩახეკერიან. ზოგიერთის ხელში ანკეი უჭირავს და მოთმინებით ელოდება საკუთარ მსხვერპლს. მათ ზურგს უკან ქალაკი ხმაურობს. ავტომანქანები განუწყვეტლივ მოძრაობს. თთაწმინდის ფერდობებზე იარუსებად შეფენილი ძველი უბანი მოჩანს. მიჯრით მიწყობილი სახლებს შორის, ფოთოლშემკმარი ხეები ამორჩიალა. ფუნიკულიორის ვაგონი ცოდვილივით მიხოხავს წმინდა მთაზე. გელა არ ჩქარობს. იგი დროზე ადრე გამოვდა სახლიდან და შეგნებულად აარიდა თავი ტრანსპორტს, რათა ქალაქშეიღლთან შეხვედრის დრო გიეხანგრძლივებინა. გელა ოცდაოთხ წლის, უცოლშვილო კაცია. არადა, ცხოვრების მანძილზე რამდენიმე ქალიშვილი გატაცებით უყვარდა, თითქოს საპასუხო სიყვარულსაც გრძნობდა მათგან, მაგრამ საჭმე შეხვედრებსა და საუბრებს არ გასცილებია. გასაკვირი ის არის, რომ გელასთან ასეთი ურთიერთობის შემდეგ, ქალიშვილები სულ მალე თხოვდებოდნენ. გელას უნებლიედ წარსულის გაცრეცილი სურათები წარმოუდგა თვალწინ. მაინც, როდის შეიცნო პირველად ქალში ქალი? მოაგონდა, დედას და ბებიას როგორ დაბაუვდათ იგი „ჭრელი ბანის" ქალთა საერთო განუფიფლებაში. კარგად ახსოვს მოზრდილი აუზი, ცხელი, ზოგიერდოვანი წყალი, წყლის ორთქლისაგან ჩამოწოლილი ბურუსი, ლანდებივით მობორიალეკ უამრავი ქალი და გოგირდის თავისებური სუნი. უველაზე ნათლად გელას პატარა გოგონა დაამახსოვრდა, რომელსაც ერთი ხელი ყურზე ჰკონდა აფარებული, ცალ ფეხზე ხტუნაობდა, სკელ ქალს მბიარსულად რაღაცას ეუბნებოდა და მობრალი მიღიდან გადმოდენილ წყალს ბრძელ თმას უშვერდა. ერთხელ, ბებიამ თანამშრომლებმა გელა ალარ შეუშვეს ქალთა განუფიფლებაში. დედა და ბებია თეთრხალათიან ქალებს თავგამოდებით არწმუნებდნენ, ჯერ კიდევ მოლად ბავშვია, არა გიგგება რაო, მაგრამ ვერაფერს გახდენენ. გელა დარცხვენილი იდგა და უკვირდა, რატომ არ შეიძლებოდა მისთვის იმ დიდ ოთახში შესვლა, სადაც უამრავი ქალი ირეკა და გრძელლთმიანი გოგონა ცალ ფეხზე დახტუნაობს. გელა თავდახრილი იდგა ბებიის ვიწრო დერეფნის ერთ კუთხეში და ცდილობდა, გოგირდის სუნსა და წყლის ორთქლისაგან დამდგარ ბურუსს მიღმა ის რაღაც გიერქია, რისთვისაც ბებიაში შესვლა ეკრძალებოდა.

ერთ ზაფხულს, შეღამებულზე, გელა სანერთო აივანზე თავისთვის თამაშობდა. უეცრად სახლში სინათლე გამოირთო.

— გელა, გელა! ცოტა ხნით აქ მოდი! — შემოესმა გელას მეზობელი ქალის ხმა და ფარფარი აივნის მეორე ბოლოსაკენ გაეშართა, შემდეგ სიცხის გამო. ღიად დატოვებულ კარში შევიდა, დერეფანი ფრთხილად გაიარა და სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა. ოთახი ფანჯრიდან შემოსავალი მთვარის შუქით მკრთალად იყო განათებული. დივანზე მჯდომ ქალს ჩვილი ბავშვი გულში ჰკავდა ჩაკრული.

— გელა, ძალიან გიხოვ, მაგიდაზე ასანთი იპოვე და სანთელი აანთე. — მუდარით თქვა ქალმა.

გელამ მაგიდაზე ასანთი მონახა და სანთელი აანთო. ოთახი განათდა. ქალი თოთო ბავშვს ძუძუს აწოვებდა. გელა მათ მიუახლოვდა. ქალმა გაულიმა და მკერდზე მიკრული ჩვილს თავზე გადაუსვა ხელი. უეცრად ოთახში ქალის ქმარი შემოვიდა. გელამ ახალმოსული შეხედა და კაცის დახნეულ თვალებს გადაეკარუდა. შემდეგ ქალს მიაპყრო მზერა, რომელსაც ეფინა ნელნელი მზიარული იერი შეცვლოდა, სიხარეზე ჩამოვარდა. გელამ იგრძნო, რომ მის გამო შეიქმნა ასეთი არასასიამოვნო მდგომარეობა, მაგრამ რა დაეშვა, ვერ გიგეკნიავმა დაბჯარა და სანთლის ალი შეშინებულივით შეკრთა. გაუნძრევლად მჯდომი ქალის ჩრდილი კედელზე შეეკანდა. ახალშობილმა წამოიტირა და ხელები აიქნია. დედამ შეწუხებული ჩვილი მუხლებზე დაიწვინა და სანთლის შუაზე ქალის ქალეკთა მკერდი გამოჩნდა. მამაკაცს სახე დაძაბვოდა და მონუსხული შესცქეროდა ცოლს. ქალი შეკრთა. ალბათ, ქმრის დაფიქნებული მზერაზე მიხვდა, რომ მის წინ პატარა ბავშვი კი არა, უკვე სიმწიფეში შესული ბიჭი იდგა. გელა ადგილიდან ვერ დაძრულიყო. ქალი მოშიშვლებულ მკერდს არ იფარავდა, რაღაც ხვდებოდა, ახლა ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ასეთი მოკმედებით მხოლოდ იმას დაამტკიცებდა, რომ მის წინ მდგომი ბავშვი მართლა ბავშვი კი არა,

ლამის მოწიფული ბიჭი იყო, რომელსაც რაღაც-რაღაცები უკვე გაეგებინოდა და, ამდენად, იგი თავისთვის არ უნდა შეეშვა სახლში, არ უნდა დაენახვებინა შიშველი მკერდი. თავის მართლებას ბზარი არა ჰქონდა. ქალი ყოველნაირად ცდილობდა გულგარინი იერის შენარჩუნებას. გელა მიხვდა, რომ თეთრად მოელვარე ძოძუსთან ერთად, მასაც მიუძღვიდა ბრალი მამაკაცის აღელვებაში და უზერხულობის გასაფანტავად, ჩვეულებისამებრ, თვალები დახუჭა. ადრე ეს ხერხი შველდა ხოლმე, მაგრამ ახლა ალარ გამოადგა, რადგან თვალების მაგივრად ახლა გონება ბუდავდა. გელამ თვალები გაახილა და კვლავ შემოაწოთა ქალქალთა მკერდმა. მოეჩვენა, თითქოს ოთახი ამბანის წესლის ორთქლით აივსო და გოგირდის სუნიც იგრძნო. ამჩერად ბურუსში მობორიალე ქალების სხეულებმა, რადაც დასრულებული სახე მიიღეს და გელა მიხვდა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ მას ამბანის ქალთა საერთო განუოფილებაში შესვლა აუკრძალეს. ოდვა და საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. მეტის ატანა ალარ შეიძლებოდა. სწორედ ამ დროს საიდანღაც მონაბერმა ნიავმა სანთლის ალი კვლავ აციმციმა.

— ცივა, ეტეობა კარი ღია დაგრჩა, — შეებით თქვა ქალმა და სასწრაფოდ დაიფარა მკერდი. გელამ იგრძნო, როგორ გაღლვა ოთახში გამეკრთვებული დამბალობა და რანაირად დაწყდა ის დაჭიმული ძაფები, რომლითაც სმინ ადამიანნი დაკავშირებოდა ერთმანეთს (მეოთხე, თითო, მხედველობაში არ მიიღებოდა). ამ შემთხვევამ გელას მეზობელი გოგოს უცნაური საქციელიც აახსნევინა.

რამდენიმე წლით უფროს გოგონასთან გელას გახუპრება უყვარდა. განსაკუთრებით ერთი ოინი მოსწონდა. იგი გოგონას უკანიდან ჩუმად მიეპარებოდა ხოლმე და ილლიებში სტაცებდა ხელებს. ირმა მოულოდნელობისაგან ერთი შეხტებოდა და შემდეგ, გელასთან ერთად, გულიანად იცინოდა. ერთხელ გელა გოგონას უკანიდან ეჩურჩულა მიეპარა და ხელები საკმაოდ ამობურცული ძოძუების სიახლოვეს, ილლიის ქვეშ შეუცურა. ირმა მოულოდნელობისაგან ძველებურად შეცხა, მაგრამ ადრინდელივით სიცილი ალარ დაუწყია. მან ბიჭს მწუარალად, რაღაცნაირ ზიზღით შეხედა და ალელვებით უთხრა, იცოდე, სხვა დროს ალარ შეგიშვიო. გოგონას მოულოდნელი საქციელით მონუსხულმა გელამ, ხმის ამოღება ვეღარ შეძლო და, განაწყენებულს, თვალებზე ცრემლი მოადგა. იგი მოგვიანებით მიხვდა, რომ მაშინ ირმა არ ტყუოდა, რომ გოგონას გაფიცებების მიზეზი მოწიფული მკერდი იყო. პატარა ბიჭის ხელის შეხება, გასაგებ ზიზღს იწვევდა ახლად წამოჩიტული ქალიშვილში. მკერდმოშვლილებული ქალის ნინ მდგომმა გელამ. ცხადლივ შეიგრძნო მის თითებს მოხვედრილი ორი ამობურცული, გაბეტონებული ბავნი და საკუთარი თავის შეიძულება. ახლაც, წლების შემდეგ, რაიმე მეგობარი ბავნის შეხებისას ეს ამბავი ახსენდება და ხანგზე სიმხურვალე უვლის. ასეთი შემთხვევები თანდათანობით ფარდას ხდიდა ქალურ საიდუმლოებებს და რაც უფრო მეტ გამოცდილებას იძენდა ამ საქმეში, სითამამის ნაცვლად, გაუბედოვნა ემატებოდა.

გელას დიდი, ნაცრისფერი კატა მოაგონდა, ძველი, ორსართულიანი სახლის ერთ-ერთი ფანჯრის რაფაზე რომ იწვა ხოლმე. სახლი სკოლისკენ მიმავალ გზაზე იდგა. დილით, როდესაც კუჭა მოსწავლეებით ივსებოდა, მეორე სართულის ფანჯარა გაიღებოდა, კატის გვერდით, საშოალო ასაკს გადაცილებული, რაფაზე იდაყვებაჯენილი, სასიამოვნო შეხვედრობის, მკერდგაღელილი ქალი გამოჩნდებოდა და ურცხვი ღიმილით დაიჩრდილებოდა მოსწავლე ბიჭებს. უფრო თამამები და ასეთ საქმეებში გათვითცნობიერებულნი, სარკმლის წინ ჩერდებოდნენ და ვარდისფერი ხალათიდან ამოჩრილ მკერდს თვალს უშტერებდნენ. სხვები მხოლოდ ნაბიჯს ანელებდნენ და მალულად უკვირტდნენ ქალს. ზოგიერთნი კი პირიქით, თავდაბრალნი სწრაფად აგრძელებდნენ გზას. გელას არ უნდოდა ურცხვ ბიჭებს ჩამორჩენოდა ვაჟაკაცობაში და სარკმლის წინ მათთან ერთად ჩერდებოდა, მაგრამ ძოძუების მაგივრად, რომლებიც ასეთ დროს კიდევ უფრო შეშვლდებოდა, დიდ კატას შესცქეროდა. ერთხელ, გელას სკოლაში წასვლა დაგვიანდა. იგი სწრაფად, თავჩაღუნული მიდიოდა და ვერც კი გიგო, როგორ მიუახლოვდა ორსართულიან სახლს.

— ბიჭი, ბიჭი! — მოესმა გელას მალლიდან ქალის ხმა. იგი შედგა და გაღებული ფანჯრისკენ აიხედა. ფანჯრის რაფაზე გადმოყუდებული ქალი ნაცვლისაგან იღიმებოდა. გელას რაღაც ეუცხოვა, უნდოდა ქალის მკერდისათვის თვალი აერიდებინა, მაგრამ ნაცრისფერი კატა რაფაზე ალარ იწვა, ამიტომ ძალაუნებურად ქალის სავსე მკერდს მიაჩერდა და მარცხენა ძოძუზე, ილლიის მხარეს, ორი ხალი შეამჩნია.

—კარგი ბიჭი ხარ, — ქალმა ორივე ხელი ხალათის ნაპირებს ჩაავლო და მკერდის დაფარვას შეეცადა. — იცი, ჩემი კატა მოკვდა.

გელა ახლალა დააკვირდა ქალის თვალებს, რომლებშიც უსაზღვრო სევდა ჩამდგარიყო. იმ დღიდან მოყოლებული ფანჯარა ალარ გაღებულა და მკერდგადმოდებული ქალი დიდ, ნაცრისფერ კატასავით გაქრა. დაბურული სარკმლის წინ ამაოდ ჩერდებოდნენ ურცხვი ბიჭები, ხოლო ყველაზე თამამები კენჭებსაც კი ესროდნენ ფანჯრის მინებს. გელა ზშირად ფიქრობდა ამ ქალზე, უფრო სწორად, ორ ლამაზ ხალზე. ნუთუ არავინ დაინტერესდა

ამ ხალებით და თუ დაინტერესდა, როგორღა შეეელია? იქნება ქალი ფანჯარაში ახე უსამსმად დგომით, საკუთარ თავს არწმუნებდა რომ ვიღა�აელდვება კიდევ შეეძლო. თავის დროზე უთოოდ არ გაეფერთხლდნენ მის სათუთ გრძნობებს. გელას ცნობიერებაში ეს ორი ხალი მარტოსულობის სიმბოლოდ იქცა.

ნეტავ, სიყვარულის განცდა მარადიულია? დროის დინებასთან ერთად ხომ არ კრება ყველაზე დიდი სიყვარულიც კი? ბაბუის უცნაური სჯე

— კეთრთხილები. ბოლო მოელის თქვენს მოიმენობას! — მოუკრთი თქვა კაცმა და იკა-ურობას. გასკილდა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში სანატრელ ადგილას, გისოსებიანი ფანჯრის კუთხეში ფარდა აღარ აწეულა. მოგვიანებით კვლავ ძველებურად გაჩრილდა ყველაფერი. ბიებები ისევ ირაბებიდნენ წამლის ხესთან და თავიანთ რიგს მოთმინებით ელოდნენ. გელამ მათი ნალმპარაკეცდიან შეიტეკო. რომ დედაბერი ახალგაზრდობში საკუთარი შვილის მსგავსად იკცეოდა. ფფრო სწორად, მან ანწყალა კალიშვილს ასეთი ეშმაკობა. ის დიდი ლოდიც. ალბათ, ამ დროსაა მითრეული წამლის ხესთან. ახლა ბავშვობებულ ლოდზე მაშინდელი ეზაწეილაკეების შვილები და შვილიშვილები დგანან და რკინის გისოსებზე ხელებჩაფრენილნი, ოთახში იყურებიანან. რკინის გისოსები მათ სიმედიდე ჰყოფს იდუმალი სამყაროსგან. მაინც, რა უბიძგებდა ქალს ასეთი მოკმედებისაკენ? ალბათ მახინჯი გარეგნობის გამო, მოყლებული იყო საკუთარი სხეულით მოგვრილი სიამაყის განცდას და ამ გზით ცდილობდა ქალური თავმოუკარეობის დაკმაყოფილებას. ის ამბავი, რომ ფანჯრასთან მიწრიალე ბიებები მისი სხეულის დასანახად მთელ საათს წამლის ხესთან ატარებენენ. გარკვეულ რწმენას მატებდა. ასეთნაირად შეძენილი რწმენის წყალობაა, რომ დედაბერს თავის დროზე კალიშვილი შეეძინა და მის ცხოვრებას აზრი და გამართლება მიეცა. ყველაზე გაკრული სურათებიდან მომზიარალ მამაკაცებს არ შეეძლოთ ქალისათვის იმედის მინებება. რკინის გისოსები და მის მიღმა არსებული სამყარო. გელას ნარმოდგენაში ახლაც მკაფიოდ აისახა.

სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, როდესაც გელა მშობლების გარეშე. მეგობართან ერთად წავიდა ზღვაზე. დასასვენებელი სახლის მეზობელ ნობერში ბიებებმა მათზე რამდენიმე წლით უფროსი ქალიშვილები გაიცნეს. ქალები ლენინგრადიდან იყვნენ ჩამოსულნი. მეორე დღეს ბიებებმა მშრალი საჭმელი და სამი ბოთლი არაკი იყიდეს. ქალიშვილებმა კი სუფრაზე რომანტიკული გარემოს შესაქმნელად, სანლოცი შეიძინეს. სუფრა ლენინგრადელების ოთახში გაშალეს, სინათლე გამორთეს და სანთლები აანთეს. მართლაც ლამაზი იყო ყველაფერი, სანთლების მიბნედილი შუქი, იივნის მოაჯირზე ჩამოშვებული დიდი მთვარე, ზღვის განუწყვეტელი დგაფენი და, რასაკვირველია, სხეიგაკეცილი ქალიშვილები, რომლებიც ახალგაზრდებს სულ მალე დიდ საიდუმლოსთან ზიარებას ჰპირდებოდნენ. სახმელი ნახეკრად დალიეს და ოთახებში დაწვეულდნენ. გელა ლენინგრადელების ოთახში დარჩა. იგი ქერა. ცისფერთვალება ქალიშვილის პირდაპირ იჯდა. იივნზე ბახსვლელი კარიდან თბილმა ნიავმა დაბერებულ სანნოლის ალი აცეკვდა და ქალიშვილისა [illegible] ლი კედელზე შეიარხა. ანაზდად გელას [illegible] ბელი კაცის დაძაბული სახე, ჩელის აკნეული ხელები, მკერდშეშველი ქალის კედელზე შეკანტული ჩრდილი და ორი ლამაზი ხალი გაახსენდა და ტანში ბახკაა. მის წინ ჭდოში ქალიშვილი მკლავზე ეალერსებოდა და ვნებიანად უოლობდა. გელას მეზობელი გოგოს ზაზოლნარეკი გამოხედვა გაახსენდა, თავი უფროს ბავშვად იგრძნო, მაგიდიდან წამოდგა. ივნის მოაჯირზე შემომჯდარ, მარჯვნივ გადაკეცილებულ მთვარეს შეაკერო მზერა, ოთახიდან სწრაფად გავიდა და ანგარიშგიუეცელად გიემართა ზღვის სანაპირისაკენ. ადვილი არ იყო რკინის გისოსებით ფაცულ სამყაროში შეღწევა. ივნის მოაჯირზე შემომჯდარი მთვარე გელას დამარცხების სიმბოლოდ იქცა.

მიუხედავად ქალთა სკეტისადმი მორიდებული დამოკიდებულებისა, რაც ზემოთაღწერილი და მსგავსი ამბებით იყო განპირობებული, სიყვარული გელას მაინც თავისკენ ეწეოდა.

მაშინ თორმეტი წლის იქნებოდა, თანაკლასელი გოგონა რომ მოეწონა. გოგონას მზია ერქვა. გელა ყოველნაირად ცდილობდა, რათა მასთან ახლოს ყოფილიყო. არც მზია გაურბოდა მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, რომ გოგონა, თავის მხრივ, სხვა ბიჭთან სიახლოვეს ეხერხებოდა. ბიჭს ზაზა ერქვა. ფიზკულტურის გაკეკთილზე ტანდაბალი ზაზა, ბიჭებს შორის რიგში ყველაზე ბოლოს იდგა. მის შემდეგ გოგონები მოდიოდნენ. მზია გოგონებში სიმაღლით მეხუთე იყო. გელას არაერთხელ შეუმჩნევია, ბავშვური გულუბრყვილობით, როგორ დგებოდა მზია ფეხის წვერებზე, რათა მაღალი გამოჩენილიყო და ზაზას ყვერილი დაეკენებინაა. ერთხელ ზაზა და მზია რაღაცაზე ეაიჩხუბნენ. გოგონა ბიჭს გაებუტა. მზია ახლა თოელ დღეს გელასთან ატარებდა. მაგრამ ეს საოცენბი ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. ფეხის წვერებზე დამდგარი გოგონა შემდომ მრავალჯერ გახსენებია გელას.

სტუდენტობისას, თანაკურსელი ქალიშვილი შეუუვარდა. ქალიშვილს ანა ერქვა. ყველას თვალწინ ანა ლოყაზე ჰკოცნიდა. გელას ვერ გადალეწვიტა, ეთხოვა თუ არა ანასთვის ცოლობა. რაღაც ბორკავდა, თითქოს ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ ქალიშვილი დადებით პასუხს მისცემდა. იმ საღამოს, ახლო მეგობრები თანაკურსელის ბინაში შეიკრიბნენ. მათთან ერთად უფროსკურსელი ბიჭიც მოხვდა. ცოტა დალიეს, შემდეგ გელამ ანასთან ილაპარაკა. ქალიშვილი ძალიან მხიარული ხასიათზე იყო და სახე უჩვეულოდ აღეზნებოდა. გელა სიგარეტის მოსაწევად გავიდა ივანეზე. იქიდან შემობრუნებულმა დაინახა,

Digitized by Google

რომ ანა და უფროსკურსელი ბიჭი ერთად ცეკვავდნენ. ქალიშვილი ცდილობდა, რომ მასზე ბევრად მაღალი ბიჭისათვის კისერზე თავისუფლად შემოეხვია ხელები და დრო-დადრო ფეხის წვერებზე დგებოდა. ელასს ფიზიკურტარის გაკეთილები გაახსენდა და ბაზედა, რომ მისთვის ქალიშვილი სამუდამოდ დაკარგული იყო. როდესაც სახლიდან გამოვიდნენ, ანამ თანაკურსელ ქალიშვილს უთხრა, ამას ბიუფეიო ჰქვიაო ელასზე ანიშნა. თვითონ კი უფროსკურსელს გამოსწორ ხელკავი და დაწინაურდა. ელასმ ანას სიტყვები გიიგონა და ცას ახედა. მოწმენდილ ცაზე გაბეკენდელმა ნაფეხ მთვარემ ოიენის მოაკირაზე ჩამოშვდერი დიდი მთვარე გაახსენა და ნაღვლიანად გაეღიმა. სიყვარულში მის მარცხს ახლაც ნთვარე შეპჯუნებდა. ერთი თვის შემდეგ, ანა უფროსკურსელს მისთხოვდა. მხოლოდ მაშინ შეიტყო ელასმ, რომ უფროსკურსელს და ანას ადრე ერთმანეთი უყვარდათ.

ელასს მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა, როდესაც თანაშრომელი ქალიშვილი შეუყვარდა. ქალიშვილს თვა ერქვა. თეა თითქოს გულგრილი არ იყო მისდამი. რამდენჯერმე თეატრშიც იყვნენ ერთად. სარეამარტოდ, სამსახურში პატარა სუფრა გაშალეს. ელასი ოდნავ შეთვრა. სამსახურიდან გამოსვლისას ზურგს უკან რაღაც ჩურჩული შემოესმა და შეტრიალდა. „მთვრალი ხარ, შინ წადი და დაიძინე", — დაუკვიცთხო უთხრა თეამ. ელასი სწრაფი ნაბიჯებით გასცილდა თანაშრომლებს, მაგრამ შინ არ წასულა, თეას სახლთან მივიდა და მის ფანჯარაში თანაშრომელი ბიჭი დაინახა. რამდენიმე თვის შემდეგ თეა ამ ბიჭმა წაიყვანა ცოლად. ელასმ მოგვიანებით გაიგო, რომ თეა რამდენიმე წელი უიმედოდ იყო შეუვარებული ბიჭზე.

რატომ რჩებოდა ელასს გრძნობები ცალმხრივი და უპასუხო? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამალლებული წმინდა ურთიერთობის მომხრე იყო? ნუთუ ელასა ქალიშვილების თვალებში კითხულობს სიყვარულის იმედგაცრუებას და მათი გრძნობების გადახარჯნად, საკუთარ თავს შეგნებულად სწირავს მსხვერპლად? ვიღაც ხომ უნდა ზრუნავდეს სუსტ სქესზე. უფრთხილდებოდეს მათ სათუთ ბუნებას. იქნებ ელასი სწორედ ამისთვისაა მოწოდებული? ეგებ ესაა მისი არსებობის გამართლება?

გაახსენდა, როგორ გადარაზა კარი გასალებით ახალგაზრდა ქალმა და ბეღს მინდობილი და უმწეო, გულაღმა დაწვა საწოლზე. ოთახში ორნი იყვნენ. ელასს ქალი შეეცოდა, საკუთარ თავს სძლია, საწოლთან მივიდა, დაიხარა, ქალს შუბლზე აკოცა. შემდეგ კარებისაკენ გიემართა, გასალები გადაკრიალდა და საწოლზე მწოლ ქალს გამოხედა, რომლის სახე უსაზღვარო გოიცებას გამოხატავდა. იგი, ალბათ, მამაკაცებისგან ჩვეული არ იყო ასეთ საკეთილს. ქალმა გაიღიმა და თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა. ელასა ოთახიდან გავიდა, კარი გაიხურა და თავი უბედნიერეს ადამიანად იგრძნო.

ელასი მტკვრის სანაპიროდან რუსთაველის პროსპექტისკენ ამავალ ავტობუს აუყვა. ჩამობნელდა. ქუჩის ფარნები და მაღაზიის ელექტრორეკლამები, მრავალფერად ციმციმდა. მანქანების მოძრაობა არ შენელებულა. ავტომობილნები სულ უფრო და უფრო ნოქაუნენ ქალაქს და ფეხით მოსიარულეებს უსაშველოდ ავიწროებენ. ქარმა დაბუბერა და ფოთლები ბაერში აფრიალა. ელასს შუშაბანდში აფრიალებული საფოსტო მარკები გაახსენედა. ნუთუ მართლა უყვალოდ ქრება ყველაზე დიდი სიყვარულიც კი? ელასს ბაბუამ ხომ საფოსტო მარკები ამჯობინა, ერთ დროს სათაყვანებელ მეუღლეს? მაგრამ, ვინ იტკვნის, რომ ბავშვს, რომელიც საფოსტო მარკებს აგროვებს, დედა არ უყვარს? შვილში იმდენადაა შესისხლხორცებული მშობლის სიყვარული, რომ დედისაგან ნაცემს, ისევ მისკენ მიუწევს გული. ალბათ, ელასს ბაბუა წლების განმავლობაში ისე შეეთვინა ცოლს, რომ მისდამი სიყვარულს ვეღარ გრძნობდა. იქნებ სწორედ გაუცნობიერებლად ქცეული სიყვარული ამ დიდი გრძნობის მარადიულობის სათავე?

ელასს ნათესავი კაცის მონათხრობი გაახსენდა. კაცი ქვის მთელედან მუშაობდა, საფლავის ქვებს თლიდა და წარწერებსაც თავად აკეთებდა. ცოლის გარდაცვალება ვეკაცურად გადაიტანა, საკუთარი ხელით გამოთალა საფლავის ქვა, მზნედ მუშაობდა, ხოლო რიდესაც დაბადების თარიღის შემდეგ, გარდაცვალების ადმნიშვნელი რიცხვების ამოჭრაზე მიდგა საქმე, ხელი აუკანკალდა, მკლავებში უძლურება იგრძნო და საკეკეი ხელიდან გაუვარდა. ქვის მთლელმა ამბის მთელი საშინელება გარდაცვალების თარიღის ამოჭრის დროს გაიცნობიერა, თითქოს ახლა დასრულდაო მეუღლის სიცოცხლე. რადგან თარიღი ეს რეალური ფაქტია, მას ვერსად გიექცევი, ამ რიცხვების შემდეგ სიცარიელეა და გარდაცვალების თარიღთან მრავალწერტილოს კი არა — წერტილის ადგილ. სწორედ ამ წერტილის დასმა გაუკვირდა ყველაზე მეტად და თუკი მანამდე მზნედ იტანდა ცოლის გარდაცვალებას, წერტილის დასმისას მისდა უნებურად ლოკაუზე ცრემლი ჩამოუგორდა, განა ეს ცრემლი სიყვარულის მარადიულობის დასტური არ იყო?

ელასმ შეხვედრის ადგილას მომლოდინე ქალიშვილი დაინახა. ნეტავ რას უკადის ამ ქალიშვილთან ურთიერთობა? ნუთუ კიდევ ერთ ადამიანს უნდა გაუდვიოს სიყვარულის რწმენა? დაე, ახე იყოს, ელასი ამაზე თანაშმა. თავად კი მოთმინებით დაელოდება საკუთარ ბედს.

გზაში

...ჩვენ მივდიოდით
და ვრცელ ულრანებს
ეკიდა ქარი,
როგორც ექვანი,
შორს,
ხეობაში ჩანდნენ მწუხარედ
ციხე თამარის
და ხორეშანის...

დამძიმებული
ზეცის
თაღებით
მხრებდადრეკილი ქედები იდგნენ
და ნისლის თეთრი ბაირაღები
დაჰფრიალებდა ნამიან მინდვრებს...

კვლავ
მოგვიხმობდა ხოგაის მინდი,
ქალუნდაური
და ბათარეკა,
მთის ფერდობებზე
წვებოდა ბინდი
და სანთელივით ელავდა დეკა...

...ჩვენ მივდიოდით
და ვრცელ ულრანებს
ეკიდა
ქარი,
როგორც
ექვანი,
შორს,
ხეობაში ჩანდნენ მწუხარედ
ციხე თამარის
და ხორეშანის...

ეს ღამე დღეა...

ეს ღამეც დღეა —
უკვე დაღლილი,
ფერგადასული
და გარდაცვლილი
და ამჩნევია ტანზე დაღვივით
მთვარე —
მზის სული
და მზის ნაწილი...

ეს ღამეც დღეა —
ხვალის დღისათვის
უარყოფილი
და დალეული
და იდუმალი,
შავი სინათლით
განათებულა მისი სხეულიც...

ეს ღამეც დღეა —
მისი იერი,
მისი სახე და
მისი არილი
და ვარსკვლავების
მკრთალი ციაგი
მხრებზე აყრია
ნაღვერდალივით...

●

(ეტიუდი)

წვილ-წიაქით
წეროებმა
გადაწვიმეს
და ქართლის მთებზე
იდუმალი შუქი ციმციმებს...

დუმან ტყეები,
დანისლული დუმან სერები,
ჩუმად უსმენენ
ბულბულების რომანსეროებს...

თითქოს უფალმა
ჩამოჭკიდა ცაზე ჭაღს-ჭაღი, —
ზეცის თაღიდან
მაისის მზეს
გააქვს ჩახჩახი...

. . .

წვილ-წიაქით
წეროებმა
გადაწვიმეს
და ქართლის მთებზე
იდუმალი შუქი ციმციმებს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრებზე ბინდის
ყვავები სხედან,
აკეცილია უკვე
მზის თმებიც
და ხვალინდელი
დღის შესახვედრად
უკუნი ღამის ფსკერზე ვინთქმებით...

ჩვენ იქ ვიცხოვრებთ
ჩუმი ლოდინით
მინდობილები
ბედის განგებას,
მალე რიჟრაჟის
ყრუ მელოდია
ახმაურდება უცხო ჰანგებად...

გუგუნით მოვა
სხვა დრო,
სხვა ჟამი,
გრგვინვად ჩადგება
მიწაშიც,
ცაშიც
და სხივაშლილი
ქარი აშარი
დუმილით ავსილ
სივრცეებს წაშლის...

განშორება

(ძველი რვეულიდან)

გადახსნილია ცა ელვის ბზარით
და ღამის სადგურს
აწყდება ქარი...

ბნელ ქუჩას ხვდება წვიმა შოლტებად
მატარებელი მიდის,
გშორდება,

ბინდში ინთქმება დასალიერთან,
თითქოს გარემო
დაცარიელდა,

თითქოს სამყაროც გაუდაბურდა, —
შენ მარტოდმარტო
რჩები სადგურთან...

და ის,
ვინც მუდამ უნდა გახსოვდეს,
არ დაბრუნდება
აღარასოდეს...

გაზაფხული

ძრს ხრიდა ქარი
ვერხვებს
ვერხველთან,
მუხებსაც —
ველზე მწვანედ განფენილს,
სად ხევზე უცებ შემოეხეტა
გზას აცდენილი
ნისლის ნაფლეთი...

გულგაღეღილი იდგა აპრილი, —
ელვის შოლტით
და ბორგვით ნიაღვრის,
იწვნენ ქედები შორს სელაპივით
და გუგუნებდა მიწის წიაღი...

ჩვენ მივდიოდით,
დაბლა
იორი
ჰგავდა მებრძოლს
და ბედის ნებიერს,
ვინც ზამთრის ძილი გამოიარა
და გაეღვიძა აქ უნებლიედ...

საგაზაფხულო
ტალღების ხაფი
ავსებდა სივრცეს
უცხო არილით
და თავაწყვეტილ ჩქერებზე ქაფიც
თეთრად ყვაოდა
როგორც ყვავილი...

და ხრიდა ქარი
ვერხვებს ვერხველთან,
მუხებსაც — ველზე მწვანედ
განფენილს,
სად ხევზე
უცებ შემოეხეტა
გზას აცდენილი ნისლის ნაფლეთი...

ბინდის კედელი

გარღვეულია
ბინდის კედელი,
აშენებული ამ საღამოთი
და მთებზე
სხივთა
მკრთალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკიდელით
მაღალი ციდან მთვარე ჩამოდის...

ამ ღამემ
ირგვლივ რაც კი დამალა,
ნაციხარებთან
ანდა იორთან,
გამოუცნობი იდუმალებით
ისევ განათდა და გასხივოსნდა...

ისევ დაერქვა:
ბალახს ბალახი,
ჭალას ჭალა და
იორს იორი,
ჩვენ მივდიოდით იმ სიბნელეში
და არ ვიცოდით სად მივდიოდით...

გარღვეულია
ბინდის კედელი,
აშენებული ამ საღამოთი
და მთებზე
სხივთა მკრთალ
საკიდელით
მაღალი ციდან მთვარე ჩამოდის...

დარდი გწვიმს,
ცრემლი გასველებს
მეგობართაგან კრულო,
ათასი სევდით ავსილო,
ჩემო დაჭრილო გულო...

ვის გზად ვარდები მიელის
ვის — ეკალი და სურო,
შენ კი სჯობს შენთვის იარო,
ქვა-ღორღზე იფაცურო...

ქარმა რაც უნდა იქაროს
და ზეცამ იგუგუნოს
ვინც არ გწამს არ გაიკარო,
მტერს არ შეეკრა გულო...
. . .
დარდი გწვიმს,
ცრემლი გასველებს
მეგობართაგან კრულო,
ათასი სევდით ავსილო,
ჩემო დაჭრილო გულო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ხელია, რასაც განაგებს
ვინ არის ყოვლის აქ გამგებელი,
ვისი ოცნების, ვისგან ანაგებ
ხატს ეზიდება მატარებელი.

ვისი ფიქრია, ვისი გონება,
ან ალტაცება, რისი ბრალია,
რომ ვიმეორებ მრავალჟამიერ!
საოცარია! საოცარია!

რა მანძილია! რა მანძილია!
დასაწყისიდან დასასრულამდე
ეს უპასუხო კითხვა მაწვალებს
სისხლის ნაკადად ჩამდის გულამდე.

შენ გქვია ღმერთი, ბუნების ძალა,
მეც საოცრება შენი ვიხილე,
საწუთრომ ხილვა მეც დამაცალა,
სუსტი თვალები მეც ამიხილეს.

მეც ამოგძახე მრავალჟამიერ,
თუმცა მაწამე როგორც იობი,
მე შენს სცენაზე მაინც არ ვიდექ,
როგორც არტისტი და მსახიობი.

მე შენზე მეტად არვინ მიყვარდა,
შენ იყავ ჩემთვის შუქი და მადლი,
შენ ჩემთვის იყავ მხოლოდ ნამდვილი
და მე გეძებდი ნაღდსა და ნამდვილს.

მე ვნახე ყველა საშინელება
უფრო საკუთარ გამოცდილებით,
საშინელების შავმა ხელებმა,
როგორ გთელა დალოცვილები.

მე ვნახე როგორ ყიდიდნენ ნამუსს,
მე ვნახე როგორ ყიდიდნენ სინდისს
და ყოველივე ამის მხილველი
მითხარი როგორ ვიქნები მშვიდი.

ბევრჯერ ჩამხედა საშინელებამ
და განწირული სუნთქვა ვიგრძენი,
როგორ წელავდა და აგრძელებდა
ტანჯვას, რომელიც მე შევიგრძენი.

რამდენჯერ იყო, რომ დავიკრუნჩხე
და ყველაფერი ჩემთვის გათავდა,
მაგრამ რაღაცა მაინც მაბამდა
მე იმ ქვეყნიდან ამ ქვეყანასთან.

ალსარება

მე მებრალება ყოველი მწერი,
ყველა ურჩხული, ყველა ცხოველი,
მე მებრალება ყვავილის მტვერი,
ყველა ცოცხალი და სულიერი,
მე მებრალება ყველა ჯალათი
და სიბრალულით ვარ ბედნიერი.

მეგონა ქვეყნის უკუღმართობამ,
ჩემში სიკეთე მოკლა, მოაშთო,
უეცრად თვალზე ცრემლი დამგორდა,
ეტყობა სუსხმა ვერ ამოაშრო.

მეგონა ჩაქრა სინათლის სხივი,
რასაც თავიდან უხვად ვაფრქვევდი,
და ძველებურად აძგერდა გული,
მეგონა ზეცას შემოვახვევდი.

სინამდვილეში მე ვარ გულჩვილი,
ფარად ვიფარე ეგ სისასტიკე,
ამდენ ტკივილებს ვერ გავუძელი
და ვინც გულს მტკენდა, გული ვატკინე.

სინამდვილეში მე ვარ სულგრძელი
და დღემდე მძულდა ყველა
სულმოკლე,
შენ დაიფარე ყველა უძლური,
მოწამლულ დღეებს ნუ შეუმოკლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შენც ერთი ვის ეკვდრები,
ვის ებრალება განწირულები,
დაბორიალებს ყამიდან ყამზე
ეგოცენტრიკთა მძიმე სულები.

რა ბოროტია ჩვენი პლანეტა,
თითქოს დამკვიდრდა აქ ჯოჯოხეთი,
დამდგარხარ იმის ვიწრო კარებთან,
თითქოს სამოთხის კარად მოხვედი.

●

დღეები ჰგვანან გაფრენილ გედებს,
სინათლე ლაღი და უკარება
დაედევნება ლილისფერ მტრედებს
და მათთან ერთად მიეჩქარება.

ბინდისფერ სოფლის ტრიალმა, ბრუნვამ
აშინდისფერა, ანარგისფერა
ნიადაგ შენზე ფიქრმა და ზრუნვამ
ჩემი ცხოვრება გააცისფერა.

მივყვები ტალღას, რომელსაც გაჰყვა,
რომელსაც ვენდე, რომელიც ვიდე,

როგორც მოცარტმა, გრიგმა და ბახმა
გადაყოლილმა ღამეულ ბინდებს.

როცა ფიქრებით სუფთაა გული
სულში ყოველთვის ირხევა სიმი
მანათობელი თვალები ლულის
მომაგონებენ შენს სანდო ღიმილს.

უცნაურია ეს შედარება
შენ მეუბნები, მეც გეთანხმები,
როცა მე მოვალ და გამაცილებ
მერე შენ მოხვალ და მე დაგხვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ი ბ ე

მოთხრობა

●

გათენდა. თითქოს გრილმა სიიმაც ჩამოუბერა, მაგრამ ცოცა ხანში იმხელა მზე ამობრდღვიალდა, რომ გაგრილების ყოველგვარი იმედი გადაიწურა.

უთენია გამოვარდა გარეთ ნიკა. განტელები გამოიცალა. წელზევით გაშიშვლებული მივიდა ონკანთან, პირი დაიბანა და ვარჯიში დაიწყო. მეზობლებს ჯერ კიდევ ეძინათ. ნიკა მკლავებს აქნევდა, ხტუნაობდა, ხვნეშოდა და კუნტურტალტვით ბურავდა კუნთებს. ბოლოს, როგორც იქნა, დაწუნარდა. კიდევ ერთხელ შეეყო თავი ონკანის ქვეშ, წელამდე დახვეული, გაგრილდა და გაიმართა. შემრბალება დაიწყო. ლიამ სარკმელი გამოაღო და გამოიხედა.

— დილა მშვიდობისა, ნიკა ბიძია.

— გაგიმარჯოს, ბიძიკო. ძილი ხომ არ დაგიფრთხეს?

— უი, არა, უკვე დიდი ხანია აქდეკით მეც და დედაჩემიც.

ლიას დედამაც გამოიხედა. კოკამაც გამოაღო სარკმელი. ცოცა ხანში ისიც გამოვიდა დასაბანად. ლიამ დრო იხელთა და მასთან მივიდა. გაეთამაშა, გაეკეკლუცა. ცოცა გაწუწულ კიდეც ერთმანეთი. ეკამაც გამოიხედა. სიმონი არ ჩანდა მხოლოდ. ეზოში ისევ ადუღდა ცხოვრება.

უეცრად ყველანი გაჩერდნენ და ზემოთ აიხედეს. მოხუცი გამოვიდა გარეთ და კარი დაკეტა. გასაღები ტილოს ქვეშ დადო და ფრთხილად ჩამოვიდა ძირს. ხელში ჩანთა ეჭირა. კიბის საფეხურები საბრალოდ ჭრიალებდა და იზნიქებოდა. მოხუცი ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. მეზობლებს გამოხედა. მიეცალმა და ისევ კარებისკენ შებრუნდა.

— ხელმძღვანელობიდან თუ ვინმე მოვიდა, კიბის თაობაზე რა ვუთხრათ? — სიტყვა დაურეა ნიკამ.

— იქ მივდივარ ახლა, — თქვა მოხუცმა და კარი გამოაღო.

— არ შეიკლეს ეს კაცი ხელში. რა გახდა ერთი კიბის გაკეთება, — შეიცხადა ეკამ, — ამდენი ხანია ამაზე დადის ამხელა კაცი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 12.

ნიკამ მაჩოაცხა.

ეს, ორივ სახარება შეგვეწიოს. — ისევ გადაკრეს. ქალმა ისევ წუალი დააყოლა. ნიკა კი ამ ჯერად უფრო ვაუკაცურად დაბეჯდა სასმელს. ჩაი მიაყოლა და კისერზე ოფლი მოიწმინდა.

— დდდებული სასმელია, რაც მართალია მართალია. რა კარგი მოგონალია ეს სასმელიც და ეს უქმე დღეც. რა ჯობია ამას. ცხოვრებას დაუდგეს თვალი, თორემ დაჯეტე კაცმა და იქეიფე, რა გინდა მეტი.

— ეგ, ასე რომ იყოს აწუობილი საქმე რა გვიჭირდა, — შეიცხადა ქალმა, — მაგრამ ეს ცხოვრება სულ სხვანაირად გვაკარებს, ოქვენ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებთან, როგორ გართულდა ყველაფერი. ვინმე თუ არ გკადს, წინ ვერ წაბეკდ და თუ რამე თანამდებობას არ მიაღწიე, მაშინ ცხოვრებასაც აღარა აქვს აზრი... იქნები ასე სულელურად.

— ჰო, ეგ კაი. რამდენს არ ვნიდბავთ, მაგრამ სამწუხაროდ ფაქტი ფაქტად რჩება. დღეს-დღეობით ყველაზე დიდი ვალუტა ჩვენთან თანამდებობაა და ეგ არის რომ ასე ძაბავს ხალხს.

— ბატონო ნიკა, თქვენ თურმე ბელი მიგიწვდებათ განუოფილების უფროსთან, თქვენი მეგობარი ყოფილა, ერთი-ორი სიტყვა რომ შეგვაწეროთ, ეგეც ეშველის ამ გოგოს რამე...

ნიკა ჩაფიქრდა და გაიღიმა.

— ვეტყვი, უეჭველად ვეტყვი. ჯერ ადრეა. თან ეოკას გადავვანაზე ეტრიალეს ახლა და არ მინდა ერთდროულად ვთხოვო ორი რამე.

— ეოკა სად გადაიკარგა? — დაინტერესდა ლია.

— კარგ ადგილზე, — თავი დაკვნა ნიკამ, — ჩაი მოსვა და დაამატა, — მართლა გართულდა ცხოვრება, მაგრამ თან საინტერესოც გახდა, ბრძოლა, ყოველდღიური ბრძოლა. ვინ ვის გაანსრებს, ვინ ვის ჯობებს და უფრო მალლა აძვრება, არის ამაში სიცოცხლის აზრი.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ლიას დედა.

ქალმა კარაქი მიუჩოჩა და უნებურად მუხლი ნიკას მუხლზე მოუხვდა. ნიკას ხალვმელი შეაშრა პირზე, გაიხადა, თითქოს დაიძინა კიდეც და მდგომარეობიდან გამოსვლა იმითელი მოახერხა, რომ არაკი ჩამოასხა.

— ერთიც ჩემი მშვენიერებო და აგშენდეთ.

— უიმე, მათრობთ, ბატონო ნიკა?

ნიკამ გაუღიმა. მათი მუხლები ისევ შეეხო ერთმანეთს.

— ღმერთი სამობით არის, ეს სამი სახარება შეგვეწიოს, — თქვა ნიკამ და გადაკრა.

ქალმაც დალია.

— რა ბედნიერია ეოკა, ასეთი მზრუნველი რომ ბუავხართ, — თქვა ლიამ და ჩაის სმა დაამთავრა.

— რას შვრება ნეტა ეს ბიჭი, ისევ ხომ არ შეიბრუნა ძილი.

— ამ გახსენებაზე, ლია, მიდი ერთი იმ ეოკა-თან, ცოდოა, მარტოხელაა, ცოტა დაელაპარაკე, შენც გიერთობი და მასაც გაახალისებ, თან ცოტას შევისვენებთ საუზმის მერე. ცოტა ხანში დაგიძახებ და შეკუდგები შეცადნერვიან.

— მივიდე? — მიანიტურად იკითხა ლიამ.

— მიდი, მიდი, — შეიგულიანა დედამაც.

ლია წამოდგა და ტანის რხევით გაკიდა ოთახიდან. ნიკამ ჩაფიქრებულმა გააყოლა თვალი გავაზე. ქალის მუხლის შეხებას გამოარკვია.

— ხომ არაფერს გადაიღებთ? — იკითხა ქალმა, მაგიდის შორეულ კუთხისკენ გადაიხარა და კაცს ცხენრწინ აუოიმითმა ფუშფულა ძუძუები. ნიკას ქალის წელისკენ ბიეკცა ხელი. ქალმა მცირე ხანს აცალა, ცოტა უფრო მაგრად რომ მოეკიდა კაცს ხელი ისე, რომ შემთხვევით შეხებაში არ ჩათვლოდა ყველაფერი და მერე მოხედა. ეუეანაბრეკვად გაუღიმა.

— ბატონო ნიკა!

ეკან დასახვეი გზა ალარ იყო. ნიკამ ახლა მეორე ხელიც მოხვია და კალთაში ჩაიკინა.

— ბატონო ნიკა! რას შვრებით, ვინმემ რომ დაგვინახოს.

— მშვენიერი ხარ! — მეტი ვერაფერი თქვა ნიკამ.

ხალათი გადაუხსნა ქალს, ძუძუებში ჩაუყო ცხვირი და თან მარცხენა ხელით ბარკლები გაუფურჩქნა.

— არ დამღუპოთ, მე პატიოსანი ქალი ვარ, — წამოდგა ქალი.

ნიკაც აყვა. ახლა ასე მიიზიდა და ჯარისკაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ჭირს ამ კაცს ვერ გავიგე, — უკმაყოფილოდ თქვა მან.

— რა მოხდა? — ერთდროულად იკითხეს დედამაც და ნიკამაც.

— ნახეთარი საათი ვიჯექი და ერთი სიტყვა არ თქვამს.

— რატომ? — დაინტერესდა ნიკა.

— უყურე ამას, — გაბარაზდა დედა, — აღარ დაგინახო მასთან შენთანა შენსული.

— არ ვიცი, — ნიკას უპასუხა ლიამ, — ზის და კითხულობს, — რომ ვკითხე ამ დილით უთენია კიბეზე რას შერეზილი.მოვე, გამბარაზდა და ნუ მაცდენო, გამოგდება დამიპირა.

— რომელ კიბეზე იყო უთენია?

— მოხუცის კიბეზე.

— გაგიჟდი?

— რა უნდოდა კიბეზე? გაიკვირვა ნიკამაც.

— რა ვიცი, შეიძლება ვარაკშობდა. რა გაგიკვირდა დედა, სულ მაგ კიბეზე არ გაეფარდეთ.

— მაშინ პატარები იყავით, ახლა ეგ კიბე კოკას გაუძლებს? — მოზეკვიერი არის.

— ნამდვილად ვერ გაუძლებს, — კვერი დაჰკრა ნიკამაც.

— რას კითხულობს ნეტა ასეთს, რომ მშვენიერ გოგონასაც არ დაელაპარაკა?! — გაიკვირვა დედამ.

— არ ვიცი, რაღაც ხელნაწერები აქვს, საკმაოდ ძველი, გაცრეცილი ფურცლები, უამრავი ფურცლები. კითხულობს და აღარაფერი აღარ ახსოვს ამ ქვეყნისა. ზედაც არ შემოუხედია. რა არ ვკითხე. მო, ანა. მეტი ვერაფერი წამოვაცდენინე. მომწყინდა და წამოვედი.

— ვისი ხელნაწერებია, კოკასი?

— ანა მგონია, ალაგ-ალაგ ძლივს არჩევდა. ნიკა აწრიალდა. წამოდგა. ისევ დაჯდა.

— როდის აქეთ კითხულობს?

— არ ვიცი, ამ დილას აქეთ, ალბათ, გუშინ ყოველ შემოხვევაში, ეგ ხელნაწერები არ დამინახავს.

— ძველი ფურცლებია?

— კი.

ლიამ ისევ დაიხმა ჩაი.

— საინტერესოა, — თქვა ნიკამ და შუბლი მოიოხვნა.

მერე კოკას ფანჯარას გახედა.

— ნაბეკნი ხომ არ იყო... თუმცა რას ვკითხულობ, ხელნაწერი იყოო, ხომ თქვი... ეს მითხარი, მელნი იყო ნაწერი თუ პასტით? ხომ არ დაკვირვებიხარ?

— მელნით, მელნით. გამიკვირდა კიდეც. ალაგ-ალაგ მელნის ლაქებიც ჰქონდა დაწვეთებული.

ნიკა წამოდგა. აშკარად ეტყობოდა აღელვება.

— ხედ მიდიხართ, ბატონო ნიკა? — ლიას დედამ.

ნიკამ უცბად ვერ უპასუხა. ერთი ადგილზე იწრიალა და მერე კარებისკენ შებრუნდა.

— ახლა ერთი კაცი მოვა კოკასთან, დიდი მადლობა. ცოტა მოგვიანებით ვიმეცადინოთ, არა ლია?

— როგორც თქვენ იტყვით. უი, მართლა მოვედი ვიღაც კაცი, — გაიკვირვა ლიამ, — იცოდით?

ნიკამ არ უპასუხა.

ამ დროს ეზოში მართლაც შემოვიდა ვიღაც უცხო კაცი და კოკას მიუკაკუნა სარკმელზე. კოკამ გამოიხედა. უცხომ რაღაც ქაღალდზე მოაწერინა ხელი კოკას. მონახევრე დაუტოვა და წავიდა. კოკა ამ ქაღალდით ხელში სარკმელთან დარჩა გაოგნებული.

ნიკა ეზოში გამოვიდა.

— რა მოხდა კოკა, ხომ მშვიდობაა?

კოკამ თავი გადაიკნია.

— დეპეშაა? — ისევ იკითხა ნიკამ.

— არა, კომფისრიალში მეძახიან. რას გადაამეკიდნენ ეს ბიჭი გავიგე. ყოველ ზაფხულს სულ მე როგორ უნდა მიძახონ. ზაფხულის მოსვლა შემაძულეს.

— აუ, გეძახიან?

— კი.

— დიდი ხნით?

— ხაკმაოდ.

— რა უნდა ქნა?

— არ ვიცი პირდაპირ. არა და ისეთი გადაუდებელი ხაკმე გამიჩნდა, რომ რა ვქნა აღარ ვიცი, როგორც იქნა ავაწყვე ხაკმე და ახლა არ მეძახიან?!

— არ გინდა წასვლა?

— ძალიან არ მინდა. უფრო სწორედ დრო არ მაქვს ახლა.

— კარგი წამოდი, მე წამოგყვები. ვიცნობ ერთ კაცს, შეიძლება გიშველო.

— უჰ, მაგ სიკეთეს თუ მიშან, ბატონო ნიკა.

— კარგი, კარგი. გადავიცვამ ერთი.

ნიკა სახლში შევიდა და ისევ. სწრაფად გამოვიდა. თხელი, ცისფერი კურთუკი ჰკერდა მხარზე გადაკიდებული.

— წავედით.

ლია და დედამისი გარეთ გამოვიდნენ ამბის გასაგებად. მაგრამ კაცები უკვე ეზოში გახულიყვნენ, ეკა ფანჯრიდან ადევნებდა მათ თვალს. როგორც კი კაცებმა ეზოს კარი გაიხურეს, ეკამ ფარდა ჩამოუშვა და სიმონთან მივიდა. სიმონს მარჯვენა მტკივანი ხელი შეეტვეული ჰკერდა და ისე იწვა, ვერ მიხვდებოდი ეძინა თუ ელვიძა — თვალები მილულა.

— ნიკა და კოკა სადღაც წავიდნენ.

— რა მერე? — ისე თქვა სიმონმა, რომ თვალი არ გაუხელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ დილით აღარ გითხარი... გამთენიისას კოკა დავნახე ეზოში, კიბესთან წრიალებდა. სიმონი ტახტზე წამოჯდა.

— რატომ არ დამიძახე?

— მთელი ღამე არ გეძინა, კენესოდი და ის იყო ჩაგეძინა. შემეცოდე და აღარ გაგაღვიძე.

— ზევით იყო ასული?

— ეგ აღარ დამინახავს, მაგრამ არა მგონია, ეგ კიბე გაუძლებს ამხელა ვირს?

— რა იცი, მაგ კიბეზე არ ამიიან გაზრდილები ეგ ნაბიჯვრები? ეგეც დალიე.

— არა, არა, არა მგონია. უფრო ქვემოდან უკირკიტებდა მგონი.

სიმონი აწრიალდა.

— ხომ არ დამიწერო მაგ შობელძაღლმა.

ევამ არაფერი უპასუხა.

— დღეს მთელი დღეა სახლში იყო ჩაკეტილი, — ან ისვენებდა სიმონი, — ნაღდად რაღაც ნახა. ამბათი დედა ეატერე. გაგიგია ასეთი რამე, მე ვიწვალე. ყველაფერი მოვამზადე ეგ შობელძაღლი, გამზადებულზე მივიდა და აიღო.

— კაი, კაი, ეგეც არაფერიც არ ეუღია, ნუ იცი ხოლმე წინასწარ ასე გაგიღეზა.

სიმონი ადგა და ფანჯრასთან მივიდა. ფარდას ამოფარებულმა ეზოს დაუწყო ვერეტა.

— არა და რა მოგენანა ახლა. არც კოკაა, არც ნიკა, არც მოხუცია სახლში, ეს კაბაები რომ არ იყვნენ ახლავე შევამოწმებდი ყველაფერს, — სინანულით თქვა სიმონმა.

— ვინდა, მე მივალ და ვეტაუვი, ქვემოთ მაღაზიაში რაღაცას არიგებენ-თქო. ეგეთ წავიდნენ.

— მიდი, აბა სცადე.

ევა ეზოში გავიდა. ხალათი მჭიდროდ შეიკრა ტანზე და მეზობელ ქალებთან შევიდა.

სიმონი ფარდის უკან ჩასაფრებული უცდიდა. ცოტა ხანში ევა ისევ გამოვიდა და სწრაფად შემოვარდა სახლში.

— მეც უნდა წავყვე, ასე ვუთხარი სულგუნს ყიდიან-მეთქი იაფად.

— ორივე მოდის?

— ორივე. ერთ ხელზე ორ კილოზე შეტს არ იძლევიან-მეთქი.

ევა კარადასთან მივიდა. კაბა გამოიღო. ხალათი გაიძრო. შებარუნდა და სწრაფად ჩაიცვა. კარებთან ლილა ძახილი მოისმა:

— მოვდივარ, მოვდივარ, — გასძახა ევამ. სარკეში თავი შეათვალიერა. უკანალიც გაბზიკა. შებარუნდა, შემობარუნდა და გავიდა.

— ერთი ნახეკინი საათი სულ მინიშნებ მარტო იქნები, — ნაუბურჩხული გასვლისას.

— მიდი, მიდი, — შეაჯულეანა სიმონმა.

ქალები ჭიშკრისკენ წავიდნენ და ზედ კარებში მოხუცს შეეფეთნენ. ეზო დაუთვლეს. მოხუცი შემოვიდა. კიდევ მიეხალმა ქალებს. ევამ ტუჩზე იკბინა. სიმონს მოხედა. სიმონი არ ჩანდა. მაგრამ ევა მიხვდა რა სახეც იქნებოდა ახლა მას.

— ნახეთ უფროსი? — დაინტერესდა ლილა.

დედა, — არ დატანჯეს ეს კაცი.

მოხუცმა თავი დაუქნია.

— აბა, აბა, — შეიცხადა ევამაც, — შეიძლება კაცმა მთელი შენი სიცოცხლე იმის სახვეწარად იარო, რომ კიბე შემიკეთოთო. გახადეთ ეზოლია პირდაპირ.

— ვერაფერზე ვერ შეთანხმდით?

— ყველაფერზე შეეთანხმდით, — თქვა მოხუცმა და კიბეს აუუვა. მარცხენა ხელი მოაჯირს ჩაჭედო. მარჯვენაში ჩანთა ეჭირა.

— რაზე შეთანხმდით? — გაიოცა ლილა დედან და პასუხის მოლოდინში, პირდაღებული მიაჩერდა მოხუცს.

მოხუცმა აღარაფერი თქვა.

— რა მოუვიდა ნეტა?

— ალბათ დაინიდნენ შეგიკეთებთო, ასე ასულელებენ ამ ხაუალს და ამას კი სჯერა.

— რა ენას ამ ხაუალმა. ენანი აღარ აქვს, თორემ მაგათ დაუწყეტდა ზვეწნას. თვითონ გაიკეთებდა.

— ეტყობა, არც ფული აქვს, ვინმე რომ დაიქირავოს, — თქვა ლილამ.

— რაზე ეტყობა? — გაიკვირვა ევამ.

— რა ვიცი.

— არ ანებებენ, თორემ ვინმეს როგორ არ იქირავებდა. ბოლო-ბოლო, ჩვენც მივეხმარებოდით ცოტას, — თქვა ლილა დედამ და დაამატა, — აღარ წავიდეთ?

— სად? — იკითხა ევამ. მოხუცის მოსვლის შემდეგ ეზისკენ ხალისი დაეკარგა.

— სულგუნზე.

— ააა... სულგუნზე, ჰო, სულ გამოვშტერდი. წავიდეთ.

ქალები ჭიშჩაი გავიდნენ. ამასობაში მოხუცი კარებს მიადგა. ქალები მაზე ხაკმაოდ ფმაღალლა ჭორაობდნენ იმის იმედით, რომ მოხუცს ყურს აკლიაო. მოხუცი კი ყურადღებას არ აქცევდა ან არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა მათ ნათქვამს, ან მართლა ყურს აკლდა. კარის წინ დაიბარა. გასაღები აიღო, კარი გააღო და ოთახში შევიდა. გარეთ თაკარა მზე იყო. ოთახი ისევ ბინდ-ბუნდში იყო გახვეული. მოხუცმა ჩანთა მაგიდაზე დადო. ფანჯარა ოდნავ გამოაღო.

— ცხელი. დღეს განსაკუთრებით დაცხა. ფიქრობს ისევ იწვიმოს, — საკარძელზე ჩამოჯდა. გულისპირი შეიხსნა.

ცოტა ხანს იყურა. შერე მკლავები ზემოთ ასწია. ბეკებში გაიშიგა, თითქოს ვარჯიშობსო და წამოდგა. ახლა ისევ სადღაც გაკრა მოხუცი და ტახტისკენ ჯანმაგარი ვეიკაცი იყურებოდა. ქალი ისევ მოკალიტნილივით შეხტაქეროდა ამ მეტაბორფოზას. კაცი მისკენ წავიდა. ქალი წამოდგა და ფეხზე შეეგება. ზედ მიაწ-

ულდ. გაღელილ ფართე მკერდზე პატარა მუშტები დაუბრაგუნა. კაცს გაეღიმა. ქალი ახლა ორივე ხელით შეეხო მაჯაკაცის მკერდს. მერე თავი მიადო და მიაყურა მისი გულის ფეთქვას. ქვეშიდან ახედა. პატარა, დაშნაშვე კაცის კნტკვინი გაუღიმა. კაცს მკერდი დაიბერა. ხელები მისდა უნებურად გაექცა ქალის წელისკენ. შემოხვია, შეიოჯახო, ისევ ხელში აიტაცა და გულში ჩაიხუტა ალმოდებული სხეული.

— დაეღლაჩვი, — ისე ტკბილად უჩურჩულა ყურთან, რომ კაცს ერთი წამით მთელი ძალა გამოეცალა. ძირს დახვა ქალი. ხელი შეუშვა და სავარძელში ჩაეშვა. ქალი მის წინ იდგა და ოდნავ ირწეოდა. სიფრიფანა მუზლის თავები ერთად შეეტკუტებინა. კაცმა უცქირა ცოტა ხანს, უცქირა და კვლავ იგრძნო ენერგიის მოზღვავება, ველარ დაიოკა თავი, მუხლებზე მოეხვია, აკოცა, ახლოს მიიზიდა.

ქალი ბრძოლაზე დაეწვა ხელებით, ნუნარად ჩაუჩურჩულა:

— გამიშვი, — ოღონდ ისე თქვა ეს სიტყვა, რომ ვერ მიხვდებოდი, მართლა სურდა თუ არა, რომ გაეშვა.

კაცმა უფრო მაგრად მოუკრა ხელები.

— გამიშვი, სარკმელს მივხურავ, არ მიყვარს ლია რომ არის.

კაცმა ხელი შეუშვა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

ყმაწვილი ქალი ფანჯარასთან მივიდა, სიფრიფანა უკვალოდ თრთოდა.

— გიყვარვარ? — შორიდან ჩკითხა კაცს, ღრმად ჩაისუნთქა. გამქვარავლე პერანგში ნორჩი მკერდი დაბერა, — ახლავე მოვალ, — უფრო თავის თავს უთხრა, ვიდრე კაცს. სანამ ფანჯარას მიხურავდა, ეზოში ჩაიხედა, — ნიკა მოვიდა, — ჩუმად თქვა. ფარდა ოდნავ გადასწია, ფანჯარა მიბურა. ისევ ჩამოუშვა ფარდა. ეზოში შემოსულმა ნიკამ, თითქოს ვილაის მზერა იგრძნო, ზევით აიხედა. მბოლოდ ოდნავ მოკანავე ფარდასკენ მოკმაო თვალი. წამით კიდევ უყურა ფარდას და მერე ლიას თოახს მიადგა. იქ არავინ დახედა. ახლა სიმონს მიადგა.

— სახლში ხარ, სიმონ?

— კი, კი, ახლავე, — გამოსძახა სიმონმა და კარი გაუღო, — რა იყო, ცუდი ხომ არაფერია? კაცის ფერი არ გადეგს.

— ჰო, ვერ მოხდა კარგი ამბავი.

— რა იყო? — შეიცხადა სიმონმა.

— კოყა წავიყვანე საავადმყოფოში.

— არ გადაამრთო?! რა ჯირდა კოყას საავადმყოფოში წასაყვანი?

— მაწკანა დაეკარა გადასასვლელზე.

— არ გადაამრთო?!

— უფრო სწორედ, მე რაღაც ბეწვენე გავაგსწორო, კოყა ჩემს გვერდზე მოდიოდა და მან ეტყობა დროზე ვერ დაინახა მაწკანა. მე ტროტუარზე შევხტი. ამას კი ჩამოედო.

— მერე?

— მერე, ათრია ერთი ათი მეტრი.

— კარ, არ გამგაგიოო. ხომ არ მოკვდა ადამიანი?

— არა, არა, არე ეგრეა საკმე. ნეკნი აქვს მე მგონი ჩატეხილი და თან დაიბეეა კიდეც. თავიც მიარტყა. ალბათ, ტვინის შერყევაც აქვს.

— უკონოდ არის?

— არა, კაცო, უბრალოდ უნდა იწვესო, ასე თქვა ექიმმა.

— ვინ იყო იმ მაწკანაში, მთვრალი იყო ვინმე?

— არ ვიცი, არ გაჩერებულა. პირდაპირ გაწაგრძო სვლა. წავიდა და გაკარა.

— რა ნომერი იყო, რა ფერი იყო, ის მაინც თუ დაიმახსოვრე.

— თეთრი ფერის იყო. საკვესთან ხანშიშესული კაცი იჯდა, ქალაბა. მეტი ვერაფერი ვერ დავიმახსოვრე.

— რა არის ადამიანის ცხოვრება. სად რა ხიფათი გელის ერთმა ღმერთმა იცის მხოლოდ. ახლა რა უნდა ვქნათ. მე წამოგაკვეზოდი, მაგრამ ხელი მაქვს ნატკენი, ვერც კი ვანძრევ. ასე რომ, ვერაფერში დაგეხმარები. ეკა მოვა მალე და საკმელი ან გასარეცხი თუ არის რაში ამას გავაკეთებინებ.

სიმონმა შეხედეული ხელი უჩვენა.

— მოიკბეკეე რამეში?

სიმონი შეერთა.

— არა, არა, ცხელი ტაფა ავიღე და...

— დაეწვა?

— ჰო.

— კალეში სად არიან?

— რა ვიცი, რაღაც ყველზე წავიდნენ მგონი. მოვალენ ალბათ, საცაა, ყველს ვინ დაუტოვებდა ამათ. ა, მოვიდნენ კიდეც მგონი.

ეზოში ქალები შემოვიდნენ.

— სულ ტაუოლად წავიდით, — თქვა ეკამ და ოთახში შეეფინა.

— ვიღაცამ მოგატყუაო, ასე გვითხრა გაბეიდელმა, — დაუდასტურა ლიამაც.

დედა-შვილი სახლში შევიდნენ. ნიკა მათ შეუკვა.

— შეიძლება?

— მობრძანდით, მობრძანდით, — შეიპატიჟეს ნიკა.

ნიკა ქალებთან შევიდა და კარი შეიხურა. ცოტა ხანში დედა-შვილის შეკამლება მოისმა და ჰკედან ეკამაც მიაშველა მათ ხმა. ისევ ეზოში გამოვიდნენ ყველანი.

— ახლა რაღე ტანსაცმელს ავიღებ კოყასთან და წავიდეთ. რაც ეცვა სულ შემიოხა. თქვენ ხომ წამოხვალთ?

— რა თქმა უნდა, — ერთად უპასუხეს დედა-შვილმა.

ნიკა კოყასთან შევიდა. ცოტა ხანს შიგ ბაღაყო და მერე გარეთ გამოვიდა. თან სარტუ-

ლი ჩანთა გამოიტანა. შიგ რაღაცეები იყო ჩაჭრილი.

— რაგეს წამოვუღებთ, ბილს და ცოტა სპეციებსაც. — დაფიცარზა ლილა დედა.

ამასობაში ნიკა სპირფარეშოს მიადგა. ჩანთა კიბის კუნძ ჩამოკიდა. მიეკიდებული ლოტოსანი ჩანთის სიმძიმეს ვერ უძლებდა და კარგა ხანს იწვალა. როგორც იქნა დაამაგრა და სპირფარეშოში შევიდა. დედა-შვილი უკვე გარეთ უცდიდნენ. მთავაც რაღაც შეკვრა მიჰპარნდათ. ნიკას შეაგვიანდა. ქალები უკვე ფუფაღნენ — ფასვლა ეჩქარებოდათ. როგორც იქნა, გამოვიდა ნიკა. ახლა ჩანთა ვეღარ ჩამოხსნა. სანამ წვალობდა, ჩანთიდან სპორტული პიჯამო გადმოვარდა.

— ფუ. შენი დედ ვატირე. — გაბრაზდა ნიკა. ბოლოს როგორც იქნა ჩამოხსნა, ტანსაცმელი ისევ შიგ ჩაჩურთა და ქალებისკენ წამოვიდა.

— წავედით!

ჯერ ქალები გაატარა ეიშვარში და მერე თვითონაც გავიდა.

სიმონი ისევ ფარდას ამოფარებული უთვალთვალებდა მიმავალთ. ეკვამ კარებამდე მიაცილა წამსვლელნი და მერე სწრაფად შემობრუნდა სახლში.

— ახლა, მგონი, უკვე აღარავინ შეგიშლის ხელს, — მერე, თითქოს შერცხვა ისე დაამატა, — საწყალი კოკა, ეს რა მოუვიდა? — ცოდვამ ხომ არ უწია? — თქვა სიმონმა.

— რა ცოდვამ, სიმონ, ღმერთმა არ გიწყინოს ასეთი რამის თქმა.

სიმონს ამისთვის აღარ ეცალა.

— რა ჭკნათ ახლა, — იკუნტა და თვითონვე უპასუხა, — რაც არის არის, უნდა ვცადო.

— მოხუცი რომ არის სახლში? არ გეშინია?

— არა უშავს. მაგან მაინც არაფერი ესმის. თან რა, სპირფარეშოშია შესვლის უფლება არა მაქვს? შენ რა ქნენ იცი? ეიშვარში გაჩერდი და თუ ვინმე გამოჩნდება, ჩვენთან მოგვალი, დამიძახე.

ეკა კარებში შეეოვნდა. ეტყობოდა, რომ ეშინოდა.

— მიდი, მიდი და მეც გამოვალ.

ეკა უხალისოდ გავიდა გარეთ.

სიმონმა კარის ძირში დაგდებული რკინის ღერო მოიძია. ეკერ იპოვა და გაახსენდა, რომ შემით დარჩა ბაკანზე. უცაბ ანერვიულდა. ახლა სხვა გამოსადეგ საგანს დაუწყო ძებნა. ბოლოს ძველი სკამის ფეხი დაითრია და გავიდა. სწრაფად მიიკრა კიბესთან. შემოუარა. სპირფარეშოს წინ გაჩერდა. უკან მოიხედა. ეკა ლაპაფთან იდგა. სიმონი კედლის ნაშვერზე აცოცდა და სკამის ფეხი ფიცრების ღრიჯოში შეჰყო. მარცხენა ხელით ჩამოეკიდა სკამის ფეხს, ბაკანის ფიცარი ერთი ბოლოთი ამოხტა ბუდიდან და სიმონს რაღაც ცელოფანის პარკში ჩაგხვეული რაღაც დაეცა თავზე. ისეთი ხმა რით მოხდა ეს ეველაფერი, რომ ეკა დაფრთხ ალი შემოვარდა ეზოში. კიბე ჯერ კიდევ ეჭირა. და. ზემოთ კარი გაიღო და მოხუცი გამოვიდა. ეზო შეაოვალირა. კიბის ქვეშ სპირფარეშოს კარებთან რაკუკცქული სიმონი დაინახა. რომელსაც ხელში ცელოფანის პარკში. გაგვეული რაღაც ნივთი ეჭირა. პარკი ნახეგრეოდ გახეული იყო. მოხუცი მას მიაჩერდა. სიმონი დაიბნა. ეკა მოუხვევნად წრიალებდა კიბესთან.

— სიმონი დგაჩრდა, თავბრუ დაეცვა და კიბეს მოეხლუკუა. წნეგვა ჰქვს, — თქვა და თვითონვე დაიკერა თავისი ნათქვამი, — მივარდა და სიმონს შეუდგა მხარში, — ხომ არაფერი იტკენე სიმონ, ნამოდი დგაგწვენ.

სიმონი გაიმართა. ქალი მოიცილა და ცოტა გვერდზე გამოიწია. დამნაშავესავით გაუღიმა მოხუცს.

— სადღაცადან ჩამოვარდა და მე ვიფიქრე, ალბათ თქვენ თუ გადმოგვიგარდნეთ-თქო. ცელოფანში გახვეული ნივთი შემოთ ასწია, — რაღაც ნაწერებია და ალბათ თქვენია, — კიბის დახეწესთან მოვიდა და აქედან გაფრნოდა მოხუცს ცელოფანის პარკი. მერე თვითონვე გაიცინა თავის საქციელზე, — ახლავე მოგაწვდათ, — ფრთხილად ავიდა, თითქმის აცოცდა კიბეზე. მტკივანი ხელით მოაჯირზე ჩამოყრდნობას ცდილობდა, თან ხელ უეტკვენ იყურებოდა, — ეს ოხერი კიბე მართლა როგორ დამაკლა, — გაიკვირვა სიმონმა. ამასობაში თითქმის ავიდა კიდეც. პარკი მოხუცს მაგწოდა და გაუღიმა.

მოხუცმა ცელოფანის პარკში გახვეული ქაღალდების დასტა გამოაძრო, მაგდლობის ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნა და ოთახში შებრუნდა. კარი მოხურა და ფარდის ღრიჯოში გამოჩენდა ეზოს. სიმონი როგორც იქნა ჩამობდა ძირს და ეეასთან ერთად სახლში შევიდა. მოხუცმა ცელოფანი თარიზე მიაგდო. ყმაწვილი ქალი ისევ ტახტზე იჯდა. ხელში ვარდი ეკავა და ცხეირთან ალტენიბედა.

— რა უნდოდა?

— არაფერი. ჩემი ქაღალდები ჩავარდნილა ქვეშოთ და მომაწოდა. ალბათ ქარმა თუ ჩააგდო.

ყმაწვილ ქალს გაეცინა.

— ამ სიმძიმეს ქარი როგორ ჩააგდებდა.

ეკამ ხელები გაშალა. მერე გაუცინა გულკეთილად.

— აუვლაფერი ხდება, — ფანჯრისკენ შებრუნდა, — ცოტა რომ შევაღო არ ეობია? ცოტას დაუბერავს, თორემ ძალიან დაიხუთა ჟაურობა.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— როგორც გინდა. მე მაინც ეახასველი ვარ, — ცოტა ხანს დაელოდა ეკას პასუხს და რეახანე ეკამ არაფერი თქვა, ისევ თვითონ განაგრძო: — დასაკლავ ბარს რაღა ეწყალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, ნაბსლელი რაც დროზე წავა ის სჯობია.

წამოდგა. კაკასავით გაიზმორა. გაიცინა.

კაცი შეწუხდა. თაროსთან მივიდა. წიგნებს დაუწყო სწორება. მერე გაირინდა. ქვეშ-ქვეშ გამოხედა ქალს.

ქალი ტახტს მოცილდა და კაცთან მივიდა. შემოაბრუნა.

— შეიძლება არც კი დამიჯერო, მაგრამ მიმძიმს შენთან განშორება, მიგეჩვივე.

— რა გეუბნა?.

— არაფერი. შენ გგონია წყენის გამო მივდივარ? — შემოუარა და ზურგს უკან დაუდგა. ფეხის წვერებზე აიწია, მხარზე ჩამოადო თავი, — გული გწყდება?

კაცმა თავი დაუქნია.

— ძალიან წუხარ, რომ მივდივარ?

— რა გითხრა, რახან მეკითხები, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ გრძნობ, ამიტომ ერჩე მიხედები, როგორც არ უნდა გითხრა. ამის არც მოყოლა შეიძლება და არც გაზომვა. ერთიც და მეორეც მარტო ცრემლის მოსადენად ვარგა. მე ეგ არ შემიძლია, — ცოტა ხანს ჩაფიკრებული იდგა და ქალის გულის ცემას ყურს უგდებდა საკუთარ ზურგთან, ამოოიხრა და წყნარად იკითხა:

— რიდის მიხვალ?

— მე კაკ ალარ დავბრუნდები.

კაცმა ნერწყვი გადაყლაპა. მაგიდასთან დადგმულ სკამები დაჯდა. პაკარა ჭიქა აიღო. გახსნილი ბოთლიდან ღვინო დაიხსა და დალია. ჭიქა ისევ დადგა. გაიფიქრა. მხრები შეარხია. მკლავები თავს უკან შემოიღო და კისრის მოთელვის მსგავსი მოძრაობა შეასრულა. თავი შეაბრუნ-შემოაბრუნა. მკერდი გაიღელა. ღრმად ჩაისუნთქა. დიაფრაგმა გაბერა. მერე ერთბაშად ამოოუშვა მთელი ჰაერი ფილტვებიდან. ამან თითქოს უშველა. დამშვიდდა.

— გული გატკივნე, არა? — თანაგრძნობით იკითხა ქალმა.

კაცმა უსმინდ დაუქნია თავი და ღვინო მოწრუპა.

ქალმა ერთხანს იფრიალა. ახლოსაც მივიდა მასთან. ხელი ასწია. მერე გადაიფიქრა შეხება. მოცილდა. თავი დაიკნია და სინანულით თქვა:

— ყველაფერს თავის დრო აქვს, შენთვის ჭამოყოფილი დრო ამოიწურა. გული კი მწყდება. არ გატყუებ, გეფიცები მართლა მწყდება გული. შეგეჩვივე.

— ცოტა გკონია ჩემთვის დრო გამოყოფილი.

— მართალი ხარ. ცოტა იყო, თუმცა საკმარისი კი აღმოჩნდა იმის გასარკვევად, რისთვისაც მოვედი.

— ჩემთან რა გკონდა გასარკვევი?..

ქალს გაეღიმა. კაცმა თავი დაუკანკურა. ისევ შეათამაშა ფართე მხრები. ისევ რაღაც [illegible] შის მსგავსი გააკეთა.

— სასაცილოდ გამომიყიდა ყველაფერი. [illegible] თვალები დაბუნა და სკამის ზურგს მიაწვა.

— შენ ეგ დაკვირვა გგონია?

კაცმა ხელები გაასავსავა. ქალი ახლოს მივიდა. ულინდან დაუდგა და ხელები მხარზე დაადო. კაცმა ისევ დაიხსა ღვინო. ქალმა ხელები მოუთათუნა:

— რკინასავით ხარ... ვერ წარმოიდგენ როგორ მსიამოვნებს შენი შეხება, — ერთხანს ჩუმად იყო, — შენ მე, ალბათ, რაღაც ურჩხული გგონივარ, ვუფლავ...

— არა, ეგრე არ მგონია.

— გინდა, ყველაფერს გეტყვი? — შეაწყვეტინა სიტყვა ქალმა.

კაცმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი.

— რატომ მოვედი შენთან, იცი? — თმებზე გადაუსვა ხელი. — არ იცი, არა და ამიტომ გგონია, რომ დაგიცინე. ღმერთმა იცის, რომ არაფერი მაგის მსგავსი არ მინდოდა, შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს იმაზე, თუ ვინ ვარ მე...

კაცი მისკენ შებრუნდა. ღვინიანი ჭიქა ზემოთ ასწია, მზნედ ჯაღლიმა. თვალები ოდნავ მოკუტა და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— შენ გგიგიმარჯოს.

— გაგიმარჯოს, — სიტყვა დაუბრუნა ქალმა და ისევ მიეფერა, — კაცმა რომ თქვას, არც შენ ხარ დამნაშავე და არც მე.

— მე არ გადანაშაულებს, წელან მართალი ბრძანე. ყველაფერს თავისი დრო აქვს, უსასრულო არაფერია. — მხარზე ქალის ნაზი თითების შეხება იგრძნო. თავი მოაბრუნა და თითებზე აკოცა.

— ისე უნდა ჩავსულიყავი, რომ სიტყვაც კი არ უნდა მეთქვა შენთვის, ჩუმად უნდა გავპარულიყავი, მაგრამ გული დამწყდა. ისე ვერ მიგატოვე. ამიტომ გადაეწყვიტე ყველაფერი გითხრა.

კაცმა მისკენ შემობრუნება დააპირა.

— არა, ნუ მიყურებ. ეგრე არ შემიძლია. იჯექი და მმას ნუ ამოიღებ.

ქალი მოსცილდა და შორეულ კედელთან მივიდა. ზურგით ძველი ნიგაზეულის ჩარჩოს მიეყრდნო. ფანჯარაში მინების ნაცვლად ფიცრები იყო ჩასმული.

გვერდებში დიდი ლურსმნის თავები ანნდა ჩარჩოს. ქალმა ლურსმანს მოუთათუნა ხელი, მერე ორივე ხელის თითები ერთმანეთს გადაადგა და ძირს ჩამოუშვა. ჭერს ახედა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, ცას ახედაო, ისე შორს იყო მისი შუბრა.

— რახაც ეხლა ვიტყვი, ამის თქმა აკრძალული მქონდა, — იუფრა და განაგრძო, — შენთან შეცდომამ მომიყვანა. უფრო სწორედ, შენმა ცხოვრების წესმა. სხვა რამეს მგავდ შენი

ცხოვრება და სულ სხვა რამე კი აღმოჩნდა ბოლოს. ასეც ხდება ხოლმე.

კაცმა ისევ დაიხმა ღვინო. გარეთ ეტყობა ბუნება საავდრო გიჟმზადა. ჩამობნელდა. ოთახში ფარდების გამო ისედაც ბინდ-ბუნდი იყო და ახლა გეგონებოდა დაღამდაო. მუქი ლისფერი დადო ყველაფერს. ეფაშვილ ქალსაც. მისი სხეული ალარ ელვადა. კაცმა ღვინო შეწრუპა. ქალმა ცოტა ხანს იუფრა. კაცს მიაჩერდა. გეგონებოდა მის რეაქციას წინასწარ, მერე ისევ გაგაგრძო:

— შენ ისეთი რამე ჩქენი და თანაც ბევრჯერ, რაც ადამიანის საფერი არ იყო. თუმცა ბოლოს მაინც წაგე თავი. უფრო სწორად, კი არ წაგე, უბრალოდ გაიოკეკა, რომ თურმე შენთვის შეუფერებელი ბილიაზე გარბიდი დასაშვებზე მეტ ხანს. ეგ იყო და ეგ. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. არა და თითქმის ვიწამე კიდეც შენი. ძნელი გამოდგა იმ ტეტრიის ბოლოდან ზიდვა, რაც აიკიდე. ბევრი კი ჩქენი. სულ ყველაფერზე უარი სთქვი. ცოლი ბავშვი ულამაზესი — სხვას გაატანე. შენი ადგილი სხვებს შურდათ და ისიც დათე. ბინა გკონდა სასამღერესაით, სხვას დაუტოვე. ამ სოროში გადმოხვედი. დიდი სახელის ჭკნეფრ ამაზეც უარი სთქვი. მოელი შენი ნაშრომი ამ ცელოფანის პარკში ჩამარხე. ეგ ერთი იყო, რაც სხვისთვის ვერ გაიგებე და ბაგაში მე მოგეხმარე. სხვას მიეცი. სახაციოლოა, მაგრამ ისევ უკან მოგიტანეს. ახლა მათ თქვეს უარი. შეიძლება ჩათვალო, რომ ახლა ისინი გარბიან ან შენ ბილიაზე.

კედელს მოეცალა ქალი. კაცთან მივიდა. თავზე გადაუსვა ხელი. შეეხვეწა:

— ნუ გაბიძარაზდები, ჩემი ბრალი არ არის.

კაცს გაეღიმა. რაღაც გულდაწყვეტილი, დაღლილი ღიმილი გამოუვიდა.

— ყველაფერი მაინც ისევ შენი ბრალი იყო. შენი საქციელი ჩვეულებრივი კაცის ქცევას არ ბგავდა. ამის გამო მოვედი შენთან. შენ ყველაფერზე სთქვი უარი, რაც კი ამ ქვეყნად შეიძლება ჩქენდეს კაცს. ეს უფრო მეტი იყო. ბევრად მეტი, ვიდრე მოგქცევს შეუძლია. ასეთი რაღის ჩამდენი კაცი ადამიანზე მაღლა დგება და მას ჯილდოც არადამიანური ერგება ხოლმე. მე ვიუკვი შენი ჯილდო.

ოთახში ახლა თითქმის აღარაფრის გარჩევა ალარ შეიძლებოდა.

— მე ვიუკვი შენი ჯილდო და ამაგე დროს დიდი გამოცდაც. შენ ეს გამოცდა ვერ ჩაბარე. შენ ყველაფერზე თქვი უარი, ჩემზე კი ვერა. მე ვეღარ დამთმე. ჩემი გულისთვის ჭირვეულობას იტანდი ჩემსას, თავს ძალას ატანდი და ცდილობდი, ბაზგასმით ცდილობდი, მხიარული ყოფილიყავი. სინამდვილეში კი იმის შიში იტანჯებოდი, რომ ერთი მშვენიერ დღეს ეგებ სახლში არ დაგხვედრდეო. შეიძლება ჩემი საქციელი სისასტიკედ მოგეჩვენოს. მაგრამ გამოცდას თავის წესი აქვს. როცა დავწყდები, რომ უჩემობა ალარ შეგიძლია, მაშინ [illegible] რკვა შენი ბედიც. სულ ყველაფერზე თქვი უარი. მე კი ვერ დამთმე. ჩემი გულისთვის იატეხ ამ ბინის და კიბის გამო დავა და ჩხუბი. ჩემი დაკარგვის გეშინოდა, ამიტომ ყველა ჩემს სურვილს და ახირებასაც უყოყმანოდ ასრულებდი. აკ დამთავრდა შენი გამოცდა. ჩვეულებრივი კაცი აღმოჩნდი. ცხოვრების ტრაილს გარიდებული ერთ-ერთი კაცი. ამის მსგავსი ადრეც ყოფილა უთავლავი. ერთითი მეტი გახდა მათი სია. ამის მერე ჩემმა აკ ყოფნამ აზრი დაკარგა.

ქალი გაჩუმდა. შორიდან გამოხედა კაცს. კაცი სკამის მაღალ საზურგეზე იყო მიყრდნობილი და ისე ისმენდა ქალის ამ ალსარებას. ხელში ღვინიანი ჭიქა ეპყრა. დრო და დრო წრუპავდა.

ქალის ხმამ ისევ შეარხია ბნელი სივრცე.

— უნდა გამოვტყდე, შეგეჩვევ. ამ ოთახსაც მივეჩვევ. მომიძახე კიდეც შენი მარტოდ მიტოვება. მაგრამ რა ვქნა. ასეთია ჩემი ბუნება. გული ნუ დაგწყდება. პირველი არ ხარ.

ისევ გაჩუმდა. რაადენნაირ ხანი ორიგენი სდუმდნენ. მერე ისევ ქალმა დაარღვია სიჩუმე.

— ან, ახლა ნიკა მოვა და ის ბიჭის ამბავს მოიტანს. თუ მოსწორო ნეტა ამ საწყალმა რაიმეს წაკითხვა. ალბათ მოასწრო.

გარედან მართლაც მოისმა ნიკას და ქალების ხმა. რაღაცაზე ზმამალლა მსჯელობდნენ.

— ახლა კი დავამთავრებ სათქმელს, ისედაც გამიგრძელდა. როცა შენთან მოვედი, მხოლოდ იმის გაგება მსურდა, მართალი იყავი თუ არა ინ სენით ავად. ეგ საქციელი ძველთაძველ და ძალზედ იშვიათ სენს ჰგავდა, გადადებ სენს. საამბოხად მეც შეწირული ვიყავი. შენ ჩემთვისაც სიბში იყავი, სხვებისთვის ბომ მითუმეტეს. წარმოიდგინე, ყველა მაგ სენით რომ დაავადდეს, ამის გაფიქრებაც კი შესაზარია. მადლობა ღმერთს, რომ შენ არ ყიფლიხარ ამ სენით ავად. ერთხელ კიდევ გადარჩა კაცთა მოდგმა.

ქალმა ცოტა ხანს იუფრა და მერე მოწყენილმა დაამატა:

— ნაკვალ აწი. შენ ჩემზე ვერ თქვი უარი, ჩემი მოხეული. აი, რომ ვეთქვა...

სიტყვა მოხეულზე კაცს გაეკვნა. ღვინო მოწრუპა. ისევ დაიხმა. გაიცინა. ღვინო სასლეკში გადასცდა და დაახველა. სული მოითქვა და ისევ გაიცინა.

ქალმა გაოცებულმა წინ გადმოდგა ნაბიჯი.

— იცინი?

კაცმა ღვინო მოსვა. შემდეგ წუნარად თქვა:

— ცუდად დამთავრდა ეს ყველაფერი. გეთანხმები. მაგრამ არც კი ვიცი. როგორ გამო-

ეთქვა ჩემი აზრი... ერთი სიტყვით, შენ აქედან აღარ წახვალ.

ქალმა ამპარტავნულად შეარხია თავი.

— შენ დამაკავებ?

— მე არა. შენ თვითონ აღარ წახვალ. თუ ჩემს ყოფას სენი ჰქვია, როგორც შენ ბრძანე, შენც ავად ხარ.

ქალს გაეცინა. კაცმა ჭიქიანი ხელი ისევ მაღლა ასწია. გაუღიმა.

ქალი გაღიზიანდა.

— გულს იმავრებ, მოხუცო. არა და არც კი ვიცი რითი გიშველო, — ქალის ხმაში წყენა გაერია.

— კარგი, კარგი, ჩავთვალოთ, რომ შენ გაიმარჯვე. ოღონდ წასვლამდე მინდა რაღაც გითხრა. მითუმეტეს, რომ ახლა სად გახვალ, კოკასპიერული წვიმა იწყება.

ამის თქმაზე ცაში სადღაც ელვამ გაკრა და რამოდენიმე წამის შემდეგ გაბაყრუებელი გრგვინვა გაისმა. მთელი სახლი შეშაბაზარდა. ყმაწვილი ქალი შეიშმუშნა. მკლავები ტანზე შემოიკრა, გაჯერეოლა.

წვიმამ დასცხო.

— ჩამოჯექი, ცოტა ხანს კიდევ გაუძელი შენს მოხუცს. ცოტა რაღაც კიდევ დარჩა ისეთი, რაც არ იცი და მოგიყვება, შენ მომისმინე. ცუდს არაფერს არ გეტყვი. უფრო სწორედ, სიცრუეს არ გეტყვი, საამისოდ ვერ გაგიბედავ.

ქალი ისევ შეიშმუშნა.

— არ ჩამოჯდები?

— არა, ვიდგები.

— ბატონი ბრძანდები, — მცირე ხანს იყუჩა, — ხომ არ შეგცივდა?

— ცოტათი.

— ღვინოს ხომ არ დალევ?

— დავლევ, ერთ ჭიქას.

მოხუცმა მეორე ჭიქაშიც დაასხა ღვინო და მიაწოდა. ქალმა გამოართვა, შესვა და ჭიქა ფანჯრის რაფაზე ჩამოდგა.

კაცმა შესვა.

— ბევრი რამ გკოდნია ჩემზე. არც კი მეგონა. ალბათ, არ მჯერდები და ითმენთ. ახე გახარჯე, ახლაც კი არ მჯერა, თუ შენ ჩემი ცხოვრების მონაწილე იყავი, გიდგა ცოტა ხნით. შენ მართლა ჯილდო ხარ ჩემთვის, განდაც ჩემი ჯალათი იყო. ვერ წარმოიდგენ ეს რა ნეტარებაა — ხანამ დამალრჩობ, ხელით ხომ შემეხები. თუ სიბეს სამართალია, შენი გულისთვის თავის გაწირვა, სისუსტედ არ უნდა მეთვლებოდეს. გეთანხმები, გამოცდა ვერ ჩავაბარე. სამწუხაროდ, ვერ ჩავაბარე. ოღონდ ისე არა, როგორც შენ ფიქრობ. ეგრე რომ იყოს, უბედნიერეს კაცად ჩავთვლიდი თავს. სამწუხაროდ, მე ეგ გამოცდა იმ მნიშვნელობით, შენ რომ გულისხმობ, ჩავაბარე.

ქალს გაეცინა. უნდობლობა ჩანდა ამ [illegible] ლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს აღარ მოუკლავია ამისთვის [illegible]

— ახლა ჩემზეც გეტყვი ოროდე საკუთარ სიტყვას, საკუბარსო რომ ვამბობ, ალბათ ზედიზი რომ ვხუმრობ. ბევრ რაგეში მართალი ხარ. მთავარში კი შეცდი. მე არა ვგავარ იმ ხალხს, იმ ბევრს ბევრთაგანს, ვინაც ცხოვრებას განერიდნენ. განსხვავება ჩემს და მათ შორის დიდზე დიდია. ისინი ისეთ რაგეზე ამბობდნენ უარს, რაც არ ჰკვრდათ. მე ისეთ რამეს ვკაკვი ზერვი, რაც თვითონ მჭირდა. ამაში დიდი განსხვავებაა. ეს ძნელია.

დიდი ხნის წინათ, ძველი წიგნების შესწავლის დროს, ერთი ასეთი კაცის ცხოვრებამ გამიტაცა. ავად იყო ის ბრძენი კაცი. თუ კი ამას ავად ყოფნა ეთქმოდა. მის სენს ვიკლედად თანამედროვე მეოთდებით, ველას სიმპტომის აწონ-დაწონვით და როცა მიგხვდი, რომ ეს უფველესი სენი იყო. მეცნიერთაგან აუწერელი, როცა მიგხვდი, რომ სახეწოლებრივ აღმოჩენას მივადექი, უცბად ისიც შეეგარძნე, რომ თვითონ ვიყავი ამ სენით ავად. ეს სენი კონებით გადადის მხოლოდ. ამას მიგხვდი და გაგრერი კიდევ. ვინმეხთვის ეს რომ გამეგზავნა, სენი კონებით გადადის-მეოქი, დამცინებდნენ, მიტომ გაგრერდი. მხოლოდ საკუთარ თავს მივადექი. ჩემსავე მაგალითზე ვსწავლობდი ამ სენს. ეერ შეეებრძოლე. გამიკრეფა. თვალსა და ხელს შუა გავიარეკეკ. ლანდად ვიქეკი. ექიმების კონსულიუმმა ბოლოს ხელი ჩაიქნია. დავრჩი პატკო ჩემს სენთან ერთად. ველოდი სიკვდილს. აი, ამ დროს მივაგეკი ეეზმარიტებას. მე ვებრძოდი ამ უცნაურ მოვლენას, ამის მაგიერად, რომ აკეოლდი ამის მერე შეიცვალა სუფველფერი. მე ეოქეი პირველმა უარი. ვეზმის პატარავ? მე ეოქეი უარი. სწორედ ამ დროს გამეკეკა ცოლი. ბინაც მიეეკი. კარგ ეოფასაც შეეეელი, რაც კი მებადა მოვიცილე. მეცნიერის სახელი მჭირდა, არც ეს ვისურვე. სუფველფერზე უარი ვთქეი. ყველამ წამალოკა ცოტ-ცოტა რაღაც. მათ გამარჯვება ახარებდათ, მე კი... — კაცმა ჩაბრი არ დაამთავრა, — აკ. ამ სოროსნი გადმოეედი. ჩემი სენის საიდუმლოკ აკ მოვიტანე. აი, ამ დროს მოხვედი შენ და გიკვირს, რომ უარი არ გითხარი, ვერ წარმოიდგენ, როგორ ძინდა ახლა მუზლებზე მოგებეკი. — წამოდგა და გაუბედავად აიიჩრდა ქალს.

ყმაწვილმა ქალმა უკან დაიწია. კაცი შეერერდა.

— ეს არის და ეს, — კკლავ შეიხედა. — თითქმის ყველაფერი გიამბე ჩემზე. თუმცა მთავარი მაინც არ მითქვამს.

ქალი შეიარხა. კკლავ გაჯერეოლა. ისევ ლერსნის თავებს მოუსვა თითები. ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა ხელი გაიჭრა. კაცს სიტყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა აღარ აცალა. ახლოს მივიდა. წინ დაუდგა. ახედა. თავზე გადაუხვა ისევ ხელი. ლოყაზე ჩამოუცურა, მერე კისერზე და ბოლოს მხრებზე დაადო ორივე ხელი. ნორჩი მკერდი ძალუმად ყუდ-ჩაუფიფოდა:

— არ მინდა, არ თქვა.

კაცმა ისევ დაიპარა სიტყვის თქმა.

— არა, არ მინდა. — მერე უფრო დამაჯერებელი რომ გაეხადა თავისი უარი, თითქმის ჩურჩულით უთხრა. — ვიცი, ყველაფერი ვიცი... გთხოვ, ნუ იტყვი.

კაცმა თავი გააქნია უარის ნიშნად. ქალს ეწყინა.

— ვიცი. — ახლა უფრო მკაცრად თქვა მან. — არ მინდა გითხრა ყველაფერი და კიდევ უფრო გაბეზრო გული. რაც ვთქვი, ისიც საკმარისია სიძულილად, რომ წავიდე. შენ გგონია, რომ გამაკვირვებ მიზეზს თუ მეტყვი, რატომ ამბობდი უარს, არა, — ქალი ისევ მიეფერა, — ყველაფერს მივხედი და ეგ აღარ ცვლის არაფერს. ვიცი, რატომ თქვი უარი ყველაფერზე. როცა რაღე ამქვეყნიური სიკეთეზე ამბობდი უარს, სიუმაწვილე და ჯანლონე გიბერუნდებოდა. ხომ მართალია? ეი, ხედავ? არ მინდოდა მეთქვა და ძალით მთქმევინე. — ნაწყენი მოცილდა კაცს და ისევ ერთ ფანჯარასთან მივიდა. ზედ ადერა ზურგით.

კაცი გოცებული მისჩერებოდა ქალს. თვალს აღარ ახამხამებდა. ჩაფიქრებული იდგა. ისევ ქალმა დაარღვია სიჩუმე.

— შაშით ვკანკალებდი ხოლმე, როცა გიყურებდი როგორ იცცდენოდი სახლში შემოსული, როგორ ველოვით იმდენი კაბა და წელში მოხრილი, დავრდომილი მობუკული ნაცვლად რკინის მკლავება ვიყავი მრჩებოდი ხელში. მეშინოდა და თან ნეტარებასაც ვგრძნობდი. ჯერ მეგონა, რომ მე ვიყავი ამის მიზეზი. მერე მივხედი, რომ მიზეზი მართლა მე ვიყავი, მაგრამ საშუალება სხვა იყო. უარის თქმა იყო მაგის მიღწევის გზა. შენც ნელ-ნელა ამბობდი უარს ცხოვრებაში ყველაფერზე. იზოგავდი უარის სათქმელს. ახლა კი ამოიწერა ყველაფერი. ერთიდან გკონდა დარჩენილი — შენი შრომები, ბალაკელევები და მაგაზიც მე მოგეხსნარე. მე მივეცი ეგ ქაღალდები იმ ბიჭს, — ქალი შეჩერდა, შეიხვნა. ერთ ფანჯრის რაფაზე დადგმულ ქილას მოუთათუნა თითი, — ვხედავ რასაც ფიქრობ, ეგ არ უნდა მეკნა, ეგ საზიზღარი ხასიათია გამოსივიდა, მაგრამ არ ფიქრო, რომ შენს კინაზე ვკენი, არა, უფრო ხაკუთარი თავის კინაზე ვკენი. თუმცა ალბათ არც მაგას ჭკნები დიდი მნიშვნელობა, ცოტათი დავაჭკარე, ის რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. შენ უკვე ამოწერე უარის თქმის ყველა საშუალება და მანამ, სანამ დავრდომილს განავავდე, უნდა წავიდე. მე ვერ ავიტანე შენს დამცირებას. მე შენ მიეკარები. თუმცა არ ვიცი მჭონდა თუ არა შენი სიყვარულის უფლება, ან შენ თუ იეკვი ამის ღირსი.

ქალი აიწურა. ზურგით უფრო მაგრად შეეკრა ფანჯრის ფიცრებს. კაცი ეზიზღენ შებრუნდა. ზურგი აქცია ქალს. ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ლარეები განზე გადგა და ფეხის წვერებზე და ქუსლებზე დაიწყო ქანაობა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა. თვალები დახუჭული. ერთ ხანს იქანავა, მერე რაღაც გადაწყვიტა. შემობრუნდა. ქალს შეხედა. ახლა დაფიქრებული და შეწუხებული ჩანდა ეკაკცი. ჯერ ახლოს მისვლა უნდოდა, მერე აწიწული ქალის შებრდვარეგან გადაიფიქრა. სკამზე ჩამოჯდა. ფეინო დაისხა. მთელი ჭიქა გამოცალა. ისევ დაისხა. განაწყენებულმა მუშტის დაკვრა მოინდომა მაგიდაზე. დაკვრა კიდევ და ფიცარი ვაბზარა. ისევ გააცხრარა გაბზარული ფიცარი. ქალს შეხედა და ღლივე ამოღერღა:

— მართალი ხარ, არ ვიუავი შენი ღირსი. შენ თითქმის თავიდანვე გცოდნია ყველაფერი, ტუსლად მეკითხებოდი ხოლმე, მეც მიეხედი, რომ მთათმაშებდი, მაგრამ მე უფრო ცუდის ღირსი ვარ და რა ვქნა არ ვიცი, რითი ვუშველო ამას.

ქალიც შეწუხდა.

— გული მიკვდება, რომ გიუურებ. ნუღარ წუხარ, მე გთხოვ, მაგას ალარაფერი ეშველება.

— შენ არ იცი რაზე ვწუხავარ მე, — მერე მლოცველივით შეეკედრა: — რა მოხდება ერთხელ კიდევ მოგეფერები, მე გთხოვ, ისე ვერ ვიტანავ ამას, რაც უეჭველად უნდა ვთქვა. გთხოვ, მხოლოდ მოგეფერები.

ქალი ოვითონ მიუახლოვდა კაცს. ეკაკცმა მის წინ დაიჩოქა, სიფრიფანა მუხლებზე ხელები მოხვია და მიეხუტა. ერთხანს გაუუჩდა. მერე ხმაჩახლეჩილმა თქვა.

— მე ალარ მახსოვს ვინ ვარ. იმდენ რაღაცეზე ვთქვი უარი ჩემს წარსულიდან, რომ ახლა ვინ დავრჩი ალარ ვიცი. მე ყველაფერზე ვთქვი უარი, ეგ შენც გცოდნია, ოღონდ უარის სათქმელი კიდევ დამრჩა და ეს მლუსავს ახლა.

— რაღა დავრჩა, შე საბრალოვ?

— შენ!

ქალი დაფრთხა. განზე გაბტა. კაცი წამოდგა. თვალები უელავდა. გარეთ ქეიკა, ქუხდა. კოკისპირულად წვიმდა.

— ხედავ რა ხაშინელ აღმოჩენამდე მივსულვარ ოურმე. აღმოჩენას თუ სენი ჰქვია, შენც ავად ხარ, ჩემო კარგო. ხომ ხედავ, შენც როგორ გიგიჭის ჩემგან წასვლა.

ქალმა უკან-უკან დაიხია და ისევ ერთ ფანჯრას ეყრა. პირი გააღო, მაგრამ ხმა ვერ დახძრა.

— ნურაფერს ნუ იტყვი, — ჩურჩულით თქვა კაცმა და თავი გააქნია, — აბრი აღარ აქვს. ეგ შენი გამოცდა კი, საშუშუბარიდ, ჩავაბარე. ამ ბინაზეც უარი ვთქვი. ტუუელი გით-

ხარი, არ დგვიმობ-მეთქი, როცა ამაში გარწმუნებდი, იმ დროს უკვე უარი მქონდა ნათქვამი, სახლზეც და კიბეზეც. მაგრამ ეს ყველაფერი მოგონილია იმასთან შედარებით, რაც ბოლოს დავთმე. მე შენზეც ვთქვი უარი. ხედავ, რა საზარელია ჩემი სიმხნევის საფასური. ხვალ კოკა მეავე შენთან დაკატოებული.

ქალს მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე. თავს აქნევდა უარის ნიშნად. კაცი ისევ სკამზე ჩამოჯდა. ღვინიანი ჭიქა აიღო ხელში. მაღლა ასწია.

— მშვიდობით, ჩემო პატარავ! — თქვა და შესვა. ხელის კანკალზე აშკარად ეტყობოდა, რომ ცუდად იყო.

ქალი გულხელდაკრეფილი უსმენდა. შემდეგ თავი შეარხია. თმები მხრებზე მიმოფანტა, გაიცინა მოწყენილად, მერე უფრო დაბეჯითებით გააქნია თავი უარის ნიშნად.

— არ ღირდა მაგის თქმა, ისე ლამაზი იყო ყველაფერი, ისეთი საუკარელი იყავი, მე ახლაც მიყვარხარ. ჩავთვალოთ, რომ არაფერი არ გვითქვამს, — ცოტა ხანს ალერსიანად უმზერა კაცს და მერე განაგრძო, — გული მატკინე და მეტი არაფერი, რად გვინდოდა ეგ ან შენ ან მე. ვითომ ჯინაზე მითხარი, კარგი?

— ღმერთო ჩემო, ნეტა ეგრე ყოფილიყო.

— მე ოცნება ვარ, ჩემო მოხუცო. ოცნებას კი უარს ვერ ეტყვი, — ღრმად ჩაისუნთქა. ეზოს ხარმეფლთან მივიდა, ფარდა გადასწია და ერთხანს თვალებგაშტერებული იცქირებოდა სიბნელეში. გარეთ ისევ კოკისპირულად წვიმდა. ხელი დაუქნია ვიღაცას. ვაკაკაცი შეერთა. ქალი მოუხვდა შეშფოთების მიზეზს.

— ნიკას დავუქნიე ხელი.

— გზედავს?

— არა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს.

ისევ კაცთან მივიდა. წინ გაუჩერდა. კაცმა უკან დაიხია, თითქოს შეეშინდა, რომ ქალი არ შეეხებოდა.

— გაძღეს უჩემოდ? — თავი გააქნია მწუხარების ნიშნად. ერთი წამით თვალებიც დახუჭა.

კაცმა ისევ დაიხსა ღვინო, რაღაცის თქმაც დაიპარა.

—სსსუ. ხმა აღარ დასძრა. ჩუმად იყავი, — ხელით სახეზე მიეალერსა, ნუ გამორბიბარ და ნურც მიცილებ, შენ არ იცი, მერე როგორ მოგენატრები, — შუბლზე აკოცა, — ჩემთვის უარის თქმა კი არ შეიძლება და ეგრეც რომ იყოს, ამის მერე რაღას იზამ, მე სიამოვნებით შემოგწირავდი თავს, მაგრამ როდემდე ვეცოფი? — მოცილდა, შორიდან მწუხარებით გამოხედა, — ჩემს მერე რაღას იზამ? — კიდევ უფრო შორს გაიწია, ხელი ასწია და დაუქნია, — ვერ წარმოიდგენ, რა ლამაზი იყო ყველაფერი, მშვიდობით, მოხუცო!

უკან-უკან დაიწია. ისევ ურე ფანჯარას მიადგა ზურგით, კაცმა ხელი გააყოლა. ადგილიდან დან კი არ დაძრულა. მეორე ბელში ჭიქა-ეფერა. ქალი ზურგით მიაწვა ურე ფანჯარას.

— მშვიდობით! — ახლა უკვე ჩურჩულით თქვა ქალმა. უეცრად ფანჯარა ეახანთ გაიღო. წვიმის ხმანი ფარდა გამოჩნდა ფანჯრის მიღმა. ქვეშით ხვეი იყო, ბნელი და ღრმა. ქალი მსუბუქად შეაგდო ფანჯრის რაფაზე, ფეხები აიკიდა, მერე გარედან გადაეწო. თხელი ქერანგი მთლად დაუსველდა, ტანზე მიეკრო. ახლა ისევ ოკროსფერად ანათებდა მისი სხეული. შორიდან გაუღიმა კაცს. კაცი ხმის ამოუღებლად მისჩერებოდა ულაწილ ქალს. მხლოლად ხელი უკანკალებდა და ჭიქიდან ღვინო იიტკაწს წვეთავდა. რაღაცის თქმა დაიპარა. თავი შეარხია, თითქოს უსიამოვნო ფიქრს იცილებსო, ხელი წინ გაიშვირა და ამ დროს უმაწვილი ქალი მოწყდა ფანჯრის რაფას და გაუჩინარდა. ქარმა საშნილად დაუბერა. ფანჯარის ორივე ფრთა მოაჯახუნა და უეცრად ყველაფერი გაუუჩდა. ალარც ელვადა, ალარც ქუხდა. მხლოლად ოკროსფერი ნათება ჩანდა ურე ფანჯრის ფიშნზე, და ნუნარ ეკოსავით ისმოდა ქალის ბოლო შეკითხვა: ჩემს მერე რაღას იზამ? რაღას იზამ?.. ხმა თანდათან მიილია, ნათებაც გაფერმკრთალდა და ბოლოს ყველაფერი გაქრა. კაცი გამორეკვა. ჭიქა მაგიდაზე დადგა. წამოდგა. თვალები უელავდა. ურე ფანჯარასთან მივიდა. ხელის შეხება ვერ გაბედა. შემობრუნდა, ეზოში გადაიხედა. ბნელში არაფერ არ ჩანდა, არც ზუეი ენთო. წვიმას და ელვას სახლებში შეერეკა მეზობლები. ისევ ურე ფანჯარას შეხედა. ხელები გულზე დაიკრიფა. თვალები დახუჭა და ხმაღალი თქვა:

— შეცდი, ჩემო ოცნებავ, ჩემო პატარა სასნაულო. შენს მერე კიდევ მაქვს უარის თქმის საშუალება, — იყუჩა და დაამატა, — ანი უკვე საკუთარ თავს ეეტყვი უარს.

უეცრად, რაღაც ხმაური მოესმა. სახლი შეიძარა. კაცმა კარი გააღო და გარეთ გავარდა. ძე ხორციელი არ ჩანდა ირგვლივ. კარის წინ ბაკანზე შედგა. ირგვლივ მიმოიხედა. ჩამარშუმიკარ ისმოდა. ფეხი მოინაცვლა და უეცრად შებარბაცდა. ფეხქვეშ ფიცარი გამოეცალა, კაცი ქვეყნით დაკანდა. თავი ვეღარ შეიმაგრა, ხელლეკ ვერაფერს ჩასწვდა. მოწყვეტილთ დაეცა. საფეთქელი კართან დამგარებულ ფეხსაცმლის საწმენდან დანას დაკარა და გაბრუვდა. კიბის ქვეშ ვიღაც შეინძრა. მიწაზე რაღაც მოაფთურა და წელში მოხრილი ჩუმად ბაღისკენ. ფრთხილად, ფეხკიკეფვით მივიდა ეზოს კარამდე და კუჭის სიბნელეში გაუჩინარდა. მოხუცი კარგა ხანს ეგდო კიბის ბაკანზე. როდის-რომდის მოგიდგა გონს. შეიძარა. ხელს დაეყრდნო, გადაბრუნდა, მხარით მიაწყო კარებს და შეადო. გაგიჯვებით შემობლდა სახლში, კარი ნელა და უხმაუროდ დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი დილა გათენდა. ცაზე ღრუბლების ნაგებმასლიკ არსად ჩანდა. დიდი სიცხისაგან ემშვიდებოდა ბრეშარე. ჩიბის ბოლოში ხმაური მოისმა. მილიციის მაჯანა შემოგრილდა ჩიბში და ამ ჩვენი ეზოს კარებთან შედგა. მაჭანიდან სანინ გადმოვიდნენ. წუნარად შევიდნენ ეზოში. ეზოშ გაოცდა. ჯერ სიმონმა გამოიხედა, მერე კოკამ, ცოტა მოგვიანებით ქალები გამოვიდნენ. შემოსულებიდან უფროსმა გამარჯვება უსურვა მაცხოვრებლებს. სიმონმა გამარჯვება დაუბრუნა მოსულებს და მერე კოკას მიაჩერდა გაკვირვებული.

— შენ სახლში ხარ? — აკი საავადმყოფოშიაო?

— ვიყავი, სიმონ ბიძია, მაგრამ ვერ გავძელი და გამოვიპარე. არაფერი არ ეკერის, უნდა იწვეო და ახე წოლით სახლშიც კი ვიწვები.

— ეს ხალხი შენთან არის?

— არა მგონია.

— ეგა რა უნდათ მაშინ?

— ალბათ სახელი უნდა დაანგრიონ, — გამოაცხადა ლიამ და მილიციელებს მიმართა:

— უნდა დაანგრიონო?

— რა უნდა დავანგრიოთ? — გაიკვირვა მოსულმა.

ლიამ მოხუცის სახლს ახედა. მოსულმაც ახედა სახლს და მერე წუნარად თქვა:

— ჩვენ მილიციიდან ვართ.

ეს გაბმარტება სულ ზედმეტი იყო, ფორმაზე ნათლად ეტყობოდათ საიდანაც იყვნენ.

— უნდა დაიბარონ? — შეიცხადა ევგა.

— ვინ? — ისევ იკითხა უფროსმა მილიციელმა.

ახლა ევგამ ახედა ზეკით.

— რატომ ფიქრობთ, რომ უნდა დავიბაროთ?

— რა ვიცი, ალბათ ძალით გინდათ გაიყვანოთ.

მოსულმა ეტყობა ვერ გაიგო ნათქვამის აზრი და ყველას მიმართა:

— უნდა დავთვალიეროთ. ამ საკუნნაოზე უნდა აძვრე, — მიმართა ერთ მხლებელს, — შენ ეგებ გარედან შემოუარო, უთხრა მეორეს. — მერე ისევ მაცხოვრებლებს მიუბრუნდა, — ამ სახლს ხვევ მხრიდან შეიძლება რომ შეიოუაროთ?

— არა, ბატონო. ამ კედლის იქით ფრიალელი კლდეა. იქიდან შემოვლა შეუძლებელია. რაში გვირდებათ? — დაინტერესდა სიმონი.

— მაგას ცოტა მოგვიანებით გეტყვით.

ქუჩიდან ხმაური მოისმა. მილიციის მაჯანის გამორეკვამ ჩიბის მცხოვრებლებს ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა და ახლა ნელ-ნელა გროვდებოდნენ ეზოსთან.

— აკ ნუ შემოხვალთ, — გაადრთხილა უფროსმა ყველაზე დიდი ცნობისმოყვარენი, რომ ლებმაც კარებში დაიწყეს ჯეკტა.

— რა მოხდა?

— რა ამბავია?

ახლა კი დაფაცურდნენ მაცხოვრებლები.

— მოითმინეთ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. თქვენ ეს მითხარით, საიდან შეიძლება ხეკისკენ გადახედვა?

— ვერსაიდან, — უპასუხა კოკამ, — ეზოს ეს კედელი ღრმად არის გადაკიდებული ხეკზე. იქით გასვლა შეუძლებელია.

— ამ საკუნნაოების სახურავიდან?

— არც აქედან. კედელი სამ მეტრზე მაღალია, აკ კი სულაც მეორე სართულია.

— მეორე სართულის სახურავიდან?

— იქიდან კი შეიძლება გადახედვა. მაგრამ იქ როგორ ახვალთ?

— არ არის ახასვლელი?

კოკამ ტუჩები მოშეუწა.

— ნწუ.

— კი მაგრამ, რომ გაფუქდეს სახურავი. როგორ უნდა გაარემონტოთ?

— ოოო, ჩემი ბატონო. — თავი გამოიდო ლიამ დედამ, — ჯერ ერთი, არავინ არაფერს არ გვერემონტებს და თუ მაინდამაინც მოინდომეს, კიბე უნდა მოიტანონ, გრძელი კიბე. ეზოდან მიადგამენ და ისე ავლენ.

— სხვა გზა არ არის?

— არა, ჩემი ბატონო.

— ხეკისკენ ფანჯრები თუ გადის რომელიმე საკუუნაოდან?

— არცერთიდან არ გადის, — ისევ ლიამ დედამ უპასუხა, — ერთ კედელია. მარტო საპირფარეშოს აქვს პატარა ნახვრეტი. აგერ ა. შეხედეთ!

უფროსი ახლოს მივიდა და ყურადღებით შეათვალიერა ნახვრეტი. პატარა ხვრელი იყო. ალბათ ძველად თუნუქის ღუმელის მილი იყო შიგ გაყრილი. უფროსი ისევ ეზოს შუაში გამოვიდა.

— მეორე სართულის ხომ აქვს სარკმელი?

— არც იქ არის, — გადაუწურა იმედი ხიმონმა.

— ვინ ცხოვრობს იქ?

— მოხუცია ერთი.

— გამოახედეთ და უთხარით ბინის დათვალიერება უნდათ-თქო.

— ცოტა უკმეხი კაცია ბატონო და თან ამ კიბეზე ახვლაც არ არის მთლად უბრალო საქმე, — ყველას მაგივრად უპასუხა სიმონმა, — დამშალია კიბე.

— შენ ადი! — უბრძანა უფროსმა ახალგაზრდა ხელქვეითს. მილიციელი სხარტად შეხტა კიბეზე.

— ფრთხილად! — ერთხმად შესძახეს მეზობლებმა.

მილიციელი შედგა, ეტყობოდა დაიჯერა მა-

ცხოვრებლების რჩევა. ფრთხილად დაიწყო ასვლა. კიბე ჭრიალებდა. გამოფიტული ფიცრები საეკვოდად იზნიქებოდა. როგორც იქნა ავიდა ზეკით.

— აქ ფიცარია ჩატეხილი თუ ჩაჯარნილი, — გადმოსძახა ზემოდან.

— ვერ შეხვალ?

— შესვლით როგორ ვერ შევალ.

ახალგაზრდა მილიციელმა ფრთხილად გადაბიჯა ჩატეხილ ფიცარს და კარზე დაკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ისევ დაკაკუნა, არც ამჯერად უპასუხია ვინმეს.

— ეტუობა სახლში არავინ არის.

— წესით უნდა იყოს, — თქვა ნოემ, — ასე ადრე არასდროს არ გასულა სახლიდან.

— ეგებ ძინავს?

— დაბრაზუნეთ უფრო მაგრად, ცოტა ეუოს აკლია მოხუცს.

ახალგაზრდა მილიციელმა ისე მაგრად დაბრაზუნა, რომ კარი შეიღო.

— კარები ღია.

— შეიხედე ერთი! — უბრძანა უფროსმა.

მილიციელმა შეიხედა.

— ბნელა, არაფერი არ ჩანს.

— შედი შიგ და ნახე.

ახალგაზრდა შევიდა.

— აქ ტელეფონი აქვს ვინმეს? — იკითხა უფროსმა მილიციელმა და მიმოიხედა.

— არა, ჩვენთან არავის არა აქვს ტელეფონი.

— კარგი, მიდი ერთი შენ, — მეორე მილიციელს მიუბრუნდა უფროსი, — რაციით სთხოვე, სახანძრო რაზმი გამოგვიგზავნონ გრძელი კიბით.

დაკვეთმდებარებული გარეთ გავიდა. ამით ისარგებლეს ქუჩაში შეკრებილებმა და ეზოში დაიწყეს შემოსვლა. მათ მილიციის მანქანის მძღოლისგან შეეტყოთ ნამდვილი ამბავი.

— დამღლრჩვალი უნახავთ თორმე,

ატყდა ჩრჩოლი და მითქმა-მოთქმა.

ამასობაში ზემოთ ახული მილიციელი გამოვიდა გარეთ და უფროსს ჩამოსძახა:

— აქ ერთი კაცი წევს, მოხუცი კაცი. მე მგონი, რაღაც ვერ არის კარგად.

— რას ჭკვიანი ვერ არის?

— მე მგონი, მკვდარია.

— ეუბ, — ერთხმად იკივლეს ქალებმა.

უფროსი ახლა თვითონ მივიდა კიბესთან. ყველანი სულგანაბული მისჩერებოდნენ მას. ფრთხილად ავიდა. ერთგან ფიცარი ჩაუტყდა, მაგრამ იმარჯვა და ზედა საფეხურზე გაასწორა. როგორც იქნა ავიდა. ახალგაზრდა მილიციელი კარებთან უცდიდა. ორივენი ოთახში შევიდნენ. უფროსმა ოთახი შეათვალიერა.

— ფარდები გადაწიე, არაფერი არ ჩანს.

ახალგაზრდამ ფარდები გადასწია. ოთახი განათდა. ოთახის სიღრმეში, ტახტთან, იატაკზე მოხუცი იწვა. უფროსი ახლოს მივიდა და დაკვირდა. რაიმე ძალადობის ნიშანი არ ეტყობოდა. მაგრამ გაუსინჯა. დაინჩარა და გულზე დადო ყური. ერთხანს ასე იყო და მერე წამოდგა.

— მკვდარია.

ოთახი შეათვალიერა, რაიმე განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია, მაგიდაზე ღვინის ბოთლი იდგა სანახევროდ დაცლილი. ნაღვინარი ჰიქა მაგიდაზე იდო. მეორე ჰიქა ერუ ფანჯრის რაფაზე იყო შემოდგმული. ისიც ნაღვინარი იყო.

— აქ მე მგონი, ვიღაც მეორეც იყო. — თქვა ახალგაზრდა მილიციელმა.

უფროსმა იმედი გაუცრუა.

— ამ ჰიქის გამო თუ ამბობ, ახეთი ნაღვინარი ჰიქები აქ ბევრია. ეტუობა ეს კაცი ჯერ ყველა ჰიქას ხმარობდა მიმდევრობით და მერე ერთბაშად ჩაჰქონდა ყველთან და რეცხდა. მართალიც არის, ეოველი ჰიქის გულისთვის ხომ არ დაიწყებდა ეველ-ყველთან სირბილს, — ამ სიტყვებზე ხელი კარადისკენ გაიშვირა. იქ მართლაც იდგა რამოდენიმე ნაღვინარი ჰიქა და ნახშირი თეფში.

ოფოსმა კარი გამოაღო და ძირს მყოფთ გადმოსძახა:

— ხასწრაფო გამოიძახეთ ვინმეს, — ეს თქვა და ისევ ოთახში შებრუნდა. ისევ ფანჯრის რაფაზე დადგმულ ჰიქას დაადგა თვალი. მერე დაგმანულ სარკეელს ახედა.

— აკი აქ არ არის ფანჯარაო, ეს უკვე საინტერესოა და საეჭვო. ფანჯარა სწორედ ბევრსკენ გადის და თან აგერ მეორე მკვდარიც ვვიავს. მოდი ერთი, მომეშველე. ეს ფანჯარა გავაღოთ.

გულდაგული მიაწვნენ ფანჯარას. ბევრი ეჭაჭგურნენ, მაგრამ ძვრა ვერ უქნეს. ფანჯარა საიმედოდ იყო დაგმანული. თან უზარმაზარი ლურსმნებითაც იყო დაჭედილი. ამ ფანჯარაში გარეთ გახედვა შეუძლებელი იყო.

— ნახე ერთი, რაღე რკინა ხომ არ გდია, არ შეიძლება არ იღებოდეს.

ახალგაზრდამ ძებნა დაიწყო და კარს გარეთ სიმონის დანატოვარი რკინის ღერო იპოვა, ახლა ეს რკინის ღერო გაუჭკვეს და მიაწვნენ. მაინც ვერ დაძრეს ადგილიდან.

— კარგი, ჩავიდეთ ქვედონ და მეხანძრეებს დაველოდოთ.

რის ვაივაგლახით ჩამოვიდნენ ძირს. ამასობაში ეზოში უკვე ყველამ იცოდა, რის გამოც იყო მოხსული მილიციელი.

ხეეში, მდინარის პირას, ნახეერად შიშველი გოგონა ეპოვნათ დამღლრჩვალი. ვერ გიგეოთ წყალმა გამორიცა დამღლრჩვალი თუ ზემოდან იყო გადმოგდებული. სწორედ ამას იკვლევდა ახლა მილიციელი. ამასობაში მეხანძრეების მანქანა მოვიდა ყვითელ-ყავიფერი. უკან სასწრაფო მოუვა. მეხანძრეებმა. უფროსი მილიციელის

მოთითეზის თანახმად. კიბე გამართეს და ხეკ-ზე გადაკიდეს კუჭიდან. ჯერ ეკიმი და მერე სანიტარიე რიგრიგობით ავიდნენ ოთახში რის ვიდგაანახით, ორი ბუნბერე კიბეზე ავარა და ხეკის მხრიდან მოადგენენ სახლს. მილიციელთა უფროსიც მიუვა მათ. გარედან დაათვალიერა სახლი. ფანჯარა მოადგა. ფანჯარა გარედან ჭკარიდნად იყო დიდი ფიცრებით აჭედილი. უფროსმა ყოველი შემთხვევისთვის სკადა ამ ფიცრების მოძრობა, მაგრამ მალე შეეშვა. ამას აზრი არ ჰქონდა. ფანჯარა ჩაკეტილი და ჩაჭედილი იყო.

— ამ ფანჯრის გაღება შეუძლებელია. უფრო სწორად კი შეიძლება, ოღონდ დიდი ძალაეენია საჭირო, — მოახსენებს მეხანძრეებმა.

მილიციელმა არაფერი უპასუხა და ხელით ანიშნა მიწაზე გადაბმულთან.

ძირს ჩამოსვეს. მილიციელი ისევ ეზოში შემობრუნდა. ეკიმი უკვე ძირს ჩამოსულიყო.

— წავდარია, — მოახსენა ეკიმმა მილიციელს, — თავი აქვს დარტყმული რაღაც მაგრზე.

— ეგებ ჩაარტყეს რამე?

— ეგ არ ვიცი. ფაქტია, რომ სიკვდილი თავის ტრავმის შედეგად მოხდა. ლია ტრილმა არა აქეს. თავი დაარტყა-მეთქი რომ ვთქვი, მხედველობაში ის ჩატეხილი ფიცარი ჰქონდა კარებთან. სხვა უკვე თქვენ იცით.

მილიციელმა თავი დაუქნია.

— ძირს ხომ არ ჩამოვასვენოთ? — იკითხა ახალგაზრდა მილიციელმა.

— მეც მინდოდა, — სიმონმა შეაწუვეტინა სიტყვა.

— ეგ კარგია, მაგრამ ამ კიბეზე მიცვალებულის ჩამოტანას ვინ შეძლებს? ეს კიბე ხუთ კაცს კი ა ია, ერთს ვერ უძლებს ხეირიანად.

— ალბა, რა ვქნათ? — ახლა უფროსმა მილიციელმა იკითხა.

— თქვენსკენ დაათვალიერეთ კრიმინალისტის თვალით და თუ სხვა რაღე მოსაზრება არ გექნებათ, კაცს გამოგიგზავნით და აქვე გაუკეთებს ბალზამირებას. ახლა ხომ იცით, ძალიან ცხელი ა საშინია ან აუროლეტა. თუ ძირს ჩამოიტანთ როგორმე, მაშინ მორგში წავიღებთ.

ახალგაზრდა მილიციელმა უფროსს თავისი მოსაზრება გაუზიარა:

— მე მგონი, ჯობია აგ ბმოაგზავნოს ბალზამის გამკეთებელი. მე ხელმეორედ კიდევ ვიყავი ზემოთ ეკიმთან ერთად. დავათვალიერეთ. მართალია, დარტყმული აქვს თავი. ტალახის საწმენდზე თმებია მისი შერჩენილი. ეტყობა ფიცარი ჩაუტყდა.

ეკიმმა თავი დაუკრა და სასწრაფო დახმარების მანქანისკენ წავიდა.

— ფანჯრის საკითხი ალბათ უნდა გამოვრიცხოთ, არა? — იკითხა ახალგაზრდამ.

— კი. ისევ აჭედილი. რომ უმალ კეტელი დაინგრევა. ვიდრე ის გაიღება. ახლა ახე ვქნათ: მე წავალ, ცნობილი ეგებ ვინმემ ამოიცნოს. ეს ოგორნას ვვამი. ალბათ იმასაც გაარკვევენ უკვე. რითია მკვდარი ის უბედური. შენ უოველ შემთხვევისთვის მეზობლები დაკითხე და ოქმი შეადგინე.

— ალბათ, მაინც, წუალმა გამორიყა, — თავისი აზრი გამოთქვა ხელვეკეთმა.

უფროსი კუჭაში გამოვიდა. ახალგაზრდა მილიციელმა მანქანამდე მიიცალა და კარი გაუღო.

უფროსი მანქანაში ჩაჯდა. მძღოლმა მანქანა დაძრა, მილიციის მანქანას სახანძრო მანქანაც გაუვა. სასწრაფო უფრო ადრე წასულიყო. ბალხმაც დაშლა დაიწყო. ცოტა ხანში ყველაფერი დაწყნარდა. კუჭა დაცარიელდა.

ახალგაზრდა მილიციელი ეზოში შემობრუნდა.

— რა ვქნათ ახლა? — იკითხა მან, — თუ არ დაგეზრნებათ, თქვენი ჩვენებები უნდა ჩავიწერო. წესია ასეთი, რაც არ უნდა იყოს, კაცი მოკვდა. ეგებ რაღე საეჭვო იცით?

მეზობლებს გაეცინნენ.

— ამ მოხუცს რა უნდა ჰქონოდა საეჭვო, გუშაულითან უწუნარი კაცი იყო.

— მეზობლ, მეზობლ, — თქვა მილიციელმა. მაგრამ წესი წესია. ოქმი უნდა შეადგინო.

— კი ბატონო.

— როგორც გნებავთ.

აქეთ მობრძანდით. ჩემთან შეეიდეთ, — შეიპატიჟა კოკამ.

კოკასთან შეეიდნენ. მილიციელმა კალალდები დაიერიგა მეზობლებს და ახსნა-განმარტებები დაიწერინა. ხელიც მოაწერინა. ქალალდები ერთად შეკრა და წასვლა დაამპირა.

— რაიმე დახმარება ხომ არ გვჭირდებათ? მე მხედველობაში მაქვს, ეგებ ბის ნათესავებს შეკავშირებით ვინმეს. მიცვალებულს დამარხვა უნდა.

— არავინ არ ყავს. ჩვენ ვართ მაგის პატრონიც და მიმხედველიც.

— რას მეელაპარაკებით. აუ, აუ, საწყალი.

— ისე გვიყვარდა ყველას, — თქვა ლიას დედამ.

— ახლა ჩვენ როგორ ვუყვარდით, — დაამატა ეკამ.

— მე სახლმმართველობას შევატყობინებ და კუბის გამოვგზავნინებ, — თქვა მილიციელმა.

— მაგას თუ იზამთ, კარგი იქნება, — თქვა კოკამ.

— მე ისევ ის აზრი მაწუხებს, ამ კიბეზე როგორ განდა ის კაცის ჩამოსვენება!

— მართალი ხართ, — დეეთანხმა მილიციელი, — ეს კიბე ხალხს ვერ გაუძლებს. იცით რას ვიზამ, სახლმმართველობაში მივალ და ვთხოვ. ცოტა გაამაგრონ ეს კიბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ კაბეს გამაგრება უშველის? — თქვა კოკამ.

— მაშინ, ახალი გაკეთებანინთ.

— აბა, აბა, აბა, — შეიცხადა სიმონმა. — მაგ ჩვენ რაღასი მაკნისები ვართ. მე მაქვს ცოტა ხის მასალა ჩემ ძმასთან და გადმოვიტან, რა უნდა ამ კიბის გაკეთებას. თქვენ მაგაზე არ იფიქრით.

— კაცი ყოფილხართ კაცური, — მოუწონა განზრახვა მილიციელმა.

— ხელოსანს მე მოვიყვან ჩვენი ინსტიტუტიდან, — წინ წამოდგა კოკა.

— არ გვინდა, არა, ხელოსანი არ გვკირდება, ერთი-ორი უბრალო დამმარე მუშა მოვიყვანთან, სხვას მე ვიზზამ თვითონ.

— ამ მტკივანი ხელით? — გაიკვირვა ლიამ.

— გამიარა უკვე, გამიარა, თქვენ ჯობია ქალებმა ქალების საქმეს ხაქმეს მიხედონ. მიცვალებულს გაპატიესნებენ უნდა.

— მე ამოვიყვან ამ დედაბერს, აი, ჩიბის ბოლოში რომ ცხოვრობს და ის გაპატიესნებს მიცვალებულს. — თქვა ლიამ დედამ.

— აბა, თქვენ იცით, ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს, — დაიბუბნა მილიციელმა, ხელი ჩაიქნია და კარებისკენ წავიდა, — ძნელია მარტოხელი კაცის ცხოვრება.

●

მეორე დღეს საღამოსთვის მოთავეს უკვლა საქმე. ახალი კიბე ფიქვის სუნით ავსებდა ეზოს. ხელს სიამოვნებდა ახლად გასალესნებული მოაჯირი. მიცვალებული კუბაში ჩაახვევნეს. ყოველი შემთხვევისთვის მღვდელიც მოიყვანეს. ოთახიც მიალაგეს. ფანჯრები გააღეს და ჰაერი გაანიავეს. წიგნების კარადის ფარდა ჩამოაფარეს. პატარა სარეკ დამლილს. ზოგი ზედმეტი ნივთი ქვემოთ საკუჭნაოში ჩაიტანეს. ავეკი მისწი-მოსწიეს. კუბო შუა ოთახში გამოაჩინეს და კედელთან სკამები ჩაამწკრივეს.

შებინდებულში ჩაიონის ხელმძღვანელის დაკალებით ანდრო ეწვია მათ. მოიკითხა მეზობლები, როგორ არის საქმეო. ხომ არაფერი გიჭირთო.

— ღვთის მადლით და თქვენი ზრუნვით უკეთაფერი მოვრჩი, — სიტყვა შეაკვნა ლიამ დედამ.

— რა დროს გარდაიცვალა ეს კაცი, პირდაპირ გულდასაწუალები, ბინა შეეფრჩენი, ორდერიც გამოეუწერეთ და ამ დროს არ მოკვდა?! დასანანია, დასანანი. წუნარი მოხუცი იყო. იყო თავისთვის, არავის არაფერს უშავებდა. თუმცა ჯიუტი კი გამოდგა. მაინც გაგვაკეთებინა კიბე. — ანდრომ მოაჯირს დაჰკრა ზელი.

— აბა, აბა, — ყური დაუკრეს მეზობლებმა. სიმონი ვერ იყო ცოტა გუნებაზე. ეტოუბა ამდენნაირ საქმიანობას სიკა გააცალა. ცალკე იჯდა თავის ფანჯრასთან და ანდროსთან ერთად. ანდროსთან ერთად ერში მონაწილეობას არ იღებდა.

— ბატონო ანდრო, — თვალების ეუუუნინი მიუახლოვდა ლია ანდროს, — იმ საღამოს ძალიან დასეელდით, არა?

ანდრო შეკრთა.

— როგორ?

— აი, აკ რომ იყავით საღამოს, ორი დღის წინ, წვიმამ რომ მოგიხეწროთ. ჩვენი ეზოს კედელს ეფარებოდით. კი მინდოდა დაძახება, მაგრამ მომერცხა, უნდა დამეძახა, არა?

ანდრომ დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით.

— მე... მე არ აკ ვყოფილვარ... ხელმძღვანელთან ერთად რომ ვიყავი, მას მერე, მე აკ არ ვყოფილვარ.

ლიამ გოოცებისგან პირი დაალო.

— ერთი კიდევ დავხედოთ ზემოთ. ხომ უკეთაფერი წესრიგშია? — სხვა თემაზე გადაიტანა სიტყვა ანდრომ და კიბეს დარბაისლურად აუუვა.

კოკაც ამუვა. ანდრომ ოთახი შეათვალიერა.

— მშვენიერად მოგიწყვიათ, — შეაქო ხელმძღვანელმა მუშაკმა მაცხოვრებლები.

— რაც შეგვეძლო ყველაფერი გავუკეთეთ.

— ეკ, რა არის კაცის ცხოვრება, ამ კიბის დარდში დალია სული ამ საწყალმა. არც ჩვენ ვარო ყველაფერში მართლები. ზოგჯერ ხალხის მასეხოთან ახლოს მისვლა გვაკლია. ცოტა ადრე რომ გვეკნა ეს, შეიძლება ეს უბედური დღეს ცოცხალიც კი ყოფილიყო.

— აბა, აბა, — ქვემოდან სიტყვა შეაშველა სიმონმა.

— რა იყო ამის ცხოვრება, — ხელები გაშალა ანდრომ და თავი გააქნია.

— უაზრობა, — ისევ თქვა სიმონმა. ოლონდ ამჯერად უფრო თავის თავს უთხრა, ვიდრე ანდროს, მერე გარეთ გამოვიდა და ხმამაღლა თქვა: — ხანდახან, რომ დაფიქრდები, კეეეანა დუღს, გარშემო იმდენი რამე ხდება, ბრძოლა, გაუსრეტა, აი, თქვენი ცხოვრება ავიღოთ თუნდაც, ზოგს ოილი ჩგონია, არა და რამდენი ნერვები უნდა ყველაფერს, რამდენი წინააღმდეგობა, რამდენი გამკრიახობა: ბრძოლა, გამარჯვება, და ყველაფერ ამის ფონზე ამ კაცის ცხოვრება მართლა უაზრობად ჩანს. მაგრამ, ალბათ ასეც უნდა იყოს. ყველას თავისი წილი აქვს ამ ქვეყნად.

— კეისარს კეისრის, ღმერთს ღმერთის, — სიტყვა ჩაურთო ანდრომ, — ისე თქვენ მართალი ხართ, ძალიან დაძაბული ცხოვრება გვაქვს ჩვენ, — ბოლო სიტყვაზე მახვილი დასვა, — მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ასეთ არსებასაც აქვს სიცოცხლის უფლება.

— აცხონოს ღმერთმა, — თქვა კოკამ.

ანდრომ გაკვირვებულმა მოხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადადა. ანდრო ძირს ჩამოვიდა და გამეცილებლების თანხლებით მივიდა შავ მანქანასთან. ჩაჯდა. სარკმელში გამოყო ხელი და დაუქნია ბოიკრებებს. მანქანა ნელა წავიდა.

შეხედე ერთი, რა ბაყაყივით ზის გაფხორილი, — ავად წაიკლიკა სიმონმა, — როცა უფროსს ახლავს, მაშინ ლაშის არის შეუძვრეს. — რა ქნას ამ საწყალმა, ეტყობა არც ამას ყავს არავინ.

— ყოლია, ყოლია, — ჩაერთო ლიას დედა, — ჩვენი მრეცხავის გოგო მუშაობს მაგათთან მდივნად და იმან მითხრა, ცოლი უთხოვია თურმე სიმამრის ბათრით და ის ეკარებაო ზემოთ.

— დაიკარგოს აქედან თავის სიმამრიანად, კაცი რომ ასე ტუტრების პრუწვას და თვალების ციმციმს მოაყვება, იმისგან კაცი არ დადგება არასდროს.

— მე პირიქით მითხრეს, ახალი უფროსი მოუვიდათ და ამას გაგდებას უპირებსო, — თქვა კოკამ.

— სად წავა მერე, ეს უბედური. რა შეეძლება ამას?

— ეჰ, ჯანდაბას მაგის თავი.

მეზობლები ეზოში შემობრუნდნენ.

კოკამ ისევ აირბინა კიბე და ზედა ბაკანის მოაჯირზე ჩამოჯდა.

— რა ბედია იცი აქედან? მე სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამ ოთახში, — ჩამოსძახა ქვემოთ.

— რას ამბობ, კოკა, ამ ბინას ხომ ანგრევენ.

— სამწუხაროდ. — თავი დაუქნია კოკამ.

მეზობლები ისევ თავ-თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ.

— რას აკეთებ, მანდ, კოკა, ისევ ლიიმ ვიყუ.

— ვიუურები. აქედან ისეთი რაღაცეები ჩანს, რომ ავ თვალს არ ეწახება.

— რაიმე განსაკუთრებულს ხედავ? — არ ისვენებდა ლია.

კოკამ თავი დაუქნია.

— განდა? ამოიკალ?

— ამოდი. ანდა მოიცა. ჯერ ერთ რამეს გეტყვი. მობუცის ნაჩუქარი, ძველი ბრინჯაოს ბედალიონი რომ გკონდა, გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, მარწმენებდა, წარმართოული დროის სალოცავი იყოო. დედაჩემმა კინაღამ მომკლა იმის დაკარგვის გამო.

— არ იყავი მოსაკლავი? — გამოეხმაურა დედა.

— გინდა გითხრა, სად არის?

— დამცინი კოკა. ნახევარ წელზე მეტია რაც დაკარგე. ყველაფერი გადავეკოთე და ვერ მივაგენი. ეტყობა ვიღაცამ მომპარა.

— შენს ოთახშია. ლოგინის ფეხი ადგას ზედ. ნიკას ოთახის კედელთან.

— კოკა! — გოოცებისგან ხმა ჩაუწყდა ლიას. მაგედან დაინახე?

ახსოვს ადარ დაელოდა, ისე შეეარდა სახლში.

კოკას გაეცინა. ფანჯარაში ეკვმ გამოიხედა.

— ამ ხსენებაზე, ნიკა სად არის ნეტა, ორი დღეა არ დამინახავს.

— ეი, მარილა, ამ საქმეებში ისე გაეერთეთ, რომ ადარც კი გაგვსენებია, — გამოსძახა ლიას დედამ.

— შეეხედე ერთი სიმონ, ნახე, რამე ხომ არ მოუვიდა ამ კაცს.

— რა უნდა მოსულიდა. — დაეზარა სიმონს ადგომა.

— ნახე მაინც, სირცხვილია.

სიმონი ზანტად წამოდგა და ნიკას კარს მიადგა, დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ახლა დააბრახუნა. არც ახლა უპასუხა ნიკამ.

— გაალე კარი! — აღელდა ეკა.

ლიას დედაც მივიდა სიმონთან. სიმონი კარს დაეჭაჭანურა და შეაღო. გოოცებისგან კარებშივე გაჩერდა. ოთახი ცარიელი იყო. არავითარი ავეჯი. მხოლოდ შიშველი კედლები.

— ეს კაცი გადავიდა აქედან?

— რას ამბობ, სიმონ?

— არ გადამრია. — შეიცხადა ლიას დედამ.

ქალები ნიკას კარს ეცნენ. ოთახი ცარიელი იყო. ნიკას კვალიც კი არ ეტყობოდა იქაურობას. გაკრიალებული კედლები მოწყენილად იკაკრიტებოდნენ მხოლოდ ერთი დიდი ლურსმანი იყო ეკალივით გამოჩრილი.

ახე ახდა ლიას სიზმარი.

თავის ოთახის კარებში ლია გამოჩნდა, თვალები სიხარულისგან ისე უელავდა, რომ გეგონებოდა ანათებსო.

— ვიპოვე! — თქვა მან და ხელი მაღლა ასწია. ხელში პატარა, მრგვალი, ბრინჯაოს ფირფიტა ეჭირა. ზედ გიდოლი იყო გამოსახული, რომელსაც ცისკენ მიმავალი კიბე ერტყა გარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთული რვეულებიდან

ოქრის ნაპირთან

მეც მომიყვანა ამ ნაპირამდე
ვნების ძალუმი ქარის ქროლებამ,
აქ დაბნევია ოქრო პირატებს,
რომ მე მეპოვნა ამ სტრიქონებად.

აქ დაბნევია ოქრო პირატებს,
მე კი დავეძებ სიტყვის მაგიას...

ის ბრწყინავს როგორც მზის სიდიადე,
იგი ღვთის ცრემლის სისპეტაკეა.

სიტყვას ვუმადლი, თვით უსაშველო
მარტოობაშიც რომ არ ვარ მარტო...
მისი არილი დგას ჩემს გარშემო,
მაშინაც,
ცრემლით ქვასაც რომ ვალტობ.

●

მე სული მაქვს სამშობლოზე
ფიქრში გამონახარში,
სხვისი კუთხეც მიყვარს, სულს ვლევ
სხვა ქვეყნების ნახვაში.

აი, ახლა უცხო ქვეყნის
მზეს ვარ მიფიცხებული,
მაინც ჩემის, საკუთარის
ნატვრით მითრთის სხეული.

იმ ბულბულის ხმატკბილ სტვენას,
უნდა გითხრა მართალი,
ასგზის მიჯობს ჩვენებური
ყვავ-ყორანის ყრანტალი.

მე სული მაქვს სამშობლოზე
ფიქრში გამონახარში,
და არ გავცელი იქაურ გვრინს
მე ამ სიცილ-ხარხარში.

აკაცია

აკაციას ბულგარეთშიც
ჰქვია თურმე აკაცია,
რა გვარადაც ჩვენში იცვამს,
იმგვარადვე აქ აცვია.

თვალით ისე ვეფერები,
თითქოს ძველი ძმაკაცია,
ღობე აქაც აკაციის
ქაცვით შემონაქაცვია.

ეგ ფიქრები რაა, წამით
სულის მოთქმას არ გაცლიან,
მაგონებენ მისგან სოფლად
წვიეები რომ დამკაწვრია.

ქაცვის ხილვამ თუმცა ტანში
ძვლებურად გამაცია,
მაინც ძლიერ გამიხარდა,
აქ რომ ვნახე აკაცია.

უნდა გჯონდეს ასი თვალ-ყური

კალიაკრა ბულგარეთის ქალაქ ბედრეკის
მომცრო ნახევარკუნძულზე მდებარეობს.

მე რომ მაბრუებს, არც ბანგია, არც თრიაქია,
ეს კალიაკრა მისია და მისი წარსული...
წევს ლეგენდების ნანგრევებში ძველი თრაკია,
თრთის ლეგენდებში შეკავლება ორმოც ქალწულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიცხვ დამპყრობელს იზიდავდა. ვით თაფლი ფუტკარს,
არამსოფლური, სამოთხური ღვთიერ ხედებით...
თრაკიის ბედში ისტორიას ვხედავ საკუთარს
და უროსავით დაკრულ ელდით ზღვისპირ ვხევდები.

მე დღეს დავრწმუნდი, კიდევ ერთხელ, რომ ულამაზეს
სამშობლოს პატრონს უნდა ქონდეს ასი თვალ-ყური,
შიშის, სიფხიზლის უნდა იჯდეს ცეცხლზე, ლავაზე,
უნდა იფხიზლოს თვით მაშინაც, რომ სჭექს მაყრული.

თითქოს ზვირთებს ჰყავთ თეთრ ხელებში ატაცებული
ეს საოცრება ცადაჭრილი, როგორც ძახილი,
თავისუფლების ნატვრა, წელში გადამტვრეული,
ა. იმ პურჯებთან დაკლულია ასი მახვილით.

წევს ლეგენდების ნანგრევებში ძველი თრაკია.
თრთის ლეგენდებში შეკივლება ორმოც ქალწულის...
მე რომ რეტს მასხამს, არც ბანგია, არც თრიაქია,
ეს კალიაკრა მისია და მისი წარსული.

●

მიჭირს წასვლა კალიაკრა მისიდან,
თავზარდამცემ სილამაზეს ვერ ვთმობ,
თითქოს მკერდში ჩასაკრავად მიზიდავს,
ვით მისიანს და ახლობელს, ღმერთო.

იმერეთს რომ დასცქერ თვითმფრინავიდან
გაზაფხულზე, ზღვა ბრდღვიალებს ისე,
აქ მკვდრის მზე რომ ჩადის, თითქმის ჩავიდა,
ცოცხლის მზეს სჯობს ამნაირი მკვდრის მზე.

●

თუ ძლიერნი ვართ, მკლავში და
მუხლში რად გვიდგას ძაბუნი,
მსოფლიოს წინსვლის ფერხულში
რატომ არა ვართ ჩაბმული?!

თუ ეს გზა მართლა არ ვარგა
სხვას დროზე რად არ ვეწევით?!
თუ ადგილიდან არ ვიძვრით,
წინ წასულს როგორ ვეწევით?!

ღატაკი რად ვარ, პატრონი
ხმელის და მერე რა ხმელის?!

რად არ გვენდობა და ეჭვით
რად გვიცქერს ზღვათა გალმელი?!

თუკია ძირგამომპალი
და ადევს ხავსი და ობი,
თავს აქეთ-იქით რად აქნევს
ის ჩვენი საცოდაობითან?!

არა და... შესაბრალები
ვართ
გზა რომ ვერ გაგვწალდავს...
თორემ გვაქვს ვისზე ნაკლები
სამშობლო ცადაც, მიწადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელბალმა გვიან მომბიბდიშა
და მაზიარა მხიარულ ფერთა,
აუზში ცურავს ჩეში ბადიში
ბერძენთან, ფრანგთან, არაბთან ერთად.

ერთურთის ენა მათ არ იციან,
მაგრამ თამაშში ეგ ხელს არ უშლით,
უკიდეგანო ეგ რა სივრცეა,
რა სიწმინდეა მათ სიხარულში!

გვაქვს წართმეული ამათებური
ნიჭი ერთურთის ხელად მინდობის,
წუხს მათ სიმდიდრეს დანატრებული
სიპატარავე ჩვენი დიდობის.

ჩამავალი მზით მესხმება რეტი,
აღარ მიველტება განმარტოებას.
ღმერთო, რადა მაქვს ამათთან მეტი
საერთო,
ვიდრე თანატოლებთან?!

ბელგრადში, რევოლუციის ქუჩაზე აქეთ-იქით ჩამწკრივებულ ყოველ ჭადარზე, ყვავების ორ-ორი, სამ-სამი ბუდე დავინახე.

ქალაქი ჩრელი და მოფუთფუთე
და ტურისტები სად არ მარები...
ასობით ყვავი ასობით ბუდეს
ჭადრის ტოტებში ქსოვს გამალებით.

დამაწერინა ერთი თვის წინათ
სოფელში ლექსი სიმრავლემ ყვავთა.
არ მიყვარს, (გაწყდა მათი სინსილა)
მე რომ მიყვარდეს სხვას ვის უყვარდა.

ღმერთის წინაშე ჩვენს სიპირშავეს
გაჩანაგება მოჰყვა ოლარის...

მათი სიმრავლე ავს არ ნიშნავდეს,
არ ატყდეს ქლეტა გაუგონარი?!

თორემ რა თავში ვიხლი მე ამათ
სიმრავლეს,
იყვნენ და იყვავყაონ,
მშვიდობიან დროს იქნებ ეამოს
კიდეც
ჩხავილი მათი სამყაროს.

საღამო ადრიატიკის ზღვის პირას

იქ შაშს ეპარება შაშვისფერი კატა,
შაშმა იცის კატის კატისფერი ზრახვა.
ბინდი წვება შავი, მზერა ვერ გაატანს,
შენც ამ მისნურ ცა-მყარს თვალს
მოჰკრავ და... წახვალ.

იადრანის ზვირთთა დარად იმპერიებს
იქ ამსხვრევდა ყამი, ა იმ ტაშრებთან...
როგორც ლეგიონებს, ფიქრებს
ვიგერიებ

და ნელ-ნელა იწყებს ღელვა დაყინებას.

შეჩერება წამით,
თვალის მოკვრა წამით,
შვება მხოლოდ ხილად,
ძალიან ძვირ ხილად...
გადაიქცა კატის იდუმალი ჩქამი
შაშვის ჭახჭახად თუ დიდ ჭექა-
ქუხილად.

ხელცა. ფიქრი ზღვის პირას

იმ ქაფიან,
იმ პერიან
ნაპირს ახსოვს მრავალი
დამსხვრეული იმპერია
და მკვდრის მზე ჩამავალი.

ახსოვს დიოკლეტიანეს
ყამი ნატრიუმფალი

და მე თავში მიტრიალებს
ქართლს რა ბედს სწევს უფალი.

შეუმკობენ იბერიას
შუბლს კვლავ იმფერ იებით?!!
დაერქმევა იმპერიას
ხვალ ნაიიმპერიევი?!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფალავანდიშვილი

ჩანახატები

●

დანა. მაგიდაა. საპურე. ჭიქა. ხელი. კოვზი. პური. შაქარი. წყლის უსიამოვნო გემო. ბებოს დასხმული ჩაი. პაშტეტი.

სვიტრი ახალი გარეცხილია. ტანზე სასიამოვნოდ მეკრობა. მაცვია მამაჩემის სპორტული შარვალი და კედები.

ბებო ჩაის მიცვლის. ახალი ფერი დამიყენა. ლიმონს ვიწურავ. ჭიქა. ფერი. კოვზი-თითები. პირი. თვალები. ცხვირი. ყური.

შენ იმართები. შენი კისერი გამართულია. ქედი უდრეკი. ყურები აწითლებული. თმა გადაწეული. ყურებთან თხელი ბაკები.

შენი მკერდი წინაა გამოწეული. „რჩეულს“ გეძახიან.

თავი ხელზე დევს. ჭიქაში შაქარს ყრი. იდაყვით მაგიდას აწვები და ჩაის სვამ.

ლიმონი. კანი. შიგნით ტიხრები. ჭიქა. ჭიქის ყური. ლამბაქი და ნამცეცები. ზოლები. ყავისფერი მუშამბა. ლურჯი პასტა.

შენ მურაბას ჭამ და ჩაის სვამ.

ბებო ფუსფუსებს. სამზარეულოს კარადას ალაგებს. მე რომ მურაბას ვჭამ, ბებომ გააკეთა თელავში.

ია ჭამს. კვერცხის გულს აყრის მარილს, ადებს კარაქს. წინ უდგას ჩაის ჭიქა და მურაბის ლამბაქი. საპურე. თავი გაზეთში აქვს ჩარგული. გაფაციცებით კითხულობს. მარცხენა ხელით ჩაის ურევს. მერე მეორე კვერცხს მაგიდას არტყამს. ნაჭუჭს აცლის და ჭამს.

აქვს ხუჭუჭა თმა და ბერძნული ყურები. ნაზი მკლავები.

ჭიქა. თლილი. შიგ წყალი ნახევრამდე ასხია. სუფრა. ყავისფრად მოხატული. ჩაის ჭიქები.

ნამცეცები. მუშამბა. მურაბის ცარიელი ლამბაქი და ჩაის ჭიქა. დაკრილი პური.

მურაბის თავდახურული გრძელი ქილა.

შენ დგები. შენი ფიქრები ტკბილია. სიყვარულით გაყღენთილი. შენ აღვსილი ხარ სიმორცხვით. შენი ხელი ეფერება ჩემ ხელს. თაფლისფერი თვალები თაფლისფრად იღვრება. გაშლილი თმა მხრებზე გეყრება.

შენი ხელი ჩემ ხელს ათბობს.

ცივა.

სული მღერის.

შენ მთელ უბანს დათხილი ურბენ. მას უნდა შეხვდე. საღამოვდება. დილიდან გარეთა ხარ. ლუკმა არ გიჭამია. ვერის უბანს სერავ. მას უნდა შეხვდე.

ზიხარ. ხელი სავარძელზე გიდევს. იდაყვი ხის საზურგეს ეყრდნობა. იატაკზე ხალიჩა აგია. სიგარეტს უკიდებ. ეწევი. თავი სასიამოვნოდ გიბრუის. კიდე ერთ ნაფაზს ურტყამ.

ახლად გარეცხილი სვიტრი ელამუნება სხეულს. ხელები მოხრილია. სავარძელი ხალიჩაზე დგას.

შენ დგები და ქუჩაში გადიხარ. ცივა. მხრებში გაშლილი ხარ. პალტო შეუკვრელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩა. ტენისი, მე თავდაღმართს დავუყევი და კორტებზე შევედი. სკამებს შუა ვზივარ. თავი ჯებირზე მაქვს მიდებული და მაღლა ვიყურები. ცა ჩვეულებრივია. ცაში ჩანს სიმაღლე და აწეული თავი. ნელი ქარი თმას მიწეწავს.

მე ხელები მოშვებული მაქვს.

თვალები ცას ეღერება. მზერა ცაში იშლება. შუბლი წყნარია, ქედი და წელი მშვიდი.

ჩიტები, ფრთხიალებენ. მზერა ცაში იშლება.

გასწორება არ მინდა. ვწევარ.

მზერა ცაში იშლება.

ასე მინდა ვიწევე სულ, ყოველთვის, მარად. ასე მინდა დავისვენო და დავიშალო ცაში.

მაღალ სიღრმეში, მაღალ ცაში.

მაჯები გათიშულია.

ცაში ჩიტები დაფრინავენ.

ზღვიდან მოდის სიგრილე. ზღვაში იშლება. მიწიდან მოდის მსუბუქი მტვერი. დედამიწა მტვერში იშლება. მტვერი ადის ცაში. ცა უძიროა.

მიწა მტვერშია გაფანტული, ზღვა — მჩატე წვეთებში.

მე თავი ჯებირზე მიდევს. თვალები გახელილია.

ისმის ძახილი, ძახილი მჩატე წვეთებად იფანტება და სიგრილე მოაქვს. მაჯები გათიშულია. გრილა... თავს გვერდზე ხრი. შენ წინ მტვერში გაშლილი მიწაა, მტვერში გაფანტული სახლები და ქუჩები.

ლოყა ჯებირზე გიდევს.

ცა ღრმა და მაღალია, ფრთხიალებენ ჩიტები.

შენ სიყვარული და სიკეთე ხარ. მარადიული... წყაროსავით ცივი და მდელოსავით ბიბინა. ბალახში გაშხლართული სხეულით.

შენ ზიხარ. შენი ხელები მოძრაობს. შენი ფეხი იმართება და იხრება. შენ აბიჯებ, შენ ჯდები, შენ იკეცები. ხელში ბავშვი გიჭირავს ხან მიხუტული, ხან ხელზე გადაწვენილი, ხან წყლის ქვეშ შეყუდებული. შენი თითები ცრავს და ხსნის ღილებს, ხდის და აცმევს პერანგებს, უწვავს შეჰმუჭნილ სახელებს, უკრავს მოხატულ წინსაფრებს.

შენ თმა გფენია მხრებზე. თმა მოწითალო, მოყავისფრო, მოშავო.

შენი ჩვრიანი ხელი უვლის მაგიდას, კარადებს, თაროებს, რეცხავს ჭურჭელს, პირსაბანს.

შენ წამდაუწუმ კეტავ კარებს და აღებ ფანჯრებს. ადიხარ და ჩადიხარ კიბეზე. შენი სხეული ხანდახან თამაშობს და ხუმრობით დადის, ხუმრობით ცეკვავს თეძო და წელი, ხუმრობით თამაშობს ხელი და ხუმრობით კვეხავენ თვალები, ხუმრობით იცინის კბილები, ტუჩები და ხანდახან ისტერიკამდე იცინიან. იცინიან მუცელზე მიდებული ხელებით და მოკუნტული მუხლებით, მოშრიალე თმით და მკვეხავი თვალებით.

შენ ზიხარ, შენი ხელები ეხლა გამუდმებით მიძრაობს. შენი სხეული არ ჩერდება.

ჩვენ გავიქეცით. შენ სწრაფად დარბიხარ. შენი მუხლები სხარტად იღუნება და იშლება. შენი მკერდი წინ იწევა. მე ხელს კიდებ და თითქმის მთელი ძალით მივრბივარ, შენც ხელგაუშვებლად თავდაღმართზე მიგარბენინებ.

— გურამ, ნელაა! — ყვირი შენ. ჩვენ მანქანას ვაჩერებთ. მანქანაში მუსიკაა. ჩვენ ქალაქში ვეშვებით. შენი მუხლები მძღოლის სავარძელს ეჯარება, მე მკლავი ეკანა სავარძლის საზურგეზე მიდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თმა მხრებზე გაყრია. ენა მოძრაობს, კბილები იცინის.

მერე მე ვფიქრობ სკოლაზე, როცა კლასში შევალ და ბავშვებს გაკვეთილს ჩავუტარებ, მერე სახლზე, მერე არაფერზე.

●

როგორმე მიწყალობე სამოთხე. საყვარული. ყველა ლაპარაკობს, როგორმე. ქუჩაში მიდის მამაკაცი. ზღაპრულია ქვეყანა. სართულიდან სართულზე გადაძვრები. ასსართულიანი სახლიდან. გახსენი ბოკლმი. როგორმე. იპოვე მარგალიტი. მოდის მატარებელი, გაჯუდილი ხალხით. დატვირთული ბარგით. სავსე ჯრელი სამყაროთი. გადაქანცული ლოთებით. უაზრო პროფესორებით. იშვიათი ქალებით. ყრუ-მუნჯებით და გაზეთების გამყიდველებით. დავიწყებას მიეცა გუშინდელი ლაპარაკი. გუშინწინდელი საუბარი. ერთფეროვნებაში გადავარდა ცხოვრების მდინარება. წამდაუწყვნი სრბოლა. ვარჯიში. შედი მატარებელში. დაჯექი შენ ადგილას. როგორმე მოიფიქრე რაიმე არარსებული, რაიმე საყვარულზე, თქვენთან განშორებაზე, ხელის ჩამორთმევაზე. პირზე კოცნაზე. მატარებელში კითხულობ ყრუ-მუნჯისგან ნაყიდ ახალ გაზეთს. მეგობრებიც კითხულობენ.

წაიკითხე, ეს საინტერესოა. ჯიბეებში ჩაგიწყვია ხელები, მიაბიჯებ. უსტვენ. გამოფენა. ტროლეიბუსი. ზუგდიდი, კასრი, მეგობრობა. სარეცხი. სანაპიროზე წევხარ. ქვიშაში გიდევს ხელი. საყვარული. თამაში. შენთან ერთად. დაღამდა. ჩვენ ყველანი შინ ვართ. ჩაის ვსვამთ.

აბაზანაში ბანაობენ, მინები დაორთქლილია. ჩაი თუხთუხებს. ჩვენ ვსხედვართ და ვლაპარაკობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ქვა გასროლილი, თხელი ლოგინი, ზღარბივით კუდი, ეკლებივით ნაზი სამოსი, ღამე — უმთვარო, ზვიგენი და თეთრი სელაპი; ლურჯი სკვერი და მწვანე მოლი, თეთრი სკამებით. ვიღლავ. ყოველდღე მელანდება გზა იმ წარსულში, მომავალში. ქუჩა. მატარებელი, ერთი და იგივეა. სიმბოლურია. ცხოვრების მგგვარია. განუმეორებელია. ზვიადია, წარმტაცია, უკარებაა, მიეწვდომელია, მიუწვდომელია, უნეტარესია, ღვთიურია, უმარტივესია, როგორმე. მომეცი ძალა, რათა შევძლო ჭეშმარიტების ახსნა. რა? რისთვის? რატომ? რა კითხვებია? რა აზრია?

იმიტომ, რომ არის „მე“, სული, უხილავი, წმინდა, უჩინარი. იმიტომ, რომ მესმის, მესმის, მესმის იდუმალი ხმა, თითქოს ჩურჩულით ნათქვამი:

მოგართვი ჩემი თავი. გაიხსენე,
როცა დაგტოვე და შეგირიგდი.
როცა სრბოლის მერე გაჩუქე მძივი
გაიხსენე, არ მიყვარდი, არ მსურდა
შენი ნახვა.

მერე ახალი არაფერი მომხდარა. მე ჩავაბარე.

დღეს ქუჩაში ვგდივარ.

მიდის მატარებელი უამრავი მგზავრებით, ათას სადგურზე ჩერდება. ათასი კაცი ხვდება. ვზივარ სერზე. საღამოა. შორს სადღაც მატარებელი მიჭერის. ბეუტავს შუქი. ისმის ყივილი. მინდა მეც იმ მატარებელში ვიჯდე, მივექანებოდე. საით?..

სოფლებამდე, ვიწრო ქუჩები, განიერი, ფართო სახლებით. ვსხედვართ ყოველდღე იფარება პარკი ჭადრებით, ხეების ჩრდილში ვიკრიბებით თეთრი აფრებით.

ზოგს სძინავს, ზოგს უყვარს ჭამა, ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი ქუჩებში ქვეითად დადის. ზოგი მანქანით.

მე მძინავს ღამით, დღისით მღვიძავს, გიცდი ქუჩაში და მოუთმენლად ველოდები ეკლიან ყვავილს.

ვარდი. სურნელი. ტკბილი ხელი. ჩემი სანთელი. ღამე. ალერსი. შემოდგომა. სუსხი. ზამთარი. ფიქრი უძირო. ნეტარება. გრილი საბანი. ცხენი. ფასკუნჯი. ცხენი. კატა. მწველი ღაწვები.

ფეხით მივდივარ. შემოდგომა. სახლი. აგური. ფერებით სავსე. სირბილი, დგომა, ხე და ცა. ქვა. მზე. სიცივე. კარი. ზვიგენი. მანქანა.

ქუჩაში. მივდივარ. მომდევენ აგურები. ხავსით იფარება ფიჭვნარი. მორევში ვეშვები, ივსება ნაფოტებით უკაცრიელი სანაპიროები. ქუჩაში მივ[illegible] მომდევს ზვიგენი კატის ნაბატონარი. ქუ[illegible] შა. ყვითელი უდაბნოს ფერებით, მუქი ლურჯი ცა. ყვავილი. სილა.

ქვა გაისროლეს, ეკლიანი ხეარის ბუერგი, ტყე შრიალებს. ლურჯი ფერი, ზღვა აგურებით. ღელავს ბუნება, ცის ზვირთებში იკარგება ლურჯი ფეხები, იფარება თხელი კაბებით. ცეკვავსებრ რხევაში იმოსება ქუჩის ტირიფი, ოთახში წყვილი ხალიჩაზე ხტის აღტაცებით. მწვანე მინდორი. შრიალა ველი, ლურჯი ფარდები, წითლად აღაღანებული ყაყაჩოები. ცა და ღრუბლები, ბაცი, ლურჯი მთის მწვერვალები, კარი. სანთელი, აგური ცეცხლი. ცხენი. ეკლები. ვარდი. ქუჩა და ხელი.

●

წარმოუდგენლად მეჩვენება ქვეყნის შუაგულს გაუტოლოდეს გულის ფეთქება. ფიქრი აივსო. წამდაუწუმ მეძახის იგი. ჩათვლიმა, ისევ დაიწყო მოუთმენლად გამხმარი გრძნობის ამოტივტივება. დაინგრა — აშენდა, უაზროდ განერთხო, ვისთვის, რა წამისთვის მოვმზადდა საფრენად. და ზის ის სკამზე, მიხეული ჭყივის ფანჯარა..... და თუ დათოვა, ზენა ძალით, გავთავისდები. ჰე, გაბედულო, ბედნიერო ოქროს ზვიგენო, ათასო ფიქრო, სულო მდნარო სიყვარულისთვის. ქვის კიბე, ფართო გზები. დანგრეული ოცნების ზვირთი საუკუნეში. ბეჭდავს მანქანა; ანრი მოდის მოუფფერები.. ცეცხლად ანთია ჩემი ანრი. ჩემი სურვილი. გარეთ ყინულით დაიფარა თოვლის საფარი. სძინავს ბუნებას, ღამე არის, გარეთ არავის აწუხებს ვნების მოწოლა, მშვიდი ფიქრებით იყინება ზურგი სელაპის. მე მძინავს ზღვაში, ძილს არ მიფრთხობს ქვეშის შრიალი, არც მწარე ფიქრი, არც სამკაული ბრილიანტის. მოკვდი, საფარო, მოკვდი. ზვიგენის გლუვო სიცივევ. ცისფერი სისხლით აივსება მხურვალე გული, გრძნობა, სისველე. შენი ნდომა, შენი ალერსი, ვფიქრობ. სურვილი მიპყრობს მოგწვდე ყელში ჩემი ხელებით. გარეთ მოთოვა, გაიყინა გლუვი საფარი; უაზრო სრბოლით განაწამებ მუხლებს ასვენებ. შენ, ზედაპირო უსასრულოდ გაწელილ ხიდის, შენ გემიჯნები ცხოვრებით და ფართო ხელებით. მაგრამ არსებობს თამაშის ბოლოს ისევ თამაში და სიწმინდისკენ მიმავალი სული მარადის. ჩვენთან საღამოს შეიკრიბა ათი სტუმარი. ხის მოაჯირებს მიაყუდეს თოხის ჯურჯელი და მთვარის გვერდით ვარსკვლავებში ქრის ზედაპირი, როგორც ავეჯი და ნივთები რკინის საგნებით. შუშის კედელი, ტყვიის ბოძი და თოხის დოქი, ნაზი გრძნობები, მწველი ვნება და მოლოდინი შენი თვალების.

დოქს მივწვდი, ყელი ცივი წყაროს წყლით მისველდება, ბალახი და სველი ხავსი ქვემოთ მიგია. ვწევარ ხის ძირას, სოკოს ქუდი ხელში მიჭირავს და ფოთლის ძირას ვეფერები. ჩუმი ალერსით, ნაზ და ლურჯ იას.

შემეცნების პრაქტიკული

რომანი

16

— ნუთუ ამ წალკოტში თქვენს გარდა, არავინაა? — შეეკითხა მამა-მალაქიას დილით მორჩილა.

— ადამიანი არ მინახავს, მაგრამ თორმეტი წლის წინ ცხვრის კურკელი ვნახე! — უპასუხა მოხუცმა. — შეიძლება სადმე ადამიანიც არის ამ არემარეში, თუმცა კურკელი არგუნენტად არ გამოდგება... ბაიბურელი მარტო მე ვარ. ეს კი შემიძლია დაბეჯითებით მოგახსენო. ჩემი თანამოკალაკენი ისე ცხოვრობდნენ, კედელს არც კი ამჩნევდნენ... უფრო სწორად, მიჩვეულები იყვნენ იმას, რომ კედელი უნდა მდგარიყო და „აკრძალული" უნდა ყოფილიყო მისი ხელის ხლება... არადა, ხელუხლებელი კედელი გაიზარდა. ბაიბურიდან ამდენი არ ჩანს, მაგრამ აქედან დაკვირვებისას ჩიამ მითხრა, თქვენსმენესართულიან სახლზე მაღალია. შენ რას იტყვი?

— გაცილებით მეტია!.. მგონი, უსასრულოდ მაღალიც კია... რაზე ვხარკავ შვებულებას, მე თვითონაც არ ვიცი!.. ცხოვრებაში არ მჭონია ასეთი გრძნობა: თბილისიდან ბაიბურში ისე წამოვედი, თითქოს მიბიძგესო! ბაიბურიდანაც ისე ვისაუბე, თითქოს ვინმემ მიძიოსო. ახლაც ჩიას კვალს ვადევნებ და თავს ვიმართლებ, მცვალება-მეთქი!.. სისულელეა!..

— შვებულება კიდევ გეკნება და, ალბათ, ეფორო გონიერულად გამოიყენებ, — ჩაიცინა მოხუცმა. — არ გეწყინოსდა... უფრო ენერგიული მეგონე. დაბეჯვილ-დაჟეფილი კი ხარ, მაგრამ იმედი მჭონდა, არ ინანებდი... ჩია იხტიბარიანი ამაში გკოდა. არ წუწუნებდა!..

მორჩილამ იწყინა მამა-მალაქიას ნათქვამი, თუმცა სიტყვაც არ უთქვამს პასუხად. ალარც მოხუცს მოუღია ხმა კარგა ხანს, სანამ შეაღცესწრე კარტოფილი არ მოიხარშა... მერე ვიშვაშით და ხვნეშახვნეშით მიუსხდნენ სუფრას... გემრიელად შეეკვნენ უგემურ კარტოფელს და მორჩილას კინსერვს, — „ტურისტის ხაუშმეს"...

დანაყრდნენ და ქოიდან სუფთა ჰაერზე გავიდნენ. მოლრუბლული ამინდი იყო — ნვიმას აპირებდა. გრილოდა.

მოხუცმა ცხვირი დაიკეშმარიტა და ვილაცას შეუკურთხა. მერე ჩაიბუტბუტა: „გამიცვდა ჯანი, დავბერდი, მოვკუდი", და ისევ შეიკურთხა.

მორჩილამ შეიტყო, რომ უკვე ეინოვლას იწყებდა, კურკაკის ჯიბიდან დასაკეცი კეტი ამოიღო, თავზე მოირგო და შუბლზე ჩამოიფხატა.

— კაცი ხარ და ქუდი გზურავს, — ჩაიბუტბუტა მამა-მალაქიამ.

— ნუ დამცინით! — ვითომ განაწყენდა მორჩილა.

— არა, სულაც არა! — ყავარჯენი ხელიდან ხელში გადაიტანა მოხუცმა, — კაცი ხარ და ქუდი გზურავს. თუ დაფიქრებულხარ, რას აკეთებ ამ ქვეყანაზე?!

— რაც მევალება, იმას ვაკეთებ (ხალხს ვათბობ)!.. იმაზე ცოტა მეტსაც ვაკეთებ, რაც მევალება!

— რაც გევალება?.. კი მაგრამ, ვინ დაგავალა?.. უფრო სწორად, ვისგან დაიკავალ?!

— რა ბრძანეთ?..

— ვისგან აიღე ვალდებულება-მეთქი!

— არ მესმის!.. არ გეწყინოთ-და, თქვენგან სასაუბედურო არაფერი მაკვს. თქვენ-კი...

— ჰო, ჰო, რა „თქვენ-კი"?

— თქვენ კი დალაქობ ან უნდა აგერჩიოთ პროფესიად, ასე თვითონაც აირიეთ გზა და შვილსაც აურიეთ, მგონი!..

— ოჰო! შენ არც ისე უწუნარი ყოფილხარ, როგორც აქამდე მეგონა! ხუთრობა ეკით ეყოფდა, შვილიშვილი თუ დაადგება სწორ გზას, თორემ ჩემი შვილი ჩემსავით განწირულია.

— თქვენი შვილიშვილი არტილერისტობაზე ოცნებობს!

— ჩემი შვილიშვილი სწორ გზას დაადგება. ჩემი შვილი ხელს შეუწყობს, სანამ ოცი წელი შეუსრულდებოდეს. მერე კატაპულტს დაუტოვებს მემკვიდრეს და თვითონ აკ დაეშვება, თუ, რა თქმა უნდა, ბარაშუტებს არ გაფლანგავს უნიკო, ახირებულ ადამიანებში...

მორჩილამ მიხვდა, ვისაც „ბოლისხმობდა მამა-მალაქია „უნიკო ახირებულ ადამიანებში" და თავი უხერხულად იგრძნო. იფიქრა, შეეკასუხებიო..,

— თბილისში თუ დგას ასეთი კედლები?

ბაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 12, 1.

— რა ბრძანეთ?

— ისევ გულარა დაგემართა? — გაიცინა მამა-მალაქიამ. — ჯანდაბაზე, რას ამბობ, დარჩები?

— არა! — მტკიცედ თქვა მორჩილამ. — ჩემს დარჩენას არა აქვს აზრი. თქვენს დარჩენას აქვს აზრი. ჩამომყეიეთ, ერთად წავიდეთ!

— საით წავიდეთ? — ჩაიცინა მოხუცმა.

— კედელს შემოვეცარით! — წამოიძახა მორჩილამ და გაუკვირდა, იმდენად კკვინანური ეჩვენა ნათქვამი.

— არა! — ჩაიბუტბუტა მამა-მალაქიამ. — მე დიდხანს სიარული არ შემიძლია, ჰმ, მე რომ წინსვლა შემეძლოს, აკ დაგიბედებოდი?.. ვიარე, რამდენიც შემეძლო კედლის გასწვრივ. ჭაობამდე მივაღწიე და მოვბრუნდი. აკ მირჩევნია დავამთავრო სიცოცხლე. სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობ. ხეიბარს უჭირს სიცოცხლეც და ავად ყოფნაც... ავად რომ გიჯდე, ვეღარ გადავრჩები!

მორჩილას თითქოს გული ჩასწყდა მოხუცის სიტყვებზე. ძალიან შეეცოდა მამა-მალაქია, უნდოდა გაემხნევებინა, მაგრამ გადაიფიქრა.

— უნდა წავიდე! — თქვა მტკიცედ. — გზას უნდა გავუდგე დღესვე!

— ჰოო! — ჩვერებზე ნელ-ნელა ჩამოისვა ხელი მოხუცმა, მერე გაირინდა, ბოლოს გაეცინა და თქვა: — უცნაურია ეს კვეანა, უცნაურია ცხოვრებაც: მინდოდა, არქიტექტორი დარჩენილიყო ჩემთან, მაგრამ რომ მიდიოდა, არც მწუხარა, ისე გავიხტუმრე... შენი დარჩენა არ მინდოდა, მიდიხარ და გული მწუდება. შენგან შეიძლებოდა კი კაცი დამდგარიყო.

— მეე... — ენა დაება მორჩილას.

— ჩიას მექანიკური კუბოს ესკიზი დავტუეე. — ჩაიცინა მამა-მალაქიამ.

— რა ბრძანეთ? — გაოცდა მორჩილა.

— უფრო სწორად რომ გითხრა, ჩემთან შერიგებმა უნდოდა ძალიან. ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ... მე თვითონ გამოვიყვანე მდგომარეობიდან... მარტოკაცი ვარ და ჯირისუფალი არ მეყოლება. არ მინდა, სიკვდილის შემდეგ დაუსაფლავებელი დავრჩე და ჯუარდე-მეთქი...

— მერე?

— მერე და მერე, მექანიკური კუბოს ესკიზი დამიტოვა... ჭკუა კი უჭრის მაგ შობელ-ძალს, მაგრამ რად გინდა, არ იცის, რაში მოიხმაროს!

წვიმამ იმატა.

სტუმარ-მასპინძელი ჭოხში შებრუნდა.

მამა-მალაქიამ შესვლისთანავე განჭინას მიაშურა კოპლითით, თარიებზე ქაღალდები მოქეკა, ჩიას ესკიზი იპოვა, წაიღო და მაგიდაზე გაშალა. — ნახე! — უთხრა სტუმარს.

მორჩილა მაგიდას დაეყრდნო და ნახაზს დაჰაცქერდა. მამა-მალაქიამ ეუხსნა! ..ეს — კუბოა, ეს — საფლავია, ეს — დაბრილი სიბრტყეა, ეს — კუბოს სახურავია, ეს — მიწიო, ეს — ციცხვი, ეს — ოოკენია; აკ ეს — ...ეს — პატრუქია! ეს პატრუქი იწვის ერთი დღე-ღამის განმავლობაში და წყვეტს თოკს, რომელიც კუბოს იკერს; კუბო დაბრილდა ეშვება საფლავში, ეჯახება კიუმს, რომელიც კუბოს სახურავს იკერს და სახურავს იხურავს ქუდივით (ყველაფერი სანტიმეტრებშია გამოთვლილი). მეორე პატრუქი იწვის ერთ დღეღამეზე ცოტა მეტ ხანს, ბოლოს წყვეტს თოკს, რომელიც მიწიო სავსე ციცხვს იკერს... ფსკერი იხსნება, საფლავში მიწა იერეცა და კუბო იმარხება. როგორია? — დაეკითხა მასპინძელი გაოგნებულ სტუმარს.

მორჩილამ მხრები აიჩეჩა (ვერც „ჰო“ თქვა და ვერც „არა“).

— სანამ წაზვიდოდე, ერთი თხოვნა უნდა შეგისრულო, — უთხრა მოხუცმა და გაიცინა, — რა მეგონა, ეს თუ სამათხოვროდ გამიხდებოდა — უცნაურია ეს კვეანა!..

— თუ შეიძლება, უკან აკ ეკეტავეთ! — მიუგო მორჩილამ რიხიანად, წელში გაიმართა და უნებურად დაიკვნესა (უცბად შეახსენა თავი დაეეეიღლა ტანმა).

— ხერხი მაკვს... — დაიწყო მოხუცმა.

— რა ბრძანეთ? — გაიწყვეტინა მორჩილამ.

— მაცალე, შე კაცო! — მოიღუშა მამა-მალაქია, — ხერხი მაკვს, ნაკაში მაკვს, შალაშინი მაკვს, ლურსმანი მაკვს, მოკლედ, ყველაფერი მაკვს! ხუთი ხე წაკაცე და დამბეერი!..

— ოჰო! — თავი მოიკეკვა დაბნეულმა სტუმარმა (ტბევრა).

— ხეები მოკვრი, დანარჩენს მე ვიზამ სიკვდილამდე.

— იკნენ სკობია „სასწრაფო დახმარებას“ გამოვიძახოთ. ბაიბურში ჩაგიყვანთ. იქ შვილი, რძალი, შვილიშვილი მოგხვედავენ...

— გაბოდებს, შვილო? — დასცინა მოხუცმა. — სად ნახავ მანკანს და, მით უმეტეს, — „სასწრაფო დახმარებას“...

— სადმე იკნება! — იხტიბარი არ გაიტეხა მორჩილამ, — ვიცი, ვიცი და ვნახავ. ვინმეეს ეიპოვი, მიმასწავლიან, — შეუძლებელი არაფერია ამაში...

— სისუფელეა, ეგ ბზრი თავიდან ამოიგდე, — უთხრა მამა-მალაქიამ. — სანამ შენ „იელი“ და „იელი“, ჩემგან ალარაფერი დარჩება. სკობია, თხოვნა შემისრულო და მერე...

— კარგი! — გაიწყვეტინა მორჩილამ, — ნახან არ იშლიო, მოიტანთ ნაკაში. ახლავე შევუდგები საქმეს.

— ეოჩაღ! — გაიცინა მოხუცმა.

— ოღონდ იცოდეთ! — ხელები მოიფშვნიტა მორჩილამ. — ხუთ ხეს კი მოვკვრი, მაგრამ კუბოსთვის კი არა... ზამთრისთვის მოგვიმზა. დღეო შეშას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰაიდ! — შეაკო მორჩილამ მამა-მალაკიამ სტუმარი. მერე მიეფინა მასთან, მხარზე ხელის გადახვევა დაუპირა, მაგრამ ვერ მიხვედა... იდაყვში ჩამოკეხა, აიძულა, "მაგიდაზე ჩამომჯდარიყო.. მაშინ კი გადახვია ხელი და სახეში მიაფარებლა: — ხომ გეუბნებოდი, შენგან შეიძლებოდა მართალი კარგი კაცი დამდგარიყო!

მორჩილამ ნერწყვის ზმეფი მოიწმინდა და თავი ჩაღუნა.

მამა-მალაკიას არ შეუნიშნავს ეს უხერხული მოძენტი, შეჩერახუნდა საკალამო-სახელოსნოსწყობაში, თაროდან ჩამოიღო ორი ნაკეხი: — დიდი და მომცრო. გამორჩალუნდა და შეცბუნებულ სტუმარს დასჭყივლა: „წავედით, წავედიოთ!" და დიდი ნაკეხი მიაჩეჩა.

მასპინძლის უცნაური გზნება სტუმარსაც გადაედო, ნაკეხით შეიარაღებულმა, აკაციებისკენ აიღო ფეხი.

— რას შერგბი! — შეიცხადა მამა-მალაკიამ, — აკაცია არც საკუბოვედ გამოდგება და არც — შეშად. ფიქვი მინდა!.. ბეზა სკოდა, მაგრამ დიდხანს მოუნდება... აქეთ!

მორჩილამ გაიხედა იქით, საითაც მოხუცმა მიუთითა და ჩქარი ნაბიჯით დაწინაურდა.

მოიცა! — მიაძახა მოხუცმა: — ხეები მე უნდა შევარჩიო!

კარგი ხანს იარეს, სანამ ფიქვნარში შეეიდოდნენ.

ეინულვადა.

მამა-მალაკიამ მომცრო ნაკეხი აშიშვლა და არჩეკა დაიწყო. — ეს მინდა! — თქვა და იარაღით ნაკეფეკი გაუყვია ხეს. — მაგალ რომ მოკვრი, მერე ამას შიადექი!.. — მიუთითა მორჩილას და მეორე ხე მონიშნა.

მორჩილამ ხელისგულებზე დაიფურთხა, დაავლო ხელი დიდ ნაკეხს და დასცხო ფიქვს.

— ეჰაიდ! — აქებუნდა მამა-მალაკია... — ახლა — ეს! — მეორე ხეზე უთითებდა მერე, — ახლა — ესენი! — „არჩეულ" ფიქვებზე მიუშვა „გამრჯე" სტუმარი.

მორჩილას ოხშივარი ასდიოდა ზურგზე. გახურებულიყო შუმაობაში, „გაცარილი" ნეიმა ოდნავ აგრილებდა, დაეეიილიოსა ალარ გრძნობდა... მამა-მალაკია ნეკქცეულ ფიქვებს მისდგომოდა და მომცრო ნაკეხით ტოტებს აკვეცდა...

შუადღისას ნეიმამ გადაიღო და სტუმარ-მასპინძელთან დაამთავრა ხის ეარა. კოკონი გააჩაღეს, იქვე გაშრეს ტანსაცმელი და თვითონაც გაშრნენ.

— პირობა პირობაა! — თქვა მორჩილამ, — ხეები მოვკეერთ. ახლა გზას უნდა გავუდგე!..

— არა. მორეები ეოხამდე უნდა მივთირია, — უთხრა მამა-მალაკიამ. — კედელთან ახლოს უნდა გავმართოთ მეეანაკური კუპო. სიკვდილამდე ორი-სამი დღით ადრე ჩავწვები, ასე არ სჯობია?! კედელთან ახლოს უნდა ვიყო (ე. ი. ბაიბურთან). გაგეცინება, მაგრამ მაინც მიეკარის ბაიბური; დამკაუებულია, მაგრამ მაინც... მომეწატრა და, ვინ იცის, — რამდენ ეარა... სტუმარი დამორჩილდა.

ხეების თრეკა ძნელზე უფრო ძნელი აღმოჩნდა (მორეზად დაბერხეს და ერთმანეთზე გადაგორებით ძლივს მიზნიდეს მამა-მალაკიას ხახლამდე).

ამასობაში მოსალამოვდა.

ძალიან ეხვეწა მასპინძელი, დილამდე დარჩო, მაგრამ... მორჩილა არ დათანხმდა. დროს ეკარგავო, — აუხსნა მოხუცს. გუნებაში კი გაიფლო: დროზე უნდა გავეცალო აკვარობას, თორემ მოხუცი კუბოს გაკეთებას მოხოვს, მე არ დავეთანხმებიდა და შემოვეეინძლებიო!

— წერილი არ დაგეკარგოს! — გააფრთხილა მამა-მალაკიამ.

— აქ არის, აქაა! — გაეცინა მორჩილას და გულის ჯიბეზე დაიტკაკუნა ხელი. მერე ეიდან წყალი ამოიღო და მთარა გაავსო.

— დარჩენილიყავი! — შეუჩნდა ისევ მოხუცი.

17

მორჩილას წამოსვლა გაკეკვას ბგავდა. ერთი-ორკეერ უკანაც მიიხედა, მოხუცი ხომ არ ამედევნაო. მერე გუნებაში გაეცინა, — მამა-მალაკიას სიარული ძლივს შეუძლია და, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ გამომეკიდებოდა.

მოგზაურს კარგად ახსოდა წინა ღამით ნაამბობი. წინასწარ იცოდა, რომ ჩიას კვალდაკვალ კედლის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სიარულისას არაფერი შეიცვლებოდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია.

დროდადრო ჩაიფუნტებდა, საველე ჩანთიდან ფაბქარს, ფურცელს, კომპასს ამოიღებდა და გარემოს მიხედვით თავის მარშრუტს აზუსტებდა.

მოუფოდნელი არაფერი მომხდარა. დაღამებამდე მიიღო ბაკურიანი ვრაცელ ადგილს, სადამდეც ბაკოკლეტიუფმა მამა-მალაკიამ მიაღწია ოდესღაც. ამ გზაოვე უნდა ეკლო ჩიას..., კედელი ჯოხს მოუყეებოდა და რძისფერ ნისლში ინთქმებოდა. ირგვლივ სინოტივეის გაეეფლინა ყეელფერი.

სანამ მთლად ჩამობნელდებოდა, მორჩილამ კოკონის გაჩაღება მოასწრო. მოეკდა ცეცხლს და ზურგჩანთა გვერდით დაიდო.

დადგერება იყო საჭირო, მაგრამ ძალიან შიოდა და დაღლილიც იყო უზომოდ. ამიტომაც ჯერ ბსუბუქად ივაზშმა „ტურისტის საუზმით", დასაძინებლად მოეწყო და დადგერება დილისთვის გადადო.

18

დილით მორჩილას პირი დამეკაუებული გუბის წყლით დაიბანა. მერე დაკაჯრული სახე

და ხელები ისევ იოდით მოითხუპნა, კოცონი გააჩაღა, ისაუზმა და დაელოდა, როდის გაიფანტებოდა ნისლი.

დიდხანს იცადა. კოცონი ეხეიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ლამის კოცონში ჩაჯდა.

ცდამ თავი მოაბეზრა. სანამ წასვლას გადაწყვეტდა, ზურგჩანთიდან ბინები, ნემსი, ძაფი ამოაძვრინა და კოლოებისაგან თავდასაცავად პირბადე შეიკერა... თან ფიქრობდა, — „კიდევ კარგი, ღრმად მეძინა წუხელ, თორემ კოლოებს რა გაუძლებდა.., კიდევ კარგი, რომ ნაკბენი არ მიღებია ნაბიჯებისგან.“

პირბადე გაიკეთა, კეპი დიახურა, კოცონი ჩააქრო, ზურგჩანთა მოიკიდა და ჭაობს გაუყვა ნაპირ-ნაპირ. ფრთხილად მიიწევდა წინ. უკან მოხედვისას ნისლის გამო ვერ დაინახა, მაგრამ გუშანით მიხვდა, რომ თანდათან დაშორდა კიდეელს. მეტად იგრძნო სინოტივე. ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს ბაერი იყო სველი. პირბადე დაენამა და სახეზე მიეკრა. სული ეხუთებოდა ცალკე პირბადით და ცალკე — უსაშველო ნესტით...

როცა ფეხქვეშ მყარი ნიადაგი ვეღარ იგრძნო, ცოტათი შეშინდა კიდეც. განგ-განგ წვიდა და, მართალია, ძრძისური ნისლში ფანდაწყმულ არემარეს ვერ არჩევდა ათ ნაბიჯს იქით, მისი აზრით, დაშორდა ჭაობს... დარწმუნებული იყო ჩიაკ ახე მოაქცეოდა და ამიტომაც ფიქრობდა, სწორ გზას ვადგიარო...

ნისლი არც შუადღისას გაიფანტა.

მორჩილა შიშშილმა შეაწუხა, მაგრამ დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა და საღამომდე ისე იარა, ხემსი რაა-და — ზურგჩანთაც არ მოუხსნია და არც შეუსვენებია.

უსაშველოდ რომ დაიღალა, შედგა. პირბადე მოიხსნა და უკან მიიხედა. არაფერი ჩანდა. იქით, საითაც ბაიბური ეგულებოდა, ნისლში ჩაძირულიყო ყველაფერი. არც წინ ჩანდა რაფე... ის, რასაც ათ ნაბიჯზე ხედავდა, მიდრმის ჰგავდა.

მოგზაურმა ზურგჩანთა მოიხსნა, ჩაჯდა ბალახში, უებრო კონსერვი დაინორა... დანაყრდა.

ღამის გასათევი ადგილი ალარ უძებნია და მინდორზე დაბანაკება გადაწყვიტა. ზურგჩანთა ბალიშივით ამოიდო და გორგალივით შეიკრა.

დაღლილ-დაქანცულს მალე ჩაეძინა.

19

გამთენიისას მორჩილა სიცივემ გააღვიძა.

უსიამოდ შეიშშუშნა, ზანტად გაახელა თვალები და თავი წამოსწია ზურგჩანთა-სასთუმლიდან.

ცრიდა.

მოგზაურს შეამციენა და გაკერკოლა, ღია ცისკენ დაბანაკებული მთლად დასველებულიყო.

სიგრილემ უცებად გამოაფიხზლა. ზეზეულ ადგა, მოიკრა და ზურგჩანთის ირგლივ სირბილით ცხენ-ტანმა დაიწყო.

გაბურცა.

ერთი კონსერვი ხრაუუნ-ხრაუუნით გამოცალა. მერე დოინჯი შემოირტყა და გარეთ დაზვერა. განთიადი ოვალანებდა... ბინდბუნდში ველარაფერი გაარჩია, საიდან მოვიდა და საით ეჭირა გეზი. შეცბუნდა. სასწრაფოდ მოიძია სავალე ჩანთა, კომპასი, და გეზის დაზუსტება სცადა...

მზის ამოსვლას ალარ დალოდებია, ზურგჩანთა მოიკიდა და დაიძრა.

მიდიოდა და თან აკვეთ-იქით იხედებოდა. ირგვლივ ვერაფერს არჩევდა (თქორს მთლად წაეშალა თვალსაწიერი), მაგრამ მაინც ყოველ წამს აკვეთ-იქით აბრიალებდა თავს, ბარემოს აკვირდებოდა და, რომ იტყვიან, ახი თვალი და ახი ყური ჰქონდა გამოსხმული...

სიჩუმე იყო ირგვლივ, რომელსაც მხოლოდ მოგზაურის ნაბიჯებით გათელილი სველი ბალახის ზარიშური არღვევდა.

დიდხანს იარა.

მზის ამოსვლას და გამოდარებას საშველი ალარ დაადგა. მორჩილას თანდათან ეძალებოდა ყოყმანი, მაგრამ წინსვლას განაგრძობდა მაინც,.. ბაიბური დროით 13-00-ზე დაღლა დაეტყო. შედგა, ზურგჩანთა მოიხსნა, დაჯდა, ჯიბიდან ცხენისახოცი ამოიღო და ხმაურით მოიხოცა ცხენი,

იჯდა ზურგჩანთაზე და ისვენებდა. სიგარეტის მოწევა მოუნდა. მიაგენო კიდეც ჯიბეში, მაგრამ ასანთს ვერაფრით მოუკიდა და წვიმასა და სინოტივეს შეუკურთხა.

გაოცდა.

საკუთარი ხმა ესხვაფერა.

რამდენიმე სიტყვა თქვა აზრის გაუმართავად და მიაყურადა...

გაეცინა.

მიხვდა, რომ ადამიანის ხმას იყო მონატრებული და გაოცდა ისევ „ხაწეულ მამა-მალაქიას ოცდაორი წელიწადი უადამიანოდ რამ გაძლებინაო“.

უცებად ისე მოუნდა ვინმე სულიერი გამოლაპარაკებოდა, რომ სურვილი მოერია და ყურიანი დაეწუხებინა: ჰეი, ჰეI.. ვინ ხართ, სად ხართ?! ხმა გამეცოთ! ეეეე!..

არავინ გამოხმაურებია.

მორჩილამ თავი ჩაწყლინა. ნირი წაუხდა. უაზრობად მოეჩვენა ყველაფერი: თბილისიდან წამოსვლა, ბაიბურში ყოფნა, ნახტომი, მამა-მალაქიას ნახვა და ბოლოს — დროებით შეჩერებული წინსვლა...

იჯდა, წელში მოხრილიყო, იდაყვებით მუხლებს დაურდნობოდა, თავი დიეხარა და სადღაც იყურებოდა უაზროდ.

იფიქრა. — „ვიცი სანამ საგზლის ნახევარი

მეეოფა; თუ ჩიას წავაწყდი, ხომ კარგი, თუ არადა, იმავე გზით უკან მივბრუნდები მამა-მალეკიასთანო...“

ეს ბაბოწყვეტილება მიღებული ჭკონდა, მაგრამ ადგომას და გზის გაგრძელებას აკიანურებდა. შიშით აჩაფრის ეშინოდა, მაგრამ ინტერესი განლეტებული ჭკონდა და მოგზაურობასაც შეწყვეტდა, ამის საშუალება რომ ყოფილიყო...

უცბად მორჩილას სხენაში რაღაც ნაცნობი ბგერა დაიჭირა...

ამ ბგერამ ჭკეცნობიერად გაახსენა ბავშვობა — ზაფხული, სოფელი, საძოვრები, ნახირი.

ზეზე ფეზოიჭრა და მიაყურადა.

ისევ მოესმა ნაცნობი ბგერა, რომელიც უკვე ეეენის ხმას მიამსგავსა. რახან ნისლსა და თქორში ათ ნაბიჯს იქით ვერაფერს ხედავდა, გაირინდა და მთელი არსებით სმენად იქცა.

ყურმა არ მოატყუა — ეეენის ხმა ისმოდა სადღაც წინ და მარჯვნივ...

მორჩილამ ათი ნაბიჯი გაირბინა, შედგა და მიაყურადა. ახლა მარცხნიდან მოესმა ეეენის წკარუნი, მაგრამ ეს უკვე სხვა ეეენის ხმა იყო... მიბრუნდა და მარცხნივ გაირბინა ათოოდე ნაბიჯი, ეეენის ხმა სადღაც წინიდან მოესმა. მორჩილამ დაალირა წინ წასვლა, მაგრამ უცბად საკუთარი ზურგჩანთა გაახსენდა, მიბრუნდა და ძებნა დაიწყო...

ნისლში ერთბაშად ვერ იპოვა თავისი ქონება და გულმა რეჩხი უყო... როცა იპოვა, შეებით ამოისუნთქა, ზურგზე მოიკიდა, გაირინდა და სმენად იქცა.

დროდადრო ისმოდა სხვადასხვანაირი ეეენის ხმა, ხან — მარცხნიდან, ხან — მარჯვნიდან, ხან — წინიდან...

მორჩილამ პირდაპირ გასწია, ორმოცდაათამდე ნაბიჯი გაიარა ნელი სვლით, მიდიოდა, აქეთ-იქეთ იხედებოდა და აყურადებდა. ეეენების ხმა ძლიერდებოდა და უკვე მკაფიოდ ესმოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა, რაც უნდა დაენახა, უზარმაზარ გაუკვირდა, როცა ჭრელ ძროხას ჭაადგა... ცხოველი დინჯად სროდა ბალახს და კისერზე მიმბული ეეენის აწკარუნებდა.

მორჩილას გაკვირვება აღტაცებამ შეცვალა — ისე გაუხარდა ძროხის დანახვა, როგორც არასდროს... მივიდა და ქედზე გადაუსვა ხელი. ცხოველს „ყურადღება არ მიუქცევია“ ადამიანისათვის. ოოდა და ადგილიდან არ აძვროდა...

მოგზაურს აღტაცებამ გაუარა, ძროხას შემოუარა და სვლა განაგრძო...

ბაიბურის დროით 1400 იყო, როცა მორჩილა ნისლეულიდან გამოვიდა. შვებით ამოისუნთქა.

წვიმას გადაეღო. მოღრუბლულ ცაზე ბზეტუტავდა. ვაკეზე საკმნელი გაშლილიყო. ზორს მდორე მდინარე ჩანდა. ირგვლივ ტყეები ხეც კი არ იდგა — ტრიალი მინდორი გადაბმულიყო. ცხვარ-ძროხა ბრავლად იყო, მწყემსი კი არ ჩანდა.

მორჩილამ სვლა განაგრძო და მდინარისაკენ აიღო გეზი, ხუთი-ექვსი კილომეტრი შეუსვენებლივ გაიარა და ნაპირს მიადგა. ამასობაში ღრუბლები გაიფანტა და ზზემ დაიცხუნა იქაურობას. მოგზაურმა კეში ჩამოიფხატა, ხელითაც მოიჩრდილა და გადმა ნაპირი მოათვალიერა.

მდინარე საკმაოდ განიერი ჩანდა (კალაპოტის სიგანე ათასი ნაბიჯი მაინც იქნებოდა, თუ მეტი არა). გადმა ნაპირზე მოშორებით ალვის ხეები ჩანდა. იქვე დაბალი ხეებიც გაარჩია. ხეებს შორის თეთრი ლაქები შენობებს მიამგავსა.

მიბრუნდა და უკან მიიხედა. ის მხარე, სადაც მაიბური ეგულებოდა, ნისლს დაეფარა და ვერაფერს გაარჩევდა ადამიანის თვალი.

მორჩილა ახლა მდინარეს დააკვირდა და დინებაზე შეატყო, რომ საკმაოდ ღრმა უნდა ყოფილიყო. ჭერ ალმა ალუვა ნაპირს, მერე — ტალმა. ფონს ვერ მიაგნო.

ამასობაში შიშშლმა შეაწუხა. არ უყოფმანია: დაჯდა მდინარის პირას და წაიხეხმა...

ის-ის იყო დასაკვნა, გამოუვალ მდგომარეობაში მოვხედიო, რომ ზურგს უკან ცხენის ჭიხვინი მოესმა და მიახედა.

მინდორზე სამანი-ოთხანი ნაბიჯის მოშორებით ცხენიანი კაცი იდგა და უყურებდა.

მორჩილამ განსაცდელის მოახლოება იგრძნო; პატარა ნაჯახი გაახსენდა, რომელიც ზურგჩანთაში ედო, შეიარაღება გადაწყვიტა, მაგრამ მალევე გადაფიქრა.

თავი მოაბრუნა (ვითომც აჭაც არაფერიო), კოხსერვის ბოლო წვეთები პირში ჩაიწურწურა და წამოდგა. კიბეზე ცხენოსნისაკენ და თვალები ეკიეტა: ახლა უკვე ორნი იდგნენ. პირველი მხედარი მეორეს ესაუბრებოდა და მთელი ხმა მორჩილასაკენ უთითებდა.

უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა: მოიგდო მხარზე ზურგჩანთა და მხედრებისაკენ გასწია. შემცბარი იყო, მაგრამ ზომიერი, მტკიცე ნაბიჯით მიიწევდა და ცხენოსნებს თვალს არ აშორებდა.

ეს ნაბიჯზე რომ მიუახლოდა, სალამი მისცა.

მხედრებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს. მერე მეორე მხედარი ჩამოქვეითდა და ცხენი ალვირით დაიჭირა.

ათოოდე ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი პირისპირ შეურაბდე, როცა ჩამოქვეითებულმა მორჩილას დასტყიელა, — „სდექ!“

მორჩილა დაიბნა. ინერციით ერთი ნაბიჯი წადგა წინ და გაჩერდა. უცნობის ბრძანებამ

ვერ დააფრთხო, მაგრამ არც ბევრი აკლდა შეშინებამდე.

ჩამოკვეთილებულმა თავისი ცხენის სადავე პირველ მხედარს გადაცა და მორჩილასაკენ წავიდა. ამხანაგში მოგზაურმა სახელდახელო დასვენის გაკეთება მოასწრო! — „მწყემსები არიან...“

ჩამოკვეთილებული მივიდა მორჩილასთან, წინ დაუდგა, ფეხები გაჩაჩხა, გულისელი დაიკრიფა და ჯიქურ მიაშტერდა სახეში. მორჩილამ ათვალიერ-ჩამოვალიერა, მომხვდური — მასავით მაღალი, მისივე ასაკის, მასავით გაუპარსავი, ოღრმე უზრუნველით მათრახიანი კაცი...

— გამარჯობა! — უთხრა.

— კრინტი! — დასტკივნელი უცნობმა.

მორჩილამ ხმა გაკმინდა და აქეთ-იქით თვალების ცეცება დაიწყო. იცოდა, გაკეცვას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ქვა ან ჯოხი რომ შეენიშნა ახლომახლო, მათრახიანისგან თავის დასაცავად გამოადგებოდა, მისი აზრით.

იდგნენ პირისპირ და დუმდნენ.

მხედარმა დაიძახა, „ეთხე“!

ქვეითმა ხელები ჩამოუშვა, ცერები ქამარში ჩაირგო და ურუ ხმით იკითხა: — „რის მპრვას ირეკ?!“

— რა ბრძანეთ? — გაოცდა მორჩილა.

ქვეითმა მხედარს გახედა. ამ უკანასკნელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ქვეითმა მათრახიანი ხელი ძირს ჩამოუშვა, თვალთვალში გაუფარა, მორჩილას და მრისხანედ დაუყვირა, — „ერდოს?!“

— რა ბრძანეთ? — მთლად დაიძრა მოგზაური, რომელსაც ყურადღება დაძაბული ჰქონდა, მაგრამ უცნობის შეკითხვა ვერ გიგო და ლამის სასო წარეკვეთა.

ქვეითმა ისევ მხედარს გახედა. ცხენოსანმა მხრები აიჩეჩა. ქვეითმა მათრახიანი ხელი ასწია და ბაიბურის ნისლეულისაკენ გაიშვერა, მერე — მდინარისკენ, მერე — ცისკენ და მორჩილას უყვირა, — „სად, სად?!“

მოგზაურმა ვერაფერი გიგო უცნობის სიტყვებიდან, მაგრამ იმდენს კი მიხვდა, რომ ხასწრაფოდ უნდა აეხსნა, ვინ იყო და საიდან მოდიოდა... ამიტომაც ჩავარდნილი ენა ამოიდგა და სხამსხეტით მიაკარა, — „მე თბილისელი ვარ, ბაიბურიდან მოვდივარ!..“ მერე ხელი გაიშვირა იქით, სათაკე ბაიბური ეგულებოდა.

უცნობი რაღაცას მიხედა, წარბები აზიდა, მიებრუნდა მხედარს და გასძახა: — „ქდან მსლა!..“ მერე მათრახიანი ხელით ბაიბურის ნისლეულისკენ მიუთითა.

„ჰო! — თქვა მხედრმა. ადეგ შეთხე, არ მგდეოს!...“

მორჩილას ყურთასმენა მაქსიმალურად ჰქონდა დაძაბული. რაღაც ეცნო მხედრის და ქვეითის მეტყველებაში. მაგრამ აზრი ვერ გამოეტანა. სწრაფად მოიხსნა ზურგჩანთა, ნაჯახს ფაგანო, ამოიღო და გაიფიქრა, რომ ყოველ შემთხვევისთვის სჯობდა შეიარაღებული ყოფილიყო. ახლ რომ სანამ ქვეითი მხედართან გასაუბრებას დაამთავრებდა, მოგზაურმა შეიარაღება მოასწრო და გული გაიმაგრა.

ქვეითმა მოაბრუნა თავი მორჩილასაკენ და ხელში ნაჯახი რომ დაუნახა, არც აცია, არც აცხელი და ცხვარ-პირში მთრახი სწუვდა.

მორჩილა რატომღაც შესავალს ელოდა დარტყმამდე, თავდაცვა ვერ მოასწრო, მთრახისგან თვალთ დაუბნელდა და სახეზე „ცეცხლი ნაეკიდა“; ხელები აიფარა და ნაჯახი ძირს გაუვარდა... თვალებდაბუნული და წელში მოხრილს, ნიხლმა ფეხქვეშ მიწა გამოაცალა. წაიქცა და გრილ ბალახზე განერთხა...

თანდათან მორჩილა აზრზე — ბეგვავდნენ... გადადარუნდა, პირსიდმა დაწვა (მეტელში არ მომხვდეს ნიხლიო)... ახლა ზურგში და კეფაში უბადენენდნენ...

მორჩილას ცხვირიდან სისხლი წასდა, ცხვირიდან წამოსული სისხლი ხახაში ჩასდიოდა და სულს ეხუთავდა...

მწყემსები უბადუნებდნენ.

მორჩილა ბღაოდა, ანველებდა და სისხლს აფურთხებდა...

21

ეონს მოსცლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ თავში იყო პირქვე ჩამბობილი... ზურგზე გადადარუნებას რიცა შეეცადა, მიხვდა, რომ ხელფეები ჰქონდა გაკრული... რის ვაი-ვაგლახით გადადარუნდა გულაღმა, თავი ჩამოსწია და იქურობა მოათვალიერა.

ქოხში იყო, მაგრამ ისეთ უბადრუკ ქოხში, რომელთან შედარებით მახსოვრობაში ჩარჩენილი მამა-პაპაკეთის საცხოვრებელი კეთილშენ ეყოფილად მოეჩვენა.

კოხს ჭერი არ ჰქონდა და ფარღალალა სახურავის ნაჩვრეტებიდან მზის შუქი ჭიაკეტებ. იიბკალის მაგივრობას მიწაზე დაფენილი თივა ეწეოდა. მოპარდაპარე კედელთან ტლანქად გამოჩრილნელი ხის გრძელი სკამი იყო მიდგმული. მორჩილას მხარეს დაერილი თივა სახურავამდე ეეხოხოლავებინათ. ორ-სამ ნაბიჯზე ფუნის კარგა მოზრდილი გუნდა გატყაანილიყო... ქოხი სამ ნაწილად გადაეტეხოთ მარგალებით. ერთ-ერთ ტიხარზე უნაგირი გადაეკიდათ გარდგარდმო. იქაურობა თავლას კიდეც ბგავდა და არც ბგავდა.

მორჩილას პირი დაეღო, მაგრამ არა იმიტომ, რომ გაკვირვებული იყო; ცხვირი შედედებულ სისხლით და მტვრით ჰქონდა ამოლესილი და ბერი არ ჩყოფნდა სულის მოსთქმელად. ხელ-ფეხი დაბუეებოდა, გახევებოდა და ყველა ნაკვთი სტეხდა...

მოგზაურმა ამოიოხრა და თვალები დახუჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს უნდა შერიგებოდა — სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა...

ეტუობა, მორჩილას საიდანღაც „თვალთვალ-ებდნენ. ალბ რომ „ამოობრეიდან" რამდენიმე წამის შემდეგ, ფარღალალა კარი გაიღო, კაცი შემოვიდა და თავს ჩაუდგა.

— ეს! — წამკარა ფეხი გაკოჭილს.

მორჩილამ თვალები გაახელი, შეხედა მოსულს და იცნო. — „ამან მცემა! — გაიფიქრა. — უიმე, რას მიპირებს?!"

მწუღმსა გაბედა დაიწყო: ჯერ ტუალუში გაბედად და ტიხარზე გადაკეკდა, მერე ნაქსოვი ქერანგი გაიძარა, ბოლოს ზედა საცვლიც მიაუოა, წელზეკით გაბიტკლდა, დიიინჯი შემორტუა და მედიდურად დახედა ფერხთით გარეთხმულს.

— ეს! — წამკარა ფეხი მორჩილას. — „მერე!" — უთხრა, ხელები ნელ-ნელა განზე წაიღო, ახეკე ნელ-ნელა მოხარა ფიდეკეში, კუნთები დაძაბა, ფუცელი შეიგდო, გულმოუკი გაგმოადგო და კულტურისტის პოზა მიიღო.

მორჩილა მოსულს თვალს არ აშორებდა. დამფრთხალი ჩანდა. ალრი ღია ჰქონდა, მაგრამ ჰაერი მაინც არ ეკოფნდა — „კულტურისტი" ზედმეწევნით ძლიერი, მრისხანე ეა უტვინო ჩანდა.

ახე გავიდა ნახევარი წუთი (შეიძლება უფრო ნაკლებიც). ვიითმეა ალაფერია ახეთი მცირე დრო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მორჩილამ რამდენჯერმე გაიცქო სული.

„კულტურისტი" მწუღმსი საკუთარი ძალისა და აღნაგობის დემონსტრირებას მორჩა, გაკოკილისკენ დაიხარა, დაამტერდა დაზაფრულ-დახეხსლიანებულ სახეზე, უთხრა, — „სე რომ!"... და თითი დაუქნია მუქარით (ამასობაში მორჩილამ კიდევ ერთხელ გაიცქო სული). „კულტურისტი" წელში გაიმართა, ტიხრიდან ტანსაცმელი ჩამოიღო, ჩაიცვა, ტაპაუნედან ჯაკეა-დანა ამოიღო. გაკოკილი ხელისკერით პირკეკე გადაბრუნა და შემოკერილი ტაკვის თასმებისაგან გაათავისუფლა.

მორჩილა თავაზე ჩამოჯდა და დაბუეებული მაჯები დაისრისა.

„კულტურისტმა" მწუღმსმა თითი მიაშვირა მორჩილას და მრისხანე ხმით უთხრა: — „ტკვე!"

— ტკვე? — გაიკვირვა მორჩილამ არა იმიტომ, რომ დატკვეკეკა გაუკვირდა, არამედ იმიტომ, რომ ნათკვამს მიუხვდა მოსულს.

— კი, ტკვე ხარ! — დაბეკითებით უთხრა „კულტურისტმა".

მორჩილა ისეე გაკვირვებული და გაბარებული იყო თავისი მიხვედრილობით, რომ ალარ იცოდა, რა ექნა ალტაცებისაგან. უცბად მოიფიქრა, ხელი გაუწოდა მწუღმსს და უთხრა. — ძმა!

— ძმა? — გაიკვირვა „კულტურისტმა".

— ჰო, ძმა! — ხმამაღლა ძმობა შეუხვეწა მორჩილამ, გუნებაში კი შეუკურთხა. გაწვდილი ხელი უკან წაიღო, გულზე მიიდო და თქვა. — „მე!" მერე თანამოსაუბრეს მიაშვრა ხელი და თქვა. — „შენ!..."

— მე, შენ! — გაიმეორა „კულტურისტმა" და სახეზე გაკვირვება დაეტყო. — „ააა! — დაიყვირა იმის ნიშნად, რომ რაღაცას მიხვდა და გაგრძელ თავლიდან.

მორჩილას მეტად გაკვირვება ალარ შეეძლო, ვიშვიშით ჩამოდგა და ისინ იყო ქოხიდან გასვლა დაალირა, რომ ეი კარში უკანმობრუნებული „კულტურისტი" შეეჩეხა. — სდეკ! დასკეკვლა ამ უკანასკნელმა და ადგილზე გაჯეკვა... მერე უზომდ მოუთოთა თავაზე და მრისხანედ ანზიდა წარბები...

მორჩილა მიხვდა, რომ ისეე თავაზე უნდა გაგორებულიყო, ვიშვიშით დაჯდა და კედელს მიეხვენა ზურგით. „კულტურისტმა" იაზრა, რომ ტკვე წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა, მაგრამ „პროფილაქტიკის" მიზნით მუქარის ნიშნად მაინც დაუქნია თითი. მერე მუშტი მიუტანა ცხვრისთან და უთხრა, — „მე!.. ალ მე ვარ!"

მორჩილაც მიხვდა, რომ თუ წყნარად იჯდებამეოდა, არ გალახვდნენ და გაიტრუნა.

ორი-სამი წუთის შემდეგ „თვალში" მოხუცი ზვეროსანი კაცი შემოვიდა, უსიტყვოდ გადახედა ტკვეს და მის მცველს, მერე მოპირდაპირე კედელთან მივიდა და ფრძელ სკამზე ჩამოჯდა.

„კულტურისტმა" და მოხუცმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს. მორჩილას ყურები დაკაკვტილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო იმათი ნათქვამიდან...

უცბად მოხუცი მორჩილას მიუბრუნდა და ენის ბორძიკით უთხრა: — ვინ ხარ, სადაური ხარ?

მორჩილა ამ სიტყვებმა უზომოდ გაახარა, გუნებაში ათასმა სასიამოვნო აზრმა გაუელვა. ჯერ დამუნჯდა, მერე — ალაპარაკდა...

— თბილისელი ვარ, ბაბილონიდან მოვდივარ! თქვენ კი ნამდვილად ღვთისნიერი ყოფილ-ბართ!

„ღვთისნიერმა" მოხუცმა წარბი შეკმუხნა და დაკითხვა განაგრძო:

— რატომ მოხვედი, რისთვის?

— ჩიას ვეძებ, ჩემს ნაცნობს!.. დაიკარგა კაცის სადღაც აკეთ წამოსული და ვეძებ, რომ... — მოკბაურს სული შეეხუთა მღელვარებისაგან და წეალი ითხოვა.

— დსლეი მტნე! — უთხრა „ღვთისნიერმა" მოხუცმა „კულტურისტს".

— წესა? — იკითხა „კულტურისტმა".

— ჰო! — დაუდასტურა „ღვთისნიერმა".

„კულტურისტი“ გავიდა. მორჩილამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, საკინძე შეიხსნა. ენა მოისვა გამშრალ ტუჩებზე და კისერი სულთმამძრძალვივით უკან გაკიდა. მოხუცი აკვირდებოდა და შუბლშეკმუხნილი თავს აკანტურებდა უმაყოფილოდ.

„კულტურისტმა“ ტაკით წყალი მოიტანა და უსიტყვოდ მიაწოდა მორჩილას. მან ცოტა მოსვა და სული მოიბერუნა. მაღლობის თქმა დავიწყედა;

— მაშ, ჯერი არა ხარ? — გაიცინა „ღვთისნიერმა“.

— ჯერ, ჯერ! — წამოიძახა „კულტურისტმა“.

— არა! — იუარა მორჩილამ, ჯერი ნამდვილად არა ვარ, დამიჯერეთ!..

— წადი! — უთხრა მოხუცმა „კულტურისტს“. ეს უკანასკნელი უსიტყვოდ გავიდა. „თავლაში“ დარჩნენ ორნი — მორჩილა და „ღვთისნიერი“.

— რატომ გცემეს? — ამოღერღა მოხუცმა (უჭირდა ჩვეულებრივად ლაპარაკი).

— არ ვიცი! — დაიბნა მორჩილა: — მგონი, ვიღაცაში შევეშალე.

— ტყუილია.

— არ ვტყუი, გეფიცებით!

— აბა, რატომ გცემეს?

— მართლა არ ვიცი!.. ჯერდობა არასდროს მიკარებია!

— ვერ დაგიჯერებ.

— მე ჩემს ნაცნობს ვეძებ — ჩიას, ცხვარძროხის ჯერდობასთან რა ხელი მაქვს!

მოხუცი წამოდგა. მიმქრალ სახეზე ოდნავ დაეტყო ღიმილი.

მორჩილას იმედი მიეცა, რომ თავის უდანაშაულობას დაამტკიცებდა და გაიბადრა. „ღვთისნიერის“ მოხუცი ღია კართან მივიდა, ვიღაცას მოუხმო; მერე ისევ მობრუნდა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა. — მაშ, „ჩას“ ეძებ? — ჩაჰკითხა ტუკეს.

— ჩიას ვეძებ, არკიტექტორს, აქეთ წამოსულა და მეც ამიტომ მოვხვდი ამ არეშარეში, — დაბნაშავესავით ალუღუღდა მორჩილა.

მოხუცი დაკვირვებით უსმენდა. გარინდებული უგდებდა ყურს, (აშკარა იყო: სწრაფად ნათქვამის გაგება უჭირდა, ბრის გამოსტანად უკიდურესად ძაბავდა ყურადღებას).

— „ჩა“ იყო აქ! — თქვა მერე.

— როდის?

— დიდი ხანია.

— მაინც, რამდენი დღე იქნება?!

— „ჩა“ შარშან იყო!

— როგორ იყო შარშან!

— შარშან იყო, ზაფხულში.

მორჩილა გაოცდა, მოხუცის ნათქვამმა დაიტაკვა. გაიფიქრა, ბიმ არ მაკამპულებსო. თუმცა, მალეევე უყურადღო ეს აზრი — „ღვთისნიერი“ სერიოზული კაცი ჩანდა. არც ტყუილი ჩანდა. დებოდა რამეში. ტუსელი რომ დასჭირდებო. და, მოკლედ იტყოდა: „ჩა“ არ მინახავს, ან არ ვიცი...

მორჩილას ტკინი გამალებით ეძებდა ახსნას...

ფიქრი შეძახილმა შეაწყვეტინა. „თავლაში“ „კულტურისტი“ შემოსულიყო და „ღვთისნიერ“ მოხუცს რაღაცას უმტკიცებდა. ნათქვამში შიგადაშიგ გამოურევდა „ჩას“-ს და აგრძელებდა მოგზაურისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკს...

მოკლედ, მორჩილამ მოსმენილიდან „ჩა“-ს მეტი ვერაფერი გიგო, მაგრამ იმდენს კი მიხვდა, რომ „კულტურისტი“ ჩიას ახსენებდა და მის შესახებ უუკვიდოდა რაღაცას მოხუცს...

როგორც იქნა, „კულტურისტმა“ თხრობა დაამთავრა და მოხუციც ტუკეს მიუბრუნდა. უთხრა, — სწორედ რომ ახეა: „ჩა“ შარშან იყო ზაფხულში შემოხვეული. ბორანით გავაგზავნეთ არარატში.

— სად, რა, რატომ? — დაიბნა მორჩილა

— გგდდ სწყლ! — გაიცინა „კულტურისტმა“.

— რა ჯრდ! — უთხრა „ღვთისნიერმა“ „კულტურისტს“

— ნმდლდ? — იკითხა „კულტურისტმა“.

— ჰო! — დაუდასტურა „ღვთისნიერმა“.

— გავგიჟდები! — ამოოხრა მორჩილამ, თვალები დახუკა და თავაზე გადაესვენა.

„კულტურისტი“ თვალებდახუკულ მორჩილას მიუჯდა, მხარში ხელი მოავლო, შეაკანკალა და ჩასძახა: — „ეე!.. ეეე!..“

მორჩილამ თვალები გაახილა, დალურჯებულ-დასივებულ სახეზე უმიდოდა და უალჯობა ეხილა.

„კულტურისტმა“ მორჩილას ძალისძალად, მაგრამ ზედმიწევნით მზრუნველად დაალევინა წყალი. მერე იღლიებში ამოსდო ხელები, წამოსვა და კედელზე მიასვენა ზურგით.

— „ჩა“ პატარა კაცი იყო, მაგრამ ბრეკა უუკარდა ძალიან, — ენის ბორძიკით თქვა „ღვთისნიერმა“ „— შენსავით ლაპარაკობდა, მაგრამ არ უხსენებიხარ!

მორჩილა შეეცადა როგორმე გიეზრებინა მომხდარი... ამაოდ. ისე გადაძაბული ჭკონდა გონება, ვერაფრით მოახერხა განვლილი დრო და მანძილი თანმიმდევრობით დალაგებინა.

—„ჩა“ ერთი დღე დარჩა ჩვენთან, ლაპარაკი ხელად ისწავლა და ბორნით გაფმა გავიდა არარატში. „ჩა“ არ გვიცემია. „ჩა“ საკმაოდ ჭკვიანი იყო და არ გვიცემია, — გაჭირვებით, მაგრამ ბეჯითად და გასაგებად ლერწავდა სათქმელს მოხუცი.

— ახლა სად არის? — ამოიკვნესა მორჩილამ.

— არ ვიცი, ალბათ, გაღმა იქნება — არარა-ში. იქ — ნიმილასთან!

— არარა ქალაქია?

— დაბაა.

— დაბა?

— ჰო, დიდი დაბა!

დადუმდნენ.

„ულტურისტმა“ აიღო წყლიანი ტიკი, თავი უკან გადაგდო, მიიუფა პირზე ბუჩქელი და სმა დაიწყო, — ულუუკ-ულუკ!.. ულუუკ-ულუკ!... მისი მძლავრი, ძარღვიანი ყელი თრთოდა, ხორხი ადი-ჩადიოდა, — მოკლედ, ისეთი შესანიშნავი სანახაობა გაბდოდათ, რომ მორჩილამ თვალი ვერ მოსწყვეტა, სანამ წყლის მსმელი არ დარწყულდა.

მერე მზერა მოხუცზე გადაიტანა და თითქოს წამოსცდა, უნებურად უთხრა! — „მახსოვდეთ ლაპარაკი!“ უთხრა და, თვითონვე გაუკვირდა, ისე მკაფიოდ გამოთქვა ეზრი, თითქოს ამაზე თვეობით ეფიქროს და ზედმეწევნით მტკიცე დასკვნა ახლახან გამოეტანოს.

— მახსოვდეთ ლაპარაკი თუ, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის! — მისდაგასაკვირად, დაბეჭერებით გაუმეორა ღვთისნირეს.

— სწავლება არ დაგვირდება! — უპასუხა მოხუცმა, — თვითონვე ისწავლი, მთავარია, ხმოვნების გადაყლაპვას ეცადო!

— რა ბრძანეთ? — გაიკვირვა მორჩილამ და ასი ყური გამოსცხა გასაგონის მოლოდინში.

— სიტყვაში ერთი ხმოვანი უნდა დატოვო! — ასწავლა „ღვთისნირემ“, — დანარჩენი უნდა გადაყლაპო!.. სკობია, ბოლო ხმოვანი დატოვო (დანარჩენი — უფრო იოლად იყლაპება)... ძველებურად ლაპარაკი მე და ნიმილას გვახსოვს მარტო, იმიტომ, რომ მოხუცები ვართ, ახალგაზრდებმა ამდენივე არ იციან, რაც ჩვენ გვახსოვს?

— ჰმ, ეს მაგრამ, რა საქმიროა?

— ღერთებს საკუთარი ენა უნდა ჰქონდეთ!

— თქვენ ღერთები ხართ?

— ჰოო!

— ნიმილა?

— ნიმილა ჩვენი თავია. ნიმილამ მოგვცა ენა, რწმენა, საქმელი, ტანსაცმელი — ყველაფერი, რაც ღერთისათვის აუცილებელია... ნიმილა მოწყალეა ღერთების მიმართ, მაგრამ მრისხანეა ღერთების მტრების მიმართ.

— მტრებიც გყავთ?

— მტრები გყავს: შიმშილი, სიცივე, სენი, დანაშაული და მისი მოცაქულები...

— ალბათ, მეც მტრების მოციქულად მიმიჩნიეთ და იმიტომაც...

— ჰო, ჯერდი გვეგონე! ნიმილას აკრძალული აქვს ქურდობა, ავადმყოფობა, მარტოხელობა... ღერთები შრომობენ, ქამენ, ნეტარებენ, ბრაგდებიან... ღერთები უნდა გამოკვდეს — ნენ — ისინი ღმერთის რჩეულები არიან! — ... ნიმილოდრიანი რომ აშენდება, „ვარსკვლავზე“ ღმერთი დაეშვება და მადლს მოგვაგებს...

მორჩილა გაკრუნული უსმენდა. ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ეგებოდა.

მოხუცმა მოგზაურს თავი ანება და „ულტურისტს“ გაუბა ღერთული ბაასი. ღიმილით ამბობდა სათქმელს, კულტურისტი კი იცინოდა; მუცელი და მუცელზე შემოდებული ტიკი უთამხახებდა...

ბოლოს „ულტურისტი“ წამოდგა, ტიკი მორჩილას მიაჩეჩა და „თავლდან“ გავიდა.

მოხუცმა მოგზაურს ხმოვნების გადაყლაპა ასწავლა და „თავლდან“ გასვლა შესთავაზა.

— კი, ბატონ! — დაეთანხმა მორჩილა, ტიკი გულზე მიიბუტა და „თავლდან“ გასულ მოხუც ღერთს მიჰვა.

გასვლისთანავე მოგზაურს ლამის თვალთ დაუბნელდა ცალკე იმით, რომ მზე ჩახჩახებდა, ცალკე კიდევ იმით, რომ დაბეგვილს, თაბრუ ეხსმოდა და ფეხზე ძლივს იდგა.

მოხუცმა, მორჩილას ეს გასაკვირი ვერ შენიშნა. ღერთების „ტკვეშაც“ იხტიბარი არ გაიტეხა და მიმეცა „ღვთისნირეს“.

მწყემსები მდინარის პირას ბორანთან იყვნენ დასაბაკეტულები. ეფდათ მოზრდილი ერთსართულიანი საერთო საცხოვრებელი... ხახლის უკან თოვის ზვინები ჩაეწყრივებინათ. საქონელი საძოვარზე გაერეკათ და ადგილზე მხოლოდ ორი ღერთი მწყემსი დარჩენილიყო: „ღვთისნირი“ და „ულტურისტი“.

შუადღე გადასული იყო. მორჩილას საათი აღარც ბიბერის დროს ჩაეენებდა და აღარც — არაფერს... საათის ისრები უმოძრაოდ გაყინულიყო გაბზარული მინის ქვეშ. სისხლით გათხიპილი ციფერბლატზე. მოგზაური ეკვნა გაკეწნული (დაბეგვისას საათი გამიფუქეს ღერთებმაო). გაგულისებული იყო, მაგრამ არ გამომჟღავნა... მალეეე დარწმუნდა, რომ საათის გაფუქებაზე პრტეტენზიების გამოთქმელობა სწორი საქციელი აღმორჩნდა (საათი მომართვისთანავე აწიკწიკდა).

„ღვთისნირემან“ მოხუცმა ღერთმა მწყემსების საერთო საცხოვრებელში შეიყვანა მოგზაური, დაიაკარა და საწოლი მიუჩინა.

დროებითი ტუვეობა დროებითი სტუმრობით შეიცვალა...

მორჩილა მარტო დარჩა ექვსსაფოლიან მოზრდილ ოთახში, თვლეს მოერია და კვნესა-კვნესით წამოწვა „ღვთისნირისგან“ ნაბოძებ თივის ლეიბზე... ის-ის იყო ჩაძინებას აპირებდა, რომ „ულტურისტი“ შემორბახუნდა. ზურგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთა მოუტანა და დასჭყიალა, — „წყნას გლში ნუ ჩდებ!"[1]

— რა, რგორ გკდრბთ!? — იუარა მორჩილამ ღურთოულად.

„კულტურისტმა" ხელი დაუჭნა კეთილმოსურნეობის ნიშნად და გავიდა.

მორჩილამ დიდხანს იბორგა საწოლზე; ხან პირქვე დაწვა, ხან — გულაღმა, ხან გვერდი იცვალა, მაგრამ დაეძინა ტანი ვერ მოასვენა.

ადგა და ტანსაცმელი გამოიცვალა; დათხუპნალი გაიბადა და სუფთა სპორტული პიჯაბ ჩაიცვა. მერე ბარმაცით და ვიშვიშით ჩაიტანა ცემოსას დათხვრილი სამოსი მდინარის პირას და შვებულებისფუღიანად გარეცხა.... მზეზე გაფინა კურტაკი, შარვალი და ნახევრად სპორტული მაისური,.. მოგვიანებით გაახსენდა შვებულების ფული. გარეცხილი ტანსაცმლის ჯიბეებს დაეწყო ჩხრეკა. სანამ იპოვდა, იეშვა, ცემოსას შეიძლება სულაც ამწკანნდა... როცა იპოვა, დამშვიდდა და დაასკვნა, ღურთები პატიოსანი ხალხი ყოფილაო...

დაბრუნდა სარეთო საცხოვრებელში. შვებულების ფული ზურგჩანთაში შეინახა, უკვე დაწყნარებული და მოთენილი, თიკის ლეიბზე დაწვა და დაეძინა.

22

მორჩილას შუაღამისას გაეღვიძა. უცბად გონს ვერ მოეგო, მაგრამ როცა მოეგო, მეხსიერებაში ყველფერი აღადგინა, და საწოლზე კვნესა-კვნესით შესწორდა.

საგონებელში ჩავრდა.

ღურთებთან ყოფნა არ ეეკუნებოდა (თუმცა ხვდებოდა, რომ „ღვთისნიერი" თარკვიანის ნუკლობით მისი უდანაშაულობა დამტკიცდა და ალარავინ ერჩოდა). უკან მაშა-მალაკისთან მიბრუნებაც ვერ გადაეწყვეტა, რადგან ბაიბურისეულ გადასალახავი მრავალსართულიანი კედლის გახსნება საკუთარ უძლურებას უტტკიცებდა.

ბევრი იფიქრა.

შესაძლოა, მორჩილას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უფიქრია ამდენი... ალბათ, ამიტომაც ფიქრმა უზომოდ დაღალა... სიზმრის წინ საბოლოოდ დაასკვნა, რომ წინსვლა გაგრძელებინა და ჩიას ანუ „ჩა"-ს (როგორც ღურთები ახსენებდნენ) კვალს მიჰყოლოდა.

23

მორჩილას საათი ბაიბურის დროით 7⁰⁰-ს უჩვენებდა, როცა „ღვთისნიერმა" ღურთმა გაღვიძა და უთხრა, — „ბრნი გდის. თუ ალმა გსვლა გნდა, გაეგ!"-ო!

მორჩილა ხასწრაფოდ დაეთანხმა. დაფაცურდა. კვნესა-კვნესით ჩამოხსნა სარეცხი. ტანსაცმელი გამოიცვალა, ზურგჩანთა მოიკიდა და დაეშვა მდინარისაკენ.

ბორანი სავსე იყო ცხენით. ორმოცდაათ სულამდე საკონლის გადაუვანას აპირებდნენ „კულტურისტი" მწუემნი და „მებორნე" მწუემნი...,

მოგზაური ბორანზე შეხტა და ღურთებს მიესალმა, — გმრჯნბთ.[2]

მწუემლებმა ხალამზე უკასუხეს, უზარმაზარი ნიჩბები მოიმარჯვეს, ნაპირს უბიძგეს და ბორანიც დაიძრა...

— მე მცდდითბ[3] — იკითხა მორჩილამ.

— მოl — ერთხმად უპასუხეს მწუემლებმა.

დინება მდორე იყო, ბორანი — მძიმე... მორჩილას მოეჩვენა, რომ წყალზე იდგნენ და სულაც არ იძვროდნენ ადგილიდან.,. „კულტურისტი" და „მებორნე" რაღაცას ხაუბრობდნენ ღურთოულად. მოგზაურს ცალკეული სიტყვის ახსნა ზუსტად შეეძლო უკვე, მაგრამ რახან მწუემლები სწრაფად ლაპარაკობდნენ, ახლი ვერ გამოიტანა (თუმცა დიდი ყურადღებით უსმენდა).

— ხოოl — თქვა „კულტურისტმა". „მებორნეთან" ლაპარაკს მოეშვა და მორჩილას მიუბრუნდა, — „ჩას ამბავს ჩჭლთან კითხავ!"[4]

მოგზაურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ნჭლს მორჩლა ნდა ვნეტდრ[5] — განაგრძო „კულტურისტმა". — „მსოვის სჭრა, რომ ხლი თკოთ შგარა"[6]

მორჩილამ ვერ გაიგო, რა უთხრეს.,, „მებორნეს" გაუმეორა... მოგზაური ვერც ახლა ჩასწვდა ნათქვამის შინაარსს. მაშინ „კულტურისტმა" აიღო თოკი, მორჩილას ხელები წინ გაკვეტინინა, თოკით შეუკრა მსუფუკად. მზრუნველად (ისე, რომ მაჯები არ სტკენოდა ღურთების სტუმარს).

მოგზაურმა ამოიხვნეშა, თქმით არაფერი უთქვამს, გუნებაში კი ათასმა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრმა გაუელვა.

მწუემლებს გაეცინათ. უთხრეს. — —წსა სთი, არ გწუნობ!

მორჩილა ღურთებს აღარ უსმენდა, გარინდებული იჯდა თავის ზურგჩანთაზე. თოკით

---

[1] — წყნას გლში ნუ ჩადებ!

[2] — არა, როგორ გეკადრებათ!

[3] ბორახი გადის. თუ გალმა გასვლა გინდათ, გაუეეე.

[4] გაბარეთ ბაბარ

[5] მე მიკვირდით?

[6] ჩიას ამბავს ნიქილასთან ეკითხავ.

[7] ნიქილას მორჩილე

შეკრული. ხელები მუხლებზე დაეწყო, თვალებს არ ახამხამებდა, იცქირებოდა სადღაც, ზევით — ძალიან შორს, ღრუბლებისა და თოვლიანი მთების მიმართულებით. მისი კუნთები ბეჯითად მარცხვდა: „სი-სუ-ლე-ლ, სი-სუ-ლე-ლე-ა!, კაც-და მშვი-დად უნ-და იც-ხოვ-როს. არც ფა-ვი უნ-და შე-ი-წუ-ხოს და არც სხვე-ბი უნ-და შე-ა-ჭი-ე-ო-როს. სხვა რა-მე-ნი ი-ნი-�sტა-ვა-ბა-ნა ა-რა-მკი-თხე-ო-ბა-ა, ა-რა-მკი-თხე-ო-ბა, სი-სუ-ლე-ლ-ა! სი-სუ-ლ-ე-ლ-ა!".

„ულტერესტის" მსუბუქმა მუჭლუგუნმა შეაფეთხლა.

გაღმა გასულიყვნენ. მწუემლებს ნაპირამდე „ფიცრის ხიდი" გაემართათ ცხვრების გადასაყვანად.

— „თან მგამხრე!"[1] — გაუცინა „მებორნემ"

— „ჰო, ჰო, სწმე მინც არ გაქეს"[2] — მეორე მსუბუქი მუჭლუგუნი უთავაზა „ულტერისტმა".

მორჩილა დათანხმდა. როგორც შეეძლო, ეხმარებოდა მწუემლებს. — თოკით შეკრული ხელები სახაკილოდ გაეშვიროა წინ და ცხვარს აანლურებით „ხიდისაკენ" უბიძგებდა.

ცხვრების ნაპირზე გადაკვანა რომ დამთავრდა, „მებორნემ" მოგზაურს ჩანთა ამკიდა ზურგზე, ღვედებით დაუმაგრა, მზრუნველურად შეუსწორა ტკბილი და დამშვიდობების ნიშნად ბეჭზე ხელისგული დაკრა.

მორჩილამ გადაიარა ფიცრის „ხიდი" და ცხვრის ფარას შეუერთდა.

„ულტერისტმა" ჯოხი მოიმარჯვა და ფარა წინ გაირეკა.

24

არარაში მისვლამდე მორჩილამ საკმაო ცნობები მიიღო მწუემლისაგან. ბუნებრივია, უჭირდა ღერთული, მაგრამ „ულტერისტის" დაუზარელი აღმრჩნდა (ორ-სამჯერ იმეორებდა რთულ სიტყვებს, რომ თანამოსაუბრეს აზრის გამოტანა გაადვილებოდა).

უპირველესი მოვალეობა, რაც მორჩილას ეკისრებოდა, ნიმილასთან მისვლა და მორჩილების გამოცხადება იყო მწუემლის რჩევით, ეს აუცილებელი იქნებოდა იმისთვის, რომ მოგზაურის პირიფეხება საეკვოდ არ მიეჩნიათ დაბაში.

არარამდე ხუთი წუთის სავალი იყო დარჩენილი, როცა მწუემსმა ცხვარი ჯნიდან გადარეკა. მორჩილას გამოეშვიდობა და აუხსნა, რომ პირდაპირ ეველო ალვის ხეებამდე, მერე კი ვინმეს ეკითხა ნიმილას ადგილსამყოფელი. თვითონ (როგორც მანვე აუხსნა) „ხსკლზე ჩჭრიდა"[1] და ფარას მიჰყვა შეძახილებით: „ჰა, შე ს�ელ, შნი პატრონს დდა ვერ ეტ[illegible]

მორჩილეს ნარატო დარჩა ზარაზე. იდგა ფანჯრებდა, როგორ მიერეკებოდა მწუემლი ფარას; მერე მზერა შორეული მთებისაკენ გაექცა. ამინდი მშრალი იყო. მთები კი ღრუბლებში შეუუუულიეო და თვალი ვერ გაარჩევდა მწვერვალების ზუსტ მოხაზულობას... მორჩილამ დაასკვნა, რომ მოგზაურნი ძალიან მაღალი არ უნდა ყოფილიყო... მიბირუნდა და გაღმა სამოგზაურისაკენ გაიხედა. მინდორზე არც საკონელი ჩანდა, არც მწუემსი, მინდვრის იქით, შორს ბაიბურის ნისლეული განფენილიყო... მორჩილას ხეტიალი ყოველთვის უყვარდა და დიდი მანძილებიც ჰკრნდა დალაშქრული ადრე, მაგრამ ასე თვალნათლივ არასდროს უნახავს, საიდან მოვიდა და რა უსაშველოდ დიდი ჩანდა ფეხით გამოვლილი მანძილი იიიქიდან აკამდე...

კარგა ხანს იდგა ზარაზე. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, არარას გზას ავუქცევ და მთებისკენ მოვაურცხლავო, მაგრამ გადაიფიქრა და თავისი თავი დაკარეა, რომ ღერთები წესიერი ხალხია და თვითონ თუ ვკვანაად მოვიქცევი, აქეთ არავინ დამეხმება თავსო...

მორჩილი ადგილზე შეხტა და ზურგჩანთა შეისწორა. მერე თოკით შეკრული ხელებში წინ გაიშვირა და ნელი ნაბიჯით არარასაკენ გასწია.

25

მორჩილას რატომღაც ეგონა, რომ მისი გამოჩენა არარაში ადგილობრივი მოსახლეობის გაკვირვებასა და ინტერესს გამოიწვევდა.

პირიქით მოხდა. ალბათ, უცხო ვინმე დაბაში ყოველთვის ხელშემრეალი შედეოდა და ეს ჩვეულებრივ ამბად მიიჩნდათ ღერთებს.

ასე რომ მოგზაური ჩვეულებრივად (ღერთულად) მიიღეს, ნიმილას ასავალ-დასავალი მიასწავლეს. ნიმილმღლოის სახლის ჭიშკართან მცველებმა ზურგჩანთა ჩამოართვეს, თოკი შეხსნეს და შეუშვეს...

ნიმილა საკმაოდ მოხუცებული აღმოჩნდა (ცოტა უფრსაც კალდა). ყბის ჩვეული ამოვარდნილობა ჰქონდა და ამიტომ პირის დიდზე გადეხას ერიდებოდა...

რაც მთავარია: გამგზრიახი გონების წყალობით, ნიმილა მაშინვე მიხვდა, რომ ქურდთან და მამამაღლთან არ ჰქონდა საქმე... არანაკლებ მთავარი გახდლადო ისიც, რომ ღერთების წინამძღოლს კარგად ახსოდა ძველი ენა, მაგრამ ზმოვნებს „ულიპავდა" ლაპარაკისას, რათა

[1] თან მოგვეგზმარე!

[2] ჰა, ჰა, საქმე მაინც არ გაქეს!

[1] სასაკლაოზე ეჩქარებოდა.

[2] ჰა, შე სამკლო, შენი პატრონის! დედა ვატირე!

პირი ფარეთად არ გიღელ (პირს კიდევე იმიტომ არ აღებდა დიდზე, რომ ქვედა უბის ჩვეულო ამოვარდნილობა ჰქონდა).

ნინილასთან საუბრისას მორჩილამ დაიკვნა, რომ ღერთების წინამძღოლი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა სხვების (ესე იგი, არაღერთების) მიმართ. ამ თეთრწყეროსნან, გამბდარ, უინტერესო მოხუცთან შედარებით, თვითონ შედმიწევნით ახალგაზრდა, ოგეი და ცნობისმოყვარე ჩანდა — დიდი ინტერესით ათვალიერებდა ნინილას საცმოვრებელს და უკვირდა მასპინძლის თანამდებობისთვის შეუფერებელი მოკრძალებული ცხოვრების ნირი. ღერთების წინამძღოლს ერთსართულიანი წითელი აგურით ნაშენი სახლი ეკავა მარადმწვანე ხეებით გაშენებული მოზცრო ეზოთი. იმ ოთახში, სადაც „სტუმარ-მასპინძელი" საუბრობდა, დგამიც უბრალო იყო და ბუხარიც... იატაკზე დაგებული ერთმანეთზე გადაკერებული ცხვრის ტყავები ზალიჩის მაგიერობას ეწეოდა. ნინილაც ასევე ცხვრის ტყავგადაკრული დაბალზურგიან სკამზე იჯდა. წინ დაბალი მაგიდა ედგა, რომელიც ეუონალების მაგიდას გვაგდა; ზედ კი ეუონალების მაგიერად, ნინილოდრომის ესკიზი იყო გაშლილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მალე საუბრის თემა ჩია ანუ „ჩა" გახდა.

ნინილამ მოსული ეკვი დაუდასტურა და თქვა, რომ „ჩა" ერთი ნელის წინ იყო არარაში, დიდი სამსახური გაუწია ღერთებს — ოპოექტი შეუდგინა; რომ აგერ უკვე ცხრა თვეზე მეტია, ამ პროექტის მიხედვით ნაბილოდრომი შენდება წითელი აგურითა და დუდაბებით.

ეტუობა, ჩიას ბოლოშიგე მოეგო ნინილას ეკვი. ამის დასტურად ისიც ქმაროდა, რომ არქიტექტორისთვის ღერთების წინამძღოლს არარაში დარჩენა შეეთავაზებინა და საცოლეც შეერჩია მისთვის. ჩიას სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ერთი თვე უცბოვრია ახლად დაქორწინებულ ცოლთან, მერე კი მთებში გაპარულა. ამას ღერთების და, რა თქმა უნდა, ნინილას გულისწყრომა გამოუწვევია და მდევარი დაუდევნებიათ... დიდხანს არ უძებნიათ ლტოლვილი. მთებში ალპური ზონის საზღვარზე ქვა-ღორღში ჩაკარგულ ადამიანის გვამი უნახავთ. გაბრწენილი გვამი ვერ ამოიცნეს, არარაში წამოსვენებაც შეუძლებლად მიიჩნიეს. ნინილამ „ჩა" დაღუპულად გამოაცხადა ღერთების ფლეგმინაგვების შეთე დღესასწაულზე.

ამის შემდეგ ორასი დღის განმავლობაში ღერთები მოწიწებით და დიდი იმედით უცდიდნენ „ჩას" ფეხმძიმე ქვრივს და სასწაულს ელოდნენ. რატომღაც ეგონათ, რომ რახან ღერთ ჭალს არქიტექტორ „ჩასაგან" ნაყოფი ჩაესახა, ბავშვი აუცილებლად ფანქრითა და სახაზავი ხელში დიბადებოდა.

სასწაული არ მოხდა.

დიბიდა უფანქრო ბავშვი. რომელიც ... ღერთი ჩვილებისაგან მხოლოდ იმით [illegible] ჩერდა, რომ თვალები არაბუნებრივად ჰქონდა დაჭუტული და გამმოული ტირიდა. ღერთების ზეხად ჰქონდათ: ავადმყოფ ბავშვებს წრთობას უტარებდნენ ცივი ჰაერის და წყლის აბაზანებით. რომელი ჩვილიც ვერ გაუძლებდა წრთობას, მშობლების ხელით იმარხებოდა სასაფლაოზე... ღერთების დედი იმედი ჰქონდათ, რომ „ჩას" ნაშიერი გაუძლებდა წრთობას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა...

მაშინ ნინილამ „ღმრთის კრძნეთ" (როგორც თვითონ უთხრა მორჩილას) ბრძანა, რომ ჩვილი, რომელიც წრთობას ვერ გადაურჩა „ჩას" ნაშიერი კი არ იყო, არამედ ოფლიმეგვის ღერთის, საწყალ დედას მრუშობა დასწამა და დაწყევა. ჩას ქვრივი ცალი ფეხით დაკიდეს თავდაყრა და კიბოვეს, ეოქკა აწვალდაცვლილი ბავშვის მამის ვინაობა. წამებით გამწარებულ ქალს დიდხანს ალარ უუოფმანია; ადგა და ვიღაც უცოლო ღერთი უმაწვილი დასახელეს... ქალის ნათქვამი მართალი იყო თუ ტუელი, ღმერთმა იცის, ფაქტი ფაქტად დარჩა: უცოლო ღერთს არ უუარია. რახან კაცმა დასტური მისცა, ჩას ქვრივი უცოლო ღერთს შერთეს ფლეგმისგვეშის მეზუთე დღესასწაულზე მორჩილას არარაში ჩასვლამდე სამი კვირით ადრე.

მორჩილა, დიდი ინტერესით ვერ უსმენდა ღერთების წინამძღოლს, რადგან უკვე უზომოდ შეიოდა და დაეეფილი ტანი მოსცენებას თხოვდა. ჩას დაღუპვის ამბავი უნდოდა შეეცნობადენია, მაგრამ გადაიფიქრა (ნინილა არ გარისხდებსო, — შეეშინდა).

საუბრის დასასრულს ღერთების წინამძღოლმა თითქოს სხვათა შორის თქვა, — „ქლი რომ არ გმტხლეო, ჩას ქვრივს შენ შერთვდიოთ."[1]

მორჩილამ ვერ გიგო, ნაბილას ნათქვამი მოქმედა იყო თუ კეთილი სურვილი... უნდოდა ეკითხა კიდეც, ხომ არაფერს მიპირებთო... მაგრამ ამ დროს ღერთების წინამძღოლმა ქვედა უბის ახვევა დაიწყო მოთრიმლული ტაკვის ზონრით და ამით „სტუმარი"[2] (რომელიც მოსვლიდან მოუოლებული კედელთან ჰყავდა დაუუდებული) მიახვედრა, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

როგორც კი ნინილამ უბა აიკრა და საზურგეზე გადაესვენა, ოთახში ორი ღერთი (პირადი მცველები) შემოვიდა. მორჩილას უსიტყვოდ ანიშნეს, ადეკი და გამოგვყევითო.

მორჩილა წამოდგა.

ღერთების წინამძღოლის პირადმა მცველებ-

---

[1] ღმერთის კარნახით

[2] ქალი რომ არ გამოტეხილიყო, ჩიას ქვრივს შენ შეგრთავდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა იგი ჭიშკრამდე მიაცილეს, ზურგჩანთა მიაჩეჩეს და ოთხრეს, „ზვალა, მპრიანდე!"[1]

მორჩილამ პასუხად თავი დაუკრა, თვითონაც არ იცოდა რატომ მადლობის თუ მორჩილების ნიშნად. წავიდა. ათოოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ზიმპლანმა შეახსენა თავი და გიეხარდა, რომ ნიმალის პირად მცველებთან გამოლაპარაკების შანსი მიეცა. მიბრუნდა და ჭიშკარს გარედან შეეკითხა, მცველებს, — „სსტგრრო ხად გაქვთ?"[2] ღურთიმმა ერთმანეთს გადახედეს და მბრეში ირეჩეს. მორჩილა მიხვდა, არარაში სასტუმრო შეიძლება არც არისო, და ღურთოლად იკითხა, თუ სად უნდა დანიავებულიო დაბაში ჩამოსული კაცი... „ჩამსლებს არ ვბნეეგთხ!.. ჩამსლა მზის ჩასვლადეე ნდ დტკოს კრბა!"[3] — ეუსსნეს მცველებმა.

მორჩილა სახტად დარჩა.

გაბარუნდა. იარა ალმა-დალმა არარას მოუკირწყლავ ქუჩებში და ათვალიერა იქაურობა. თქვენც არ მომიკვდეთ — არავინ აგდებდა ინტერესი... ღურთი ხალხი გამჩჯე, საქმიანი, ბაგრამ არასტუმარომოუკარე და უინტერესო ჩანდა...

მორჩილამ მუუდრო ადგილი ნახა ორღობეში. კოსსერვებით დანაყრდა, მერე მალულად მიაშორდა ვიღაცის ღობეს და არარას ცენტრისკენ გაიძურწა.

დაბის შუაგულში მშვენებლობა წამოეწყოთ — ასამდე მუშას არარას ცენტრალურ მოედანზე ეითელი აგური დიეგო ქვაფენილივით და ამავე მოედნის ცენტრში კვარცხლბეკს აშენებდა.

მორჩილა მიხვდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ნიმალოდრომი — ჩიას არარაში ნაკაზრევის ბორცვსსხმ, მოედანზე გაიარ-გამოიარა. ღურთი მუშები ისე გამრჯედ და მთელი გულისყურით მუშაობდნენ, რომ მორჩილამ რომელიმე მათგანს შეეკითხეის დასმაც კი ვერ გაუბედა (ეურადღებას არ მომაქცევენო, იფიქრა).

საათს დახედა. ბაიბერის დროით 11-00 იყო. მოგზაურს ალარ შეიოდა, დასვენება კი ძალიან უნდოდა. მისმა გამჭრიახმა გონებამ დაძინებამდე ქკვიანური აზრი დაამწიფა, — „11-00-მდე წავუძინებენ, მერე კი მუშებს შესვენება ექნებათ და არქიტექტორის და ნიმალოდრომის შესახებ გამოველაპარაკები..."

მორჩილამ მონახა, რამდენადაც შეიძლებოდა, მუუდრო ადგილი, ზურგჩანთა თავქვეშ ამოიდო და ჩათვლიმა.

მორჩილა ზოხლმა გაადვიძა.

დაფეთებულნი ზამთრანი ზეზე. ბაბა ბაბალუგდებიანი ღურთები შემოტაკუნოდნენ; ჩაცმულობაზე ეტყოფოდათ, მუშები არ იყვნენ...

— „აქ რას აკეთებ?"[1] — დასჯაყივლა მორიხანე ღურთმა, რომელიც, ალბათ, მეთაურად ითვლებოდა.

— მეძინა, — ამოღერღა მორჩილამ და ჯეიი-ეიით დაიწყო თვალის ცეცება.

— ჰა? — იყვირა მორიხანე ღურთმა და ჩუგლეგეანი ხელი ზეალმართა.

— „მძინა,ბძინა[2] — ალუღლუღდა მოგზაური ღურთოელად.

— რატომ?[3] — არ ცხრებოდა მორიხანე.

მორჩილას უნდოდა ეეხსნა: სასტუმროში არ გვრნიათ და აქ ამიტომ დავბანაკდი, მზის ჩასვლამდე კი აუცილებლად დავტოვებ არარასო, მაგრამ ამდენი ალარ აცალეს, რიგითმა ღურთებმა მოგზაური დათიხეს, ხელები გადაუგრიხეს და ალბალეს... მერე კი, მორიხანეს განკარგულების შესაბამისად, ხელები გაუკრეს, ზურგჩანთიანად ჯორზე გადაკიდეს და გზას გაუუყენეს.

საწყალს დიდი საზრიანობა არ დასჭირებია, მიხვდა, რომ დასაკიმრებელი იყო.

27

საღამომდე მორჩილა საპყრობილეში აყურეუტეს.

აგურით ნაშენი საკანი გალიებად იყო დაყოფილი. მეზობელი გალიები ცარიელი იყო. იქაურობა ყარდა. მორჩილა იჯდა გალიაში (ეუფნ-ეს დგომა შეუძლებელი იყო, რადგან გალია „დაბალკეკრიანი" გახლდათ) და მიშტაერებოდა ერთი ბეწო სარკმელს — საკნის განთების წყარო. ხმას არ იღებდა, ფიქრით კი — ათას რამეს ფიქრობდა. გამოსავალს ვერ ხედავდა, მაგრამ საჭიროდა, რომ ადრე თუ გვიან, ეშველებოდა...

ნიმალასთან საუბრის ანალიზს აკეთებდა და უკვირდა, რომ „ჩას" სიკვდილის ამბავმა დიდად არ დაამწუხრა — ალბათ, იმიტომ, რომ ბოლომდე არ დაიჯერა... ფიქრობდა, როგორც კი ტუკეობას თავს დაადწევედა, მთაში წასულიყო ჩიას კვალდაკვალ.

მერე ხელახლა რომ გადაავლო გონების თვალი განვლილს (ზეეტულების პირველი დღიდან დღემდე) ყველაფერი უაზრობად ეჩვენა და სასოწარკვეთეა... ახლა უკვე იმას ვარაუდობდა, რომ ღურთებს პირი შეეკრათ და ბეკუეტდნენ. აკი ყველა უმტკიცებდა (დაწკებული მწყემსებით და დამოკვრებული ნიმალათი) რომ „ჩა" ზარშენ იყო არარაში.

[1] შეგიძლია, მიბრძანდე!

[2] სასტუმრო სად გაქვთ?

[3] ჩამოსულებს არ ვაბინავებთ!.. ჩამოსულმა მზის ჩასვლამდე უნდა დატოვოს აქაურობა.

[1] აქ რას აკეთებ?!

[2] მეძინა, მეძინა!

[3] რატომ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილა საკუთარ ტკივილებზე და დაფეთ-ლობაზე ნაკლებად ფიქრობდა (ჯანმრთელობის იმედი ჰქონდა). უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ უკან დაბრუნების იმედი ჰქონდა გადაწუ-რული. მისი აზრით, დიდი-დიდი მაშა მალაქიამ-დე მიეღწია, მერე კი მარტობაში შეიძლებო-და ამოსდენოდა სული უმეცრების მრავალსარ-თულიან კედელთან... ახლა ღერთების საპყრო-ბილედან ბაიბარი, ბაიბარის ვითომსასტუმრო და იპაური ნაცნობები, მით უმეტეს, თბილისი და თბილისელები, შორეულ ოცნებად ესახე-ბოდა.

დაუსრულებელმა ფიქრმა და უსიტყვო გან-ცხადებ გამოთაყვანა. უკვე ადგილზე ვეღარ ის-ვენებდა. მუხლებზე დაჩოქილი დაბობღადა გალიაში და აქეთ-იქით აწუდებოდა.

საღამოს, ბაიბარის დროით დაახლოებით 17-00-ზე მორჩილას ტანჯვას ბოლო მოეღო — გალიიდან გამოუშვეს და ნიმილას მიჰგვარეს...

ღერთების წინამძღოლი არარას სტუმარს უბაიარული დაუხვდა. მცველებმა მორჩილა კედელზე „მიაუფდეს", უსიტყვოდ ანიშნეს, ფეხი არ მოიცვლოო, და პირისპირ დაკოვეს ნიმილასთან. ამ უკანასკნელს „კედელზე მიუფ-დებულისათვის" ეურადღება არ მიუქცევია, იჯდა მაგიდასთან, ნიმილოდრომის ესკიზს ჩაჭ-კრკეტებდა და ფერადი ფანქრით წერტილებს სვამდა ნახაზზე.

მორჩილა ფეხზე დგომით დაიღალა, მაგრამ არ დაუჩივლია. ხან ფეხს ინაცვლებდა, ხან „სწორდა"-ზე იდგა, ხმას არ იღებდა და ელო-და, როდის მოიკლიდა ნიმილა მისთვის.

კარგა ხანს ალოდნინა ღერთების წინამძღო-ლმა.

ბოლოს, როგორც იქნა, ნიმილამ ნახაზზე წერტილების დასმა დაამთავრა, ზონარი მოიგ-ნია, ჭკვდა ცმა შეიხედრა და ტუსაღს უთხ-რა: — „წარი კეი მგნე, შენ კი თვლთვეი დგუ?...[1]

— გეფიცებით, ცუდი არაფერი გამიფლია გუნებაში, — დაიწყო თავის მართლება მორ-ჩილამ, — დღესვე ეგვალ, თუ გამიშვებთ!

— „წსდვეს ფლბ არ ბკ ეკ ბნამ სსკ ეს არ ბმდი"[2] — თქვა ღერთების წინამძღოლმა და ისევ ნიმილოდრომის პროექტს დაუბტერდა.

— გეფიცებით... — წამოიწყო მორჩილამ, მაგ-რამ ნიმილამ თავისმართლება გაუწყვეტინა.

— „ერთ კკრას ბმლდრმზე მშვენ ძლბიო. სსკ ეს მბდი ბი ეზვალ �გ მბდვიდ!"[3]

[1] წესიერი კაცი მეგონე, შენ კი თვალთვალი დგიწყია.

[2] ნასვლის უფლება არა გაქვს, სანამ სასკ-ვლის არ მოიტანი!

[3] ერთ კეირას ნიმილოდრომზე იმუშავებ იძულებით. სასკვლის მოიტანი და ზეზეალ უკან მოუხვიდეგ.

— რა ბრძანეთ? — სასო წარეკვეთა მორ-ჩილას, რომელმაც ღერთოლად ნათქვამები ვერ გო, მაგრამ ვერ დაიჯერა.

ნიმილამ თავს და ყბას ძალა დაატანა და მოგზაურს ძველ ენაზე აუწყა განაჩენი.

— კი მაგრამ, რა დაგიშავეთ? — წინ წარ-ხდა ნაბიჯი „ტუსაღმა" (იფიქრა, მუხლს მო-ვიდრეკ და მბრძანებელს შენდობას ვთხოვო), მაგრამ ნიმილას ყიეფნამ ადგილზე გააჯვავა.

— სდეკ, კრინტი! — დაიღრიალა ღერთების წინამძღოლმა მორჩილაზე, მაგრამ ყვირილისას პირი მოზომილად ვერ გააღო და ყბა იღრძო. აკვნესდა, შეწუხდა, წაიგლო ორივე ხელი ქვედა ყბაზე და ჭკვმით და უკან დაუწყო ქარვა.

მორჩილა დაიბნა, მიხვდა, რომ მბრძანებელს უბერდა, მიუახლოდა და უმწეოდ აიწია (არ იცოდა, რით დახმარებოდა გაჭირვებულს).

წინამძღოლის ყვირილზე მცველები შემო-ცვივდნენ. ნიმილა კვნესოდა (თან ჭრდა და თან არც ჭდა სკამზე), ყბას ორივე ხელით ეკავ-ჭიოდა; ფეხებს ისე ეჭნეოდა, გეგონებოდათ, ფეხს ფეხზე გადადება უნდა და ვერ ახერხებსო), „ტუსაღი" კედელზე ალარ იდგა „მიაუფდებული" და უფრო მეტიც, თავს ნაზდგომოდა და ზე-მოდან დაამყარებდა დაზარლებულ მბრძანე-ბელს.

ეს რომ მცველებმა ნახეს, სასწრაფოდ მიი-ღეს ზომები (ალბათ, იფიქრეს, ხელეშეზორ-კილმა „ტუსაღმა" წინამძღოლს წიხლი ჩააჭნლა სახეშიო), დაბნეულ მორჩილას თავში უთა-ვაზეს ჩუგლუგი და კინალამ სული გააცლეს-ნეს,.. გონდაკარგულმა მოგზაურმა იატაკზე გაადინა ბრიგანნა...

28

მორჩილა არავის მოუსულიერებია, თვითონ ზოვიდა გონს. თავზე მალაქიას მანსარდისოდენ ჯოკი აჯდა ჩუგლუგისაგან. გასიებული თა-ვი ისე ხტკოდა, ხელს ვერ აკარებდა და ალარ იცოდა, რა ექნა... ბოლოს თავი ზელავზე ჩა-ზოდო, თვალები გაახლა და საათის ისრებივით დაატრიალა — გარეშო მოათვალიერა.

იატაკზე იწვა. ზემოდან მაგიდა გადაფარე-ბოდა თუ თვითონ შეეყო თავი მაგიდის ქვეშ, ძნელი სათქმელი იყო... მისი იდაყვიდან ერთ მტკაველზე, ვიღაცის ფეხები ჩანდა. ფეხები ყარდა... ხუნრა ისე უცბად შეუხუთა სუნთქვა მოგზაურს, რომ ფეხზე წამოვარდნა დაკარა, მაგრამ დაავიწყდა, რომ მაგიდის ქვეშ ბმო-ფებოდა — წამოიწია თუ არა, გასიებულ თხემი და კეფა ქერად ქცეულ მაგიდას ეარტ-ყა და ისევ დაებინდა გონება...

ხელახლა რომ ზოვიდა გონს, უკვე მაგიდის ქვეშ თავშგრგული ალარ იყო, ახლაც ვიღაცის ფერხთით იწვა და იგივე „სურნელს" გრძნობ-და. თავი სველი ჰქონდა.

მორჩილა წამოჯდა იატაკზე, სველ თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელები შემოწყო ისე, რომ კოცი ხელისგულებს შორის მოიქცა და ამოიოხრა.

„ამმმმმ!“ — მოესმა იმისი ხმა, ვისაც ფეხები ეკუთვნოდა. მორჩილას თავბრე ეხვეოდა. ნელ-ნელა ააყოლა მზერა „სურნელოვან“ ფეხებს და მისი პატრონის სახეს დააკვირდა. „გადღაბნილი“ კაბრის ფოკუნი გაესწორა თვალების მოკუტვით და ძლივს იცნო ნიმალი. ღიორების წინამძღოლი ეხის საკაკვ ზინარს იხსნიდა (ესე იგი, სასაუბროდ ემზადებოდა).

— „ჩემს ბუბებს ცტა ზდგტი მვდთ!“[1] — უთხრა ღიმილით თავგასიებულს. გარეტებულ მორჩილას ლაბის თავი გასცდომოდა ტკივილისაგან, საფეთქლებს ისრესდა და გულში უხმოდ ობრავდა.

— „ტკომ სსკელს შვმცრე, სამ დღეს მშვგს“ — თქვა წინამძღოლმა და მოწუალების ნიშნად გაიღიმა, — „სმი დღე ნმდელად გკეკნის. — ღმბე არ ნდა მვფსა. ეს ზრდლბა და სკმა ჩვენი კნნი, რას ტკვი?“[2]

მორჩილა მიხვდა, რომ სასჯელს ვერ გადაურჩებოდა და ჯეუჩდა, რაცან ნიმალიმ ნახა, დამნაშავემ მორჩილების ნიშნად, თავი ჩაქინდრაო, მცველების მოუბრა, თითონ კი ეხა აიკრა და ნიმილოდრომის პროეკტს მიუბრუნდა.

29

მორჩილამ ის ღამე ოხვრა-კვნესით გაატარა გალიაში. არც წყალი მიუწოდებია ვინმეს და არც — საჭმელი... რა სათქმელია, მაგრამ მოშრდვაც ვერ გაბედა სასჯელის შიშით და ძლივს მოითმინა დილამდე.

დილას, როცა ციხის უფროსმა შემოიხედა საკანში, პირველი, რაც მორჩილამ თხოვა სასჯელი და საჭმელი კი არა, მოშარდვის უფლება იყო... ნება მისცეს, გალიაშივე მოესაქმებინა... მაშინ მოაზორამ დაასკვნა, რომ ზოგჯერ მცირეოდენის უფლებაც საკმარისია, რათა ადამიანმა თავი ბედნიერად იგრძნოს...

თუმცა ბოლოდროს მაინც არ დასცალდა „ბედნიერება“. არ აცალეს, აიჩქარეს და შარვალი ჩახდილი გამოაგდეს გალიიდან. მორჩილისაც ისე კარგად ახსოვდა ჩუგლუგის გემო, რომ „მცირეოდენი“ პროტესტიც არ გამოუხატავს... ჩუგლუგაიანმა ციხის უფროსმა ტუსაღი ჩუგლუგად მრისხანეს გადაადგა.

მორჩილას ხელები აღარ შეუყრეს (სამუშაოდ მიმეყვანდათ და ზედმეტად მიიჩნიეს მისი დაბორკვა). ნიმილოდრომამდე ხუთი წუთის სავალი იყო. სანამ ამ გზას გაივლიდა, მორჩილა უზომოდ შეაწუხა შიშშილმა. არ დაუშვა ლა...

მივიდნენ მშენებლობაზე.

მორჩილბინე მუშაობის დაწყებამდე ტუსაღს ჩეოთხ, — „ხომ იცი, ძლაბ გაკეს სამ დღეს?“[1]

მორჩილა მიუხვდა ღორთულად ნათქვამს და თანხმობის ნიშნად გასიებულთო თავი დაუქნია მრისხანეს.

— „მაშ, ეს გრბი ედზზდე!“[2] — ჩუგლუგიო მიუთითა აგურების გროვაზე ზედამხედველმა.

ტუსაღი მიხვდა, რაც უნდა ეკეთებინა, ეცა აგურებს, აიტაცა ექვსი-შვიდი ცალი და მშენებლებისკენ გაარბენინა.

გაოცებული მრისხანე ადგილზე გახევდა... მერე გამოერკვა, მოსწყვა ადგილს, დაეწია მორჩილას, სდრუზა ჩუგლუგი ზურგში და აგურები ხელიდან გააგრეკინა... ახლა ტუსაღი გაქვავდა ადგილზე და პირი დააფჩინა გაკვირვებულმა...

შემთხვევის ადგილზე რამდენიმე ღორთმა მორჩინა და ნებისით თუ უნებლიეთ მოგზაური ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

— „ეკა, ეკა!“[3] — იძახდა მრისხანე.

ღორი მუშები იღუშებოდნენ და უკმაყოფილების ნიშნად თავს აკანტურებდნენ.

დიდხანს უსსნიდნენ მორჩილას, როგორ უნდა ეზიდა აგურები... მოკლედ, კაროლად რომ ვთქვათ, მოგზაური უნდა „გაჯიუტებულიყო“[4], მაშინ მრისხანეს ჩუგლუგი უნდა დაერტყა მისთვის და აეძულებინა აგურები ეთრა.

„ძლაბ ეგ რი! ბა ვრძეს ჩვენც ვზდვეთ!“[5] — აუსსნეს მუშებმა.

მორჩილამ, როგორც იქნა, გაიგო და შეუდგა იძულებით მუშაობას. ღორებისათვის ამაში არაფერი იყო გასაკვირი, არაღორთს კი ნამდვილად გაუკვირდებოდა ასეთი სანახაობა: მრისხანე უბრძანებდა, — „ღე“[6] და აგურებზე მიუთითებდა ჩუგლუგით. მორჩილა უარის ნიშნად თავს გააკნევდა, ზედამხედველი სდრუზავდა ჩუგლუგს, ტუსაღი უცბად დაიხრეოდა და აგურის ანიმოხოლავებდა, უცბადვე გაიმართებოდა და მიარბენინებდა მშენებარე კვარცხლბეკისაკენ; ფეხდაფეხ მრისხანე მიხდგდა და ჩუგლუგს უბაკუნებდა ზურგში... კვარცხლბეკთან მრსული მორჩილა დადგებოდა, ჩაიხუტებდა აგურებს ხელში და მანამ არ დაეჯინდა, სანამ ჩუგლუგს არ დაარტკაცმდნენ ბეკებში... ტვირთისგან გათავისუფლებული ტუსაღი, დერეკობოდა ადგილზე („ჯიუტობდა“) და მიიღებდა თუ არა კეთილნი დარტყმას ფრენ-ფრე-

[1] ჩემს ბიბეს ცოტა ზედმეტი მოუვიდათ!

[2] ამიტომ ააოკელს შეგიმცირებ... სამ დღეს იმუშავებ.,. სმი დღე ნამდვილად გეკეთვნის. — ღობეზე არ უნდა მიგიფსა. ეს უზრდელობაა დ. ... ჩვენი ანნინი. რას ტკვი?

[1] ხომ იცი, იძულება გაკეს სამ დღეს?

[2] მაშ, ეს აგურები გადაზიდე!

[3] გიეი, გიეი!

[4] იძულება ეგ არი!... ბა, აგურებს ჩვენც ვზიდავთ!

[5] ალე!

ნით მოეშურებოდა უკან, რომ მრისხანესაგან (რომელიც ფეხდაფეხ სდევდა) ნაკლები მოხვედროდა; ასე ირბენდნენ აგურების გროვამდე; მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა: მრისხანე ძალად აკერეფინებდა აგურებს, ძალით წაადებინებდა, ძალდატანებით დააყრევინებდა კვარცხლბეკთან, ძალით გამოადგებდა უკან და ასე შემდეგ.

ზ. ბ. — უნდა მოხდეს ერის მობილიზება და გვერთიანება, მათ შორის სახალხო ფრონტი და რუსთაველის საზოგადოებაც უნდა შეუერთდეს ამ მოძრაობას. ეს მოძრაობა ერთ ორგანიზაციაში უნდა იყო მოთავსებული, ერთი გზით უნდა წარიმართოს ერის ენერგია. აუცილებელია კოორდინაცია, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, რუსთაველის საზოგადოება და სახალხო ფრონტი ამისთვის ვერ იბრძოლებს. ჩვენ სხვა ფუნქციია გვაკისრია, მათ სხვა, უნდა მოხდეს როლების განაწილება და კოორდინირება.

ბ. ბ. — ფუნქციების განაწილებაში რა იგულისხმება?

ზ. ბ. — თუნდაც კონკრეტულად ავიღოთ: ჩვენი საქმე არ უნდა იყოს ბინის პრობლემის მოგვარება, არ უნდა ვუუხდებოდეთ მათთან,

ვინც ეროვნიერებისათვის იბრძვის და უსამართლობის, ძალადობის მსხვერპლია. მხოლოდ ჩვენ არ უნდა ვიყოთ დაჭირთულნი დემოგრაფიის, მიწით ვაკმაყოს, ეკოლოგიის საკითხებით. ყოველივე ეს უნდა იყოს ამავე რუსთაველის საზოგადოების და სახალხო ფრონტის საქმე, რასაც ისინი ფაქტიურად, უდგანან კიდეც სათავეში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამ პრობლემების მოგვარებისას მთავრობის მხრივ წინააღმდეგობას აწყდებიან, სწორედ მაშინაა საჭირო ჩვენი ჩარევა და მწვავე აქციების მოწყობა, რომელიც აიძულებს მთავრობას, მიიღოს გადაწყვეტილ ზომები. რასაკვირველია, უნდა იყოს აგრეთვე ერთობლივი მოთხოვნებიც. პოლიტიკური ბრძოლა რუსთაველის საზოგადოებას და სახალხო ფრონტს არ შეუძლიათ, ვინაიდან ისინი პოლიტიკურ ოპოზიციას არ წარმოადგენენ. ჩვენი საქმე კი სწორედ პოლიტიკური ბრძოლაა, მაგრამ ძირითადად მაინც ეკოლოგიური. დემოგრაფიული და სხვა ამდაგვარი პრობლემებით ვართ დაკავებულნი, ისინი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ვეღარც კი ვუძლებთ ამდენ დაბვირთვას და თუ სახალხო ფრონტი და რუსთაველის საზოგადოება ამ ტვირთს კიდევ უფრო მეტად აიღებენ თავიანთ თავზე, ძალიან მოგვეხმარებიან.

ბ. გ. — პოლიტიკური ინტელიგენცია ერთხანს თითქოს გამოეცალდა, მაგრამ ეს გამოცალცლება ასევე მალე, ერთბაშად გაქრა...

ზ. გ. — ინტელიგენცია ძალზე ესაზიერობს, მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის შემდეგ გაჭიანურდა და გაბედული პოზიციებით გამოდიოდა, ისინი ყველავ გაჩუმდნენ, ვინაიდან ჩემის აზრით, იფიქრეს, ისევ სჯობია ყველაფერზე არაფორმალებმა იტეხონ თავი და გაუთავლისწინებელ ვითარების შემთხვევაში, ისევ ისინი შეეწირონო. ინტელიგენციამ ზომიერი პოზიცია, ან სულაც გაჩუმება არჩია, ეს კი დასავლეთს თვალთახედვიდან არ გამოპარვია და გოიკებენი საკართველოს ინტელიგენციის წაყოუნებით, რომელიც მან აფხაზეთის ტრაგედიის მიმართ გამოამეღვნა. ინტელიგენცია ფაქტიურად 9 აპრილის ტრაგედიაზეც გაჩუმდა და საერთოდ მწვავე პრობლემებს ირიდებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ 9 აპრილის კომისიამ ეს მოვლენა გენოციდად არ აღიარა...

ბ. გ. — რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ზ. გ. — კომფორტი ყველას უნდა, თავის გაწირვა კი არავის არა სურს. მე თუ მკითხავთ, ეს ეგოიზმია ერთგვარი.

ბ. გ. — მუშათა კლასზე რას გეუბყოფილით?

ზ. გ. — მუშათა კლასს დღეს ყველაფერი შეგნებული აქვს და გამოდგებებულია. ეკონომიური თვალსაზრისით მათ ძალიან უჭირთ, სანიმაინო, სასურსათო, ხელფასის პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი. ამ პრობლემების მოგვარებაში ჩვენი დახმარება სჭირდებათ. სხვა მხრივ მუშათა კლასი ჩვენს მხარეზეა. იდეოლოგიურად და პრაქტიკულადაც. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ხომ მუშათა კლასია.

ბ. გ. — რა პირობებში და როდის ჩამოყალიბდა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და რა მიზნებს ისახავს იგი?

ზ. გ. — ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი ჩამოყალიბდა 9 აპრილის შემდეგ, ჩვენი პატიმრობაში ყოფნის დროს. ვაჟა ადამიას და სხვათა თაოსნობით. იგი მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციას და ამავე დროს იბრძოდა ჩვენი განთავისუფლებისათვის, საყოველთაო საგაფიცვო ორგანიზაციების შექმნისთვის. ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიზანია საქართველოს ხსნა, როგორც თავად სახელწოდება მიგვითითებს. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალის გაერთიანება.

ბ. გ. — ბატონო ზვიად, გალაკტიონს უთქვამს: „თავისუფლებაა მოყვარე ერებს, ვით ზღვას ვერარა ვერ შეაჩერებს!“, თუ თავისუფლება გვეყვარება, აუცილებლად გავემარჯვებთ. გმადლობთ სანტერესო საუბრისათვის!

ზ. გ. — თუ ყველანი ერთად ვიქნებით, გავემარჯვებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერიშები უკანასკნელ იმპერიაზე

ზურული მეორე

დღეს დედამიწის მეექვსედი ნაწილი — უზარმაზარი იმპერია — უდანაზღაურო პატიმრებით სავსე ციხე მგავს, რომლის კარიც ეს-ესაა გაიღო. პატიმრები კარის გაღებას არ ელოდნენ. ამ მილიონებს ალარც კი ახსოვდათ, რომ საპატიმროში ისხდნენ. იშვიათად თუ გაკრთებოდა ხოლმე მათ სარკმელთან ცაზე მიმავალი ფრინველის ჩრდილი და მოვიწუენული — შინისაგან, ალაკებისაგან, დიქტატორთა სურვილებისაგან გადაქცეული გრძნობებიც იშვიათად იქვიძებდნენ...

მაგრამ საპატიმროს კედლებში „ნამდვილი პატიმრებიც" იყვნენ — ისინი, ვინც იცოდა — სად იყო. ვინც იცოდა, რომ ეს ქვეყანა „ხალხთა თავისუფლების ბუჩერ" კი არა, მონობის ბუჩერი იყო, მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია იყო. ჩაგრამ ისინი ერთიანები იყვნენ. ისინი განუწყვეტლივ იბრძოდნენ, მათ განუწყვეტლივ ხოცავდნენ და მანნე განუწყვეტლივ იბადებოდნენ. აქ, ამ მონობის ოკეანეში მაინც იყო თავისუფლების კუნძული. მთლად სისხლით იყო ეს კუნძული გაჟღენთილი, მაგრამ მაინც იყო, მაინტ არ ნებდებოდა ოკეანის წამალე ტალღებს. ეს კუნძული თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაბოკილთა სულებზე იდგა. ყოველდღე მოკლეს და მოსრეს, რაც სიავრაულა და სინანლესს, სიამაყეს და დაუმორჩილებლობას ასხივებდა... ის სული კი ვერ მოკლეს. სულის მოკვლა არ შეიძლებალ..

გიორგი ლეონიძე, რომელიც ხაოცრად ტრაგიკული პოეტი და იმის ნათელი ნიშანია, თუ როგორ ჰკლავდნენ პოეტს ნამდვილ პოეტს და მისგან იმპერიის მიმნოგრაფს ქმნიდნენ, ერთ ასეთ ჰიმნში წამოიძახებს ბრწყინვალე სტრიქონებს:

დაგვწეკეს, დაგვდგეს და ვერ წაიღეს
თავისუფლების ამაყი სული,
იგი გადურჩა ბორკილს, და ციხეს,
ის მთებში იყო გადახიზნული.
მთებო, ვერ ჰკლავენ ამ სულს ომები
და თუ მოსთრიან, ამოაზრავენ —
თქვენ დაიღმუვლებთ, როგორც ლომები,
რიდესაც ძე ლომს ლეკვს მოპარავენ.

თვით ერთ პიროვნებაში, ამ შემთხვევაში გიორგი ლეონიძის — იმპერიის ტიპიური მეზობლების, პიროვნებაშიც კი იყო დაუმორჩილებლობის კუნძული. ასეთი სტრიქონები სწორედ იმ დამალულ კუნძულებზე იწერებოდა.

იყო, იყო ხალხი, რომელიც არ იჭერებდა მარადიულ მონობას. იყო ხალხი, რომელიც ამ საპატიმროს წყეულ კედლებში დაუღალავ იმედივით ინახავდა ძველ ხალხურ სიბრძნეს:

„ერა ვეხისა" ციხე ავაგე,
ჯალრი შავები ვარადა,
ალიქოდან მოიდენ
იმ ციხის სახანავადა.
ბეგრი ეარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მეგრე თქვეს, ვამი მოალის,
კარ გაიღება თავადა.

...და ახლა კარი გაიღო. ეამი მოვიდა და კარი გაიღო. უცვე დაეჯახა სინათლე თვალებს, უცვე შამოიარა ჩაკეტილ კედლებში თავისუფლების სურნელი და საცოდავი პატიმრები პირველი ხანეშში სინათლისაგან დაბრმავდნენ და თავისუფლებისგან გაბრუვდნენ...

მერე კი თანდათან გამოერკვნენ და ამა, პოლონეთმა, ბისმა დაუმორჩილებელმა ბიკეშმა, „სოლიდარობის" ხელმძღვანელობით, ლეს ვალენსას ხელმძღვანელობით, პირველებმა გადაკვეთეს ჯერ კიდევ გუშინ-გუშინწინ უზარმაზარი „სამხედრო პოტენციალით" ჩაბერგილი წრე. მერე უნგარელები მიპყვნენ, მერე ბერლინის კედელიც დაეცა და პირველად ვნახეთ, როგორ გარბოდნენ ადამიანები სამოთხიდან ჯოჯოხეთისაკენ — სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ... ახლა, როგორც ჩანს, ჩეხებისა და ბულგარელების ჯერიც დადგა... ხვალ ვინ იქნება? ხვალ ალბათ ლატვიელები, ლატვიელები, ესტონელები და ვინ იცის, ქართველებიც... ადგილის დედის ჩურჩული ისმის: — ღმერთო, მაღალო, შენ მოუმართე ხელი ჩემს შვილებს, ჩემს ხალხს...

ნეტავ რა თვალით გვიყურებს ბედი?!

ერთი კია, დღეს ყველა არქივებში და წარსულშია „ჩაუფდგმული" — რად დაგვმართა, რაც დაგვმართა, ვინ იყო მტკუანი და ვინ მართალი... დღეს ყველა თავისუფლებაზე და მონობაზე ლაპარაკობს, დღეს ყველა საკუთარ პოროსკოპს ჩაბუურებს და ხვალინდელი დღის

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცნობას ცდილობს. დაიძრა, დამოუკიდებლად ამუშავდა ადამიანთა გონება: — ვინ ვარ და რა ვარ, საით მივდივარ, რას ეუტოვებ შვილებს... დღეს ყველა ბობოკრობს, ყველა გაფაციცებულია. ყველა კამათობს... მართალია ლია ციხის კარები?!

ამ კამათში წარსულის საშინელი ინერციაც მოჩანს.

ამას წინათ გაზეთში გამოქვეყნდა ერთი „დიდი სამამული ომისა და შრომის ვეტერანის, პარტიის წევრის" წერილი. იგი ფურნალისტს ეკამათება, რატომ მოიხსენიე სტალინი და სტალინის დრო უდიერად და ასეთ საშინელებად წერს: „მე რომ ვინმეზე მეკითხა, და არ შეკადებინა თუ ეკუტეკი, ის მშრომელი ხალხის ოცებებაც არის, ეზოა არის საკრონო რეკინისბერი დისეკილანსა, რომ ხალხმა ამოიხუნთქოს. ალა 37 წელი კვადრატში ავკანილი უნდა. რომ ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ სოციალისტურ მშენებლობას, რომ ქვეკანაში დამყარდეს სამართლიანობა.

...ის, რაც 37 წელს გაკეთდა, ისტორიის აუცილებლობით იყო გამოწვეული. თუ არა ის, დღეს საბჭოთა კავშირი არ იქნებოდა.."

ვერ დაიკერეს, რომ დღეს კიდევ არსებობს ეს მანქურთი. მაგრამ მანქურთი მანქურთია... ჩ. ალტამაროვის რომანის მიხედვით, მას ხომ ერთ დროს თავი გადაარსებს და თავზე შემოუკრავს ყასაბანურთებელი ტაკეი. ის ტაკეი თანდათან გაბმა და შემოკვლო თავის ქალას. ფიფქი ბიგნით, ტვინისკენ დაიწყო ჩაზრდა და ადამიანმა განსცდა, ფიქრის, მეხსიერების უნარი დაკარგა, გამანქურთდა. ის ისევ სუნთქავს, თვალებს ფაციფულებს, ცხვრის აცემინებს... ადამიანისა კი ადარაფერი შემორჩა.

ახლა პუბლიცისტები ხშირად იმეორებენ, რომ ქართველმა ეთნოსმა ოთხ მილიონს მიაღწია.

ოთხი მილიონი, 4 000 000 — ვმარცვლავ სიტყვებს და როგორც უკარო კოშკს, ისე შემოვტარიალებ ამ ციფრს — ნეტავ რა ხდება კოშკის ნაშალ ნაგებ, ვინ ცხოვრობს, რას ფიქრობს, რა განცდები აქვს. ვინაა ამოსული ეროვნულ ველობეზე, ეროვნულ გენზე?

ერთ ქართველ პოეტს მეორე ქართველ პოეტის ქალაშვილებისთვის, ალბომში, ასეთი ლექსი ჩაუწერია:

მაღათვეველნ ლეკსების სარდალია,
პოეტია, ოქროების მმართველი
ეგ სინდისით ისეთი მართალია,
როგორც ომში გაკვეთილი ქართველი.

ნეტავ ვის შემორჩა: ის ომში გაკვეთილი ქართველის სინდისი? ეს სინდისი უნდა გადაგვიძვეს მომავლის უღელტეხილებზე, ამ სინდისმა უნდა შეგვაძლებინოს ძველი, დიდი საქართველოს სისხლძარღვებად დაკავშირება, ამ სინდისმა უნდა აგვაწოს საერთო ცეცხლად.

შემოვტრიალებ იმ კოშკს — რა დაჩალეულ-გდა, რა გადაბმა საბუდამოდ; ან რა აუკვალეა, რა ალაგებდა, რა ინერთოა საიერმოდა. ვინ ბეჭედს ეს ქაცები, ვინ ბარიან ეს ქალები, საით მიდიან ეს ბალლები...

ეჰ, ყველა შედგას თავისი მიზეზი აქვს — წლების განმავლობაში ანტიისტორია — ისტორიის ნაცვლად, ანტიმერილი — მორალის ნაცვლად, ანტიდმერთი — ღმერთის ნაცვლად, ანტიკოსმტიტუცია — კონსტიტუციის ნაცვლად... ბოდი და ვინმე გაამტკუნე ახლა... მწარედ ქვითინებს მანქურთის დედა — ანა ბეიელი, მწარედ ქვითინებს ჩვენი მიწის ადგილის დედაც... არა, არა, უკვალოდ როდი ჩაარეს ამ მოხეტხეტუომა ზეიმებმა, ბელადების სურათებმა, ცარე პოეტების მიერ დაწერილმა ბინმებმა, ცრუ მეცნიერების მიერ დაწერილმა წიგნებმა. ჩვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს გვაზეიმეს ე. წ. „დიდი სამამული ომის" წლისთავები. ომში, სადაც ეროვნეთის დაეკარა ორი იმპერიალისტი, ორი სადისტი — ბოლერი და სტალინი და უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ზღვარეკეში გაუშვეს, ომში, რომელიც საგიეფოდ იქცა, ანალ-ანალ თაობებს ასუფალდნენ, ვინ გმირი იყო და ვინ ლაჩარი, ვინ პატრიოტი და ვინ მოღალატე... ვითომც ყველაფერი ერთი არ იყო, ვითომ ეშმაკეული გონების ნამოკმედარი არ იყო ის ცოდვა-ბრალი. ო, რა ლექსები შეითხზა, ო, რა რომანები დაიწერა, რა სასიდერო რიტმებმა გააჯერეს დარბაზები!... ამ ოთხ მილიონში ის ავტორებიც არიან...

ჩემი ფოსტა მაინცდამაინც უზეი არ არის, კანტი-ეუზეად ვიღებ ისეთი წერილებს, რომლებიც ჩემს ლიტერატურულ საქმიანობას უკავშირდება და თითქმის ყველა წერილის შინაარსი მახსოვს, ყველა თავისებურადაა მნიშვნელოვანი და საინტერესო.

აი, ეს ბარათიც განსაკუთრებული იყო.

ქართული პოეზიის დღესთან დაკავშირებით ერთხელ გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც მწერლის მოკალკეობრივ ვალზე, პოეზიისა და ხალხის კავშირებზე, ლიტერატურის დანიშნულებაზე ვწერდი.

ჩემს წერილში იყო ასეთი ფრაზა: „პოეტებს სძულთ დიქტატორები, დიქტატორებს სძულთ პოეტები". ამ კონტექსტში ვწერდი ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე პუშკინის, ფედერიკო გარსია ლორკას ტიპის პოეტებზე — მათ შეურიგებლობაზე. მათი გმირობის უკვდავებაზე. მათ საერთო ბედზე.

იმ უცნობი მკითხველის სმენას წერილის სწორედ ეს ადგილი მიხვედროდა. ავტორი, წერილის მიხედვით, განათლებული, აქტიური მკითხველი ყოა, ამასთან, ძალიან კალიბანებული პიროვნება ჩანდა.

ის მწერდა, რომ ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნეველად, მაგრამ მეთოდური თანდათანობით,

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღზრდა დიქტატორული სული — პროფესიული ოფიციმყრობელობის, საკუთარი ნების სხვაზე გადატნების დაუოკებელი და უზეში სურვილი გაუჭდა ძალიან ბევრის ფსიქიკას, გაჩნდნენ სხვადასხვა ფორმალიზა და კალინის დიქტატის მოეკარულნი, გაჩნდა ამ დიქტატორების ირიარქიული კიბეც, რომლის ყოველ საფეხურზე გამგებრთხილებელი წარწერაა დიდი და ჭკვეთრი ასოებით გამოყვანილი:

— სული ადვილია, ზევით ახვიდე!

— სულ ადვილია, ჩავარდე ძირს!

ზევით ასვლა კი ზევით ასულთა წინაშე უეოოანმენ ქედის მოხრას და ცხოელეურ მორჩილებას, ხოლო ქვეშევრდომთა მიმართ სიასტატეასა და განუკითხავ ბატონობას გულისხმობს — შენც ისევე უნდა მოეკვეს „ქვეშევრდნ", როგორც შენ ბეჭევეთან „ზევითები".

აი, ამ ფორმულებს, ამ რკინის კანონებს არც ერი ახსოვთ და არც მორალი, არც ღმერთი ახსოვთ და არც სიყვარული. სულ „ფორმაშია" უნდა იყვნენ — ამ კიბეს ჩამფრენიან ეამბაზებივით და ამოცა დაკავებული მთელი მათი არსება, მთელი მათი დღე და ღამე, კიბეზე ადგილის შენარჩუნებას ეშსიზრუნებს მათი განსაკუთრებული ჩაცმულობა, მათი კილომეტრიანი სუფრები, მათი ამბავზური სახლები, განსაკუთრებული მარკის ავტომანქანები. დრო მიდის, ცხოვრებაც მიმეკვნა ამ დროს უმრთავად და ვინ იცის, როდის და სად გადავიჩეხებიან.

ოქვენ წერი — დიქტატორებს სძულთ პოეტები და პოეტებს სძულთ დიქტატორებიო... რაღაც არ შეიმჩნევია, რომ ასეთი ანტაგონისტური დამოკიდებულება იყოს ჩვენს დღევანდელ პოეტებსა და დიქტატორებს შორის, ოქვენ ჯაზიადენი. მწერლები, უბრალოდ, ალარ არიან. დამოუკიდებელი აზროვნებისა და ნების მწერლები შეიშრო დიქტატორული მოთხოვნილების საშრობმა.

მწერალი ალარ არსებობს.

რა ვუოო, რომ ხანდახან გამოუნთებიან ხოლმე „მწერლები", რაღაცას ებრძვიან, რაღაცას იცავენ, რაღაცაზე უსდებიან ვული... მე ან მჯერა, რომ ეს სინამდვილეა. ეს ყველაფერი თამაშია. კომედიანტები თამაშობენ მძაფრ ენებებს.

მე ვიცი ტანდემები, სადაც მწერალი ყველასთვის ცნობილი, პოპულარულ საკმისან დიქტატორთანაა ხელისტანგადაბეული და არავითარ უბრუნველობას არ ერძნობს. ეს ტაკიმასარა მწერალი იმ დიქტატორს სპირდება — ნიგნს დაუწერს, სადღეგრძელოს ეტყვის, ლაკს მიუძღვნის. უფრო მაღლა ახულ დიქტატორებიან დაკავშირებს... მწერალსაც სპირდება დიქტატორი — რაკი საკუთარი პოზიცია არა აქვს, სადღაც ხომ უნდა იყოს და იმასთან არის, ვინც „ქვეყანას მართავს".

წერილზე რაღაც გაუჭკვე

ხელმოწერა იყო. არც კონვერტის ბოლოში რაღაც ეწერა: ადრესატის მაუწყებელი და გული ... შეეშინდა! შეეშინდა! ეს კი ან გამეწყდა...

შეაშინეს! ეს ჭკვანი, განათლებული, დაფიქრებული კაციც გატეხა და შეშინდა.

„შიში, შიში, შიში... აი, რას ემყრებოდა და ემყარება ამ სხვადასხვა ფორმიანა და კალინრის დიქტატორთა ხელისუფლება. სამსაბურის დაკარგვის შიში, „სუფთა ხელფასზე დაკლიმის" შიში, უკანონო კანონის შიში. შიშის წყალი შეუფგა ადამიანების გულსა და გონებას, შიშის ღრუბლებმა შეისრეტა სულის მშვენიერება, შიში იქცა ბოროტების დიდი მდინარის ზათავედ.

ზოგჯერ ჭკვილის კბილივით გამკრავს ხოლმე ფიქრი და სულშეღონებული ვული, როდის გამეილის ეს უეცარი და მწვავე შეტევა: ხომ არ შეიქმნა რაღაც ტოტალური მეკანიზმი, რომლის დამსხვრევაც უკვე აღარაება ჩვენს ძალებს? ხომ არ მოედო ხანძარი ყველაფერს და ტუოილადაც ვვეჩარავს ცეცხლსაკრობებით? აქ, ამ მეკანიზმზე აწყობილ ურთიერთობებში განსაკუთრებული კანონები მოქმედებენ. შესაბამისი წრიალებია საკირო, რომ ფეხი არ მოგაცურდეს ამ ყინულზე, რომ ზუსტად „ეკუთვნლებისამებრ" გაანაწილო ნაშოვნი, რომ ამ „ზეიცხოვნ გრძნობებმა" არ გიღალატონ. აქ, ამ მეკანიზმში დავიწყებულია საუკუნეების ულტებილებზე გადმოვლილი ულელები ფასეულობანი, დავიწყებულია ეროოის მიერ დაკოსტალეებული ნორმები... ეს ეროზია პირდაპირ კავშირშია იმპერიასთან. ეხეე დიდ იმპერიის უკრედია — მისი ნაწილი, მისი მსგავსი, მისი ჭიშნა.

თუ გულწრფელი ვიქნებით, როგორც იტყვიან „გარკვეული აზრით", ბარათის ავტორი მართალია. იმპერიამ მწერალიც მოკლა — ტაკიმასარად, დიქტატორთა ბიმნების მთხზველად, „საბჭოთა მწერლად" აქცია.

მაინც ვინ არის, რა არის ეს „ქართველი საბჭოთა მწერალი"?

ამბობენ, დალესტნის ერთ აულში ცხოვრობდა დედაბერი, რომელიც წყვილის უდიდესი ოსტატი იყო და წყვილის უსაზღვრო მარაგიც ედგა ბოროტ სულში. თუმცა ამ მარაგს მაინც და მაინც ბშარად არ მიმართავდა. ახალ-ახალ „წყვილებს" იგონებდა. მას ერთხელ უთქვამს: „უკუღმა სნენოდეთ შენი ნაფმა ნთქვამო".

როცა მეოცე საუკუნის კართული ლიტერატურის ისტორიის ¥0-იანი წლების შემდგომ პერიოდზე ფიქრობ, გაგიკვლევს აზრი, რომ, იმ დალესტნელი დედაბერივით, ვიღაცამ დასწუალა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟაფშაველა. იაკობ გოგებაშვილი. ალექსანდრე ყაზბეგი. დავით კლდიაშვილი [illegible] სხვ-

ნოდეს ოკვები ნათქვამი სიტყვაო. უყოლმა ბაეგბრო თქვენი ნაწერებია...

ჩვენ დღეს დიდი და სამართლიანი განგაში აკეტებეთ ეკონომიკისა და ეკოლოგიის საკალო მდგომარეობაზე. უკვე აკვირდა ფასისა და ბელფასის შეუსაბამობა, უკვე აკვირდა ზავი ზღვა, უკვე აკვირდა ჰერბიციდებით მოწამლული მიწა. დამოკლეს მაბვილივით გადაეკიდა ომბავალი თაობებისკენ ენგურჩეტი და ბუდიანბეები, ენიგალიტა და ზაორის წყალსაცავები, მეწერეებსა და ნიაღვრებს მიაკვთ ჩვენი საამბოხლო... მაგრამ განა ნაკლებად უკირის სულიერ ფასეულობათა დეფიციტი? განა ნაკლებად უკირის უღმერთოდ დარჩენილი ადამიანის სული და სხეული? განა ეს უსულგულო დამოკიდებულება ბუნებისადმი და ერთმანეთისადმი სულიერი სიღატაკედან არ მოდის?

ეკლესიებსა და საეკლესიო მოღვაწეებზე შეტევა რევოლუციის მეორე ღლიდანვე დაიწყო. ვანდალიზმის გრიგალება გადაიარა ღდამიწის ერთ მეეკსედზე — ინგრეოდა ეკლესიები, ქრებოდა სანთლები, ალეწებოდა ზარები, ამსხვრეოდა ხატები... ნადგურდებოდა ეოველივე. რაც ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეკმნა, რაც ხალხის გენიამ დაკარისტალა და ადამიანის უკვდავების სიმბოლოდ აქცია.

ამ პირველ შეტევას კულტურის მოღვაწეებზე შეტევა მოაყვა. სული უნდა ჩაეკლათ, სული უნდა გაეკრთო, რომ ბორცის ებატონა ეკველფერზე. რომ მეხსიერებადაკარგულ მანკურთის ეელო ტრიალ ეიდაბოვებზე.

ეულმერთოდ დარჩენილი ადამიანის სული და სხეული!

„ამოთანის" ეკოსში ერთი ასეთი დეტალია: ამირანს დეკი დაამწყვდეეს სახლში. კარს ბიგნიდან ჩაუკეტავს. დეკს საკუთარი და ჰკავს დაამბული სახლის კუთხეში. სალამოს დეკმა ბორცი მიიტანა. ქვლები კი თავის დას გადაეკარა. ეაძოწვა და ძალის წინ ჩაიღაპარაკა — ხვალ სადილად ამირანს მივრთმევთ...

დეკმა დაიძინა. ამირანმა იცის, რომ დეკის მოკვლა ჩვეულებრივი წესით არ შეიძლება და დეკის დას სთხოვს — მასწავლე, როგორ მოვკლა. დეკის დამ უთხრა — გასწავლი, ოღონდ ორი სუნელი შემისრულეთ, მე ამიშეი და ცოლად შემირთეთ. ამირანმა ღმერთი დაიფიცა და სუნელების შესრულება აღუთქვა. დეკის მოკვლის შემდეგ კი ფიცი გაგება — დეკის დი აუშვა, ცოლად შერთვაზე კი უარი უთხრა.

ამით ამირანმა ღმერთის თავდებობა დაკარგა. ღმერთი წავიდა მისგან და ის ზეადამიანური თვისებებიც აეკარა, რომელიც ღმერთმა დაანაბოლა.

ამირანი ტუეილისთვის, ფიცის გატეხვისთვის დაინაგა. ამიტომ დაინაგა იმპერიაც, ამიტომ დაინაკენენ იმპერიაში შემავალი ხალხებიც.

არ შეიძლება სიცრუეზე რაიმე მკვიდრი ეაგნდეს და „აკ ვერაკ ამენდ.

ტუეილი — კერპები, ტუეილი — ლოგიკა, ტუეილი — ბიმნები...

ტუეილი — მწერლები, ტუეილი — პოეტები, ტუეილი — მეცნიერები...

დღეს ჩვენს უახლოეს წარსულს „ეძრაობის პერიოდი", „სტალინიზმი", „ეროტალტერნიზმი..." და ვინ იცის რა დაარქვეს. უკვლა ეს ტერმინი სხვადასხვა კუთხით ამხელს და ამიშლეს ამ უბედურებას, რომელიც ადამიანებს დაეტყდათ... სრულეოფილებისთვის იქნებ კიდევ ერთი ტერმინი — „ეგამოდაც" — შემოგეკოლი.

გასაკვირი ერთია: მონღოლების შემოსევის დრო. ეამიანობა. ჰიტლერის კრემატორიუმები. სტალინის სასატიმრო ბანაკები... მაგრამ ამ უბედურებები ყველა ერთნაირად არ იქცევა. ერთმანეთის გვერდგვერდ ჩნდებიან სულით ამრიები და სულით ლარნები. ჩნდებიან ისინი, ვისაც განგება კეოტეხლობას მიანიჭებს, ვინც მაგალითად ეა ნიმუშად აიმარჯვა დროშასავით. ყველას ერთნაირი გაკიჭვება ადგა. მაგრამ ყველა ერთნაირი ქედმოხრილი არ შეხვედ ამ გაკიჭვებას. ეუკნენ მოლად დაკეკულნენ — კედის ქიკინად. ლაკუცად, პირფერობად ქცეულნი. მათ სული მაცილის პირკელი შემოტეკვისთანავე ჩაბაბრეს. მაგრამ ხორცისთვის მაგრად იბრძოლეს. კაცმა რომ თქვას, ეს ბრძოლა ადვილიც იეო. თუ სული ჩაბაბრეს, მერე ადვილია სიცოცხლეე. შეიძლება ძალლივით ოწაბწყალო. ეიეფო. ოკოროო. ეკერდო და იცოცხლო... ეხენიე გადარჩენენ, თუკი ამას გადარჩენა ჰქვია — ეშმაკი ერთხელ წყიდეს სულს ეკან ალარ ამრიენებს...

„ეგამოცდის" პერიოდის „ქართული ლიტერატურის ისტორია", თუკი მას „ლიტერატურა" და „ისტორია" შეიძლება ეწოდოს, ჯერ არ დაწერილა. მაგრამ ცალკეული ფაქტები, ცალკეული მოვლენები კაენის და ამელის დაპირისპირებისა, ეიცით, და მიმართებანი ამ მოვლენებისა და ფაქტებისადმი განსხვავებულია.

სულის ჩაბბარებელთაგან ზოგი დუმს. შეიძლება იფიქრო, მაგ კაცში სინდისის ქენჯნამ გაიღვიძა და დუმსო. მე კი მეშინია მაგ დუმილისა. ასე მგონია, ისევ თავის დრის ელოდაა, ასე მგონია, ჩასაფრებულია და, როგორც კი მომენტს მოიხელთებს, ყელში ეცემა ისევ, ვინც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა აიღო, ვინც „ეგამოდის" პერიოდში არ დაცემულა და დღეს კი მოელი არსებით იბრძვის.

მე მეშინია მაგათ დუმილისა!..

ზოგი კი „უეოეკანნდ" დადგა ეროვნული მოძრაობის ავანგარდში. გულით ეწყდება, რომ ენდო. უნდოლმლობაზე საშინელი ვრძნობა ხომ არ არსებობს. ადამიანს უნდა ენდო!.. მაგრამ

არ გავიწყდება. რომ ეშმაკი ერთხელ ნაყიდ სულს უკან აღარ აბრუნებს და სასოწარკვეთა გიპყრობს — ისევ ტუსის ეს „სულის ინფინარი“. კურდღელი ფერს ცვლიდა, რომ გადარჩეს!..

ამას წინათ ერთი პუბლიცისტი სვამდა ახეთ კითხვას: ჭკუნდა თუ არა ნიკიტა ხრუშჩოვს იმის მორალური და იურიდიული უფლება, რომ სტალინისა და სტალინიზმის ნინაააღმდეგ გამოსულიყო. ხომ ცნობილია, რომ ხრუშჩოვი სტალინის შინაურ წრეს ეკუთვნოდა? ეს ხომ ის ხრუშჩოვია, რომელმაც, როგორც მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, აჯტარი მოხაწილეობა მიიღო ოცდაათიანი წლების რეპრესიებში? ეს ხომ ის ხრუშჩოვი და ა. შ.

ზუსტად ამ მდგომარეობაში ზოგიერთი ჩვენი უეცრად „გარდაქმნილი“ მწერალი. სულაც გუშინ არ იყო პარტიაზა და მთავრობას რომ ედგა მხარში, ირიცხებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ამალის „ეროტიკის გამოჩენილ მოღვაწედ“ აანუოფილებენი. „მძლავრებთან“ ოდგა, „მძლავრებთან“ იყდა, მათთან ერთად ებრძოდა ყველას, ვინც კი მათი მუეფლიების დარღვევას მოინდომებდა, ვინც „პარტიისა და მთავრობის ამაგს“ ვერ დაფასებდა, ვინც „პატრიოტიზმის მონოპოლიას“ მოინდომებდა...

ზარშან გამოკვეულნი ოთარ ჩხეიძის მოგონება იალოტე ვართაგავაზე. მოგონება კი არა, ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, რომლითოაც მწერალმა კიდევე ერთხელ ჩაგვიდა ზარსულში... ამ მოგონებაში ერთი ასეთი ფაქტია — 1921 წელს, როცა რუსეთის არმია საქართველოს დაუსხა თავს, უმთავრესი ბრძოლები თბილისის მისადგომებთან, სოფლელებთან გაიჯართა. ომში მონაწილეობდნენ ამ მხედრებს ამხანეგებდნენ მწერლებიც.

თბილისის მისადგომებთან ჩვენი ჯარი დამარცხდა. ქალაქი პანიკამ მოიცვა. ერთ-ერთი მწერალთაგანი „არ დაიბნა“. უკან დაბეული ჯარის არ გაპყვა, მტრის დროშა აიღო და რუსეთის ჯარის მთავარსარდლობას ამ დროშით შეეგება.

ამის მსგავსი რაღაც ხდება დღესაც. კურდღელი-ბეწვს იცვლის! და შემოდგომის ფერებს ეხამება, რომ არსებობა შეინარჩუნოს.

მაგრამ სინდისი?! მაგრამ პრინციპი?! მაგრამ სული?!

ეშმა აღარ აბრუნებს ერთხელ ნაპოვნ სულს.

ოჰ, ამ კონტეკსტში, ერთი ამბავიც შინდა გიამბოთ:

იყო და არის ერთი მამა-შვილი. მამა ფაბრიკის დირექტორი იყო ერთ რაიონში, შვილი კი ისინი იყო, „პარტიული მოღვაწის“ კარიერას იწუებდა დედაქალაქში. მამას ფეხი მოუცურდა, „უსაფრთხოების ტექნიკამ“ ულალატა, ეტუობა, მისი ადგილი სხვა. ამაზე ეორანისთვის დაბეჭირდათ და მოხსნეს. მოხსნეს და ნაბეჭდოან ეს ფაქტი თვითრეალმისთვის გამოიყენეს „კანონიერების დამცველებმა“ — სანერალ ეს ეტური ჩვენ ვაკვლეთ, კომბინატორი თავის გაბეს გავუკეთეთ... რა ქნა შვილმა, რომელიც ბალის პრესტიჟულ რაიონში. მამის მიერ ნაბარავი ფულით ნაყიდ. უმაღლეს დონეზე მოწყობილ ბინაში ცხოვრობდა იმ დროს?

რა ქნა და როგორც ღირსეულ შვილს შეეფეროდა, ისე მოიქცა — მიდგა, მოდგა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გაგდა — „ტოტის მგელი“ საციხედ იყო გაბნერილი სხვა უფრო ღირსიერ მგლებისაგან. ამას უკეთ მიხვდა მამის ღირსეული შვილი და ბრძოლის ტაქტიკაც უკეთეე შეეცალა: ერთ-ერთ თავრილობაზე სიტყვაი გამოიყიდა და „გულისტკივილით“ განაცხადა — ურს ვამბობ ჩემი მამის, სოციალისტური ცხოვრების ანტიპოდის შვილობაზეო...

შემაძრწუნა ამ ამბავმა და კაცს, რომელიც მამა-შვილზე მომიყვა, დანანებით ვუთხარი: — ალბათ, გული გაუსკდა იმ უმედერ მამას, ეს ამბავი თუ გიგო-მეთქი. — რას ლაპარაკობ, — გაიცინა იმან, გული კი არა. შვილს გაბრაზებულმა მოსწერა, ეს რა ეთქოდა მოკაცეულხარ, მე მაინც ალარაფერი მიშველის და შენ კარგად გადაგირჩენია თავიო...

ეს მამა-შვილიც საქართველოს ოთხ მილიონში შედის და ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ ისინი და მთანაირები...

მწერლობაზე მოგახსენებდით.

დღეკანდელ მწერლობაში ისინიც არიან, ვინც არ გატყდა, ვინც სული არ დაანება ეშმას, ვინც უზარმაზარი ბრძოლა გადიხადა გარეული და შინაური მტრის წინააღმდეგ, დიახ, დიახ შინაური მტერიც იყო ფ ან, ის იყო, თუ იყო. ახლა საგულდაგულოდ ჩაკეტილი არქივები იხსნება და საშინელი სურათები, საშინელი მოვლენები ჩნდებიან. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, უმაღლეს დიქტატორს, უმაღლეს დიქტატურას „ადგილებზე“ პატარა დიქტატორები და დიქტატურები განასახიერებდნენ. ისინი აღასრულებდნენ ზევსის ნებას...

პრომეთეს მითის მიხედვით, ზევსის ბრძანებით, პრომეთე კავკასიონის კლდეზე უნდა მიჯაჭვნონ. ეს საქმე უნდა გაკეთოს პრომეთეს მეგობარმა, ჰეფეესტმა. უწადინოდ მოდის ჰეფესტოს ამ საშინელი განაჩენის აღსასრულებლად, მაგრამ მაინც მოდის, ზევსისა ეშინია.

ეკსილე წამოიძახებს:

— ო, როგორ ეჯავრება თავისი ხელობა ჰეფესტოს!

ასწია ჩაქუჩი ჰეფეესტმა და დაარტყა... გმირი უკვე მიჯაჭვულია, მაგრამ ზევსის ხელკვეთინი ჰეფისდ დაქეოვან ჰეფესტოს — ღონივ-

რად დაჭკონი ეროო ნი ბეფუსტოც. რაც ძალი და ღონე აქვს. კიდეე ურეკაძს.

პრობეეე სხვაა. მიჭაკვენი გმირი მაინც ოთ ვისას ამბობს: — მე მირჩეენია, მიჭაკვენი ვიკო ამ კლდეზე. კიდრე ზევს ვეუძო და ვემსახუროო. არ არსებობს ისეთი ჩამება, არ არსებობს ისეთი ტკივილი, რომლითაც ზევსი შესძლებს ჩემს დაშინებას.

ბერმეხი პრომეთეს აფრთხილებს, რომ ხაშნელება ელის, თუ ზევსის ნებას არ ასრულებს. ელვის დარტყმით ზევსი გაკრავევს ამ კლდეს და ნუვდიადის უფსკრულში ჩანთავს პრომეთეს. შემდეგ კი. ხაუკუნეების განსვლის შემდეგ, კვლავ ზეკით ამოხნევს და არწივს მიუსვამს, რომ განუწყვეტლივ უფლოოის გულ-მკერდი და განუწყვეტლივ ოდნოის ხისტმა.

მიჭაკვენი გმირი ეი კვლავ ხასკელს არჩევს, მას მოსობა არ შეუძლია...

ბევრი რამ გვაბსენდება გუშინდელი დღიდან.

დიქტატორული მარწყვნების წინააღმდეგ ალდგენენ მერამ კოსტაკა და ზვიად გამსახურია. განრიცხდა მოსკოველი ზევსი, ჩაკუნებით წამოიბარონენ ეუროპალისტა-ბეფუსტოცები, რომ აღასრულონ ზევსის ბრძანება — მიჭაკვენთ მათი თავისუფალი და ამაყი ანრი, მწერალი-ბეფუსტო�აც აკ არიან: მწერალთა კავშირდან რიცხავენ ზვიად გამსახურდიას. ხოლო პროკურორი-ბეფუსტოები და მოსამართლე-ბეფუსტოები ხაკურთხილებენ მიაცილებენ მათ... ანე ხურს მოსკოველ ზევსს, ანე ხურს მოსკოველი ზევსის ობლილები ბოდგელეს — მცირე ზევს.

ადრე ილია გაიხტუმრეს პოლიტიკოსმა-ბეფუსტოებმა და ჯალათმა-ბეფუსტოებმა.

შემდეგ მიბელ ჯავახიშვილი დ. ტაციან ტაბიძე ეწამეს ერეტკოსმა-ბეფუსტოებმა...

ოთხი მილიონი ქართველი!

ამ ოთხ მილიონში ბეფუსტოებიც არიან. ბლომად არიან და ბრაფ არიან, როდის შედგება ახალი ზევსი სამრეკლოზე...

ოთხი მილიონი ქართველი, ვინ არიან ისინი? ზოგ ვინმეს უნდა, რომ ეკალ ალარ მიგიბეროდოთ. სამარადჟამოდ დაფლუქნილ ინ დრო და დავიწყოთ ახალი ცხოვრება, მაგრამ რა ვუყოთ იმ ცოდვა-ბრალით სავსე ოჯახებს, ციხეებს, კოლონიებს. დრო ხომ ტრილებს და რა იცი. ისევ ამ მოტრიალდეს ის დროც. — კეთარს ჩვენ რომ ცხენები არ ვეგონოთ. ბგლობას ვერ გაბედავდა... ისევ ცხენებივით დაკვნდეთ კეთრებს, ბეფუსტოებს ისევ დავანებოთ თავისი ბნელი საქმეების აღსრულება?

ზოგს კი მიაჩნია, რომ მომავლის გზა არეკვებზე გადის. არის კითხვები, რომელთა სწორი პასუხებიც მომავლისკენ გადასახსელელ ხიდებად უნდა გამოვიენოთ.

თუ ჩვენს ლიტერატურულ წარსულს ვაკვლევდეთ, უნდა გამოვიტანდეთ, რომ მიუხედავად ლიტერატურისა და მწერლის უსაშინლესი ბეფუსტურებისა, მისი რაღაც ნაწილი მაინც გადარჩა და მაინც დარჩა. ლიტერატურის ამ ნაწილმა დიდი საქმე გაიკეთა — გაანძარნინა და შეიძლებინა ადამიანების დაშმაჩეკად. მოკავშირედ მოეკლინა მათ. ეს ნაწარმოებები ადვიძენდნენ ადამიანებში ხიკვარიელს, ერთგულების, მოთმენის, ალანის, გაძლების ძალას. ეს ლიტერატურა უნათებდა ჭაბს ხასიკვდილოდ განწირულთ. ეს ნაწარმოებები კიდეე ერთხელ აწრთობდნენ ბოროტის დამზობის რწმენას.

გულდასაწყვეტია ბევრი რამაა ამ გზაზე. აკაკი მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, სხვათა დაკარგული საფლავები, უცხოეთის გაკინულ ცას შემაკცქერალი მამულიშვილები, „დაბურულ ფონდებში" გამოკეტილი წიგნები...

ამ გზაზე სამარცხვინო ფაქტებიცაა — როცა მწერლები მწერლებს ამბობდნენენ, როცა ნიკიერი მწერლები ტირანებზე წერდნენ ოდებს, როცა მწერალმა დაკარგა პასუხისმგებლობა ერისა და ხალხის წინაშე და ბორბა პოლიტიკურ ძალებს შეუკავშრდა, როცა ეს პასუხისმგებლობა თავის დადარჩენის პრიუტკველ ინსტიქტებს დაუკვეშდებარდა. ეუტანელია, როცა მოძღვარი ტყუის, როცა არა სწამს ის, რასაც ამბობს. მწერალი კი ყოველთვის მოძღვრის ადგილას მყავდა მინაშნებული ჩვენს ხალხს... ამბობენ, ახლა ლაპარაკი ადვილია, მაშინდელი მდგომარეობის წარმოდგენაც კი ჭირსო... უნდა გავუგოთ, მართლაც გმირობას ეკეთას ნოდ ვერ მოიხოვ, მაგრამ აკ მეორე, „წყველა-კრეულვიანი" საკითხავია — იმ ეოდვას რა ვუყოთ, რომელიც სიყალბემ დაატრიალა? მიტლერის გენერალი ნიუნბერგის პროცესზე თავს იმარჯლდნენ — ვვიბრძანებდნენ ნი ვასრულებდითო... ალიარებდნენ — ცხოველები ვართ და სათავე. გაგვრეკავდნენ იქით მივდიოდითო, საკუთარი აზრი და განსჯა არა გკქონდეთ... ბრალმენტები ერთმანეთს გავს, მაგრამ თუკი მწერლობა ბედისწერაა, თუკი მწერალს ეროვნული გენია გამოიხმობს, მაშინ ბას არა აქვს შიშისა და სიმხდალის უფლება, არა აქვს სიცოცხლის უფლება, როცა ეს სიცოცხლე სიყალბედ და უმეცრებად ემხობა შობელ ხალხს... ადამიანები იბადებიან და იხოცებიან, ერი კი ცოცხლობს, და ცოცხლობს მანამ, სანამ ზუსტად ანალიზებს და განსჯის გამოვლილ გზას, სანამ ერთმანეთში არ ურევს სიკეთისა და ბოროტების, გმირობისა და სილაჩრის, სიყვარულისა და სიძულვილის შესაფასებელ კრიტერიუმებს.

დღეს განსჯის მომენტიც დგას. ახალმა დრომ ღრმად უნდა დაგვაფიქროს, თუ რა მიმართებაშია მწერალი თანამედროვეე მოვლენებთან, თანამედროვეობასთან. ფორმულა — „მწერა-

ლი და თანამედროვეობა“ შაბლონური თემებიდან გამოსვლის პროცესშია.

გუშინ იყო — აიღებდა მწერალი მწერალთა კავშირიდან მოვლინებას, ჩავიდოდა რომელიმე რაიონში, ეახლებოდა რაიონის ხელმძღვანელობას, დაადგენდნენ მომავალი წიგნის „ხამოკმედო არეს“ და ერთ-ორ თვეში წიგნიც მზად იყო — ექსპერიმენტი, მისი სულისჩამდგმელები, ხალეარი შედეგები, შედარებული ციფრები, შედარებული წლები, რამდენიმე კოლმეურნის პორტრეტი, . რამდენიმე ჩართული ნოველა.. ასე ასახავდა მწერალი თანამედროვეობას, ასე გვევლინებოდა ეს მწერალი „ხალხურობითა“ და „პარტიულობით“ აღბეჭდილი ნაწარმოებების ავტორად.

გუშინ იყო — წავიდოდა „პოეტი“ რომელიმე დიდ მშენებლობაზე. ნახავდა იქ „პოეტურ თემებს“, „საინტერესო ადამიანებს“, „საინტერესო სიტუაციებს“ და სულ მალე ლექსების დიდი ციკლიც მზად იყო. მზად იყო პრესა, მზად იყო ტელევიზია, მზად იყო იდეურობის მედროშე კრიტიკოსიც გაბღეელი ენით — „ციცლნი ჩვენი დღეების შრომისა და ბრძოლის ჭეროიკა გადმოიცემული...“ და ბოლოს მზად იყო პრემიაც. თითქოს ეს პრემია იმიტომ არსებობდა, რომ ანტიალეტარტარი დაკანონებულიყო.

გუშინ იყო — იქდა გვრიტივით განაბული მწერალი საიუბილეო სკამზე და თავის მიერვე დაწერილ დითირამბებს ისმენდა, თავის მიერვე დადგმულ სპექტაკლს ეს ნერვიდა, ცრემლმოცული წარმოთქვამდა სამადლობელ სიტყვას — მე რა გავაკეთე, ჩემს შემოქმედებაზე ნათქვამი გაზვიადებულია, მე კი არა, მთელ ქართველ მწერლობას ეკუთვნის...

გუშინ იყო — ახე გვესმოდა „მწერალი და თანამედროვეობა“, ეს თანამედროვეობა კი ხაში. ნელ სიგნალებს გამოსცემდა — ლეგალური და არალეგალური ბანდებით აივსო „ხაუკარელი საქართველო“, მეერთამეობამ, კორუფციამ, კომბინაციორობამ და მაკინატორობამ მოიცვა „ჩვენი გმირი ხალხი“, ბასწავლებელს ბასწავლებელი აღარ ეთქმოდა, ინჟინერს — ინჟინერი, მეცნიერს — მეცნიერი, ექიმს — ექიმი, აგრონომს — აგრონომი... იყიდებოდა უმაღლესი სასწავლებლის მერხი, მერე დიპლომი, იყიდებოდა თანამდებობა, იყიდებოდა მიწა... ფულზე იცვლებოდა სინდისი, ანგარებაზე იცვლებოდა სიყვარული... ირიაკის ღრუბელში გაეხვია ახალგაზრდობა... ასეთი იყო რეალური თანამედროვეობა, მწერლები კი სხვა, არეალური „თანამედროვეობის“ უმღერიდნენ... სამედნიერ-ოდ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში ნამდვილი ადამიანები და ნამდვილი სპეციალისტები, მწერლობაშიც იუვნენ ნამდვილი მწერლები. ისინი უსხდნენ თავის ხელნერ მაგიდებს და პროფესიული პატიოსნებით წერდნენ. მაგრამ უკირდათ. უკირდათ [illegible] იმიტომ, რომ „ეველფერს“ ვერ იტანდნენ [illegible] ათას ტაკვნი უნდა გამძვრალიყავი, [illegible] სიმპრილე არ დაგეკარგა და თან „ირგონიკეი-კაში“ აღწერილ მოკანავე კლდეებს შორის გაგდელნა. მეორეც, იყო რაღაც ეშმაკეული მაწკანა, რომელიც. თუ უნდოდა, შეეშნიდა მწერალს და თუ უნდოდა გაანადგურებდა, მოსპობდა. ამ მანკანამ გამოიგონა რამდენიმე „დიდი“ მწერალი; რომლებიც დღეს სულს ღაფავენ: ამავე მანკანამ „მოსპო“ რამდენიმე მართლაც დიდი მწერალი, რომლებიც დღეს იწყებენ ნამდვილ სიცოცხლეს. თანამედროვეობაზე რომ არაფერი ეთქვათ, ილია და ვაჟა გამდნენ ამ მანკანის „მსხვერპლნი“.

გუშინ იყო... თუმცა გამოტეტდეთ — დღესაც არის. იმ მასწავლებლისაგან ღმერთმა დაგვფაროს. მაგრამ რაღაც მასწავლებები დღესაც... მაგრამ ეროვნული სული ძალას იკრებს და თანდათან უველა სფერის, ცხოვრების ყველა უარეულ უცვლის სახეს. მთავარი ბრძოლა წინაა. მწერლობა, უკირეულ ყოველისა, ადამიანების სულს წარმართავს. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასე ტოტალურად შემოიჭრა მოვლენები კი სწორედ სულის გამრეულობაზე. გაუხეშებაზე, დაცვეაზე მიგვანიშნებენ.

მომავალი ბნელ. რთულ და საპასუხისმგებლო საქმეებს გვიმზადებს. დემოკრატიზმი ეიფლება ჩვენს საზოგადოებას. მწერლობა, ინტელიგენცია უბრაწდება თავის ეროვნულ ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უკვე ისმის ინტელიგენტის საკუთარი ბმა. დიახ, საკუთარი და არა სხვის თარგზე გამოკერილი, სხვისი ძაფით მოკსოვილი, ყალბი და საშინი. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს.

მაგრამ აქ ბამლეტიც უნდა გავიხსენოთ: „ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ...“ არც ცუდი უნდა გამოვრიცხოთ ხამოგული ფიქრიდან.

ქართულმა ეთნოსმა ოთხ მილიონს გადააჭარბა. ცოტა არაა ოთხი მილიონი. რემოვის ამაკად ღიერს ეს ციფრი. ოცეეფაზეთ უკვე ვხედავ ოთხმილიონიან ქანმრთელ, ბკვიან, თავისი ისტორიის მემკვიდრე ერს. ვხედავ ძველ ბაზრებ კულტურას, მის ლამაზ მთა-ბარს, მის წყალ-ტყეს... მის ახალ დროშას, მის ახალ ბიმნს და მის ახალ ღერბს...

ამბობენ, ჩინეთის მოსახლეობა წელიწადში 15-17 მილიონით მატულობს. ამასთან რა არის ეს ერის სიჭაბალი ოთხ მილიონზე, მაგრამ ერის სიდიადე ჯერ არავის გაეზომავს ოთხიდენობით, მითუმეტეს დღეს, როცა მოლაშქრეთა და მონათა რაოდენობა ალარ განსაზღვრავს სახელმწიფოს ძლიერებას.

მე უკვე ვხედავ მის ახალ დროშას, მის ახალ ბიმნს და მის ახალ ღერბს...

ჯერ კი —

ჟურნალისტებმა ასეთი დიალოგის მოგვარი ეფორი:
— როგორ ხარ, რა ხდება თქვენს სკოლაში?
— სკოლაში?.. სკოლაში ალარ ვმუშაობ, ვაჭრობაში დავიწყე მუშაობა.
— გამოიღეს რამე?
— რა შედარება. მოწყობაში ბევრი დამეხარჯა, მაგრამ ერთ წელიწადში ავიანაზღაურე...
ხალხი გვემატება და წინ უნდა გადავიწიო. ისინი ხმებად და ისევ ლაპარაკობენ, მე ალარ მესმის, მაგრამ მთავარი თქვეს, სკოლაში ალბათ მასწავლებელი იყო და წასულა, ახლა „კარგად არის", მაგრამ როგორაა კარგად. როცა იქიდან წავედი, სადაც ის ერიდებოდა ხალხს, ჭკვიანმა, თავადაც იქ ერიწვა. შიშმილის რომ არ შეეწუხებინა ისა და მისი ოჯახი... ცნობილი ებრაელი რეფისორი და მსახიობი სოლომონ მიხოელში ერთგან ამბობს: „ზოგჯერ მგონია, მე ერთი ვაგვის ასოსეს ჩემი ხალხისათვის". აი, ასეთი ასაუხისმგებლობით ვართ ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი ჩვენ — მასწავლებელიც და ვაჭრობის მუშაკიც, ექიმიც და ინჟინერიც. ზეგზოვეც და ზწერალიც... ჩვენი პრიფესიის სიუკვრული ჩვენი სამშობლოს სიუკვრული და ერთმანეთის სიუკვრულია.

ჩვენ ერთად უნდა ვუასუხოთ კითხვას: რატომ „გამოდის" ვაჭრობაში და „არ გამოდის" სკოლაში? ჩვენ ხომ ერთმანეთს ვემსახურებით და ერთმანეთი გვჭირდება?.. ჩვენ უნდა ვუასუხოთ ამ კითხვას, ჩვენ უნდა შეეკმნათ ერთმანეთის ბეჭედი ბეჭერიები.

ჯერ კი —

პარაზში ნამეფი ერთი ქართველი მეცნიერი წერდა, რომ ერთი თვე, რომელიც მან დამეო საფრანგეთის დედაქალაქში, მმოლოდ გაოცებისთვის თუ ქმარიდა. „გაოცებისთვის არა მარტო პარაზის სიძველეებით და არქიტექტურული შედევრებით, არამედ ადამიანთა ფსიქიკით, მათი შინაგანი კულტურით". ეს, ჩემო ძმაო, ახა, ერთი ორასწლოვან მონობაში შეუარე ფრანგები და მერე ნახე. რა ფსიქიკა და რა შინაგანი კულტურაა შერჩებათ... მაგრამ „მომავალი ჩვენია". მოვა დრო და ჩვენც მართლა სახელმწიფოდ ვიქცეეთ, მართლა მოქალაქეებს დავემსგავსებთ...

ამისთვისაა ბრძოლა, გამოცსადებული. ამისთვის იბრძვის თავდაუზოგავად ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი.

ჯერ კი —

ეკვარეგანელებიც მოსულან! ეკვარეკვარეს ადგილი არასოდეს არ არის თავისუფალი. ესენი სულ სხვადასხვანაირებია, მაგრამ მაინც ეკვარეკვარეები არიან. ყველა ისტორიული პერიოდი თავის ეკვარეკვარეს ეამოკაენებს ხოლმე.

ის ახლაც ალა. ერიანელ დრონმა ალრიალებს, ყველაზე ეურო „გაბედულ" ლიზუნგებს გაჰყვარის.

ჩვენ ყველიმება, მაგრამ ეკვარეკვარე საშიშია. მაგალ შეუძლია ერთ ვაგონში სამჯერ მეტი ეა ტბილარი შეტენოს, ვიდრე ეტეკვ და ხელეკვ ეოფილ თვეს ეთხრიან: — რაკი კარი გარეგან ეოფილ ბა, ეს იმას ნიშნავს, ეტეკვიანო. ეკვარეკვარე — ცეკვას მდგავნი, ეკვარეკვარე — ეწერალი, ეკვარეკვარე — ეკვინი... და ალარ უნდა შეგვეშალოს...

მოვა დრო და მართლა სასაცილო გახდება ეკვარეკვარეობა.

ოთხი მილიონი.

ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენ საგარეო პრობლემებს უფრო გაფაცაცებით ვუყურებთ, ვიდრე საშინაოს. ვიღაც რუს ან უკრაინელ „ეწერალშვილს" თუ რაგ ჩაბოცდა ჩვენზე საკუთარ „ღია წერილებს" გრიგალის ამოვავდებით ხოლმე. ერთ, ცოლისმძებში შეზარხოშებულ ინგლისელს რაღაც სისულელეები ჩაბოცდა და კინაღამ ცა გაგზარიტეთ კიევილთ — ეს როგორ გაგვიბედა. „საგარეო" რეალიებით, ღია წერილებით, გამომწაურებებით აიგსო ჩვენი პრესა. საშინაო საკმეები კი საგანგაშო სიგნალებს გამოსცემს: ეკონომიკამ, ბაკინგტორობა, კორუფცია... გაკიჩვებულთა უსასოობა, ეკონომიკის დაცემა... ამას წინათ, ტელეინტერვიუში ეურნალისტებმა დეპუტატ ვალერიან ადვაძეს ოპტიმისტური ტონით კითხეს: აი, ბალტიისპირეთში ოფიციალურად დაკანონდა ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ალბათ, შორს ალარ არის ის დღე, როცა საკმაოდ ელიჩსება თავები ეკონომიკის საკუთარი შეხდილებანაბეგბრ მართვა და წარმართვაა.

ბატონმა ვალერიან ადვაძემ ჩვეულნი სიფრთხილით და ეკმპრიბობით უასუხეა, რომ ეს დღე, ეტეობა, მართლაც შორს ალარ არის, მაგრამ მე მოგიკერხე ჩვენი ეკონომიკის დღეგადღელი მდგომარეობა — კადრების უყოლობა, ავადმყოფური ურთიერთობანი ცალეკეულ რგოლებს შორის და ა. შ. ერთი სიტეკვით, სერიოზული ეკვი გამოოქვა.

ყველაფერს ხომ იმპერიას ვერ დავაბრალებთ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც ხომ ჩვენს დღეში არიან, როგორ გაგვასწრეს?

ოთხი მილიონი.

შეეიბრი — ვის უკეთესად აცვია, ვის უკეთესი მანკანა აჭვს, ვინ დიდი კორწილი გადაეხადა, ვინ ეომპაზური სასადილო გააკეთა.

იმპერიოელმა რეიმმა, ცენტრშიც და კოლონიებშიც, შეკმნა ადამიანთა მსოფლიური ერთსახეობა. ეს ერთსახეობა იმპერიულ წნეხში ჩამოყალიბდა. „ავრესიულად მორჩილი უმრავლესობა" უწოდეს მას სხოკ. უმალესი საბჭოს ხეხიაზე. ისინი განასაზღვრებენ ტოტალიტარულ რეეიმს, ტოტალიტარულ სახელმწიფოს. მათში არსებობა შეუვიტა ერიანელმა ეთნოსმა, ერიანელთან არქეტიპმა. მათ ცნობიერებას იმპერიის სული განსაზღვრავს.

ჩვენ, ქართველებსაც გვეკუთ ასეთი ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღაცან დამნებდითა-მეთქი, ლაჩრებო? — ისევ იგრგვინა ტამერლანმა.

უბუცესნი ხმას ვერ იღებდნენ. ბოლოს ყველაზე უფროსი წამოდგა წინ და თქვა:

— ნუ გაგვრისხდება თქვენი მოწყალება და მოგახსენებთ. ჩვენ ხად შეგვიძლია თქვენთან შება, ჩვენ პატარა ხალხი ვართ.

— პატარა ხალხი? მაისე რამდენი ხართ?

— მხოლოდ სამი მილიონი, მბრძანებელო.

ტამერლანი ისე დაწვა მაგიდის კიდეს, ფიცრების ჭრაჭუნი მოისმა. მის ირგვლივ მდგარნი შეძრწუნდნენ. სარდლის თვალებმა ცეცხლი გამოაკენესეს, სასტიკმა ღიმილმა გადაუარა ბაგეზე, ზიზღით მოეგრძო ხაზე.

— სამი მილიონი! სამი მილიონი პატარა ხალხი! სანი მილიონი ტკუისკოლოფი დედაკაცი! თქვენ ყველაფერი ახწონ-დახწონილი, ჩემი ბასიათის გარდა. თქვენ სულ გეშინიათ ამ ქვეყნიდან აღგვისა, გეშინიათ არსებობისაც, მე კი თქვენს დამგობრობას ვაპირებდი! მაგრამ თქვენ ჩემი ერთგულნი არასოდეს იქნებით. დღეს მე მომტკბანებით, ბვალ კი ჩემზე ძლიერს მიჰყოფდით ზურგს, როგორც თქვენი ბედი ინებებს, არა?

ტამერლანი წამოდგა, ირგვლივ იარაღის ჩხარუნი ატყდა. ტამერლანმა ბრძანა: „ყველანი გათოკეთ“ და ბოლტებით გარეკეთ ჩრდილოეთისაკენ, ვისაც მზარეული არ გაკვთ, აირჩიეთ ვინც გინდათ და წაიყვანეთ მზარეულად. ვისაც ბონები არ გაკვთ, აირჩიეთ და წაიყვანეთ მონებად. გარეკეთ საკონელივით! ყოველ მეათეს ვარს, მაწანწალას, ქურდსა და ავაზაკს მიეცით ეს ჩვრები. თუ ხმა ამოიღო რომელმემ, აქვე ჩაამაღლეთ, ჩაამაღლეთ მთელი მისი მოდგმა, არც ქალი დაინდოთ, არც ბავშვი, აქ არავინ არ არის დასანდობი.“

ტამერლანმა თვალები დახუჭა და ეს დასძინა: „უმჯობესია ველური ხარი დაეხეტებოდეს მარტოდმარტო ამ ბრიოკ მთებში, ვიდრე სამი მილიონი დედაკაცი ჩაჩოქილი ეძებდეს თავისი უუნებლობის წამალს“.

●

— „გამბიარულები ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო“ — მღეროდა ორი პატარა ბიჭი. განუწყვეტელი ტირილი და განუწყვეტელი საჩივრები ბევრს ვერაფერს მოგვცემს. ჩვენი არხოტელი წინაპარი საუკუნეების სილრმიდან გვაწვდენს მეომრულ კვნესას:

ვისაც მოგვეკვლენ, დავმარხავთ,
ახლა სხვა გაიზრდებისა!

ჩვენ ოთხი მილიონი ვართ და დღეს საერთო ეროვნულ ბრძოლას ვიწყებთ, რომ მართლა ოთხი მილიონი ვიყოთ და არა ოთხი მილიონი დედაკაცი — დაჩოქილი რომ დაეძებს თავისი უუნებლობის წამალს... ჩვენ საერთო ეროვნულ ბრძოლას ვიწყებთ შეერთებისთვის, მტრისა და მოყვრის დანახვისათვის, მაქინატორთა, ცრუთა, ურწმუნოთა მოქცევისათვის...

ღმერთი არს ჩვენთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ მირიანაშვილი

„მესამე დასი“ ვაჟა-ფშაველას თვალით

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს საქართველოში წარმოიშვა ახალგაზრდული მოძრაობა, რომელსაც გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ დაარქვა. ეს მოძრაობა იმოავითვე ოპოზიციაში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს და წამოიწყო გააფთრებული ბრძოლა მათ წინააღმდეგ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სამკვლერო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელმაც განაპირა პოლიტიკური სიტუაციის ხასიათი რევოლუციის წინა პერიოდის საქართველოში, განსაზღვრა ქართველი ერის შემდგომი ბედი.

დღეს, მადლობა ღმერთს, საშუალება გვაქვს ხმამაღლა ვილაპარაკოთ იმ ტრაგედიაზე, რაც ოციანი წლების დამდეგიდან დაატყდა საქართველოს. ცხარგებლობთ კიდეც ამ საშუალებით, მაგრამ ხშირად ჩვენი პრესის პუბლიკაციები, ორატორთა სიტყვა გამოსულები არხებითად არ სცილდება ფაქტების კონსტატაციას; ელაპარაკობთ ოკუპაციაზე, სუფერენიტეტის აღკვეთაზე, ოციანი და ოცდაათიანი წლების ტერორზე. მაგრამ ნაკლებად ვესწრაფვით ამ ტრაგიკულ მოვლენათა პოლიტიკური ნანამძღვრების ანალიზს. ხოლო, რაც შეეხება იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვისაც ბრალი მიუძღვით ეროვნულ ტრაგედიაში, მათ შესახებ, ს. ორჯონიკიძის და ფ. მახარაძის გამოკლებით, ვდუმვართ. უარესია, ჩვენს პრესაში იყო ზოგიერთი მთავარის — განსაკუთრებით ნოე ეორდანიას, ირაკლი (კაკო) წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, კარლო ჩხეიძის — ფრთხილი რეაბილიტაციის მცდელობები.

ამასთან ერთად, გაჩნდა არასასურველი და სახიფათო ტენდენცია ყველაფრის გარეშე ძალებისთვის გადაბრალებისა.

თუ გვსურს გამოვასწოროთ წარსულის ფატალური შეცდომები და მომავალში ავარ გავიმეოროთ ისინი, საჭიროა, სრული სიმართლე ვთქვათ ისტორიული ვითარებისა და ამა თუ იმ მოღვაწის შესახებ. სიმართლე კი, ჩემი რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ ტრაგედიას ნიადაგი, პირველ ყოვლისა, „მესამე დასის“ პოლიტიკამ შეუმზადა. ამ მოძრაობის ლიდერებმა მიიუვანეს საქართველო უფსკრულის პირას თავიანთი თითქმის ოცდაათწლიანი ძარგამომთხრელი მოკმედებით.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით, ვაჟა-ფშაველას თვალით შეეხებოთ „მესამე დასსა“ და მის ფუნქციონერებს; ვნახოთ, რაოდენ დაუნდობლად აკრიტიკებდა დიდი მგოსანი და მამულიშვილი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ანტიპატრიოტულ საქმიანობას.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ არავის, არც ერთ მოლაყეს, თვით ილიასაც კი, არ შეუწერავს იმდენი დრო და ენერგია მესამედასელებთან პოლემიკისთვის, რამდენიც ვაჟას შესწირა. ვაჟა წლების მანძილზე ეპაკტებოდა ამ თაობის წარმომადგენლებს. მრავალი თხზულება უძღვნა მათ მხილებას და თავისი გენიალური ლოგიკის წყალობით, მუდამ ახერხებდა საჯარაოზე გამოეტანა ყველაზე უფრო არსებითი და ტიპური მათ ნააზრევიდან. ამდენად, ვაჟას აღნიშნული ნაწერები, რომლებსაც ქვემოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გავადევნებთ თვალს, უაღრესად ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნიან მესამედასელთა მრწამსზე, მათ უკიდურეს, ისტორიულ ანტიპატრიოტიზმზე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა დიდი სიბარულით შეეგება ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათიანი წლების მიჯნაზე უეცრშემოდგომელ თაობას. მხედველობაში მაქვს ორი ლექსი „ხაბალწლიდან“ (1890) და „ქებათა-ქება“ (1893). მაგრამ ეს იყო და ეს, ამ ლექსების შემდეგ ახალთაობის საქებრად ერთი სიტყვაც ალარ დასცდენია, სასაკუვდურად და საძაგებლად კი — რამდენიც გენებოთ.

უკვე ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს, სერიაში „წერილები მეგობართან“ ვაჟა წერს:

„ჩვენი ახალგაზრდობა დაკვეთილებულია და ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენები მოკლებულნი არიან ეროვნულს აღზრდას... ეს თანდაყოლილი ვრძნობა (პატრიოტიზმი. — თ. მ.) ბოლო დროს თუმცა იღვიძებს მათ გულში, მაგრამ რაოდენ იგი მოგლილი. აღზრდილი არ არის, არ არის ნაკვეთი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და ნაყარ-ჯიშები, ამიტომ სუსტი და უძლური კეთილნი".

ეს არის ვაჟას პირველი საუკეთესო ახალთაობისადმი. აჯერად, როგორც ვხედავთ, საკ-ვედური თავშეკავებულად არის გამოთქმული; ითმაო, რომ ახალგაზრდებს დაუკვეთიდათ პატრიოტიზმის ვრძნობა, ბრალს სდებს არა თვითონ მათ, არამედ მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს. თან იმედს გამოთქვამს, რომ „ბოლო დროს იღვიძებს მათ გულში" სამშობლოს სიყვარული.

ამის შემდეგ, ერთხანს (1894 წელს) ვაჟა თანამშრომლობდა კიდეკ „მესამე დასის" ორგანოში „ცვალი", თუმცა ეს თანამშრომლობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა და ვაჟა დაუბრუნდა „ივერიის", ილიას პოზიციას.

მეოცე საუკუნის დამდეგისთვის, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძის მომხრენი და, მეორეს მხრივ, მისი მოწინააღმდეგენი ხმო�lyდ გადაიქცნენ სამკვლრო-სასიკეთლოდ დაპირის-პირებულ ბანაკებად. ამ დროს განეკუთვნება ილიას პოლემიკა. ნ. ფორდანიასთან. ამავე დროს იწუნებ საკარიველოს უდიდესი შვილის დევნისა და ლანძღვა-ვინების სამარცხვინო კამპანია.

ვაჟას ეროვნული მრწამსი ილიასეულისგან არსებითად არაფრით განსხვავდება და იგი ერთგუნა პოლემიკაში, ხულ უფრო და უფრო მკვეთრი ტონით აკრიტიკებს მათ, ვინც კოსმოპოლიტიზმის, ეროვნული ნიჰილიზმის, ყოველივე ქართული უარყოფის პოზიციიდან ებრძვის ილიას და მის თანამებოდამთ.

...სხვას როგორ უძმობს, საკუთარს
ვინც სცემს დედას და მამასა?!
ვისაკ შინ ბალოგის უშიან,
უცხოს კი აწყდის ქადასა,
არა ძმანია, მოეს ზროს
იგი ბალეკის დაბრდასა!..
ამას ამბობდენ ძველები,
თვალთაგან გეხდიდენ ფარდასა,
მაინც არ ესმის სიმართლე
დღეკანდელს ახალგაზრდასა.

(„ქაფები", 1903).

ეი, ასეთი „ინტერნაციონალისტები" იყვნენ ცხრაასიანი წლების ახალგაზრდები: ცხრა მთის იქით ჩვეულნის ბედნიერებაზე „იღვწოდნენ", თავიანთი ბედკრული სამშობლოს ხვედრი კი ოდნავადაც არ დარდეზდათ. პირიქით, თუკი რაიმეს აფენდნენ სამშობლოს, თუკი როგორმე დაამცირებდნენ და გაბაიბაუტდნენ, ეს მიიჩნევთ ეკუმპარიტი ინტერნაციონალიზმის გამოვლინებად.

ამ ახალგაზრდათა მოძრაობას 1908 წლისთვის, როდესაც „ქაფებია" დაწერილი, უკვე ათწლოვანი ისტორია ჰქონდა, მაგრამ ეს ამბავი ვაჟა ნაკლებად წერდა მათზე, რადგან იმედი ჰქონდა, პატრიოტიზმი „გაიღვიძებდა" მათ გულში". მაგრამ ამ ახალგაზრდათა ანტიპატრიოტიზმი მეტისმეტად აგრესიული გახდა. ვაჟა დარწმუნდა, რომ ეს ბიჭები იყო მათ წინააღმდეგ მეთოდური, თანამიმდევრული ბრძოლა. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ვაჟას უუმღალესი ეთიკა წერს განმავლობაში ეროვნიზაციისა და, ალბათ, არ შეუცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელი მისი შემოქმედების უმთავრეს მიზნად იქცა ამ ანტიპატრიოტულ ძალებთან ბრძოლა. 1905 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე დიდი მწერალი ყოველწლიურად აქვეყნებდა მათ საწინააღმდეგო თხზულებებს.

აღნიშნულ თხზულებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ივერიაში" (1905 წ). დასტამბული წერილი „ოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი". ვაჟა წერს, რომ პატრიოტიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ოსმოპოლიტიზმს (ოსმოპოლიტიზმის ცნებაში იგი გულისხმობს ინტერნაციონალიზმს). პირიქით, „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლოთ ადამელოს ეონებრივ, ეონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრობას საუკეთესო წვრილს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელის კაცობრობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭიროა, რათა კაცობრობისა წარმოდგენდეს განვითარებულს ჯგუფსა... რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანმა შეიტანოს კაცობრობის ხალხრობა".

შემდეგ ვაჟას მოაქვს ამის მაგალითები, რომ „მთელის კაცობრობის"-მსახურება შესძლეს მხოლოდ მათ, ვინც, უწინარეს ყოველისა, „საკუთარი სამშობლო აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად". „მეცნიერება და გენიოსები გვიჩვენიან ეზას ოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით... ვერ წარმოიდგენდა ადამიანი ხრულს ეკუთხ, სადაც ბრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე... თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერი ერთნაირად მიეკარსო, — სტეფნს, თვალმეჰეკობს: ან ეკუთხაკალეთა, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეზეზეკეფილი..." „ამიტომ ოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარ-

თამარ მირიანაშვილი

„მესამე დასი" ვაჟა-ფშაველას თვალით

„ჩვენი ახალგაზრდობა დაკეკეთებულია და ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენები მოკლებულნი არიან ეროვნულს ალბერდს... ეს თანდაყოლილი გრძნობა (პატრიოტიზმი. — თ. ბ.) ბოლო დროს თუმცა ოღვიძებს მათ გულში, მაგრამ ოდესაღ იგი მოვლილი. ალბრდილი არ არის, არ არის ნაკეკები, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და ნაკარკაზები, ამიტომ სუსტი და უძლური ბადდის“.

ეს არის ვაჟას პირველი საყვედური ახალთაობისადმი. აჯერად, როგორც ვხედავთ, საყვედური თავშეკავებულად არის გამოთქმული; იმაში, რომ ახალგაზრდების დაუკვეთილთან პატრიოტიზმის გრძნობა, ბრალს სდებს ანა თვითონ მათ, არამედ მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს. თან იმედს გამოთქვამს, რომ „ბოლო დროს ოღვიძებს მათ გულში“ სამშობლოს სიყვარული.

ამის შემდეგ, ერთხანს (1894 წელს) ვაჟა თანამშრომლობდა კიდეც „მესამე დასის“ ორგანოში „ცვალი“, თუმცა ეს თანამშრომლობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა და ვაჟა დაუბრუნდა „ციერიის“, ოლიის პოზიციას.

მეოცე საუკუნის დამდეგისთვის, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძის მოძრაობი და, მეორეს მხრივ, მისი მოწინააღმდეგენი სამოლოდ გადაიკენენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირის-პირებული ბანაკებად. ამ დროს განეკუთვნება ილიას პოლემიკა, ნ. ფორდანიასთან, ამავე დროს იწუენა საკარიველის უდიდესი შვილის დევნისა და ლანძღვა-გინების სამარცხვინო კამპანია.

ვაჟას ეროვნული მრწამსი ილიასეულისგან არსებითად არაფრით განსხვავდება და იგი ერთვება პოლემიკაში. ხელ უფრო და უფრო მკვეთრი ტონით აკრიტიკებს მმთ, ვინც კოსმოპოლიტიზმის, ეროვნული ნიჰილიზმის, ყოველივე ქართული უარყოფის პოზიციიდან ებრძვის ილიას და მის თანამებოდამთ.

...სბეკს, როგორ ეძმობს, საკუთარს
ვინც სცემს დედას და მამასა?!
ვისაც შინ ბალოზის უშიან,
უცხოს კი აწყდის ქადასა,
ანა ძგონია, ბოესწროს
იგი ბალეზის დაბადასა!..
ამას ამბობდენ ქეელები,
თვალთაგან გეხდიდნენ ფარდასა,
მაინც არ ესმის სიმართლე
დღეკანდელს ახალგაზრდასა.

(„ქაეეები“, 1903).

ეი, ახეი „ინტერნაციონალისტები“ იყვნენ ცხრაასიანი წლების ახალგაზრდები: ცხრა მთის იქით ჭეეეენის ბედნიერებაზე „იღეწოდნენ“, თავიანთი ბედკრული სამშობლოს ხვეერი კი ოდნავადაც არ დაარდებდათ. პირიქით, თუკი რაიმეს აგნებდნენ სამშობლოს, თუკი როგორმე დაჯაცირებდნენ ეგ გაბიბაბუებდნენ, ეს მიაჩნდათ ეეშმარიტი ინტერნაციონალიზმის გამოვლინებად.

ამ ახალგაზრდათა მოძრაობის 1908 წლისათვის, როდესაც „ქაეეებია“ დაწერილი, ისევ ათწლეულია ასტარია ჭმრდა, მაგრამ ეკანდელ ვაეა ნაკლებად წერდა მათზე, რადგან იმედი ჰქონდა, პატრიოტიზმი „გაიღვიძებდა“ მათ გულში“. მაგრამ ამ ახალგაზრდათა ანტიპატრიოტიზმი მეტისმეტად აგრესიული გახდა. ვაეა დარწმუნდა, რომ საკირო იყო მათ წინააღმდეგ მეთოდური, თანამიმდევრული ბრძოლა. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ვაეას პუბლიცისტიკიანა და, ალბათ, არ შეეცდებით, თუ ეიტყვეთ, რომ მთელი მისი შემოქმედების უმთავრეს მიზნად იქეა ამ ანტიპატრიოტულ ძალებთან ბრძოლა. 1905 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე დიდი მწერალი ყოველწლიურად აქვეყნებდა მათ სიწინააღმდეგო თხზულებებს.

ალნიშნულ თხზულებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ციერიაში“ (1905 წ). დასტამბული წერილი „ეოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ვაეა წერს, რომ პატრიოტიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ეოსმოპოლიტიზმს (ეოსმოპოლიტიზმის ცნებაში იგი გულისხმობს ინტერნაციონალიზმს). პირიქით, „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება ეკეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ალამალლის ეკნებრივ, ეკონერივ და ზნეობრივ, ამით ის უეშმაღებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო ნეკრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელის კაცობრიობის განვითარებას, ეკეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საკირო კერძო ადამიანთა ალნრდა, აგრეთვე ცალკე ერების ალრდაა საკირო, რათა კაცობრობა ნარმოდგენდეს განვითარებულს ჭგუფსა... რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანმა შეიტანოს კაცობრობის სალარობაში“.

შემდეგ ვაეას მოაკვს ამის მაგალითები, რომ „მთელის კაცობრობისა“ მსაბრეკნი შესძლეს მხოლოდ მათ, ვინც, უწინარეს ყოელისა, „საკუთარი სამშობლო ალნარდა, ალმოაცენა და განადიდა ეკმდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად“. „მეცნიერება და გენიოსები გვიჩვენან გზას ეოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით... ვერ ნარმოიდგენდა ადამიანი სრულს ეკეეეს, სადაც გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე ეკუთხე... თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერი ერთნაირად მიეკვარსო, — სტეფნს, თვალთმაკეეობს: ან ეკეეპალეკანა, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეეშებმეკილი...“ „ამიტომ ეოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვეესმოდეს: ყოეკვარ-

თეიმურ მირიანაშვილი

„მესამე დასი“ ვაეა-ფშაველას თვალით

ამ დაკვეთების კონკრეტული მაგალითები უზეად მოიძებნება ჩვენს ისტორიაში. მაგალითად, პოლიტიკურ სფეროში: XVIII საუკუნის ქართველი მმართველი პოლიტიკური წრეები რუსეთის პოლიტიკურ სახეს და ზრახვებზე ვინმე ბერძენი ავანტურისტი ბერის მიერ შეობნილი მითით მსჯელობდნენ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. 5, 1934 წ.) ამაზე მეტაეველებს ის ხანებში წინ წამოწეული კეთილური პატრიოტიზმი, რომელმაც დასაყრდენი პოლიტიკურ ფ ალ ბამდრო სფეროებში ჰპოვა ფალ ძალა არ აღმოჩნდა მისი დამმარცხებელი, უფრო მოგვიანებით, როცა გრ. ორბელიანის ხელმძღვანელობითა და უნარიანობით რუსის ჯარმა საბოლოოდ გაიდგა ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში, ორბელიანი კი იმას იქადნიდა, ჩრდილო კავკასიიელნმ ქართველების რბევა არ შეეარნენო; ეკონომიკურ სფეროში ფეხს იკიდებს ზევით ნახსენები ეკონომიკური პარაზიტიზმი: ილიას წმკლელობა ივივე ეროვნ მოვლენაა. სტალინიზმმა ქართულ ნიადაგზე მრავალფროცესებ მიმდევარი გაიჩნია, თუმცა თავად სტალინიზმი საკართველოსთვის უცნო ხელი იყო, ცნობილი ფაქტია, რომ იგი რუსეთში ჩაისახა და საკართველოში ექსპორტირებული იქნა. რეალურად სტალინიზმისთვის ნოეიერი ნიადაგი ალბერ. და: რეალურად ასევე ეროვნ. ... მოუვარეობის და ზვნირად ... ადამიანის მდგომარ ... ბენების გამოკვლევისა, რომ სტალინიზმის მოვლენის ... ბენებიერი რანგის ... ადამიანის თავმოუვარეობის ... ბენებიერ ... ბენებიერ ... ბენებიერ

უკვე 80 წელიწადზე მეტი ხანი ცოცხალი ალარ არის. თუნდაც ამაში ჩანს სტალინის ფენომენი, მაგრამ ამ ვითარებას სხვა მიზეზიც აქვს. ეს მიზეზია ილიას მიერ აღწერილი საზოგადოების ცნობიერების გამწვანება, უფრო კონკრეტულად, როგორც ზემოთ ვთქვით, ისტორიიდან ბომბერული, ჩვენი „რანგობრივი“ დაპატარავება, შუაგზელ ისტორიულ მოვლენებში საკუთარი წვლილის გარეშე დარჩენის გამო, რამაც საქართველოს პროვინციად ყოფნა დაუმკვიდრა, ქართველების საკუთარი ეროვნული თვითპატივისცემა დაადაბლა. ამ ნიადაგზე აღძოცენებული ეროვნული არარსრულფასოვნების გრძნობა და საზოგადოებრივი ცნობიერების სიმწრიე ძალიან საინტერესოდ ახასიათებს სტალინის (ანუ იმ პირის, ვინც ამ არასრულფასოვნების გრძნობის დაძლევის შესაძლებლობის პრეცედენტი შექმნა იმით, რომ ქართველის ხასელი კვლავ შუაგზელ ისტორიულ მოვლენებს დაუკავშირა, (თანაც როგორი დოზით!) — წინანდელ თანამედროვე, რიგითი ქართველის საკუთარი თავის „პატარა კაცად“ განცდაში, მის „ფეხის მტვერად“ ყოფნის სურვილში;

ამ განცდაში, თავად სტალინის „დამსახურება“ უველაზე მნიშვნელოვანი, უველაზე პირველხარისხოვანი ფაქტორი როდია. საზოგადოდ, „პატარა კაცად“ საკუთარი თავის განცდა, შესაბამისი „პატარა კაცის“ ფსიქოლოგიის გამომუშავება კანონზომიერი შედეგი იყო ისტორიისგან სრიალული, ეროვნული თვითპატივისცემის დადაბლებისა, ჩვენი პროვინციად ქცევისა. „პატარა კაცის“ ფსიქოლოგია კი ბუნებრივად ითხოვს „დიდ კაცს“. ეკრძოდ, სტალინის მოღვაწეობის შედეგმა მწარე, მტკივან ადგილზე დაგვაჭირა ფეხი თანამედროვე ქართველებს — ეროვნულ მუშაობაში ჩვენი პირადი წვლილის უნიათობაზე. ამიტომ ატარებს თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება ამ ფიგურის მიმართ პირადულ ხასიათს. მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში აკუმულირებული, ისტორიული დამცირებისა და გასაჭირის გამო ქართველის ფსიქოლოგიურად დრო და მოცალეობა არ ჰქონდა, რომ ერთი ხალი კითხვა დაეხვა საკუთარი თავისათვის: გამოდგება კი სტალინის ფიგურა, მიუხედავად მისი გიგანტური ისტორიული მასშტაბებისა, ქართველთა ეროვნული თვითპატივისცემის აღსადგენად, პროვინციალიზმის დაბალძლევად, ჩადგან ყოველი მოღვაწეობა არა მარტო თავის! მასშტაბებით, არამედ შინაარსითაც იზომება?!

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ქვეყნი შეეცადებით. აბჯერად კი ჩვენთვის ის უფრო სასინტერესოა, რომ სტალინის მიმართ ქართველის დამოკიდებულების ბალანსზე დავფიქსირეთ შემდეგი: რაღაც გარემოებათა გამო, ქართველი „პატარა კაცად“, „ფეხის მტვრად“ განიცდის საკუთარ თავს და, მაგ, საკუთარ თავზე ხელი აქვს ჩაქნეული. საკუთარ მეობაზე უარი უთქვამს. დავსვათ კითხვა: რა არის ეს გარემოებათა, რომელთა გამო ქართველი საკუთარ თავზე უარს ამბობს, საკუთარ მეობაზე ხელი აიღოს? ზევით ნათქვამიან ნათელია, რომ ეს არის შეუნელებელი ლტოლვა ეროვნული თვითპატივისცემის, ეროვნული სრულფასოვნების განცდის აღდგენისაკენ, რომლისთვის ანგარიშის გაგზავნისთვის რომლის იგნორირება, როგორც ვნახეთ, საკუთარ თავზე ხელს გვალებინებს ილიას გმირი ახალგაზრდა კაცის დარად და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ საკუთარ თავზე ხელჩაქნეულობის თუ ხელალებულობის მაგალითებით სავსეა ჩვენი, როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ცხოვრებაც. ჩვენ ამ მავნე სენთა სიის ჩამოთვლით თავს არ შეგაწუხებთ. ილიას მიერ აღწერილი საზოგადოებრივი ცნობიერების სიმწარე ჩვენი მემკვიდრეობაც გამხდარა.

საკუთარი თავის უპატივცემლობის განცდის ფონზე ჩვენ დავფიქსირეთ მარად შეუნელებელი ლტოლვა ეროვნული თვითპატივისცემისაკენ, საკუთარი თავის პატივისცემას კი მხოლოდ ის აღწევს, ვისაც საშუალება აქვს, თავის ბუნებრივ სურვილებსა და ინსტინქტებს მიყვეს და გაანახორციელოს ისინი.

მაშასადამე, აღნიშნულ დამოკიდებულებაში ვლინდება:

1. ქართველთა ეროვნული პესიმიზმი, საკუთარი თავისადმი პატივისცემის დადაბლება;

2. ამის ფონზე, ეროვნულ ინსტინქტთა და სურვილთა მიდევნებისა და აღსრულების არასდროს შენელებული ლტოლვა, ანუ ჯანმრთელი, ნორმალური ცხოვრების მონატრება და ნდომა.

იქნება ვინმემ გვისაყვედუროს, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართველის ქართველობა ფარსი. მაგრამ ისიც რომ ფაქტია, რომ ამგვარ, თითქოსდა ელემენტარულ, ფაქტს ხშირად ვიგონებენთ და მერე ჩვენ თვითონვე ვარო ამისგან გაწვალებული. ეს თანაბრად ეხება იმათაც, ვინც ამგვარი გუფლმავიწყობის მომხრეა და იმათაც, ვინც მისი მოწინააღმდეგეა. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ ქართველებმა გავაცნობიერით ჩვენში მიმდინარე, ზევით აღწერილი პროცესები და, თუ ამის შემდეგ ვინმე, რაიმე მიზეზით (მიზეზი ზეიძლება სხვადასხვა იყოს) ამ ჯანმრთელ, ბუნებრივ და ამავე დროს შეუქცევად პროცესს, რომელიც თავად ღმერთსა თუ ბუნებას უბრძანებია, ვერ მიუვლია, ის მაინც ქნას, ამ ლტოლვას ხელი შეუწყოს შეილებში, რითაც მათ ჯანმრთელი ცხოვრებისაკენ უბიძგებს და ააცილებს მრავალ სიმახინჯეს, რომლებმაც დაისადგურეს ჩვენში და საზოგადოების ცხოვრებაში ამ ბუნებრივი, ყოველთვის არსებული ლტოლვის გაუთვალისწინებლობისა და უგულებელყოფის გამო.

ადრე ვთქვით, რომ „პატარა კაცის“ ფსიქოლოგიის შემუშავებას ჩვენმა ისტორიამ შეუწყო

ბელი და რომ მისი მეორე მხარე „დიდი კაცის“ კულტია, რომელიც ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ყოფისა და ცხოვრების აქტიური ელემენტი და კომპონენტი გამხდარა, რა არის მისთვის უველაზე მეტად დამახასიათებელი?

ამ კითხვას შემდეგნაირად გავცემდი პასუხს: „დიდი კაცისგან“ გამოწვეული საზარლად ვამკირებინებთ ამ კულტის ბაილიმამკარებლები გონიერულ ხიტუკუას, ჩვენს ხასიკეთად მომპრიულს, თუ რი „დიდი კაცის ბგან“ არ მიდიან. ანუ სახეზეა ხანული განფარჩვალობა საკუთარი თავისადთვის ხასიკეთოსა და ხაკოს, გონიერულისა და არაგონივრულისა. ეს, ეუშმპარიტად დახალუად გაწმერულთა სიბრმავეა. ამ კულტის თავეანინმცელლებმა უარი უნდა ეთქვათ საკუთარ ბუნებრივ სურვილებისა და მოთხოვნილებათა მიდეკენებაზე „დიდი კაცის“ სურვილესა და მოთხოვნილებებს უნდა ვანაცვალონ, ანუ ზუტგი უნდა ვკუნოთ საკუთარ ცხოვრებას „ეიღიკის“ გამო და ეს მაშინ, როცა ეს კულტი „პატარა კაცის“ მიმართ „დიდი კაცის“ ზიზღზე უფრო ფასეულს არაფერს შეიცავს. რაც უველაზე უარესია, „პატარა კაცი“, თავად იზიარებს ამ ზიზღს საკუთარი თავის მიმართ, რადგან იგი „პატარა კაცია“. იგი საკუთარ თავს, სხვებს, ცხოვრებას ამრალეთ, რომ „პატარა კაცად“ დარჩა, და ამიტომ სჯის საკუთარ თავს, სხვებს, უველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდება. ამ კულტის ადმრსოფლებელი მთელ ხამეარის კულტის ურთიერთმიმართებებით ამოწურავს და ნებისმიერი ციხის ხაკუნე უფრო ძნელად ახალეს, უფრო მაგარკედლიან ოთახში კეტავს საკუთარ თავს. მას წარმოდგენა არა აქვს, თუ ხალმე არხებობს სხვა ცხოვრება, სხვა სიხარული, სხვა ბედნიერება, გარდა ამისა, რომელიც იზომება „დიდ-პატარა“ კაცობით. ხელ ერთია, ხადაც არის „დიდი კაცი“, იქ უნდა არხებობდეს „პატარა კაცი“, სხვანაირად „დიდი კაცი“ ვერ იდიდკაცებს და, პირიქით, სადაც არის „პატარა კაცი“, იქ აუნდა „დიდი კაციც“, თუ არა და „პატარა კაცი“ გამოიოგნებს თავისთვის „დიდ კაცს“, ჩადგან უიმისოდ ვერ იარსებებს. „დიდი“ და „პატარა“ კაცი, ფუტტურად, ერთი მთელის ორი განუყოფელი ნახევარია. ამგვარად, კულტის ვირუსისრეტაარებლები ზურგს ვაქცევთ საკუთარ ცხოვრებას, ჩვენ ეეშმარიტ სურვილთა და მოთხოვნილებათა ალსრულებას, რაც ეანმრთელი, ნორმალური ცხოვრების განხორციელების საშუალებას არ გვაძლევს, აფერხებს მას. როგორც რეკქეია ამ შეფერხებაზე, ამ უნიკაფო ჟოფუნგე, რომელიც ისტორიულად ბიძეტალი ეროგნული თვითპატივცემის დადაბლების ნიადაგზე, განვითარდა და დაიმყნო, არის ზევით დაფეკსირებული ჩვენი მონატრება და ლტოლვა ეანმრთელი, ნორმალური ცხოვრებისაკენ.

ეკედან ჩანს, რომ იგი შეუქცევადი ხასიათისა უნდა იყოს. ასეთია, ჩვენი აზრით, თანამედროვე საზოგადოების ისტორიით ნამეკვლევრალი ცნობიერების სიმწირის თავვარი შინაარსი. ეს მისი შედეგები. ამიტომ არის აუქტუალური ჩვენთვის ამ სიმწირის თავის უველა ისტორიულად დაგროვილ აკსესუართან ერთად დაძლევა-მოწყლება.

ახლა კი ზევით დასმულ კითხვას გავცემ პასუხი. მთელი ჩვენს მიერ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სტალინიზმი, მიუხედავად თავისი ისტორიული და პოლიტიკური მახშტაბისა, ვერ გამოგვიგნა საზოგადოებრივი ცნობიერების სიმწირის, და ჩვენი პროგნეკლიზმის დაძლევის რადიკალურ წამლად, რადგან, როგორც ეანმეთ, სტალინიზმმა ამ სიმწირისა და პროგნეკლიზმის წყალობით მოიკოდა ჩვენში ფეხი. ხოლო რაც ზეიმება ხაზოგადოების ცნობიერების სიმწირის (რაც ამ ნიადაგს წარმოადგენდა, რომელზეც ჩვენში სტალინიზმი დაიმყნო) დაძლევის მაგალითის, ქართველმმა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ვაუას სახით მოგვაცეს.

ვაუას სხვა თანამედროვეთა მსგავსად მოშლილი ეროვნულ-ზნეობრივი ტრადიციის საფუძველზე დამკვიდრებული ხაზოგადოების ცნობიერების სიმწირე ერგო წილად და ისტორიულ მეშკედრეობად. მაგრამ მან ამ მეშკედრეობის დაძლევა-მონელებაზე მიმართა თავისი ცხოვრება, რომელშიც არავისზე ნაკლები რკინის მკლავი და ბრძოლისუნარიანობა არ გამოიჩინა. მისი ნამოღვაწარი ადმიანს საკუთარი თავის პატივისცემის კუთხიდან მიმართავს და უკეკნის. იგი, განდეგილივით, ბოთში პატარა ქოხს შეფარებული, ბრძოლას უცხადებს ისტორიით ბოძებული ეროვნულ-ზნეობრივი ტრადიციის მოშლას, აწეწილ, დარღვეულ სიცოცხლეს. ამ საბოლოო ჯიდილის, „ეშმაკთან“ პირისპირ ზეგმოს ქვალი ატუვია მის ლეკსებს — „უფროოა დაბნელდი ღამეო“, „დეკვების ქორწილი“, „როგორ საზნისად ბნელოდა“, სადაც საერთო თემად (გაბსაკუთრებით ბოლო ლექსში) ეშმაკის მიერ ადამიანის ჯიშის გაუკეკვა, მისი გადაშენება. სტალინიზმამდე ბევრად ადრე ვაუამ საკუთარ თავში სტალინი და სტალინიზმი მოინესა.

აშკარაა, თუ ქართველ ცხოვრებაში აკვს კიდევ ადგილი სოციალური ქვეშა ინსტინქტების თარეშისადმი მიდრეკილებას, რაც ხაზოგადოებრივი ცნობიერების შინაარსის სიმწირის იგივეობრივია, ხაკარისეული ისტორია მათთან ბრძოლაში წერდა თავის საუკეთესო ფურცლებს, ეი ისინი: ქართული ანბანი, ხუთეტნული ქართული ხახელმწიფო, უფუკეტი მატიანე — „ეკართული ცხოვრების“ ისტორიული პრობა, ქართული ხალხური პოეზია და მუსიკა, რუსთაველი, დავთი IV, ილია, ვაუა... სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა ყველა ეს ფენომენი. მრავალფამიერის სიტყვები გავიხსენოთ — „რაც მტკრობას დაუნგრევია — სიყვარულს უშენე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიელ" მაშასადამე, ჩვენი უმაღლესი კულტურული მიღწევები იმასთან ბრძოლაშია მოპოვებული, რასაც ეფუძნება, რაზეც დაიმყნო სტალინიზმის მოცლენა. ამიტომ ჩვენი მომავლისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია სტალინიზმისა და მასთან დაკავშირებული აჭეხსუა/ების, კერძოდ „დიდი კაცის" ხატის მიმართ სწორი, გონიერი პოზიციის დაჭერა ყველა ჩვენგანის მხრიდან. ეს იმის აუცილებელი პირობა იქნება, რომ ქართველები მსოფლიო მოწინავე კულტურულ-აღმშენებლობით მოძრაობაში ჩვენს საკუთარ ადგილს დავიკერო, რისი პოტენციაც ასეთი ძლიერი გაგვაჩნია. ხოლო ეს თავის მხრივ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის დიდ სახელებს დავუკავშირებთ ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას. ცხადია, ამაზე ორი აზრი არ უნდა იყოს. დავით აღმაშენებელს, საბას, გურამიშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ივანე ჭავჭავაძისშვილს და სხვებს, ვინც მათ გვერდით დაუენების ღირსია, ამაზე გვესაუბრება მოთხრობიდან ილიას დინჯი, ჩვენსაენ მომავალი და მუდამ ჩვენი მაძიებარი ხმა, რომელიც ყოველთვის მოგვძღვნის, რათა გამოგვაფხიზლოს. ის მუდამ ისმის...

...როცა ილიამ ახალგაზრდას შურისმაძიებელი ზელი პეტრეზე შემართა, სამოზნის წინ თვითონ აღმოჩნდა და მასთან ერთად მთელი ხალართველო. ილიამ მოთხრობაში საკუთარ თავზე იმეთხოვა, საქართველოზე კი გამოუვიდა. ალბათ, ჩვენთან დაემართა ასე, რადგან თავის თავს არასდროს აცალკევებდა საქართველოსგან და ჩვენგანაც, ჩემგან და შენგან, მეთხველო, აკი თავისი ტრაგიკული სიკვდილითაც ჩვენს უბედურებას შეეწია. სწორედ ამიტომ უნდა დავიწყოთ ილიათი და მის გვერდით დაუენების ღირსად ცნობილი სახელებით.

ალექსანდრე შანიძე

მარადისობის ლაჟვარდები

1922 წელს სოფლიდან გამოპარული ბიჭი თბილისის ვოჯთა მეორე გიმნაზიაში მოვიწყვე. ჩემი სკოლის მეგობრები იყვნენ — აკაკი გაწერელია, დავით რაფავა, დავით მაჩაბელი და სხვ. ჩამოყალიბებული გვქონდა ლიტერატურული წრე, რომელსაც ჯერ მასწავლებელი პოეტი ლავრენტი ძიძიგური ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდგომ პეტრე მირიანაშვილი.

ტერენტი გრიგალი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო პოეტი იყო, მაგრამ ნანახი არ გვეკვდა. ალექსანდრე იოსების ძე კანდელაკის ოჯახში, რომელიც მერკვილაძის ქუჩაზე (ყოფილი რეტტოვის) № 29 ცხოვრობდა (ცნობილი პედაგოგი იყო) ხშირად მელალარაკებოდნენ, ჩვენი კიბის ქვეშ ვიღაც მოხეტიალე პოეტი ათევს ღამეს, მაგრამ ჯა ვიცოდი თუ ეს ტერენტი გრიგალი იქნებოდა. ეს შემდეგ გავიგე. როცა მეგობრები გავხდით.

მაშინ ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ, დავით კობიძე, ტერენტი გრიგალი, გიორგი აგარელი, ვანლერ დაისელი, რაუდ გოგობია და სხვ. ყოველ დღე ვიკრიბებოდით რუსთაველის გამზირზე, განსაკუთრებით გვიყვარდა ოპერის ბაღი. აქ ვხალუბრობდით პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ახალ ცხოვრებაზე და საერთოდ ჩვენს მომავალზე.

1923 წლის ნოემბერში საკართველოს კომკავშირის ცეკასთან ჩამოყალიბდა კომკავშირულ მწერალთა ჯგუფი „მომავალი", რომელშიც შედიოდნენ პროლეტარულ მწერალთა ახალი ძალები: ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, ვალერიან ლუარსაბიძე, შალვა რადიანი, კალე ფეიდოლიშვილი, პალატინ ჯიკოძე და სხვ.

წრის გამგეობაში შედიოდნენ იაკინთო ლისაშვილი, ვალერიან ლუარსაბიძე, ალიო მაშაშვილი და სხვ. მაშინ კომკავშირელი არ ვიყავი, მაგრამ ამ ჯგუფს მივეკედლე. შემდეგში ჩვენი შემოქმედების მოდგაწეობის გზა უფრო უკეთ წარიმართა აკაკი გაწერელია ამ ჯგუფს არ გაჰკარებია.

1924 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 7 წლისთავზე დაარსდა ქართველი მოწაფეების ყოველკვირეული გაზეთი „მოწაფის ხმა". redaქციისა მოთავსებული იყო ოპერის გვერდით ყოფილ „ალდეგთა კორპუსის" შენობაში, პირველ სართულზე.

სარედაქციო საქმეს უძღვებოდა კოლეგია. რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სალიტერატურო სამხატვრო სექციის გამგე ნინო ნაკაშიძე. წევრები: შიო მღვიმელი და ილია სიხარულიძე.

გაზეთი კვირეული იყო. გამოვიდა სულ 25 ნომერი. დაიხურა 1925 წელს.

გაზეთ „მოწაფის ხმის" redaქციაში გავიცანი ჩვენი დიდი მწერლები და პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ჯუჩიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი. ისინი განათლების კომისარიატში ნინო ნაკაშიძესთან ხშირად მოდიოდნენ და ინტერესით ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას.

გაზ. „მოწაფის ხმის" დახურვის შემდეგ, 1925 წლის ბოლოს, მე შევუერთდი პროლეტარულ მწერლების ჯგუფს, აკაკი გაწერელია კი ფუტურისტებთან გადავედა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა ძალზე მტკიცე იყო და ახე გრძელდება მის შემდეგაც.

სოლოლაკში, ვეძინის ქ. №15-ში ცხოვრობდნენ ჩემი დი და ძმე. მათ ორი დიდი ოთახი ჰქონდათ. მეც თავისთან გადამიყვანეს. ჩვენს მეზობლად საცხოვრებლად გადმოვიდნენ ასოლოლა (ვენო) ქელბაქიანი და მისი და ნადია ორი ბავშვით. ვენო ქელბაქიანს კარგად ვიცნობდი, მასთან ვეძინის ქუჩაზე ხშირად მოდიოდა ტერენტი გრიგალი, ცოტა ხნის შემდეგ გარეგნობათა გამო (ახლანდელი ლოტე მეცხრის) ქუჩაზე № 29 იოსებ იმედაშვილის სახლის პირდაპირ, ერთ პატარა ბნელ ოთახში დავბინავდი, რომელიც კეთილ კაცს, არჩილ ოძელაშვილს ეკუთვნოდა.

იმედაშვილების ოჯახი ახალგაზრდა მწერლებს ხშირად ეხმარებოდა. განსაკუთრებით დედურ ყურადღებას არ მაკლებდა ი. იმედაშვილის მეუღლე, ცნობილი სახოგადო მოღვაწე ანა ფურული. მისი ჯალაშვილები ნინო, თამარი, ქეთევანი, ეკაშვილი გაიოზი, ჩემი კარგი მეგობრები გახდნენ.

1925 წლიდან კი კობის ქუჩაზე №11-ში მდგარე სახლის ერთ-ერთ სარდაფში მოვიწვიეთ ცხოვრება.

ჩემს სარდაფში ხშირად ვიკრიბებოდით ახალგაზრდა მწერლები და პოეტები: აკაკი გაწერე-

ლია, ტერენტი გრანელი, დავით კობიერი, ვანდერ დაისელი, ფრიდრიხ ნაროუშვილი, რაუფ გოგოხია, გრიგოლ ჩიქოვანი, ირაო ონლელი, ლადო მაჭავარიანი, ალეკსანდრე გეგეჭკორი (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი), ყეთინ ზულიანდალი ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს; ემსჯელობდნენ, ეკამათობდნენ, თუ რა გზა აგვერჩია ჩვენი მომავალი ლიტერატურული ცხოვრებისათვის მასსოვს ალეკსანდრე გეგეჭკორემ თავი ერთიდროულად ეუფლებოს გამოცემა, რომელსაც სახელად „ბინუელი" დავარქვით, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოვახერხეთ.

ტერენტი გრანელს ჩემი მუდმივი სარდაფი მოეწონა, დაბეჭდითებით მთხოვა, მოსულიყო და ღამე ეთია. როგორ დავუშვიდი. მე და მიხეილ გოგიაშვილმა, იქვე ორი უუთი მოვნახეთ, შემოვიტანეთ სარდაფში, ზედ ფიცრები გავაწყვეთ, ლეიბად გაზეთების კომპლექტები გავშალეთ, დისკვნ მოტანილი თბილი „ადელა" გადავფარეთ. ჩემი მუთაკი დავუდეთ, მე თვითონ ხალიჩაში მჯობდა. აი, ასე მოვუწყვეთ ამ გაჭირვებულ პოეტს ღამის გასათევი. ტერენტისათვის ეს უკეთესფერი სასიამოვნო გახდა, რადგან იგი შეჩვეული იყო ასეთ ბომბერ და მოხეტიალე ცხოვრებას.

ტერენტი გაფრთხილებული მყავდა თუ შინ არ ვიქნებიო, გასალები ფანჯრის რაფაზე იდგმოდა, კარი გიღია და ოთახში შესულიყო.

გასაოცარი ხასიათისა და ბუნების პოეტი იყო. ყველფერს ეკვის თვალით უყურებდა. ხან ბავშვივით ბუზღუნე და ბუტია იყო, ხან ანგელოსივით კეთილშობილი სათნო და გულთბოილი. უეცარად თბილი და ალერიანისა სიტყვა. თუ შენში მართალს და ალალ გულს დაინახავდა უცაროდ, გეტყოდა, რა კეთილი კაცი ხარო.

თავის გულისნადებს არავის გაანდობდა. არ ვიცი ჩემში რა ნახა. ყოველთვის ხიბლივნებდა ჩემთან ყოფნა, განსაკუთრებით პირველ წლებში.

უეცარად კითხვა, წიგნები გამოაქონდა ზუბინაშვილის სახელობის ბიბლიოთეკიდან. წიგნებს ურჩევდა და აძლევდა მხეოვანი ბიბლიოთეკარი მარიამ ხეხიშვილი. ამ ბიბლიოთეკის წევრები ვიყავით მე და აკაკი გაწერელია. აქვე გავიცანით და დავუმეგობრდით დიდად განათლებულ ვაბუას, სოსო სალარიძეს (ამჟამად პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი). იგი დიდ პატივს სცემდა ტერენტი გრანელის შემოქმედებას. ზზრარად ვკეტოოდა: — გალკაკონის შემდეგ ტერენტი დარჩება დიდი პოეტი.

ტერენტი გრანელი კარგად იცნობდა ქართულ და რუსულ კლასიკურ ლიტერატურას. განსაკუთრებით უყვარდა პუშკინის, ლერმონტოვის, ბლოკის, ესენინის, ტოლსტოისა და ბალმონტის თხზულებები.

გალკაკონის ბევრი ლექსი ზეპირად იცოდა. ზზრარად იტყოდა — გალკაკონი ზეცის ღვთაებრივი ზარების გუგუნია, მე კი ბინდა ჩემი ხმა პატარა ეკლესიის ზარების წკრიალის ბგავდესო.

გრანელის პოეზია, მაშინდელი მოსწავლეები ტუდენტი ახალგაზრდობის ხავერელ მანგად ეფიო გადაქცეული. მისი ლექსთა კრებულები „შემეწევ მორი", „ხულიდან ხაყოფები" და „ლექსები" ხელიდან ხელში გადადიოდა. ამან განაპირობა, რომ ახალგაზრდობამ მოიხიბნა მისი პოეზიის ხალამის ფართო მასშტაბით ჩაკვრა.

ტუდენტ ახალგაზრდობასთან განსაკუთრებით დიდი შეშფოთება ჩაეკარა ილიკო ხუხეადეს. მან ორგანიზებულად მიიეკანა ხალი უნივერსიტეტიდან ტერენტის ხალამზე.

უნივერსიტეტის მხარი აუბა მეორე ზრომის სკოლას, სადაც ლიტერატურის მასწავლებელმა ლევრენი ძიძიგურმა თავთანი ჩაკვარა, რომ სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები დასწრებიდნენ ტერენტის პოეზიის ხალამის. პირადად მე ლექსი უნდა მიმეძღვნა მისთვის, ხოლო აკაკი გაწერელიას წერილი. აკაკიმ მეორე დღეს მოიტანა პატარა, მაგრამ მეტად შინაარსიანი წერილი. წერილი იმ დღეს პირადად გადავეცი ნინო ნაკაშიძეს, რომელმაც გაჭ. „მოწავლის ხმა" №8-ში მესამე გვერდზე გამოაქვეყნა. წერილში ვადმოცემულია: „ტერენტი გრანელი წერს იმას, რასაც ვამეცდის. ტერენტი გრანელი ცოცხლობს მისივე შემოქმედებაში, მისი შემოქმედება, მისი ცხოვრებაა. ამისათვის არის, რომ მის შემოქმედებაში იცნობი არა მარტო პოეტის შემოქმედებას, არამედ მის სულსაც.

ჩვენ ჩვენა ვიხმალეთ მისი სურვილების სიმაღლეზე: „პოეზიას პლანტეტებისას".

დღეს, 28 დეკემბერს, მისი ხალამი. შენი სევდა არის ლამპრი. შენი პოეზია დამბაკუვევეველი.

ხალამი ჩვენგან, ყველასგან ხალამის ღირსი პოეტო.

მე-2 ზრ. სკოლის მოსწავლე ა.ე. გაწერელია".

ჩემი ლექსი „ტერენტი გრანელს" თომა ჩიქვანიას მივუტანე, რომელიც სპეციალურად ტერენტისადმი მიძღვნილ გაზეთს ამზადებდა, მაგრამ არ დაბეჭდილა, რის შესახებაც თვითონ ტერენტის გაზეთში ალნიშნული.

ერთ ხანს ხაკართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში დარიკატორის მოადგილედ ვმუშაობდი სამეცნიერო ნაწილში. ჩემს მოვალეობაში შედიოდა ფონდში არსებული ხარვეზების შესახებ ბად ცერძო პირებისაგან და ბუკინისტურ მაღაზიებიდან წიგნებიხა და პერიოდიკის შეძენა. მოვიკითხე ოციან წლებში გამოცემული გაზეთი „ტერენტი გრანელი". წიგნის პალატის ფონდში არ აღმოჩნდა. ერთ-ერთ ცნობილ ბუკინისტს ივ. სამადალაშვილს დავუკეთ, თუ ალნიშნულ გაზეთს მოიტანდა, რასაც ითხოვდა ავუნაზღაურებდი. ერთი თვის შემდეგ მოგიტანა. წიგნის პალატისათვის შეკიძინე.

გაზეთი „ტერენტი გრანელი" მისი პოეზიის დღის გამო გამოვიდა, 1924 წლის 21 დეკემბერს, კვირა დღით. ეს გაზეთი მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია შემორჩენილი. წიგნის პალატის

საეცოონდში, რომელიც მუეოოს ედაშია ჩასმული და ინახება, როგორც ეშეიათი ეგზემპლარი. მოგონებების წიგნში „როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა“ პროფესორი დ. კობიძე ამბობს:

„ეს იყო 1924 წელს: ჩემი, როგორც ახალგაზრდა პოეტის საღამო „ნაძალადევის“ თეატრში მაისის ბოლო რიცხვებში მოეწყო.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ინტერესით მოელოდნენ დიეერტანტების დაწეებას. თავმჯდომარეობდა პოეტი ზალვა ჯანბერიძე. მონაწილეობდნენ პოეტები: გ. ტაბიძე, გ. ყუჩიშვილი, ტ. გრანელი, ლ. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, გ. აკაძელი, ლ. მაჭავარიანი, ს. ერთაშვილი-დელი, ალ. შანიძე.

ხალხი დიდი ტაშით შეხვდა ჯალატონის გამოჩენას; თითოეულ ჩვენთაგანს რამდენიმე ლექსი წაეკითხეს. საღამო დამთავრდა. სცენიდან ჩამოვედი ფარ-ფარ, მოლარეს ქალალდი გაგზეული ფული (შემოსავალი) მომაწოდა. პოეტებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. გარეთ გამოვედით. ღამის პირველი საათი იყო დაწეებული. ფეხით წამოვედით. ჩამოვედით სადგურის ქუჩაზე. გალაქტიონმა შენიშნა, რომ ქუჩის მარცხენა მხარეს ერთ-ერთი რესტორნის კარი ღია იყო. შეეედით და რიგრიგობდე ეურ-ღვინოს შეეექეთ-დით“.

მინდა ამ სიტყვებს ჩემი მოგონებებიც დაეეატო. შეკეიფიანებულნი, როცა რესტორნიდან გამოვედით, ალიო მაშაშვილმა ეაბოიანა — ახლა ბოტანიკურ ბაღისა�გავწითოთ. მას მხარი აუბეს ტერენტი გრანელმა და გიორგის აგარელმა. თენდებოდა, როცა ეტლეებში ჩავხედეთ და ბოტანიკურ ბაღისაEEკენ გავექანეთ.

ჩვენ ალმოსავლეთის მხრის კარებიდან შეეედით ბაღში. დაალწიოლმას ვგრძნობდით. რცხილების ტეეეი შეეედით და მწვანეეზე მივწეექით, ეეველაზე ადრე გალაკტიონს ჩაეძინა. მე და დავით კობიძე ვფიქრობლობდით.

გათენებისას დაბლა ჩამოვედით; იქვე ხახაუზეეში შეეედით, ცოტა დაენაყრდით. ეტლებში ჩავხედეთ და ხელოვნების ხასახლეეს მივადექით. მხლოდ ვარდან რეხაძე დაგვხვდა, იგი იქ მუშაობდა. შეგვატეო ნაქეიფარნი ეიეკვეთ. გვითხრა — ვინ იცის იქეეს ჩემი სადღეგრძელოც დალეეთო...

ჩვენი მეგობრები წვიდ-წამოვიდნენ, გრანელი, დავით კობიძე და მე ა. მაშაშვილს გავეეეეთ. იგი მაშინ ერთ ეარაკა ოთახში ცხოვრობდა. მის ანეეს შეადგენდა ერთი ეარაკა ტახტი, ორი დანჯღრეული სკამი და მაგიდა, რომელზედაც წეეული სავსე ეკარტის ბოთლი იდგა. ტახტეზე ის დაკაწენეეთ, ვისაც კენეი ერგო. დანარჩენებმა იატაკზე გაეეენილ გაზეთებზე წამოვისეეენეთ.

მინდა კიდევ ეოცი რამ მოეგონო კობიძ ეუჩაზე. ჩემი სარდაფში ცხოვრების პერიოდიდან.

ჩვენი ეზო არ იყო დიდი. აქ, დაახლოებით ათამდე ოჯახი ცხოვრობდა. ზოგ მეზობელს კარგად ვიცნობდით, ზოგიერთს კი მხოლოდ ვეეხალმებოდით.

ამ ეზოს ალაკაფის კარების მარცხნივ, ეაბოიანა ოთახში ცხოვრობდნენ გოგონები, რომლებიც კახეთიდან იყვნენ ჩამოსულნი. მგონი ტექნიკუმში სწავლობდნენ.

ერთი იყო მარიამ არჩილის ასული შოშიტაშვილი, მალალი, ლამაზი ხასხა გოგონა. იგი შემდეგ ცოლად გაჰყვა ცნობილი მომღერლის მარო თარხნიშვილის ვაეს, ივანე დიმიტრის ძე თარხნიშვილს.

მეორე თამარ მათიაშვილი გახლდათ, მეტად განათლებული, თეთრი, თაფლისფერ თვალებიანი, ენერგიული, მეტად მიმზიდველი და შოამგალნებელი.

ეს გოგონა ტერენტი გრანელს ძლიერ მოსწონდა. მას თამილი შეიარეკვა. როცა ღამით მოვედოდა, მეტეოოდა, დღეს თამილი შემხვდა. სალამი მომეცა, გამეღიმა, მაგრამ ჩემთან მოსხვეა ვერ გაბედაო. შემდეგ თამილი გავაცანი ტერენტის, მაგრამ მათი ნაცნობობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ტერენტი ბოიკოტურ ცხოვრებას ეწეოდა, ხშირად თვრებოდა, დებოშსაც ტეხდა და ამ უნაზეს გოგოსთან შეხვედრას ერიდებოდა.

ერთხელ ტერენტი მოვიდა ძალზე მთვრალი, მე ხალხისანად შეეხვედი. კარგ გუნებაზე რომ დამეეეენებინა მოგეოინე და ვუთხარი, დღეს თამილამ შენზე ბევრი კარგი მელაპარაკა, მრავალი შენი ლექსი ზეპირად ცოდნია, შენთან შეხვედრაც უნდა-თქო. ეს რომ ვუთხარი გიიხარა და მთხოვა, მიდი ახლა თამილასთან და უთხარი ტერენტის თქვენთან შეხვედრა უნდა-თქო. რომ არ ეწასულიეყავ გვერეეეულ ოთახში. მე სარდაფიდან ამოვედი. ალაკაფის კარებთან ცოტა ხანს გავჩერდი, სარდაფში რომ ჩავედი, ტერენტის ვუთხარი, ხახლში არ არიან, ვკრნენ კახეთში არიან წასული-თქო. ხმა არ ამოუღია. ტანგაეუზეული წამოწეა თავის ხახელადაღული ფიცრულ ტახტზე და მშფოთვარ ძილს მიეცა. დილით ადრე წავედი. ხელ-პირიც არ დაუბანია. კარგად მახსოვს ეს იყო 1926 წლის მაისი, ხალამის კვლავ ნახვამი მოვიდა და მითხრა: ახალი ლექსი დაეწერე, რომელიც ხვალ თამილას უნდა გადასცეო.

ლექსი გადაეწერე, ხოლო ავტოგრაფი კონვერტში ჩავდე და თამარ (თამილა) მათიაშვილის შესახვალეთ კარებში ჩავდე.

აი, ის ლექსი:

ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ მოგდევეს,
ქრის ქარიშხალი, მოეგია ახლო.
მე შეიძლება ამაოდ მოვკვდე
და ს

ტერენტის ეს სურვილი კი შეკვეთილია, მაგრამ თამარ (თამილა) მათთაშვილს იგი შემდეგ ალარ შეხვედრია.

ერთი ახირებული ხასიათი ჰქონდა. ზაფხულში, როცა თბილისში პაპანაქება სიცხე იყო, მას დახეული პალტო ეცვა, ხოლო შემოდგომაზე, როცა აცივდებოდა, თეთრი ხალათით დადიოდა.

1926 წლის ნოემბერში თბილისში ცივი ამინდები დადგა. ერთხელ ტერენტასთან სურათის გადალება მოვიწიეთ. არ უყვარდა სურათის გადალება, მაგრამ უარი არ უთქვამს, წავედით პლეხანოვის ბაღში. ჩემი კარგი ნაცნობის, ჩლაიძის ფოტოსახელოსნოში. ფოტოგრაფმა მაშინვე იცნო ტერენტი გრანელი. მე პალტოთი ვიყავი, ტერენტი ხალიჩის მწვანე ხალათით. ფოტოგრაფმა თავიანი პალტო ჩაიცვა და ისე გადაღული სურათი. ეს სურათი ათიული წლების განმავლობაში დაკარგული მქონდა, მაგრამ შემთხვევით 1984 წ. აღმოჩნდა ჩემს ძველ საარქივო მასალებში.*

ამ ხანებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოეწყო ტერენტი გრანელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამო უნდა დაწყებულიყო 7 საათზე. ფარდა გაიხსნა თუ არა, ხალხით სავსე დარბაზში ატყდა ყვირილი, ხტენა, პოტლიაში აუგად სახსენებელი სატყვიების გადაძახილი და სხვ.

საღამო ჩაიშალა. მე და ვენო ქელბაკიანი ტერენტის გამოსასვლელ კარებთან შეეხვედით. სახე გაფითრებული ჰქონდა. კანკალებდა, მასთან არავინ იყო. მიეკიდნო, დავუკვეხეთ, გავამხნევეთ და სოლოლაკისაკენ წავიყვანეთ. საღამოს ჩაშშლილები პროლეტარული მწერლების ერთი პატარა ავანტურისტული ჯგუფის წევრები იყვნენ. შემდეგ მათაც კარგი დღე არ დადგომიათ.

ტერენტი ჩემს სარდაფში წავიყვანე. მთელი ღამე არ ძინებია. ვინ იცის ამ ღამეს რა არ ელანდებოდა. იძახდა — მკვლელები მოდიან, აი, ხანჯლები შემართული აქვთ, გულში უნდა ჩამცენ, რა მეშველება, ვიღაცებიო და სხვ.

მე რა დამძახიანებდა, ტერენტის ვამშვიდებდი. დილით მაინც ადრე ადგა. პირზე ცივი წყალი შეიხსნა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან იუფენენ მწერლები: ა. გაწერელია, ი. აბაშიძე, ვ. ძიძიგური, ს. მეგრელიძე, ალ. ლლონტი, გრ. ცაცანავა, მიხ. ჩიკოვანი, გ. ნაჯაროშვილი, დ. ბედნიაშვილი და სხვ.

სწავლის უკრძოლში ჩამბოლს დრო არ მქონდა ტერენტი გრანელიასთვის თვალ-ყური მედევნებინა, თუმცა იგი ჩემ დასთან სონიასთან ორჯერ მისულიყო და ვეკითხე.

მახსოვს, ერთხელ ახალი წლის წინა დღით, დიდი გუროიდან ახალი ჩამოსული იყო, ბაბალწერო ხურსთან-ხანოვაგთან. ამ დღეს დილადრიანად ჩემმა დამ სონიამ თვალი შეასწრო ტერენტი გრანელის, რომელიც ალენის კიბეებზე ამოდიოდა.

ტერენტი შემოვიდა, გადამეხვია, თვალზე ცრემლები მოადგა და მითხრა — ეი, ალე შენიდე რა დღეში ჩავარდი, არ ვიცი რა მჭირს, რა მემარცხება... არ გეცოდები?

მე დავუკვირდე ტერენტის, მოვეფერე, გავამხნევე, მას ხომ ბავშვივით უნაზები გული ჰქონდა.

ტერენტი იყო თმა ამურძაგნილი, გამმდარი, წვერგაუპარსავი...

ჩემს დას სონიას წაეჩოჩარული ქვევით ხამრეცსაოში ჩასულიყო. დიდი ქვაბი დაედგა წყლის გასაცხელებლად, ახეც მოიკეა.

მალე ოთახში ამოვიდა. ხაგმელი და ჩემი ეზოს ადესის ღვინო მიართვა. ძალზე ესიამოვნა. ვეტყობდი მშიერი იყო.

როცა დანაყრდა, მამაჩემის მოცემული ნიკოლოზის დროინდელი სამარიელი პირი გავპარსე, გავალამაზე. ამასობაში წყალიც გაცხელდა. ჩავიყარენ სამრეცსაოში, კარგად ვაბანავე, ჩემი შარვალი და ხალათი ჩავაცვი, ზემოთ ამოვიყვანე და ჩემ ხაწილ ტახტზე წამოგასვენე.

ტერენტი ხალამი ეამს წავიდა ჩვენგან. შემდეგ იგი ერთხანს თვალიდან დამეკარგა.

ერთი წლის შემდეგ, იმ ხაზა კანდელაკთან წავედი. რომელმაც 1922 წ. ხაბლიდან გაპარული ბიჭი ბეშეფარა და მერე ვეფთა გიმნაზიაში მომაყვანა. როცა მისი ხაბლის ხადარაბაზისთან მივედი, ეზოს პატარა ბიჭები კიბის ქვეშ შეფაცურულ ოიგრიგობით კენჭებს ესროდნენ, ფიცრულიდან ყვირილი ისმოდა — მოვიდნენ მკვლელები, რა გინდათ ჩემგან, მაწყალეთ ხალხო, მეზობლებო...

ვიცანი, ტერენტის ხმა იყო. ბავშვებს დავუცაცხანე. კიბის ქვეშ ჩაეტყოდ ფიცრულთან მიველი. ტერენტის შეეძახე — გაალე კარი, გარეთ გამოდი, ნურაფრის გეშინია, ალეკსანდრე ვართქო.

ის შიგნიდან ყვირიდა: შენ მკვლელი ხარ, მოგზავნილი ხარ ჩემი მტრებისაგან, ალეკსანდრე დიდი ხანია მოკვდა. ის არ არსებობს ამ ქვეყანაზე. ღმერთმა ნაიყვანა იმ ქვეყანაშინ და სხვ.

ბუნდოვნებიტელი და ხაყდიანი დავბრუნდი ხაბლში. ტერენტი უკვე ამ ქვეყანისათვის აღარ იყო.

30-იანი წლები, უკუღმართი დრო იყო. ქართველ ლიტერატურის განვითარებისათვის დაკარგული პირებისა და ეამწვავებული ბრძოლის პერიოდი იყო მემარცხენეთა და მემარკვენეთა შორის დიდი შეხლა-შემოხლა.

1931 წელს ჩატარდა ფედერაციის წმენდა, როგორც მემარკვენეები ფედერაციიდან გარიცხეს პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიკოძე და კონსტანტინე გამსახურდია. იგი ლიუბეჩი — მტერი ან მოკავშირე.

„პროლეტარიული მწერალთა ასოციაციის მემარცხენე ნაწილს უნდოდა ერთი ხელის დაკვრით — ბრძანებით, ძალდადასებით გადმოეყვანა თანამგზავრი მწერლები რევოლუციის მხარეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აუბებდნენ პოლიტიკურ იარლიყებს.

პროლეტარიულ მწერალთა ასოციაციის რიგებში არსებული მემარცხენეები უდიერად იხსენებენ სხვა ლიტერატურული ჯგუფებს. ისინი არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ საჭირო იყო გარკვეული დრო, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, რომ თანამგზავრი მწერლები საბოლოოდ შემოქმედებითაც რამდენიაკენენ ახალი ცხოვრების სამხახურში.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მემარცხენე ვულგარიზატორებს, მხოლოდ თავები თავი მიიჩნიეთ ახალი კულტურის მშენებლებად. მაგალითად, ალიო მაშაშვილმა ლექს „ადრიატიზაში“ საკრთველო ახსენა. ამის გამო მკაცრად გააკრიტიკეს — პროლეტარიატი მხოლოდ ინტერნაციონალური კულტურას ქმნიხო.

1930 წელს კრიტიკოსმა კარლო მელიაქემ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№148) მწვავედ გააკრიტიკა ირონა ვაკელი, როგორ თუ ლექსში თქვა, ჩვენი სამშობლოა ქართლი, კახეთი, გურია; ქართველი სისხლი თვით მზის ფერიაო; „რას გავს ეს?! რა შუაშია აქ, მოყალაქე პოეტო, ქართული სისხლი. რა შუაშია აქ ქართლი, გურია და საკართველოს კუთხეებზე ნაციონალური აღიღინებას?!“

ერთი სიტყვით, ასეთ მდგომარეობას დაბნეულობა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა მწერლობაში.

(იმ ხანებში, მწერალთა კავშირში ხაციალური დისპუტი მოეწყო „მწერალთა გადახალისებისთან“ დაკავშირებით, თითქოს მწერალთა შემოკმეტდებითი მუშაობისა თუ ხაყოფაცხოვრებო პირობების შესახებ, მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა, მხოლოდ პროფოკაციების მოწყობისა და უსაფუძვლო ცილისწამებათა გავრცელებაში რომ ამეღოვნებენენ ნიჭიერებს, ეს დისპუტი მწერალთა პრეზიდიუმს შესარცხვენად, მათი ერთძანეთზე გადაკიდებისა და ქართველი მწერლების ცნობილი წარმომადგენელთა დასარხვაად გამოიყენეს. მათ ქართველ მწერლებში აღმოაჩინეს რეაქციული და ზურგიდ ხელგაშეკრული მწერლების ფენა და ხაჭიროდ ხცნეს მწერალთა რიგებიდან გამოუხურებელი,

აწკარა რეკავიცული და ზოვინინტი მწერლების, მისი პასიური წევრებისა თუ მწერალთა ორგანიზაციისთან თითქოს მიტმასნილ ორა მწერალ ინტელიგენტების გამორიცხვა. ამ მიზნით. მათ მიერ შექმნილმა წმენდის რაბტარებელმა კომისიამ გასარიცხად განწორული მწერლებად ხმორედ სამაგალითო მოღვაწე მწერლები შარარიგეს, რომელნიც სამ კატეგორიად გამოქვეს: პირველი კატეგორიით როგორც რეკავიცოლერები და ზოვინისტები გარიგიეზნენ — პავლე ინგოროვეა, კონსტანტინე გამსახურდია, ზალვა (თავუნა) შარაშიძე, ოსეს იმედაშვილი, მეორე კატეგორიით — ხარტინ ვარდოშვილი, ქრისტოფორ რაკველიშვილი, ბიძინა ბაუელაძე, ცვარ-ნამი, ირადიონ სონლიფილი, სოსო ჯანტურიშვილი, ალ. ჯანაშვილი, სიმონ ქვარიანი, თედორე კიკვიძე, ივანე ელიოზეშვილი, კოკი ბაბაშიე, ნიკო ეკლიფილელი, მეხამე კატეგორიით — მიხ. საკვაროლიძე, სიმონ ჯანაშია, მიხეილ ბარაბაშვილი (მწერალთა ფედერაციის რიგების გადაბალისება, გაზ. „კომუნისტი", 1931 9. VI. № 131, გვ. 8).

კარგად მახსოვს უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. რამდენიმე ლექსი კრებულის ავტორი. ერთ დღეს მწერალთა კავშირის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში დამიბარეს. როცა მივედი, დამხვდა ფრიდონ ნაროფშვილი, პლატონ ქიქოძე და ზ. შავგულიძე. მათ შემოიკვანეს სამდივნოს კაბინეტში, მწერალთა კავშირის ახალგაზელი თავმჯდომარის კაბინეტში.

შუხვლისთანავე პლატონ ქიქოძე მეუბნება, რასაც ვეტყვით უნდა დაგვთანხმდე. ხომ ხედავ როგორი ბრძოლის პერიოდია. შენ ჩვენთან უნდა იყო. ილიაზე აუგად სახსენებელი ლექსი უნდა დაგვენერო. ჩვენ ამას დავბეჭდავთ და შენზედაც კარგად ვილაპარაკებთ.

ძალზე ავღელდი. თავი ვერ შევიკავე და მოვთქვი — თქვენ ხართ ლიტერატურის ჯანალები. მე შოთას, ილიას, აკაკის და ვაჟას ვსწავლობ, ისინი მინათებენ გზას და თქვენ მზაკვრულ ხერხებსა და გზას ვერ გავუვლი, ტყუილად ცდილობთ-მეთქი.

ფრიდონ ნაროფშვილმა შემომძახა — მაგი ტერენტი გრანელის მეგობარია, შემოპარულია ჩვენთანო და ხელი ხაყელში მტაცა. ამ ვაი მწერლებმა ოროოდე მაგარი მუჯლუგუნიც მითავაზეს და კაბინეტიდან გამომგდეს. შალვა შავგულიძეს ხმაც არ ამოუღია, იგი კარებთან იდგა და გაკვირვებული გვიყურებოდა.

ამ მავნე ჯგუფმა მეც გამრიცხა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან. ბხილოდ ხაბჯოთა მწერლების პირველ ხაკავშირო ყრილობის შემდეგ, 1934 წელს ალმადგინეს. ამ წლიდან ვითვლება სხრკ მწერალთა კავშირის წევრად.

მიწდა კიდევ ერთი ეპიზოდი გავიხსენო ტერენტი გრანელის შესახებ, მაგრამ ეს მოგონება ეკუთვნის ჩემი სტუდენტობის მეგობარს გრიგოლ ორახელაშვილს. ეი, რას წერს გრიგოლ ორახელაშვილი, ქედაგოგი, თბილისის მეგობარი

„ამ დროს ქვაფენილზე ტერენტის ხმალი ვგამოჩნდა, ქაკეკავლის ასახეკეი გადმოაგრა და ნელი ნაბიჯით ჩვენკენ წამოვიდა. ფეზზე ეცვა შავი ბათინკები, ზონარიან შეუბნეკეთ, რომელსაც მიწაზე მითარავდა. ტანზე ეკუ[illegible]ნდა თეთრი ხალათი ეცვა და ამ ხალათზე დაბამბული ყვითელი ალტაკ ჰქონდა წამოსხმული. მარცხენა ხელით გულზე ახუფებული ჰქონდა ლეკ ტოლტოის ფერადფიანი „ანა კარენინა". მარჯვენა ხელი ალტაკს ჯიბეში ჰქონდა ჩადებული, თავი ბალლა ეიწია და ქერა, ბზარი თმა უკან გადაშეკეფილი, მეტისმეტად ანეწილი ეანდნა. მან ჩვენ ჯგუფს ცოტა მოშორებით ჩაუარა ისე, რომ არ მოგვსალმებია. მაშინვე ხაუბარი ტერენტიზე ჩამოვარდა. ფრიდონ ნაროფშვილმა ბიკეზს უთხრა: — ეს სულელი მამამაძალი, ვკარცხეკინ; ჩვენებური მაინც ან იყოს, უნდა ვცემოთო. ირაკლი აბაშიძემ უპასუხა: — რად უნდა სცემო, კაცი ავად არის. ირაკლიმ სიტყვების დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ პატარა ფრიდონი უცაბ გაგვეკეკა, წინ გადაეღობა ტერენტის, წაართვა წიგნი, ჯიბეში გადაუგდო და გაარტყა. ჩვენ მივვარდით. ტერენტი ეკითხოდა ილანძეკეზოდა, მთელი ტანით კაკალეზდა, ტიროდა. ტერენტი დაკავშეკანრეთ და ფრიდონი ასეთი ხულეკნეური საქციელისათვის გეკკიცხეთ. ფრიდონი თავს იმარცლებდა და იმბობდა:

— სულელი არ არის, ჩვენ გვატყუებს, მათხოვარია, პოეტებს გვარცხვენს, ცემის ღირსიოთ.

ამის გულისხმაეთვის ირაკლი აბაშიძემ ფრიდონი გაკიცხა, როგორ გეკატიკეთ ასეთი საქციელი, ავადმყოფს შეურაცხყოფას აყენებენ. ამ ამბიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მორიგ ლიტერატურულ გვერდში მოთავსებული იყო კარიკატურა, მეგობრული შარჟი, რომელიც ასე გამოიყურებოდა — ხაზამორო პალტაზი ჩაცმული ტერენტი გრანელს დაბალი, ხმელი-ხმელი შუხაგდაობის ფრიდონის სცემს. ამ სურათს ქვემოთ ასეთი წარწერა ჰქონდა:

ფრიდონ აფრინდა, აფრინდა,
ზაგეკი გადინდირა,
თბილისს დაეკა პოეტებს,
ტერენტის მტვერი ადინა.

ტერენტი გრანელს ბოლო ხანებში თბილისის ხაზოგადოებრიობის ქუჩაში ვეღარ ხვდებოდა. იგი სურამის ფსიქიატრიულ ხაავადმყოფოში იწვა. მას ხანდახან გაიიზ იმედაშვილი ნახულობდა, რომელიც იმხანად ხაშრის სარაინო გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. ჩვენ მისგან ვიგებდით ამ გაწამებული პოეტის ამბავს. ისიც გვიგიეთ, რომ ტერენტი ფსიქიატრიულ ხაავადმყოფოდან გაპარულიყო და თბილისში ჩამოსულიყო. ადგრამ ხად ან ვისთან მივიდა პირველად. ზუსტად ვერ დავდგინე...

1934 წლის 18 ოქტომბერს, მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველმა იროდიონ ქავეარაძემ, სამსახურში დამირეკა.

დაძახებისთანავე. მწერალთა კავშირში გავჩნდი. იროდიონმა მეტად არახასიამოვნო ამბავი დამახელერა: — ტერენტი გრანელი „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა და დაგვავალეს უნდა ვუპატრონოთო. აი, რას წერს იროდიონ ქავეარაძე გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1985 წლის 25 მარტის ნომერში: — „საუკუნის გადასახედიდან“: „მისი დაკრძალვის თვის მობმა მე დამეკალ, მახსოს, ალექსანდრე შანიძე, მე და ტერენტის და ვიყავით. გაზეთში კი ეწერა, დაკრძალვას ბევრი მწერალი დაესწროო. ეს მართალი არაა“.

იმავე დღესვე მე და იროდიონი წავედით მორგში, მიცვალებულთა შორის მოვნახეთ ტერენტის გვამი. ძლივს ვიცანით. წვერმოშვებული, თვალებჩაცვენილი, სახეგარუჯული იყო, შიშველი. ტანზე რადაც ზოლები აჩნდა. ამ სურათმა რადაც ამაზრზენი შიშის გრძნობა მოგვგვარა.

თვალებზე მომდგარ ცრემლებს ვიმშრალებდით.

დაყოვნება აღარ იქნებოდა, დავტრიალდით. დამკრძალავ მიუროში წავედი, კუბო შევუკვეთეთ. ტანზე ჩასაცმელიც ვუყიდეთ. ერთი სიტყვით, გავაპატიოსნეთ.

აი, ჩემი დღიურიდან, რაც ამოვწერე:

„1934 წ. 18 ოქტომბერი. დღეს დავახლოებითი დიდი პიეტი ტერენტი გრანელი, „გამოვასვენეთ არამიანცის კლინიკის №1 საავადმყოფოდან. ხალხმა მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხაზოგადოება და ქართული მწერლები.

საცხედრესთან მოვიდნენ და გასვენებას დაესწრნენ: გიორგიდავშვილი ვალერიან, ქავეარაძე იროდიონ, შანიძე ალექსანდრე, გაზერელია აკაკი, კობიძე დავით, აგარელი გობრონ, წერეთელი ალექსანდრე, კეშელავა პლატონ (თამაზ ბორელი), გორგაძე ვასო, გაბესკირია ვიკტორ, ჭელ-ბაქიანი ალოლონ (გენო), იმედაშვილი გაიოზ, ტერენტის და (სახელი არ მაქვს ჩაწერილი რომელი იყო), გ. ტაბიძე.

კუბოს სახურავი მიგვკონდა მე და აკაკი გაზეთრელიას. დავასაფლავეთ პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად, დასავლეთის მხარეთ.

ახე დამთავრდა მისი შავბნელი ცხოვრება და დაიწყო „მარადისობის ლაჟვარდები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულხანიშვილი

მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

რა თქმა უნდა, ქაქუცამ ყურად იღო გოგოთურისა და ამარიკას რჩევა, ცხრა კაცი გავემგზავრეთ ცხენებით, ხოლო დანარჩენი რაზმი კი ბარისახოში დარჩა. წინ ამარიკა გაგვიძღვა და მიგვიყვანა ხევსურეთის უდიდეს დღესასწაულზე — ხახმატის ჯვარის დღეობაზე, სადაც მთელი მილეთის ხალხს მოეყარა თავი. ჩვენ იმწამსვე შემოგვეხვივნენ ხევსურები. ისინი დიდი სიმპათიით გვათვალიერებდნენ და თავით ფეხამდე გვწონიდნენ, იქნებოდა ეს ჩაცმა-დახურვის, შეიარაღებისა თუ სხვა მხრივ. ერთი მოხუცი ხევსური ქაქუცას მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, ახედ-დახედა და უთხრა: „შენ, ქაქუცაო, იმად ხარ კარგი ვაქაცი, რომ ჩვენი სისხლისა ხარ“-ო, ჩვენ დიდი პატივით გვეპყრობოდა მთელი ხალხი. იმ ჯამაათში მეც შემომხვდა რამდენიმე ხევსური, რომლებიც კარგა მიცნობდნენ და ვიცნობდი მეც ოჯახურად: სამე ის არის, რომ მამაჩემმა ჩამოასახლა ჩვენს მამულში ხევსურთა რამდენიმე კომლი, მათთან ხშირად ჩამოდიოდნენ ნათესავები და აი, ახლა აქ შემომეგებნენ და შემომეხვივნენ ისინი დიდი სიმპათიით.

დაიწყო დღეობის ტრადიციული ცერემონიაც. ხევის ბერებმა თავიანთი წესით წამოიწყეს ლოცვა ეკვნიანი დროშების ეღერით. ლოცვის დროს ქუდმოხდილი იდგა ჯამაათი, რაღა თქმა უნდა, ჩვენც მოვიხადეთ ქუდები და ბანი მივეცით საერთო წირვა-ლოცვას. ჩემთვის პირველი არ გახლდათ იმათებური ლოცვა, ვინაიდან მე კვლავაც მენახა და შევესწრებივარ, მას, თუმცა არა ამდენი ხალხის თანდასწრებით.

ხახმატის ჯვარი პატარა ნანგრევ ეკლესიას წარმოადგენს, რომელსაც დიდი ცაცხვები აქვს შემოვლებული გარშემო. მლოცველებს მრავალი საკლავი მოეყვანათ თან — კურატები და ცხვრები. აქა-იქ ვეებერთელა ქვაბებში იხარშებოდა ხორცი. რამდენიმე ალაგას უზარმაზარი ქვაბებით იდგა შავი ლუდიც. სხვათა შორის, საკმარისად გემრიელი! ტიკჭორებით ჭქონდათ არაყი, რომელსაც პაწია ყანწებით არიგებდნენ, ხოლო ლუდს კი ვერცხლის ჯაჭვებით მორთული ვერცხლისავე აზარფეშებით სვამდნენ. ადგილობრივი, მათივე ხელით იყო გამოხდილი ლუდიცა და არაყიც. ყველას უნდოდა ჩვენი სიამოვნება და ამიტომ ზოგს არაყი მოჭქონდა ჩვენთან და ზოგს ლუდი. მეტად ძმიმე იყო ჩვენი მდგომარეობა, რადგან რაზმში წესად გვქონდა დადებული, პირი არ დაგვეკარებინა სასმელისთვის, ხოლო აქ აღარ ვიცოდით, რანაირად მოვქცეულიყავით, რომ მასპინძლებისთვის არ გვეწყენინებინა. ამის გამო, ამჯერად ჩვენი ტრადიციის დარღვევა მოგვიხდა, მაგრამ ძალიან ეფრთხილობდით არ დავმთვრალიყავით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10,11 (1989).

ლაინის შემდეგ ჯირითი გაიმართა. ჯირითში მონაწილე მხედრები უბელო ცხენებზე სხედან და აუცილებლად ფარ-ხმალით არიან აღჭურვილი. ხევსურეთში გზები არ არის, მხოლოდ მიხვეულ-მოხვეული ბილიკები. ამ ძნელსავალ ბილიკებზე მოჯირითე საწყალ ცხენებს თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდათ ფეხით ტანზე დაკრული დეზებისაგან. მართლაც საინტერესო სანახავია მამა-პაპათა ვაჟკაცობის და სიჩაუქის ეთილსახსოვრად შემონახული სპორტის ეს ამადელვებელი და ლამაზი სახეობა. შეჯიბრის დასასრულს ფინიშთან პირველ მისული მოჯირითის საზეიმო დასაჩუქრების მოწმეებიც გავხდით.

საინტერესო ხალხია ხევსურები: ნიკელერი, ვაჟკაცური, რომელთაც წმინდად აქვთ შემონახული თავიანთი ზნე-ჩვეულებები. მე გულით მიყვარს ეს ზვიადი მთების ლაღი თემი და მით უფრო მეტად ვცქმ მათ პატივს, რომ რუსების სიძულვილში არ ჩამოუვარდები ამ ჭეშმარიტ, თავისუფლებისმოყვარე ქართველს!

ჯირითის შემდეგ ნიშაწში სროლაში გაიმართა შეჯიბრება, მაშინ ხევსურეთში შეიარაღებული იყო ყველა — დაწყებული თხუთმეტი წლის ჭაბუკით და გათავებული მხცოვანი მოხუცით. ყოველ ოჯახში მოიძებნებოდა სხვადასხვა ქვეყნების რამდენიმე თოფი. ხევსურები მეტად დიდ პატივს სცემენ შორ მანძილზე სროლას და ამიტომ უყვართ უფრო მეტად გრძელი თოფები, ეგრეთწოდებული „ფეხოსანთა ვინტოვკები". სასროლი დგილის პირდაპირ კედელივით ჩამოთლილი სალი კლდე იყო, რომელშიც ერთ ალაგას თეფშისოდენა თეთრი მოჩანდა. ეს, ის გახლდათ სამიზნი და მას ესროდნენ. ყველა ხევსურს ფურბინდი ეჭირა ხელში და მით უჭვრეტდნენ სამიზნს, ვინაიდან შეუიარაღებელი თვალით არ ჩანდა, თუ სად ხვდებოდა ნასროლი.

ნიშაწში მსროლელები სხვადასხვა თოფებით ისროდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთიელები თითქმის ყველა კარგა ისროდნენ. მაგრამ იმ დღეს ... ეს ... ბრალი ... ბრალი ... ბრალი

არაფერი გამორჩენოდათ. უცებ გაისმა სროლა და იქავე შემომესმა ქაქუცას მოწოწების შეძახილიც „კარგია“-ო. რამდენჯერაც გავარდა ჩემი თოფი, იმდენჯერ შემომესმა მისგან ეს წამაქეზებელი სიტყვა. მაგრამ ჩემთვის ყველაზე გასახარი იყო ის, რომ როგორც კი ჩემმა პირველმა ტყვიამ უწია თეთრ ნიშანს, ლამის ყველა ერთხმად გაიძახოდა: „აუ! აუ! რარიგ მიიღო! როგორ მიუწია ამ მოკლე თოფის ტყვია“-ო. საქმე ის არის, რომ მათ ჩემი სროლა კი არ აკვირვებდა, არამედ ის, რომ ამ ნიშნაურწეველი კარაბინითაო. მოკლედ, ხუთივე მარჯვედ მოვარტყი და თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ ერთი საათის განმავლობაში ვერ მივიღე ჩემი თოფი: ის ხელიდან ხელში გადადიოდა; გულდასმით გასინჯეს ყველანაირად და ისროლეს კიდეც. ბოლოს კარგად გაწმინდეს და ჩამაბარეს, თუმცა ორი ახალგაზრდა ხევსური მაინც არ მეშვებოდა: ჩამაცივდნენ, რომ იგი მათთვის მიმეყიდა; აბა, როგორ შემიძლო მასზე ხელის აღება, თუნდაც იმისი წონა ოქრო შემოეძლიათ მაგიერში; მე ხომ სროლაში საჩუქრად მჭონდა მიღებული ის კარაბინი!

საუცხოოდ ჩაიარა ხახმატის ჯვაროობამ. ხევსიბერებმა სიტყვა მისცეს ქაქუცას: ჩვენ მზად ვართ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. ასე რომ, დიდად გამოგვადგა გოგოთურის და აპარიკას რჩევა, საღამო ჟამს ხალხს გამოვემშვიდობეთ და ძალიან კმაყოფილნი დავბრუნდით ბარისახოში თვით აპარიკას და რამდენიმე ხევსურის თანხლებით.

ხევსურები შესანიშნავად მასპინძლობდნენ ჩვენს რაზმს ბარისახოში. სადაც ჩვენ ვბინადრობდით, გოგოთურის ეზოდა სახლი იყო. იქვე იდგა პატარა ქვიტკირის ციხე, რომელიც გოგოთურის შვილს, სულხანურს ეკუთვნოდა. ის ისეთი ვაჟკაცი ყოფილა, რომ თურმე მარტოდ მარტო გადადიოდა ხოლმე ჩეჩნების სოფლებში და ხოცავდა თავიანთ მტრებს. მას უკანასკნელად ერთი სოფლის მოლა მოუკლავს, თავი მოუჭრია მისთვის. ბარისახოში წამოუყვანია იქ დაუმარხია. ამისათვის აუშენებია მას ეს ციხე, რადგან იცოდა, რომ ამას არ აპატიებდნენ ქისტები, ამიტომ ის მზად უნდა ყოფილიყო მუდამ, განსაკუთრებით ღამით, შემდეგში სულხანაური თვით ხევსურებს მოუკლავთ შეცდომით, რადგან იგი ჩეჩენივით გადაცმული ყოფილა მომავალი თვით ჩეჩნების მხრიდან და ვერ უცვნიათ, ამის თაობაზე კიდევ მექნება ლაპარაკი დაბლა.

გოგოთურის სახლთან ახლო საკმაოდ კარგი ნაშენი, თუმცა მოუვლელი ეკლესია იდგა, რომელშიც წირვა არ სწარმოებდა. მღვდელი ვიღაცას მოუკლავს, ხოლო შეშინებული დიაკვანი გაქცეულა. მთლად აოხრებული იყო ეკლესია და აღარც წმინდა ღვთისმსახურების საგნები იყო წმინდად დაცული ღვთისმგმობთა ხელყოფისაგან. თვით ამის დასტური იყო ისიც, რომ არც ძალიან დიდ ხანს გაუვლია და იქ დავინახე ორი ახალგაზრდა ხევსური, რომელთაც მღვდლის სამოსელისაგან შეკერილი პაჭიჭები ემოსათ ფეხთ...

●

თუ მეხსიერება არა მღალატობს, ამბოხება ექვს აგვისტოს უნდა დაწყებულიყო. იქ, სადაც ჩვენი ხელი წვდებოდა, ყველაფერი კარგად იყო მოგვარებული, ყველა რაიონში, ყოველ სოფელში იყვნენ დანიშნული ათისთავები და ასისთავებიც, გარდა ამისა, იარაღი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ხალხს, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ დამკომზე იყო დამოკიდებული ორგანიზაციების მოწყობა და იმათი დარაზმვა, რადგან ჩვენ ვა სასხეთაშორისოდ თუ ვწვდებოდით. ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოსთვის ხევსურეთის ამბოხება იყო ხელსაყრელი ყველაზე მეტად. ქართველი ხალხი მალე მიხვდა თავის დიდ შეცდომას, რომ მტერს თითქმის უბრძოლველად ჩააბარა რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული თავისუფლება; თუ ვინმე იმას ფიქრობდა, რომ რუსები

თეთრ ჰურს მოგვიტანენო, მოტანის მაგიერ მათ ჩვენი ჰურიც დანთქეს...

ამ დიდი სამამულო წამოწყების მოლოდინში მეედრად იდგნენ ჩვენი საუკეთესო ძალები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ამბოხების დღეს. უადრესად მოწადინებული იყო ჩვენი ძველი მხედრობაც, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის შეეწირა თავი. ეს გახლდათ სწორედ ის მხედრობა, რომელსაც უნდობლად ეკიდებოდა ჩვენი მთავრობა და ჩვენს ჯარში ასლაგამოჩეკილი, რაღა თქმა უნდა, საკუთარივე პარტიის მხედრობა ჰყავდათ. შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მუსხელიშვილი, ჩვენი კაცი იყო და მისგან ვიცოდით ყველაფერი. მაშინ ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ წითლები. ცნობილია, რომ იმ ხანებში სულ ათი ათასი რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა საქართველოში, რომლებიც უმეტესწილად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში იყვნენ მიმოფანტულნი, როგორც მუდამ, საქართველოს ძალებს პარტიები ასუსტებდნენ და ანგრევდნენ სძაგელი და დამღუპველი ქიშპობით ურთიერთშორის.

მართალია, ჩვენმა მაღაროსკარის ბრძოლამ ცოტა ნაადრევი ხასიათი მიიღო, მაგრამ დიდად არ შეცვლილა ამბოხების გეგმა. ამბოხება დაიწყო ზუსტად იქ. სადაც უნდა დაწყებულიყო. ამ მზადების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ დროულად ვერ მოვასწარით დაკავშირება მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიისთან და მხოლოდ უკვე ბრძოლების მსვლელობისას მოვახერხეთ ნაწილობრივი კავშირის დამყარება ჩეჩნებთან. ამაზე კიდევ მექნება საუბარი ქვემოთ.

ამასობაში ჩვენ ცნობა გვქონდა მიღებული, რომ სადაცაა რუსის ჯარი უნდა მოგვწყდომოდა და გვინდოდა რაც შეიძლება მეტი ძალა შემოგვეტყუებინა არაგვის ხეობაში. გეგმა ჩვენი უფროსი მხედრობის მიერ იყო შემუშავებული შტაბის უფროსთან შეთანხმებით, ამ მიზნით კაიგზავნა ხევსურების რამდენიმე რაზმი. და ზოგადად ჩვენიც. რომელთა ამოცანას შეადგენდა ის, რომ მაღაროსკართან [illegible] ვედროდნენ რუსებს, პატარა [illegible] ლა წამოეწყოთ მათთან და ამასობაში თანდათან დაეხიათ უკან. ასე შემოიტრეკნ დიდი ძალები არაგვის ვიწრო ხეობაში და ბრძოლაც დაიწყო! რუსები ძალიან მძიმედ მოიწევდნენ წინ. ჩვენ გვიხაროდა, რომ სწორედ ის ხდებოდა, რაც გვსურდა. გააფთრებული იბრძოდნენ ხევსურებიც და ჩვენი რაზმელებიც. ერთმა ცალეგზა მოხუცმა ხევსურმა ხუთ კაცს აპყარა იარაღი: ჯერ საკეტები გამოაძრობინა, რომელთაც იქვე თავის აბგაში აწყობდა, მერე მათვე აპკიდა თოფები და წინ გამოირეკა ბარისახისაკენ. ჩვენ, ხუთი კაცი, რაზმის მისაშველებლად მივდიოდით ქვემოთ, რომ ჯერ კიდევ შორიდან შეენიშნეთ შეიარაღებული ხალხი. იქვე მივიმალეთ, რომ უფრო ახლო მოსულიყვნენ და ადვილად ჩაგვეგდო ხელში ისინი. მაგრამ როცა მოგვიახლოვდნენ, დავინახეთ, რომ მათ ეს კოჭლი ხევსური მოსდევდა უკან თოფით ხელში. ჩვენ თვალებს არ ვუჯეროდით, სანამ სულ ახლოს არ მოვიდნენ და მხოლოდ მაშინღა მივხედეთ, თუ რა უნდა მომხდარიყო. ყველაფერი რომ გვიამბო, ხევსურმა ტყვეებს მიმართა: „თუ მეტი შნოი არა გაქვის, რაიდ მოჰდიხართ საბრძოლველად“-ო. მე პირდაპირ გაოცებული მივჩერებოდი ამ მთლად გათეთრებულ ბერიკაცს და თან გულში გავიფიქრ: „აი, თურმე რისთვის უყვარდა ხევსურები ჩვენს სახელოვან მეფე ერეკლეს“-თქო, თან თვალწინ წარმომიდგა ძველი ისტორიული ამბები. ამის მერე ჩვენ ეს ტყვეები გავიჩხრიკეთ, თან ერთი რაზმელი გავაყოლეთ და ისინი ბარისახოში წაიყვანეს. სამწუხაროდ, მე აღარც სახელი მახსოვს და აღარც გვარი იმ მართლა სამაგალითო ვაჟკაცისა!

ორი-სამი დღე გრძელდებოდა ის ბრძოლა. გეგმის თანახმად, ჩვენ ველოდით, რომ ზურგში დაარტყამდნენ ჩვენზე მოსულ მტერს, ხოლო იქიდან კი ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ერთ ღამეს უც-

ბად უკან დაიხიეს ჩვენზე მოკარულმა ნაწილებმა. მთლად დაიცალა არაგვის ხეობა და ისინი ბარში გავიდნენ. მხოლოდ ახლოდა შეგვეპარა ეჭვი, რომ ალ-ბათ გაცემას უნდა ჰქონოდა ადგილი, თუ არა და რატომ არ დაარტყეს ზურგში? ამის გარდა კიდევ ათასნაირი აზრი მოგვდიოდა თავში, თანაც ვფიქრობ-დით, იქნება ცოტა ძალა იყო შემოჭრი-ლი ხეობაში და მომეტებული ჯარის შემოსვლას ეცდიდნენ, რომ ერთბაშად დაერტყათ. ამ საგონებელში რომ ვი-ყავით ჩავარდნილი, მაშინ ივანეუდა ქა-ქუცამ, ახლა უფრო მეტი ძალა წამოვა და ჩვენც უფრო მეტ ძალას უნდა მო-ვეუყაროთო თავი. ამისათვის მან ხევსურ მეთაურებს მიმართა. ჩეჩნები უნდა მო-ვიშველიოთო. ხევსურებს ეს აზრი კი მოეწონათ, მაგრამ ეჭვი გამოთქვეს: პირაქეთ ხევსურებს მტრობა გვაქვს მა-თთან; ამიტომ ჩეჩნები არც გვენდო-ბიან და არც წამოვლენო. მიუხედავად ამისა, იმათ მაინც გადაწყვეტეს შუაკა-ცების გაგზავნა. ქაქუცამ მე დამავალა ამ მძიმე საქმეზე წასვლა. მან თან გამა-ყოლა ერთი ბარში გადმოსახლებული ხევსური, აბიკა ჯინჭარაული, რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი მსუბუქად იყო დაჯილი ფეხში, მაგრამ ცხენით ადვი-ლად შეეძლო მოგზაურობა. ეს თათბირი გოგოთურის კარ-მიდამოში შედგა. ორივე მაშინვე შევუდექით მგზავრო-ბის სამზადისს. ქაქუცამ დავალება და დარიგება მომცა, ხოლო მეთაურმა ხევ-სურებმა ეს მითხრეს: „უთხროდი ქის-ტებს, მართალია, მტრობაა ჩვენ შორის, მაგრამ დროებით დავივიწყოთ: რუსები, რომლებიც კარზე გვაყენან მომდგარნი, მტრები არიან ჩვენივე და თქვენივე, ხევ-სურეთში რომ შემოვლენ, მერე თქვენ-თანაც მოვლენ“-ო. ამ ლაპარაკში გოგო-თური სადღაც წავიდა და დაბრუნებისას მან თან მოიყვანა ორი ბაშვი — ბიჭი და გოგო. უფროსი მათგანი სამიოდე წლისა თუ იქნებოდა, მან ხურჯინი მომ-მიტანა და ასე მომმართა: „აი, შენი კვნესა მე, ეს ბავშვები ჩემი შვილი სუ-ლხანაურისანი არიან; ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს; ესენი წაიყვანეთ და მიჰგვარეთ ქისტებს“-ოო. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სულხანაურმა ქისტებმა ბორის თავი მოჭრა, წამოიღო და ხევ-სურეთში დამარხა; და აი, ახლა მამამისი შვილიშვილებს მატანდა მე ქისტებთან, ესე იგი ჩეჩნებთან, რომ მათ სისხლი აეღოთ! ამაზე კინაღამ გადავირიე: „რას ამბობ, გოგოთურო, როგორ შეიძლება, რომ სისხლის ასაღებად ქისტებს მივგვა-რო უსუსური ბავშვები; ეს შეუძლებე-ლია“-მეთქი. აქ ქაქუცაც მოვარდა: „გოგოთურო, როგორ შეიძლება, რომ ბავშვები მოჰგვაროს ქისტებს სასაკლა-ოდ“-ოო. „რა ვუყოთ, ქაქუცაო, სამშო-ბლოს უჭირს და ქისტები ისე არ დაგვე-ხმარებიანო“, გულამოხეთქით წარმო-თქვა გოგოთურმა. როგორც იქნა, ბევ-რი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ჩვენ ძლივს გადავათქმევინეთ მას ეს აზრი და ამის შემდეგ უმალ გზას გავუდექით მე და აბიკა.

●

შუადღე გადასული იყო, რომ შატი-ლში, პირიქითა ხევსურეთში მივედით. მე იქ არავინ არ მყავდა ნაცნობი, მაგ-რამ აბიკა კი იცნობდა რამდენიმე ოჯ-ახს. ბედად, პირიქით ხევსურეთში შა-ტილიდან შერიგებული იყვნენ ქისტე-ბთან ისე, რომ მისლა-მოსლა ჰქონ-დათ ერთმანეთში. ჩვენ უკვე აჩენილი გვყავდა კაცი, რომელიც ქისტებში უნ-და გადაგვყოლოდა. მთის მცხოვრებ-ლებში, ხევსურეთსა თუ ჩეჩნეთში, უცხო პირს აუცილებლად ადგილობრი-ვი კაცი უნდა ახლდეს თან, თორემ სა-ხიფათოა მარტო გამოჩენა: მტერი ეგო-ნებათ და შეიძლება მოკლან.

შატილი ხევსურეთის უკანასკნელი სოფელია, იქიდან სამი-ოთხი კილომე-ტრიღა თუ იქნება საზღვრამდე. საზღ-ვრიდან ქისტების პირველი სოფელია ჯარეგო. იმ ღამეს აბიკას მეგობრების ოჯახში დავრჩით. დილაადრიან ჩვენი მასპინძელი გაგვიძღა წინ თავის ჯა-რაკათი და ერთ ოჯახში მიგვიყვანა ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგოში. მაშინვე მოვიდნენ მეზობლები, მოგვესალმნენ და გამოგვკითხეს, თუ რა ამბავი ხდებოდა ხევსურეთსა და საერთოდ მთელ საქართველოში, თან იქვე დაიწყეს ძახილი ერთი სოფლიდან მეორეში. ეს არის მათი ტელეფონის მაგიერი: გადაძახილი ერთი მთის სოფლიდან მეორე მთის სოფელში! საოცარია, ხმა ხომ ძლიერ-ძლიერობით ისმის და რანაირად არჩევენ, თუ რას იძახიან. თუმცაღა, ნათქვამია: ჩვეულება მეორე ბუნებაა და ჯეშმარიტად: იმათი გაწურთნილი ყურთასმენა შეუმცდარად ერკვევა ნებისმიერ გადაძახილში!

იმავე დღეს შეიყარეს თავი წარჩინებულმა თავკაცებმა და შეიქმნა სჯა-ბაასი, მე მათ იქ გადავეცი როგორც ქაქუცას, ასევე წარჩინებულ ხევსურ თავკაცთა დანაბარები. იმათში ზოგი ქართულად ლაპარაკობდა და ზოგი რუსულად. ამიტომ ჩემი ნათქვამი ადგილზევე ითარგმნებოდა ჩეჩნურად. ქისტებს რომ ყოყმანი შევატყვე, ვიკითხე, თუ რა იყო მათი დაბრკოლება, მათ გულახდილად მითხრეს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე: ჩვენ შატილთან მეგობრობა გვაქვს, ხოლო პირიქეთ ხევსურებთან კი — მტრობაო; ვაითუ მათ ხეობებში ჩაგვიტყუონ და იქ ჩაგვხოცონო, მაშინ მე მათ ავუხსენი, რომ ხევსურებმა პირობა მისცეს ქაქუცას დროებით დაივიწყონ ეს მტრობა, რადგან საერთო მტერია კარს მომდგარი; გარდა ამისა, ის ხევსურები შეერევიან თქვენში, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა გაკავშირებთ და ამგვარად, არავითარ საფრთხეს აღარ ექნება-მეთქი ადგილი. ეს აზრი ქისტებს ჭკუაში დაუჯდათ და გადაწყვეტეს, რომ დასახმარებლად შემზადებულიყვნენ.

იმ ღამეს ჯარეგოში დავრჩით. მეორე დილით უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი, რადგან წინა დღით ყველამ ვერ მოასწრო მოსვლა. დაიწყეს მოლაპარაკება ურთიერთშორის. ბოლოს ყველა დაყაბულდა დახმარების ხელი გაეწვდიათ ხევსურებისთვის, და რაც შეიძლება მალე. იქვე დანიშნეს დღე, რომ ჯარეგოში შეეჯარათ თავი შატილში გასაამზავრებლად, ხოლო იქიდან პირიქით ხევსურეთისკენ გაგრძელებულნენ გზას.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, რომ ქისტები ასეთი პატივით მოგვეპყრნენ და ჩვენმა მისიამ კარგი შედეგი გამოიღო, ასეთ მოკლე ხანში შეუძლებელი იყო მეტის გაკეთება, ბარის ჩეჩნებთან დაკავშირება არ შეგვეძლო, ვინაიდან ამას დრო სჭირდებოდა და ამიტომ გადავწყვიტეთ დაბრუნება შატილში, რომ იქაური საზოგადოებისთვის შეგვეტყობინებინა ჯარეგოს ქისტებთან დადებული პირობის ამბავი.

ამგვარად, ისევ შატილში დავბრუნდით. ჩვენ იქ უნდა დაგვეცადა ქისტების რაზმებისთვის, ხოლო იქიდან საჩქაროდ წავიდოდით ერთად ქაქუცას დასახმარებლად, შატილში ჩასვლისას ჩვენ იქ ქაქუცას გამოგზავნილი კაცი დაგვიხვდა წერილით, რომლითაც გვატყობინებდა: უკან დაბრუნეთ ქისტების რაზმები, რადგან აქ ყველაფერი წახდა: ალბათ ღალატს აქვს ადგილი; ამიტომ ჩვენ კახეთისკენ მივდივართ აქედან და შენ დროებით როგორმე მანდ შეინახეო თავი. ეს ამბავი ტყვიასავით მომხვდა გულში, მაგრამ რა გაეწყობოდა, წერილის შინაარსი ჩემს მასპინძელ ძალიკას და რამდენიმე უფროს თავკაცს გადავეცი და ამასთანავე ვთხოვე, რაზმელები რომ მოვიდოდნენ, მადლობა გადაეხადათ მათთვის და უკან გაებრუნებინათ.

ამის შემდეგ, რაკი იქ აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი, გადავწყვიტე: ბარისახოში მაინც ჩავალ, ვნახავ ჩვენს ხალხს და იქ უფრო დაწვრილებით გავიგებ მათგან, თუ რა მოხდა ისეთი ამ ხუთიოდე დღეში, რომ მდგომარეობა ასე მკვეთრად შეიცვალა-თქო.

●

ბარისახოს მახლობლად სოფელ აკუშში რომ ჩავედით, იქიდან კაცი გავ-

ალექსანდრე სულხანიშვილი

ბოგონიგეგი ფეფიცოლოა რაზმზე

გზავნე აპარიკასთან. ის მაშინვე ჩემთან გაჩნდა და უფრო დაწვრილებით მიამბო ყოველივე: შენი წასვლის მეორე დღეს დიდი ძალა მოგვაწყდა; ბევრი ვებრძოლეთ; ბევრი ჩავხოცეთ ხეობებში; საკმარისად დაიხოცნენ ჩვენი მხრიდანაც, მაგრამ ბარმა გვიღალატა; ზურგში რომ უნდა დაერტყათ რუსებისათვის, ალარ დაარტყეს და იმდენ ძალას ვერ გავუძელით; ისინი ქაქუცას რაზმის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, მაგრამ იმან ღამით ალყა გაარღვია და მშვიდობიანად გავიდა; წასვლისას მითხრა, რომ შენი აქ გაჩერება შეუძლებელია; ამიტომ შატილში უნდა დაბრუნდე; იქ უფრო ადვილად შეინახავ თავს დრომდე; მერე ვნახოთ, როგორ შემოტრიალდება საქმე და შეგატყობინებთო.

როგორც იცით, ჩემთან ერთად იყო ხევსური ამიკა ჯინჭარაული, რადგან მდგომარეობა ასე შეიცვალა, მან მითხრა: არხოტში წამოდი; იქ ნათესავები მყავანან და ამ ზამთარში თავს მათთან შევინახავთ; ამასობაში მეც მომირჩება ფეხი და, რომ გამოზაფხულდება, ვნახოთ, რის გაკეთება შეიძლება; ვფიქრობ, მაშინ გაცილებით უფრო გაგვიადვილდება შეხვედრა ქაქუცასთანაო.

არხოტი ხევსურეთის ერთი ნაწილია. ისეთი დიდი თოვლი იცის იქ ზამთრობით, რომ ის მთლად ჩაკეტილია. ამრიგად, წლის ამ დროს იქ ვერც შეხვალ და ვერც გამოხვალ. ამის გამო ვუთხარი ამიკას: რა გამაძლებინებს, რომ ოთხი თვე ვერც ვნახო ვინმე და ვერც რაიმე ამბავი გავიგო-მეთქი. ის თუმცა ბევრს მეხვეწა, მაგრამ მე ქვა ავაგდე და თავი შევეშვირე. დაცილებისას ის ერთხელ კიდევ შეეცადა ჩემს დაყოლიებას, რომ არხოტში გავყოლოდი, მაგრამ ამაოდ. ვუთხარი, თუ რაზმი ვერ ვიპოვე, ვერ გავძლებ-თქო. მაშინ იგი გამოქანდა, გულში ჩამიკრა, მერე გზა დაკულოცეთ ერთმანეთს და ასე დავშორდით.

აქედან იწყება ჩემი ხიფათით აღსავსე და მოუსვენარი ცხოვრება. ახლა მარტოდ მარტო მომელოდა სიბოლო/ და ღმერთმა უწყოს, სად წავიწყვეტდი/ მტერსა თუ ჯაშუშს. ამრიგად, მეტის მეტად მძიმე შეიქნა ჩემი მდგომარეობა და მე თვითონ არ ვიცოდი, რანაირად დავაღწევდი თავს ამ გაჭირვებას. მე მაინც არ ვკარგავდი იმედს და ვფიქრობდი: რადაც არ უნდა დამიჯდეს, რაზმს მაინც უნდა შევუერთდე-მეთქი.

●

რა მოხდა, ანდა რა იყო მიზეზი, რომ ასე შეიცვალა გეგმა? მიზეზი, როგორც ყოველთვის, გაბლდათ საძაგელი და დამღუპველი ქართული ხასიათი — პარტიების ქიშპობა ერთმანეთ შორის და გამცემლობა! ასე მაგალითად, ხანდაკის ხეობაში მეამბოხეები იყვნენ თავმოყრილნი, სამასიდან ოთხას კაცამდე, რომელნიც ფალავანდიშვილის, ლაშქარაშვილისა და კიდევ სხვათა მიერ იყვნენ შეკრებილნი. მათ სათავეში უდგნენ როტმისტრი სიმონიკა ბაგრატიონ მუხრანელი, ოფიცერი ყარალაშვილი და კიდევ ორი-სამი სხვა, რომელთა აღარც გვარები მახსენდება და აღარც ჩინები. მათი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: როცა ჩვენ რუსის ჯარს არაგვის ეიწრო ხეობაში შემოვიტყუებდით, მათ ზურგში უნდა დაეცხოთ. ამრიგად, რუსის ჯარი მომწყვდეული გვეყოლებოდა და იმათი დამარცხება გარდაუვალი გახდებოდა, შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა მუსხელიშვილმა, კატეგორიულად მოსთხოვა სოციალ-დემოკრატების კოწია არდიშვილის მეშვეობით, რომელმაც თავის მხრივ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელს, ექიმ ცინცაძეს მიმართა, რომ მსგავსად სხვა პარტიებისა, იმათაც პოლკოვნიკ მუსხელიშვილის განკარგულებაში გადაეცათ თავიანთი რაზმები, მაგრამ ცინცაძემ ერთპიროვნულად ვერ გასცა მას საბოლოო პასუხი და თავიანთ პარტიაში დასვა საკითხი ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, ის საქმე თითების აშვერაზე მიდგა და ბოლოს ბევრი ჭაჭყანის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე უდროო გამოსვლებში, ამრიგად, მაშინ როდესაც გახურებული ბრძოლა მიმდინარეობდა არაგვის ხეობაში და ღვარად მიედინებოდა ქართული სისხლი, რამდენიმე დღე გავიდა მოლაპარაკებასა და ცოდვილი თითების აშვერაში და... სანამ პეტრე მოვიდოდა, პაველს კი გაეძვრეს ტყავი!

ამასობაში, სოციალ-დემოკრატებმა თურმე ყველგან დაგზავნეს აგენტები, რომლებიც თავიანთი პარტიის ხალხს ატყობინებდნენ, რომ უდროო გამოსვლებში არ მიეღოთ მონაწილეობა, იგივე აგენტები დადიოდნენ ხანდაკის ხეობაში თავმოყრილ მეამბოხეებშიც და ჩუმ-ჩუმად ეუბნებოდნენ ხალხს: დაიშალენით, წადით სახლებში, თორემ თუ ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა, ეგ თავადია და მამულებს მაშინვე მემამულეებს დაურიგებსო. ამისთანა პროვოკაციით ის სამას-ოთხასი კაცი ისე დაშალეს, რომ მათ ერთი თოფიც არ გაუსროთ.

ბევრი რამ გამოირკვა მას შემდეგ, რაც გამოსვლებმა მარცხი განიცადა. ჩვენ მრავლად შეგვხვდნენ ხანდაკის ხეობის ამბოხებაში მონაწილე მეამბოხენი და მათაც დაგვიდასტურეს ზემოხსენებული მუხანათობა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, 1923 წელში პირადად ლაშქარაშვილი იყო ჩვენთან და იმანაც გვიამბო ყოველივე ეს. უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში ის დიდად გამწყარალი იყო თავის პარტიაზე.

ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოსთვის ხევსურეთის ამბოხება გახლდათ ყველაზე ხელსაყრელი. აი, რად ვიმეორებ ამას: საქართველოში იმ დროს მხოლოდ ათი ათასი რუსი ჯარისკაცი იყო შემოყვანილი, რომლებიც მთელ ჩვენს ტერიტორიაზედ იყვნენ [illegible] ფანტულნი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მუსხელიშვილი ჩვენი კაცი გახლდათ და მისგან ვიცოდით ყველაფერი. რუსები მეტად სუსტნი იყვნენ მაშინ; ფართოდ იყო გაშლილი ორგანიზაციათა ქსელი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში; ყოველ სოფელში უფროსი ჰყავდა დანიშნული ათ ჯარისკაცსაც კი; გარდა ამისა, იმკამად აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ მრავლად გვყავდა მხედრობაც, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რამდენადაც დამკომისგან ვიცოდით, იქაც კარგად იყო მოწყობილი ორგანიზაციები; ჯერ კიდევ არ იყო განიარაღებული ხალხი და, რაც ყველაზე საინტერესოა, თვითონ ხალხი იყო ძალიან მოწადინებული საბრძოლველად, ვინაიდან ისინი მალე მიხვდნენ, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვა ჩვენმა მთავრობამ, რომ თითქმის უბრძოლველად ჩაბარა რუსებს ჩვენი ქვეყანა! ამისთანა სამარცხვინო და დამამცირებელ ხანას ვერ იპოვით საქართველოს გრძელ ისტორიაში. აი, ეს გარემოება იყო, რომ ტანჯავდა ქართველ ხალხს და ამის გამო მიილტვოდა იგი იარაღისაკენ, გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, თუ არა შინაგანი ღალატი, ნაღდი იყო 1922 წლის ხევსურეთის ამბოხების გამარჯვება! ალბათ ამგვარი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია უძველესი სიბრძნე, ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებაო!

ხევსურეთის ამბოხების ასეთი გეგმა შტაბის უფროსთან შეთანხმებით იყო გამომუშავებული იმ ჩვენი საუკეთესო გენერლების მიერ, რომლებიც 1923 წელში დახვრიტეს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდურაპმან ავტორხანოვი

სტალინის სიკვდილის საიდუმლო

ბერია — ჟანდარმერიის მარშალი

ისტორიიდან ვიცით, რომ არაერთგზის ახრულებულა გამორჩეული მოსწავლეებზე მასწავლებელთა წინასწარმეტყველება. სოხუმის ერთ-ერთი სასწავლებლის ისტორიის მასწავლებელმა ყველა თავის წინამორბედს გადაკაპარა, როცა მოსწავლეებს შორის ერთს უთხრა: შენ, ლავრენტი, იქნები გამოჩენილი კაკაესელი აბრეკი, როგორც ზელიმხანი ან როგორც არაბაკელან ცნობილი პოლიციელი ფუშე.

ბერია გახდა ერთიც და მეორეც. ბაკოს იატაკქვეშეთში და 1920-1921 წლების შენშევიკურ საკრთველოში იგი იყო წითელი აბრეკი, ხოლო შემდგომ — თხუთმეტი, წლის მანძილზე — ბოლშევიკური ფუშე.

ბერია ამაოდად იმით, რომ სასწავლებელში, რომელიც 1915 წელს 16 წლისან დამთავრა, „მეძებარსა" ეძახდნენ. ეს მეტსახელი ნათლად გვიჩვენებს, სიბერეთა საიდუმლო პოლიციის მომავალი შეფის სახეს, სასწავლებელში ზმარი იყო კურსიდნის შემთხვევები: მასწავლებლებს ეკარგებოდათ ფული, საკალლდეები, მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთებმანი. ლავრენტი გარკვეულ საზღაურად იწვევდა მათ ძებნას და, როგორც ნენი, თითქმის ყოველთვის პოულობდა მოპარულს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან უმეტესწილად ფეთონ იპარავდ მათ. ბერიას მიერ ჩადენილი ქურდობის ორმა შემთხვევამ დიდი ხმაური გამოიწვია სოხუმის ყველა სასწავლებელში:

ქალაქის დამრიგებელი მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ აწარმოებდა ჩანაწერებს. ბერიამ მოიპარა მთელი მისი „ჩრკვი", რომელსაც შემდეგ შეაბავალთა მეშვეობით მოსწავლეებზე ყიდდა. ამ ფაქტის გამო სასწავლებელმა კინაღამ დაკარგა სამსახური. ძიებამ დაბნეაზე ვერ დაადგინა. მეორე შემთხვევამ თვით სასწავლებლის დირეკტორი შეიწირა; იგი ეჯარჩეული ტიპის ბიბლიოფილი იყო, რომელიც რეჟიმის დამრღვევთ ყოველგვარი აღმზრდელობითი „შეგონების" გარეშე რიცხავად სასწავლებლიდან. ბერიამ გადაწყვიტა, ეკუთ ესწავლებინა დირეკტორისათვის სასწავლებელში საოლქო ინსპექტორის მორიგი ვიზიტის დროს მას ჯიბიდან ამოაცალეს საკმაოდ ხილიდერი თანხა. ეშვა მოსწავლეებზე მიიტანეს და სათითოდ გაჩხრიკეს, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს პოლიციამ მიიღო ანონიმური შეტყობინება, სადაც მითითებული იყო დაკარგული საფულის ადგილსამყოფელი. სასწავლებელში მოვიდა ბოკაული. მან დირეკტორს სთხოვა, გამოეღო თავისი საწერი მაგიდის უჯრა, სადაც აღმოჩნდა დაკარგული ფული. დირეკტორი იმ დღიდან სასწავლებელში აღარ მოსულა. თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ ეს ბერიას ოინები იყო., მაგრამ ამის დამტკიცება ვერავინ შეძლო. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ თვით ბერია მოუვა როგორ შეასრულა ეს ოპერაცია.

ბერიამ ჯერ კიდევ სიყმაწვილეში შეეხსნა ლბორატორია პოლიციური ფილოსოფია: „დასმენის სიყვარული და დამბეზღებელთა სიძულვილი." იგი თვითონ არასოდეს არავის ამბეზღებდა, მაგრამ თუ ვინმეზე ჯერის ამოყრას გადაწყვეტდა, მის შესახებ რაიმე მაკომპრომეტირებელს, სიცოცხე იქნებოდა ეს თუ სიმართლე, მოუყვებოდა ისეთ მოსწავლეს, რომელსაც იცნობდა როგორც დამსმენს.

ბერია გამორჩეული მოსწავლე იყო. იგი განსაკუთრებულ უნარს ფუტკ მეცნიერებებში ამელვნებდა. უყვარდა მასწავლებლის გამჭერა შეცდომაში. რაიული შეკითხვების მიცემა. ერთხელ მასწავლებელს ასეთი პროგაკიციული შეკითხვა დაუსვა: „რა უნდა გვიყვარდეს მეტად — მეფე, რუსეთი თუ საქართველო?" სწორედ ამ კითხვის პასუხი იყო ისტორიის მასწავლებლის ის სარკასტული შენიშვნა, რომელიც ბერიას მომავალს ეხებოდა.

ბერიას პოლიციურ-ჯანშეშური ნიჭი მოლი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი". № 1.

ნად გამოვლინდა მისი ბაკშში. გადასვლის შემდეგ, მან გამოცდები ჩაბარა ბაკოს ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც შემდეგ ფრიადზე დამთავრა და მიიღო ტექნიკოს-არქიტექტორის წოდება. დროის კამ მონაკვეთში რუსეთში ერთმანეთის მიყოლებით მოხდა ორი რევოლუცია. რამაც რუსეთი გამოთიშა ომიდან.

თუ რა მოღვაწეობას ეწეოდა ბერია აღნიშნულ პერიოდში, ამის კვლეკა მის ბიოგრაფებს ეკრძალებოდათ, ხოლო თუ ვინმე მაინც შეეცდებოდა ამის გაკეთებას, მას ჩეკისტები კლავდნენ.

ამ პერიოდის შესახებ მშრალი ოფიციალური ცნობები ფრაგმენტალია და ზზრიად შეთხზულიც. მაგალითად, ერთი ასეთი დოკუმენტის მიხედვით ბერია ბოლშევიკების პარტიაში 1917 წელს შევიდა (სინამდვილეში პარტიის წევრი გახდა 1919 წელს, მაგრამ სტალინმა ძველი რიცხვით დაუდგინა ოქტომბრამდელი რიცხვი. ასევე ხელოვნურად გაუზარდეს პარტიული მოღვაწეობის სტაჟი ეფოქს: ნაცვლად 1918 წლისა — 1917 წ.). ასევე არასწორია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ 1917 წლის ივნისში ბერია შევიდა რუმინეთის ფრონტზე და დახრჩეს 1917 წლის დასასრულს (სინამდვილეში ბერიამ ბაკოში გარკვეული საზღაურის ფასად „ინვალიდობის" მიმიზეზებით თავი „გაინვალიდულა" სამხედრო ვალდებულებისგან). ზოგიერთი ჭყაროს მიხედვით ბერია 1918-1919 წლებში ბაკოს იატაკქვეშეთში მოღვაწეობდა (თუ რაში მდგომარეობდა ეს მოღვაწეობა, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება). ბერიას ბაკოში მოღვაწეობამ განაპირობა მისი თავბრუდამხვევი პოლიციური კარიერა ერთდროულად ოთხ — საბჭოთა, მუსავატურ, თურქულ და ინგლისურ დაზვერვაში (მოგვიანებით სწორედ ამიტომ უწოდებენ მას „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი"). სხვადასხვა დაზვერვაში მისი მუშაობა ეკუთვნის, მაგრამ მთავარი მაინც გაურკვეველი რჩება: პროფესიის სიუკვრული ამოძრავებდა ბერიას თუ ჩეკას დავალებით მოკმედებდა? (იმ პერიოდის ბაკო ყველა დიდ საფაზვერვო სამსახურთა აქციების ცენტრს წარმოადგენდა.).

პირველი კავშირი, რომლის შემოწმებამაც შეიძლება, ეს არის ბერიას ურთიერთობა მუსავატურ და შემდეგ თურქულ დაზვერვასთან, ხოლო თურქული დაზვერვა, თავის მხრივ, კავშირში იყო ბერძნულ დაზვერვასთან. მუსავატებთან ბერია დაკავშირა სტუდენტობის მეგობარმა ბაკოელმა მირზა ბალამ, რომელიც შემდეგ აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწე გახდა. მირზა ბალამ ბერია გააცნო ბაკოს საკალაქო პოლიციის უფროსს მირ-ჯაფარ ბაგიროვს. ბაგიროვი ამავე დროს, საბჭოთა აგენტიც იყო. ბაკედან მოყოლებული ბერია და ბაგიროვი პოლიციური კარიერის გზაზე განუყოფელნი არიან. ალსანშნავია, რომ ისინი ბოლოს ერთ-ერთ საკმეზე დახვრიტეს. (თუმცა ბაგიროვი — ერთი წლით გვიან). ინფორმაციიდ, რომელიც ბერია მუსავატური დაზვერვისთვის აწვდიდა ბაგიროვს, ამ უკანასკნელის მიერ მე-10 ტომეული არმიის-შტაბში იგზავნებოდა. არმიის შტაბში ეურადღება მიაქციეს, რომ ამ ინფორმაციაში ბოდიოდა, ამიტომ ბაგიროვს წინადადება მისცეს ბერიას წმინდა საბჭოდრო დაზვერვის ხაზით „სპეციალიზაციის." ბერიას უტაფარმა ჯაშუშობა ინსტინქტად უკარნახა, ბაგიროვის სახით ვინთან ჭმნდა საქმე და მან „ხარის რქებით შეპყრობა გადაწყვიტა": ქარიფელ ეროზე დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეჭნილიყო საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ბაკოში და გუეზავნა ეროვნებათა სახალხო კომისარის სტალინს, რომელიც იმჟამად ცარიცინში იმყოფებოდა. მალე ბერია გამოძახებულ ჩეკას და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციათან — მიქოიანთან.

ერთი ტიპის ადამიანები ძნელად ერთიანდებიან, ხოლო კონტრასტულნი — უფრო ოლად. ბერიასა და მიქოიანს ერთიანებდა კარიერისტის თანდაყოლილი ალღო და ჯაშუშის გენიალური ნიჭი პოლიტიკაში. სწვა მხრივ ისინი ანტიპოდები იყვნენ: მიქოიანი იყო ხმიანი, ბერია ჩუმად ეკეთებოდა. (ეს არცთუ უმნიშვნელო დეტალი კიკეასიურ წარმოდგენებში. მაგალითად, ბუდუ მდივნის აზრით თბილისი უნდა ეგზეზნდნელიყო სომეხთაგან, რადგან „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" — სულაც არ ნიშნავს „ყველა სომეხი თბილისში შეიყაროს!"). მიქოიანმა სადვთისმეტყველო განათლება მიიღო, ბერიამ — ტექნიკური. ახალგაზრდობაში მიქოიანს მართლაც სწვადა მარქსიზმისა, ბერიას კი არასდეს ჭმენია არც ღმერთისა და არც მარქსის რწმენა, მიქოიანი ჯერ პოლიტიკოსი იყო და შემდეგ პოლიციელი, ხოლო ბერიას პირიქითაა: პოლიციელი ხეარობდა პოლიტიკოსს. მიქოიანი გახდათ ერთგული მეუღლე და ხანიმოუნო მამა; ბერიას საყვარელი ხდებოდა ყველა ქალი, რომელიც კი თვალში მოუვდოდა, ამიტომ იყო, რომ მის უკანონო შვილებს სათვალავი არ ჭმენდა. და ბოლოს; მიქოიანს შეეძლო ზელი მოეწერა სასიკვდილო განაჩენისთვის, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, პირადად არავინ მოუკლავს, ხოლო ბერიას ზზრიად მოუწერია ზელი სიკვდილი დასჯის ბრძანებისთვის, მან შემდეგ, რაც განაჩენი უკვე ალსრულებული ჭმენდა. ალნიშნულს თითბაზე ხარწმენო ცნობები წარმოადგინა ბრაუჩოვმა პარტიის XX ყრილობაზე.

ბაკოს იატაკქვეშეთში უცბოეთის დაზვერვის

საქმეებში მიქოიანის თანაშეწყნედ მუშაობისას ბერიას, არა მარტო მიქოიანის, არამედ ძერჟინსკის გვერდის ავლით, უშუალო კავშირი ჰქონდა ხალინთან. თანდათანობით იგი გახდა სტალინის უსინდისოსული ინფორმატორი, რომელიც მუშაობდა სტალინის მოწინააღმდეგე კაკასიელ ბოლშევიკებს შორის. მიქოიანმა, რომელმაც იცოდა, რომ ბერია მის შესახებაც აწყობდა ცნობებს სტალინს, გადაწყვეტა, თავი დაეცვა ბერიას პოლიციური მანქანისაგან, ამისთვის უტყუარი საშუალება იპოვა: იგი ყოველ პოლიტიკურ მოხსენებას, რომელსაც მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტსა და. ჩეკაში აგზავნიდა, როგორც „დიდი ნდობით აღჭურვილ პიროვნებას", ბერიას აცნობდა. ამ მოხსენებებში კი ბერია წარმოდგენილი იყო, როგორც ფასდაუდებელი მუშაკი. მიქოიანის ჩანაფიქრი გამართლდა — ბერიამ სტალინთან მიქოიანის პოლიტიკური აქციების ცამდე აყვანა დაიწყო. რითაც საკუთარი პერსონის მიქოიანისეულ ჭეშმარიტებდ ფასს:

1919 წელს სწორედ ბაკოში დაუკავშირდა პირველად ბერია ინდლისელებს. თუ ამ კავშირის შესახებ მხოლოდ ზეპირი გადმოცემები არსებობს, მუსაჯანურ დაზვერვასთან ბერიას „თანამშრომლობას უკავ დოკუმენტები გვიდასტურებენ. მათ შესახებ ისაუბრა 1937 წლის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბოლშევიკური პარტიის ცკ-ის წევრმა, აზერბაიჯანის ცკ-ის ყოფილმა მდივანმა, სერგ კიროვიანის სახელობა კოლხარმა გ. ა. კამენსკიმ. XX ყრილობაზე ბრუშვოვის მოწმობის თანახმად, ამას მოაყვა ის, რომ: „დამთავრდა თუ არა ცკ-ის პლენუმი, კამენსკი დაპატიმრეს და დახვრიტეს". თუკი ბერია უცბოეთის დაზვერვაზე ჩეკასა და ცენტრალურ კომიტეტის დავალებით მუშაობდა, სტალინს, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ხდებოდა, პლენუმისთვის სათანადო ცნობა უნდა მიეცა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პლენუმმაც მიიჩნია, რომ ბერიას დღეები დათვლილი იყო. სინამდვილეში დათვლილი აღმოჩნდა მისი მოწინააღმდეგის დღეები.

წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის მაისში, ბერიამ ბაკოს პოლიციის სამმართველოს უფროსის, თავისი ძველი მფარველის — ბაგიროვის თანაშეწყნედ დაიწყო მუშაობა.

დადგა 1921 წლის იანვარი. ბაკოში არსებული ორგანიკების შტაბიდან, თანამშემაულებისადმი ბუდე მდივნის მოწოდებაზე — შესულიყვნენ საქართველოს „ბასანავისუფლებლად" მზადმყოფი წითელი არმიის რიგებში, საქართველოს გარეთ მცხოვრებ ათასობით ქართველთაგან მხოლოდ ორმა ათეულმა მისცა თანხმობა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ჩეკისტი ლავრენტი ბერია. მობილიზაციაზე შეკრების პუნქტში ბერია ჩეკას პოლიციურ ... წოდში ჩარიცხეს.

1921 წლის თებერვლის მიწურულს ... უკიდეგანეთ საქართველო დაეკა. ბერიელი ორგანიზაცია, რომელიც ბოლშევიკებმა „განთავისუფლებულ" საქართველოში შექმნეს იყო საგანგებო კომისია (ჩეკა), ხოლო მისი პირველი გამომძიებელი გახლდათ ქართველი — ლავრენტი ბერია. მიუხედავად დიდი მონდომებისა და განსაკუთრებული უნარისა, ბერია ორი წლის განმავლობაში რიგითი გამომძიებელი იყო. შემდეგ მოელეზინა ისე განგითარდა, რომ ბერიას საშუალება მიეცა, დაეწყო თავისი დიდი კარიერა, როგორც ჩეკისტსა და ბოლშევიკს.

„განთავისუფლებული" საქართველო ძალას არ იშურებდა, რათა განთავისუფლებულიყო თავისი „განმანთავისუფლებლებისაგან". 1921 წლის შემოდგომაზე და 1922 წ. შემოდგომაზე ბოლშევიკთა წინააღმდეგ მოეწყო ორი აჯანყება, რომლებიც სასტიკად ჩაახშეს, მაგრამ ნამდვილი სიმშვიდე არ დამდგარა. კონფლიქტები და ბღალვრება პერიოდულად მეორდებოდა. საბჭოთა მთავრობამ სტალინს წინადადება მისცა, გამგზავრებულიყო კავკასიაში და თავისი თანამემაულეებისთვის ეთქვა, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებიან. გამგზავრების წინ ჩეკისტებმა და მეგობრებმა მას დიდებული გაცილება მოუწყვეს. ჩვეულებისამებრ, მიირთვეს ბევრნაირ ბოლოდან, სვამდნენ კახურ ღვინოს და „საქართველოს წმენდაზე" საუბრობდნენ. ბანკეტზე იცავდნენ კავკასიიერ ეტიკეტს: სუფრის ხელმძღვანელობდა თამადა. სტუმრებს ემსახურებოდა მერიქიფე, რომელიც თამადის ბრძანებისამებრ ჭიქებს ღვინით ავსებდა. რიგ ბოლო ყანწი შეავსეს, თამადამ, რომელიც სხვებზე ნაკლებს სვამდა, წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა ქართულ ენაზე:

— საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნახნა! — ასეთი იყო მისი ბოლო სიტყვები. ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა მდივანმა, მაზარაძემ, ორახელაშვილმა უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოდ და ხალიჩებზე ჩაეშვნენ. სუფრის ახალგაზრდა მსახურმა კი თამადას უასუხა „სარეველასაც აღმოფფხვრით თა საქართველოსაც გადაეზნავთ" და ხასმინი დაცალა. დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს, თამადას კი ხასასუნი სადღეგრძელო მოეწონა.

თამადა გახლდათ სტალინი, ხოლო სუფრის ახალგაზრდა მსახური — ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა ჩეკას უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წლის დასასრულს, როცა ბერია ზუსტად 23 წლის იყო.

საქართველო ძნელად ემორჩილებოდა „გადახნას." 1924 მოხდა ხაეოფეთიათ შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც სოციალ-დემო-

ISSN 2235-0985

რატებისა და ნაციონალ-დემოკრატების იატაკ-ქვეშა პარტიტეული კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ეს იყო გასთვისებულების ბოლო ცდა, რომელიც არაადამიანური სისასტიკით ჩაბუნ-ტა. ჯალუების ხელმძღვანელები დაბეჭრტეს, ბოლო მონაწილენი (ოფიციალური ცნობებით ბუთი ათასი ქართელი „ნაციონალისტი“) ლიკვიდაციაში მოუვნენ („სარეველას ალმოფ-ხვრა!“).

ამ ოპერაციის სული და გული იყო პოლი-ციური სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ლავრენტი ბერია. ბერიამ შეასრულა სტალი-ნისთვის მიცემული პირობა, რასთვისაც და-ნიშნეს საკართველოს სახ. პოლიციური სამ-მართველოს უფროსად და ჟაჟილდოვეს წი-თელი ორდენით. ამის შემდეგ ბერიას კა-რიერის გზაზე მხოლოდ თვალისმაბმაჭილი წარმატებებია და ამ გზაზე არ არის ზაბორ-ძიების არც ერთი შემთხვევა.

მოგვიანებით, როცა ამერიკაკვასის ფედე-რაცია შეიქმნა, ბერია გახდა ამერიკაკვასის სახელმწიფო პოლიციური სამმართველოს უფ-როსის მოადგილე. სამმართველოს უფროსი პავლუნოვსკი მოლიანად მოექცა თავისი ახალ-გაზრდა და ენერგიული თანაშემწის ძალაუფ-ლების ქვეშ. რადგან იცოდა, რომ ერთიერდი-ადამიანი, რომელიც სტალინთან წინასწარი მოხ-სენების გარეშე შედიოდა, იყო ბერია.

ბერიისადმი მოსკოვის დიდი და ხაზგასმული ნდობა უკარეკავია ოჯეგეთ ნწვეულ საკართველოში. თვით მმართველ წრეებშიც კი ბერიას კარი-ერას ეტვის თვალით უყურებდნენ. ეს ეშვი სიძულვილში გადაიზარდა, როცა თბილისში გაიგეს, სტალინსა და მეეინსკის ქართული მთავ-რობის წევრთა შესახებ აწყდის ცნობებსა.

სამთავრობო წრეებში ბერიას წინააღმდეგ ბრძოლა ანეკდოტებითა და მოსკოვში გაგზავ-ნილი საჩივრებით შემოისაზღვრებოდა. (რაც კიდევ. უფრო ზრდიდა ბერიას ავტორიტეტს კრემლის თვალში). რაც შეეხება ხალხს, მან თავისებურად სცადა გასწორებოდა ბერიას. ცნობილია მასზე თავდასხმის რამდენიმე შემთ-ხვევა. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმისას (1930 წელს) ბერიამ მართლაც რომ ხასწაულთი იხსნა თავი.

ქართველი ტერორისტები საკართველოს სამხედრო ჭნის ულელტეხილზე ჩაუსაფრდნენ ბერიას, რომელიც ვლადიკავკაზიდან ბრუნ-დებოდა. როცა სამი ახალი „ბიუკი“ (ერთ-ერთ-ში ბერია იჯდა) მიუახლოვდა ტერორისტთა საფარს, გაიხსნა ცეცხლი. პირველი მანქანა ეუფმპარებით ააფეთქეს. დაბარჩენმა ორმა სვლას მოუმატა და ეუწყვეტ ცეცხლის ქვეშ გაიარა. პირველ ავტომობილში დაიღუპა წი-თელი არმიის გენერალური შტაბის ერთი დიდი ოფიცერი და სამი ჩეკისტი. რამდენიმე საათ-ში ბერიამ მოსკო

თველიშვილმა გაიკეთა მოხსენება, სხდომას ესწრებოდა სამხარეო აღმასკომის ყველა წევრი, რომელთა შორისაც ცოცხალი მხოლოდ მე დავრჩი. ამ სხდომაზე სტალინმა თავისი სიტყვის დასასრულს შემოიტანა წინადადება ამერიკაკაცების სამხარეო კომიტეტის სამდივნოს შეკმენის თაობაზე. პირველი მდივნის თანამდებობაზე ინიშნებოდა ქართველიშვილი, მეორე მდივნად — ბერია.

ქართველიშვილმა განაცხადა, რომ ის კარგად იცნობს ბერიას, და კატეგორიული წინააღმდეგია იმუშაოს მასთან ერთად. სტალინმა სხდომას შესთავაზა, ეს საკითხი ღიად დატოვებინათ და შემდგომი მუშაობის პროცესში გადაეწყვიტათ. ორი დღის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანამიმდევრად ბერიამ მიიღო პარტიული თანამდებობა, ხოლო. ქართველიშვილს უნად დაეტოვებინა ამერიკაკაცანი".

ამერიკაკაცანის და საკართველოს მდივნობამ ბერიას ამერიკაკაცების საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ ვერ მოუტანა სათანადო აღიარება. პარტია ბერიას პიროვნებით პირველად, 1933 წელს დაინტერესდა, როცა მან საკართველოს კკ-ის საგანგებო კონტროლზე ბოლშევიზმის ისტორიის შესახებ სამდღიანი მოხსენება გააკეთა. მოხსენების არსი ასეთი იყო: 1898 წლიდან ლენინმა პეტერბურგსა და მოსკოვში, ხოლო სტალინმა თბილისსა და ბაკოში, ერთდროულად და თითქმის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაუყარეს საფუძველი ბოლშევიზმს. ამგვარი ისტორიული ფალსიფიკაცია პირდაპირ ფანტასტიკური იყო, მაგრამ მან ბერიას უდიდესი პოლიტიკური წარმატება მოუტანა. მაგამდე, ერთი წლით ადრე, ბერია პირველად აირჩიეს რკპ (ბ) კკ-ის წევრად.

თუმცა 1937 წლის დიდ წმენდაში კინაღამ თვით ბერიაც მოყვა. 1936 წელს შსს-ის ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო ფილ ნაცვლად ნამოყენებულ იქნა ეფიუნა და ბერიას კანდიდატურა. ბერიას, როგორც ძველ ჩეკისტს, ეეოუნზე მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ სტალინმა (ფიქრობენ, რომ ნაცვლისაგან მოსაზრებებით) ამ თანამდებობაზე ეეოუი აირჩია. ეეოუი ხდებოდა, რომ სანამ რეზერვში არსებობდა ბერია, მისი პოზიციები ვერ იქნებოდა ფარი, ამიტომ გადაწყვიტა, „ლენინურ გვარდიასთან" ერთად „სტალინური გვარდიის" წევრი — ლავრენტი ბერიაც მოესხა. და აი, სწორედ აქ დაუშვა ეეოუმ გამოუსწორებელი შეცდომა. ბერიამ შსს-ის ცენტრალური აპარატში თავისი ხალხისგან კიოკო, რომ ეეოუი მის შესახებ „ხაკენს" ქმნიდა. იგი უმალ მოსკოვში გაჩნდა და სტალინს მოახსენა ყოველივე. საგანგებოდ შექმნილმა კკ-ის კომისიამ, რომელსაც ვ. მოლოტოვი თავმჯდომარეობდა, დადგინა ბეკრად უფრო მეტი, ვიდრე თვით ბერია მოელოდა: ეეოუის გამომძიებელთა საკადალდეებში იპოვეს კაგანოვიჩის, ანდრეევის, ბაბაიანის, ეორშოლოვის, კალინინის, ბეტმანის, სხვათა მამხილებელი ჩვენებები. „ხალხის მტერთა" სიაში არ იყო კკ-ის მხოლოდ ორი წევრის — მოლოტოვისა და სტალინის გვარები. ეეოუი უმხილოდ მოაშორეს თანამდებობიდან. 1940 წელს დაბრუნდეს და მის ადგილზე დანიშნეს ბერია.

ბერიას, როგორც შსს-ის ახალი ხელმძღვანელის, პირველი ოპერაცია ჩეკისტების კორპუსის რადიკალური წმენდა გახლდათ. ათასობითი ძველი და დამსახურებული ჩეკისტი დაუპატიმრეს, დახვრიტეს ან გადაასახლეს. ამ დროის მიღიონობით პატიმარი, ჩეკისტების წინააღმდეგ ბერიას ამ მოკვლედებაში თავიანთი რეაბილიტაციის შესაძლებლობას ხედავდა.

მაგრამ ეეოუსა და ეეოველებზე შურს იძიებენენ არა ხალხის, არამედ ხელისუფლების ვამო, რომელიც კინაღამ დაღუპეს მათ. ბერია იგივე ეეოვი იყო, მხოლოდ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მკვნე. ოფთან დაკავშირებული ახალი ტერორი წამოიწყო, უნდა ალინშნოს, რომ სტალინი (მიუხედავად დასავლეთის მოკავშირეთა მხარდაჭერისა), ბერიასა და მისი შსს-ის აპარატის გარეშე ვერ შეინარჩუნებდა თავის ტახტს. ნოთელ არმიას არ სურდა ბრძოლა. ხალხს საკუთარი მოთვრობის დამარცხება ეძრინეა, რადგან ამაში ხედავდა ერთადერთ გზას თავისა და კვეკნის გადასარჩენად. მდგომარეობა კატასტროფული იყო, მაგრამ სსრკ თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობაში შეეყვანილი ბერია, რომელიც ზურგსა და ფრონტზე არსებულ პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობაზე ერთპიროვნული პასუხისმგებელი იყო, არ დაიბნა. კვლავ ამოქმედდა დაშნების მანქანა — დაიწყო მასიური დასაკიტმრებები. ნოთელ არმიაში შეიკმნა შსკ-ის დამხმარე რაზმები, რომელთაც ნამრძანები ჰქონდათ ეხოოლთ მათთვის, ვინც უკან დაიხევდა ან ტყვედ ჩაბარებას ეცდებოდა. ყოველივეს ამასთან, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯა რამობრრრობით. ხალხი დადგა არჩევანის წინაშე: ჩეკისტების ბაღარი ულიზე ან გერმანელთა ტყვია მკერდში. ხალხმა ეს უკანასკნელი არჩია, მითუმეტეს, რომ ბიმელური და ოროზენბერგი ალიდამიანურ სიხასტიკეს იჩენდნენ ოყოკირებულ ტერტორიებსა და სამხედრო ტყვეების ბანაკებში.

ასე გადაარჩინა ბერიამ სტალინი. სამაგიეროდ მან თავისი მხსნელი ისტორიაში უმაგალითო ჩრნით შემოსა: ბერია გახდა სოციალისტური ჩვეულნის საკანდარმო ჯარების მარშალი.

ომის შემდგომ ბერია კაანაგიოულეს შსს-ის ხელმძღვანელობიდან. იგი დანიშნეს სტალინის მოადგილედ სახელმწიფო უშიშროების ხაზით. სტალინის 14 იურიდიული მოად-

გილდან ფაქტიური მოდგილე მხოლოდ ბერია იყო.

„ძველი გვარდიის" წარმომადგენლებთან შედარებით ბერიას პარტიული სტაჟი მცირე იყო, მაგრამ დამოუკიდებლობითა თუ ინიციატივით და, აგრეთვე როგორც პროფესიონალი პოლიციელი, მთელს საბჭოთა სახელმწიფოში არ ჰყავდა ბადალი. შემოხვევით არ იყო, რომ იგი დაინიშნა 1946 წელს შეკმნილი ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარედ.

მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა ატომური უცხო ენა, ბერია გახდებოდა საგარეო პოლიტიკაში პოლიტბიუროს ყველაზე გაცნობიერებული წევრი. საერთაშორისო მნიშვნელობის ინფორმაციას თავისი საგანგები კსელის მეშვეობით იგი პირველი ხელიდან ღებულობდა.

ორი მეფროვე — მალენკოვი და ჟდანოვი

სანამ კრემლის ინტრიგათა ჯუნგლებში შევიდოდეთ, გაგიცნობთ, თუ როგორ ახასიათებდა ს ვეტლანა ალილუევა იმ პერიოდის ორ გმირს — მალენკოვსა და ჟდანოვს:

